

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

National Botanical Garden of Georgia

ლ. ასიეშვილი, რ. ბიძინაშვილი,

ნ. ერაძე, მ. სირაძე, ნ. ტხადაძე

L. Asieshvili, R. Bidzinashvili,

N. Eradze, M. Siradze, N. Tskhadadze

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის

ბუნებრივი ფლორა

(ბალახოვანი მცენარეები)

Natural Flora of National Botanical Garden of Georgia

(Herbaceous Plants)

ბამომცემლობა „კენტავრი“

თბილისი 2014 Tbilisi

წიგნი მოიცავს მონაცემებს საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში 2006-2010 წლებში მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილ ბუნებრივად მოზარდ ბალახოვან მცენარეებზე. ყურადღება გამახვილებულია მათ სასიცოცხლო ფორმებზე, მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებზე, ფენოლოგიაზე (ყვავილობა, ნაყოფმსხმოიარობა), ხოროტიპზე, ჰაბიტატებზე, რაოდენობრივ მხარესა და მნიშვნელობაზე.

The book covers the information on the naturally growing herbaceous plants revealed as a result of the monitoring carried out in National Botanical Garden of Georgia in 2006-2010. Focus is put on the life forms, morphological peculiarities, phenology (flowering, fructification), habitat, number and significance.

რედაქტორი: მ. თავართქილაძე, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი

Editor: M. Tavartkiladze – director, National Botanical Garden of Georgia

კორექტორი: ნ. ანთაძე, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის უფრ. მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

Corrector: N. Antadze- senior scientific worker, National Botanical Garden of Georgia

სატიტულო ყდაზე: ჩანჩქერი თბილისის ბოტანიკურ ბაღში
On the title page: waterfall in Tbilisi Botanical Garden

ISBN 978-9941-0-6814-0

შესავალი

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის (თბილისი) ტერიტორია ქალაქის გაგრძელებაა და მდებარეობს თბილისის უძველეს ნაწილში სოლოლაკის (ნარიყალას) ქედსა და თაბორის მთის შუა, მდ. წაგვისისწყლის ხეობაში. მოქცეულია აღმოსავლეთ საქართველოს ნახევრად არიდული ნათელი ტყეებისა და შედარებით მეზოფილური მუხნარ-ჯაგრცხილნარი ტყეების ზონებში. მისი ბუნებრივი ლანდშაფტები, რომელსაც ბაღის ტერიტორიის 58% უკავია, გამოირჩევა სახეობრივი მრავალფეროვნებით. გავრცელებულია სტეპისა (ვაციწვერიანი, უროიანი, წივანიანი) და შიბლიაკის ტიპის ჰემიქსეროფილური ბუჩქნარები, კლდე-ნაშაღღორღიანი ეკოტოპების სხვადასხვა ფლოროცენოკომპლექსები. მრავალფეროვანია მდინარისპირა მცენარეული თანასაზოგადოებანიც.

ბაღის ფიტოცენოზებში ათეული წლების განმავლობაში მიმდინარე პროცესების (უმთავრესად ბუნებრივი და ნაწილობრივ ანთროპოგენური მოქმედებები) შედეგად გაიზარდა ინვაზიური მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების ექსპანსია, რასაც თავისთავად მოჰყვა ბუნებრივად მოზარდი მრავალი სახეობის რიცხოვნობის შემცირება და ზოგიერთი მათგანის გადაშენება. აქედან გამომდინარე, შეცვლილია მცენარეული საფარი, მისი ფლორისტული შემადგენლობა განსხვავდება სხვადასხვა მკვლევართა მიერ (Сосновский, Гроссгейм, 1920; Сосновский, Гроссгейм, Шишкин, 1925; მაყაშვილი, 1952–1953; კერესელიძე, ლორია, ელბაქიძე, 2001) ადრეულ წლებში მითითებული ბუნებრივად მოზარდი ბალახოვანი მცენარეების შემადგენლობისგან. განსაკუთრებული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა სამკურნალო და დეკორატიული მნიშვნელობით გამორჩეული ოჯახების (გვიმრანაირები, ზამბახისებრნი, სუმბულისებრნი, შროშანისებრნი, ხახვისებრნი, ჯადვარისებრნი და სხვ.) წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა სადღეისოდ შემცირებულია, ბევრი მათგანი იშვიათია და გაქრობის საშიშროების წინაშე დგას.

აღნიშნულმა მდგომარეობამ განაპირობა 2006-2010 წლებში ბოტანიკურ ბაღში მოზარდი ბალახოვანი მცენარეების მონიტორინგის ჩატარება.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ბუნებრივად მოზარდი ბალახოვანი მცენარეები წარმოდგენილია 74 ბოტანიკური ოჯახით, 311 გვართა და 624 სახეობით; მათგან: ერთწლოვანია 208 სახეობა; ორწლოვანი – 61; მრავალწლოვანი 355 სახეობა. წინამდებარე ნაშრომში ოჯახები და ოჯახის შიგნით ტაქსონები, მათი ლათინური სახელწოდების შესაბამისად, ანბანური თანმიმდევრობითაა დალაგებული. ცალკეული სახეობის განხილვისას მოცემულია ბაზიონიმი (ტაქსონის პირველადი სახელწოდება) და ძირითადი სინონიმები. ყურადღება გამახვილებულია მათ მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებზე, ყვავილობისა და ნაყოფმსხმოიარობის პერიოდებზე, ხოროტიპზე, ჰაბიტატებზე, რაოდენობრივ მხარესა და მნიშვნელობაზე. ბალახოვანი მცენარეების დახასიათებას წინ უძღვის მოკლე ცნობები ბოტანიკური ბაღის ისტორიაზე, მის თანამედროვე მდგომარეობაზე, კლიმატზე, ნიადაგებზე და აქ წარმოდგენილ ბუნებრივად მოზარდ მცენარეულობაზე. წიგნის დასასრულს საუბარია მცენარეების მრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობაზე. სახეობათა ტაქსონომია და ნომენკლატურა მოყვანილია „საქართველოს ფლორის“ მე-2 გამოცემის (1971-2011), ს. ჩერეპანოვისა (Czerepanov, 1995) და რ. გაგნიძის (2005) მიხედვით. მცენარეთა ქართული დასახელებისას გამოყენებულია ა. მაყაშვილის (1961) და ნ. ზაბინკოვა, მ. კირპიჩნიკოვის (Забинкова, Кирпичников, 1957) ბოტანიკური ლექსიკონები.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი საერთო მონაცემები

ისტორია და დღევანდელი


საქართველოს (თბილისის) ეროვნულ ბოტანიკურ ბაღს დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი წინამორბედი იყო თბილისის სამხრეთით, მდ. წავკისისწყლის ხეობის ქვემო ნაწილში, ჯერ კიდევ XVII ს-ის დასაწყისში გაშენებული დეკორატიული და სამკურნალო მცენარეების სამეფო ბაღი. თბილისის ბაღების შესახებ პირველი, ძუნწი ცნობები ქალაქის სქემატურ გეგმასთან ერთად მოცემულია ფრანგი მოგზაურის შარდენის ჩანაწერებში (1672): “თბილისის შემოგარენში მშვენიერი ბაღებია, ყველაზე დიდია მთავრის ბაღი. აქ ხეხილი ბევრი არაა, სამაგიეროდ დარგულია ისეთი მცენარეები, რომლებიც ამშვენებენ ბაღს და იძლევიან ჩრდილსა და სივრილეს ზაფხულის ყველაზე ცხელ თვეებში”. 1845 წელს ბაღს ოფიციალურად მიენიჭა “ბოტანიკური ბაღის” სტატუსი. როგორც ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი თავის წიგნში „თბილისის სიძველეთა აღწერა“ (1866) აღნიშნავს: „იმ 300 ბაღიდან, რომელიც თბილისს გარს აკრავს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველ მეფეთა ბაღი, რომელიც ლევთა ხევში, სასახლის წინაა გაშენებული. დღეს მას ბოტანიკურ ბაღს უწოდებენ და ხაზინის გამგებლობაშია”.

თბილისის ბოტანიკური ბაღის ისტორია მისი განვითარების ეტაპების მიხედვით პირობითად შეიძლება რამდენიმე პერიოდად იქნეს დაყოფილი:

I წინა პერიოდი - 1801 წ-მდე, როდესაც ახლანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორია ქართველ მეფეთა საგვარეულო საკუთრებას წარმოადგენდა, სადაც გაშენებული იყო ხეხილით, დეკორატიული ბუჩქებითა და ყვავილებით მდიდარი ბაღი.

II პერიოდი - 1801-1845 წწ., როდესაც საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღნიშნული ტერიტორია გადავიდა სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს ხელში.

III პერიოდი - 1845-1883 წწ., როდესაც ბაღს პირველად (1845) მიენიჭა “ბოტანიკური ბაღის” სახელი და დაიწყო მცენარეების გამოყვანა.



**ტფილისის ბოტანიკური ბაღი,
მხატვარი გრიგოლ გაგარინი, 1847 წ.**

IV პერიოდი - 1883-1921 წწ. მოიცავს პერიოდს, რომელიც დაკავშირებულია განსწავლულ მეტყვევ-დენდროლოგის ი. მედვედევის და შემდეგ ბოტანიკური ბაღის პირველი დირექტორის ა. როლოვის სახელთან, როდესაც ბაღმა დაიწყო უკვე მეცნიერული ხასიათის საქმიანობა, რომელიც 1902 წლიდან მატერიალური გაუმჯობესებისა და სამეცნიერო პერსონალის დაკომპლექტების შედეგად ფართო მასშტაბით იქნა გაშლილი. ორგანიზებული იქნა მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ჰერბარიუმი, მეტეოროლოგიური სადგური, ორანჟერეა და სათბურები, ფიტოგეოგრაფიული საკოლექციო ნაკვეთები, სამეცნიერო განყოფილებები და ლაბორატორიები, ყველა რეგიონული გეოგრაფიული განყოფილება და საცდელი სადგური ამიერკავკასიაში, ხეხილოვანი ხეებისა და ბუჩქების სანერგეები, სკოლა მებაღე-მუშების და ა.შ. ამ პერიოდში დამთავრდა



თბილისის ბოტანიკური ბაღი, „თამარის ხიდი“

სოლოლაკის გვირაბის გაყვანა, რის საშუალებითაც ბაღი დაუკავშირდა ქალაქის ცენტრალურ უბანს. დაარსდა პერიოდული გამოცემები: 1. "თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომები", 2. "თბილისის ბოტანიკური ბაღის მოამბე", 3. "თბილისის ბოტანიკური ბაღის გამოყენებითი განყოფილებების ჩანაწერები". გამოიცა ბაღის სამეცნიერო შრომების 91 კრებული, მეცნიერ თანამშრომელთა მრავალრიცხოვანი მონოგრაფიები და პუბლიკაციები. მუშაობის გამოცოცხლებამ გამოიწვია ბაღის გაფართოების საკითხის დაყენება, რაც კერძო მეპატრონეთაგან მოსახლვრე ფართობების ნაწილ-ნაწილ შესყიდვით ხდებოდა.

„ა. როლოვის მოღვაწეობის ისტორია 1899-1918 წწ. პერიოდში, მისი წასვლის დღემდე, ფაქტიურად ეს არის ისტორია თბილისის ბოტანიკური ბაღის და ემთხვევა ამ მსხვილი სამეცნიერო დაწესებულების თანდათანობითი განვითარების ყველაზე კაშკაშა ფურცლებს" – აღნიშნავდა კავკასიის ფლორის გამომჩენილი მკვლევარი დ. სოსნოვსკი (ციტ.: გოგოლიშვილი, სხიერელი, 1986). ამ პერიოდში ბაღი გადაიქცა მთელი კავკასიის მასშტაბით მსხვილ ბოტანიკურ და სოფლის მეურნეობის მეცნიერულ ცენტრად.

V პერიოდი - 1921-1933 წწ., როდესაც ბაღში ნაირგვარი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები მუშავდებოდა, რაც ფაქტიურად, როგორც ბოტანიკური ბაღის, ისე ბოტანიკის ინსტიტუტის ფუნქციების აღსრულებას შეესაბამებოდა. 1933 წ-ს ბაღს გამოეყო ძირითადი სამეცნიერო ნაწილი ბოტანიკის ინსტიტუტის დაარსებით; ინსტიტუტიდან თავის მხრივ გამოჰყვეს – მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი. ბოტანიკური ბაღის პირმშოა აგრეთვე მემინდვრეობის ინსტიტუტი და სახელმწიფო სასელექციო-საცდელი სადგური.

VI პერიოდი - 1933-1943 წწ.; ყოველივე ამ დანაწილების შემდეგ, 1934 წელს ბოტანიკური ბაღი, სადაც დროებით შეყოვნდა მეცნიერული მუშაობა, გადაეცა ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს. მაგრამ ბოტანიკური ბაღის, როგორც განსაკუთრებული პროფილის მქონე სამეცნიერო დაწესებულების როლის საბოლოოდ უგულებელყოფა და მისი დაყვანა უბრალო სასეირნო ბაღამდე შეუძლებელი აღმოჩნდა და 1943 წელს თბილისის ბოტანიკური ბაღი გაერთიანდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

VII პერიოდი - 1943-1990 წწ. აქედან დაწყებული, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ბოტანიკური ბაღის აღმავლობაში განსაკუთრებულია ვასილ გულისაშვილისა და მამია გოგოლიშვილის ღვაწლი. ამ პერიოდში გაიზარდა ბაღის ტერიტორია, კრწანისში და წავკისში დაარსდა საცდელ-ექსპერიმენტალური ბაზები; გაფართოვდა მთელი რიგი ფლორისტული განყოფილებების საკოლექციო ფართობები; ჩამოყალიბდა ახალი სამეცნიერო განყოფილებები; განახლდა მცენარეთა კოლექციები და სხვ.

ამჟამად, ბაღს მინიჭებული აქვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის სტატუსი. მისი საერთო ფართობი 98 ჰა-ს შეადგენს; აერთიანებს მერქნიან მცენარეთა ინტროდუქციის, მეყვავილეობისა და ლანდშაფტის დიზაინის, კავკასიის იშვიათ და სამკურნალო მცენარეების, მცენარეთა კონსერვაციისა და ეკოლოგიური განათლების სამეცნიერო განყოფილებებს, მეთესლეობის მცენარეთა დაცვისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის ჯგუფებს. ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი კოლექციები და ნაკვეთები: ისტორიული პარკის (არბორეტუმი) მცენარეთა კოლექცია, ხმელთაშუაზღვეთის მარადმწვანე ხეშეშფოთლიანი ტყეების ხეებისა და ბუჩქების, ხმელთაშუაზღვეთის ფლორისტული ოლქის ხეებისა და ბუჩქების, ჩრდ. ამერიკის ხეებისა და ბუჩქების, აღმოსავლეთ აზიის ხეებისა და ბუჩქების, ჰიმალაის, კავკასიის ფლორის, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფართოფოთლოვანი ტყეების ხეებისა და ბუჩქების, საქართველოს ნათელი ტყეების ხეებისა და ბუჩქების, დასავლეთ საქართველოს ტყეების ხეებისა და ბუჩქების, წიწვიანი ხეების, ფიჭვნარი, კედრნარი, კავკასიის იშვიათი და გადაშენებადი მცენარეების, სამკურნალო მცენარეების, დეკორატიული ყვავილოვანი მცენარეების; აგრეთვე: სირინგარიუმი (იასამნების კოლექცია), ვარდნარი, პარტერი (დეკორატიული მებაღეობის ნაკვეთი), ტროპიკული ორანჟერეა (დახურული გრუნტის მცენარეები).

თბილისის ბოტანიკური ბაღის კოლექციები მოიცავს კავკასიისა და სხვა რეგიონების ფლორის 3500-ზე მეტ სახეობას და შიდა სახეობრივ ტაქსონს, რასაც ემატება ღია და დახურული გრუნტის კულტურულ დეკორატიულ მცენარეთა მდიდარი კოლექციები (ანდრონიკაშვილი და სხვ., 1971; ციციძე და სხვ., 2013).



თბილისის ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებული მცენარეები

ბოტანიკური ბაღების კოლექციები მეცნიერ-მკვლევართათვის ყოველთვის წარმოადგენდნენ კვლევის არსებით საფუძველს და ჩვენს დროშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბოტანიკური და ეკოლოგიური გამოკვლევებისათვის; უფრო მეტიც, დღეს ისინი იღებენ თავის თავზე ბუნებისა და სახეობების დაცვის ამოცანებს და სულ უფრო მეტად ერთვებიან საზოგადოებასთან საგანმანათლებლო საქმიანობაში. დღევანდელი პარამეტრებით (XXI ს-ს დასაწყისი) ბოტანიკური ბაღები ინარჩუნებენ ტრადიციულ საქმიანობას, კერძოდ: ცოცხალი მცენარეების კოლექციის ფორმირება ღია და დახურულ გრუნტში, მათი ტაქსონომიური იდენტიფიკაცია და სისტემატიკის შესწავლა, პერბარიუმის შეგროვება, მცენარეთა ინტროდუქცია-ადაპტაციის მიმართულებით კვლევითი სამუშაოების ჩატარება, მცენარეთა მანებელ-დაავადებების გამოვლენა და ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება, კარპოლოგიური კოლექციების შექმნა, მცენარეთა

გამრავლების ხერხებისა და აგროტექნიკური ღონისძიებების შემუშავება და სხვ.

საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში, ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოს (BGCI, 2000) მიერ ბოტანიკური ბაღებისადმი წარდგენილი ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს შემდეგი სამუშაოები: კოლექციების აგება სამეცნიერო საფუძველზე; მცენარეული კოლექციების ხანგრძლივი ვადით შენარჩუნება; მცენარეთა in-situ (ბუნებრივი) და ex-situ (ხელოვნური) კონსერვაცია (რაც ითვალისწინებს რეგიონალური ფლორის, განსაკუთრებით გადაშენებული სახეობების მრავალფეროვნების შენარჩუნებას); მეცნიერული კვლევების ჩატარება ცოცხალ მცენარეებზე დაკვირვებით; თესვების ან სხვა მასალებისა და ინფორმაციების გაცვლა სხვადასხვა მაპროფილებელ ორგანიზაციებთან; თანამშრომლობა სამამულო და უცხოურ ბოტანიკურ ბაღებთან ერთობლივ სამეცნიერო პროექტებში ex-situ შენარჩუნების მეთოდებისა და პრაქტიკული მიდგომების შემუშავებაში; იშვიათი და გადაშენებული სახეობების სასწავლო ექსპოზიციების შექმნა, ბიომრავალფეროვნების წინაშე წარმოქმნილი საშიშროების სერიოზულობის დემონსტრაციისათვის და ბოტანიკური ბაღის როლის საჩვენებლად მცენარეთა შენარჩუნებაში; მცენარეთა მრავალფეროვნების დაცვის პოპულარიზაცია საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით; მცენარეთა კომპეტენტური ეტიკეტირება; კოლექციების შესაბამისი დოკუმენტირება; დამთვალეირებლებისთვის ღია კარის მოწყობა.

გეომორფოლოგია

თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორია ქალაქის გაგრძელებაა და მდებარეობს თბილისის უძველეს ნაწილში სოლოლაკის (ნარიყალას) ქედსა და თაბორის მთის შუა, მდ. წავკისისწყლის ხეობაში, რომელიც ცნობილია აგრეთვე “ლელვთა ხევისა” და “დაბაღანის” სახელწოდებითაც. პირველი სახელი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ წინათ ეს ადგილი ლელვის ხეებით ყოფილა დაფარული, მათ ახლაც ვხვდებით, მაგრამ ნაკლები რაოდენობით. მეორე - “დაბაღანი” უფრო გვიანი წარმოშობისაა და დაკავშირებულია გოგირდოვანი აბანოების უბანში დაბაღების დასახლებასთან (XVIII-XIX ს), რომლებიც გოგირდოვან და მდ.

წავკისის წყალს სადაბალოდ ანუ ტყავის დასამუშავებლად იყენებდა (ისაკაძე, 1969).

მდინარე წავკისისწყალი იწყება უძოს მთის სამხრეთ ფერდობზე და ერთვის მტკვარს მარჯვნიდან მეტეხის ციხის პირდაპირ. ზემო და, ნაწილობრივ, შუა წელში, სადაც წავკისისწყლის აუზი თიხაფიქალებით და ქვიშაქვებითაა აგებული, მდინარის ხეობა გაშლილია, კალაპოტი გამოუმუშავებელია და დეღეს მოგვაგონებს, ქვემო წელში წავკისისწყალი მკვირვ ტუფოგენურ ქანებში შედის და ხეობის მორფოლოგიური სურათი იცვლება – ერთბაშად ვიწროვდება და კანიონის ხასიათს იძენს. მდინარის კალაპოტის დახრილობა მკვეთრად მატულობს, ჭრომებიანი და ჩანჩქერებიანი ხდება, განსაკუთრებით მაღალია და ლამაზი ბოტანიკური ბაღის ჩანჩქერი.



წავკისისწყლის კანიონი



თბილისის ბოტანიკური ბაღის დიდი ჩანჩქერი

ხეობის ძირი ამ მონაკვეთზე ხასიათდება ნაკლებად დამუშავებული ღორღით, რომელიც უმთავრესად ხეობის ფერდობებიდან დაშვებული ღვარების მიერაა ჩამოტანილი და მათ შესართავებთან გამოზიდვის კონუსებადაა დაფენილი. ხეობაში აქა-იქ შეინიშნება დაკიდური სრამების შესართავები და სტრუქტურული ტერასების ფრაგმენტები. მდინარის საერთო სიგრძე 8,9 კმ-ია, აუზის ფართობი 21,7 კმ, სათავეს იღებს ზღვ. დ. 1075 მ სიმაღლეზე, მტკვართან შესართავი ზ.დ. 380 მ-ია (კიკილაშვილი, ქოჩიაშვილი, 1970).

ბოტანიკური ბაღის ფარგლებში კი წავკისისწყლის სიგრძე 2,6 კმ აღწევს. მისი მარცხენა შენაკადია ოქროყანისწყალი, რომელიც იწყება სოფ. ოქროყანაში (ზ.დ. დ. 700 მ სიმაღლეზე), ბაღის ფარგლებში წავკისისწყალს უერთდება 495 მ სიმაღლეზე, კოჯრის გზატკეცილის ქვემოთ, სადაც მცირე სიმაღლის ჩანჩქერს ქმნის.

წავკისისწყლის მარცხენა ნაპირას მდებარე ქედი, რომელიც ბაღს ჩრდილოეთის მხრიდან აკრავს და მას ძველი თბილისის ტერიტორიიდან საზღვრავს, თაბორის ქედთან შედარებით დაბალია და ცნობილია სოლოლაკის (ნარიყალას) ქედის სახელით. აღნიშნული ქედი თბილისში გაბატონებულ ჩრდილო ქარების მიმართულების პერპენდიკულარულადაა აღმართული და ზამთრობით ბაღის ქვედა ნაწილს ქარების მავნე გავლენისაგან იცავს, რის გამოც ბაღის ამ ნაწილში თბილისთან შედარებით, სითბოს მოყვარული მცენარეებისათვის რამდენადმე უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება. სხვა მდგომარეობაა ბაღის ზედა ნაწილში, რომელიც სოლოლაკის ქედზე უფრო მაღლა მდებარეობს, სრულიად ღიაა და დაუცველია კავკასიონიდან მომდინარე ქარების გავლენისაგან.



თბილისის ბოტანიკური ბაღის მცირე ჩანჩქერი

ბაღის ტერიტორია საკმაოდ რთული რელიეფით ხასიათდება. აღინიშნება სხვადასხვა ექსპოზიციის როგორც დიდი დაქანების ციცაბო ფერდობები, ისე ნაკლებ დამრეცი ადგილები, შევაკებები და ტერასები, რასაც თან ერთვის ცალკეული ადგილების ნაირგვარობა ვერტიკალური მიმართულებით. ბაღის ქვედა ნაწილის ყველაზე დაბალი წერტილი აბანოთუბანთან დ. 417 მ-ია, ყველაზე მაღალი თაბორის ქედზე, სოფ. შინდისთან 714 მ. (კერესელიძე, ლორია, 1999).



წაგვისისწყლის ხეობის ერთ-ერთი მონაკვეთი თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე

კლიმატი

თბილისის ბოტანიკური ბაღის ჰავა მიეკუთვნება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ნათელი ტყეების ნახევრადარიდულ, ზომიერად თბილ და კონტინენტურ კლიმატს. ზაფხული – ცხელი და მშრალი, ზამთარი – არც თუ ისე მკაცრი, თუმცა ზოგიერთ წლებში საკმაოდ ცივი იცის; აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – $8-15^{\circ}\text{C}$ -მდე მერყეობს, ზოგჯერ კი – 18°C - მდე ეშვება. ქალაქთან შედარებით (სადაც ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა $12,6^{\circ}$ უდრის), ბაღის ქვედა ნაწილში (დ. 420-450 მ) ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა $0,4^{\circ}$ -ით მაღალია, თუმცა ივლისსა და აგვისტოში აქ უფრო გრილა ვიდრე ქალაქში – ზაფხულის თვეებში ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ $1-1,5^{\circ}$ -ით დაბალია. ბაღის ზედა ნაწილში, კერძოდ

სანერგის ზედა მიდამოებში იგი საშუალოდ 0,7⁰-ით უფრო დაბალია, ვიდრე ბალის ქვედა ნაწილში (კორძახია, ჯავახიშვილი, 1970).

საშუალო წლიური ჩამონალექი 518 მმ შეადგენს, რომელიც წლის დროთა მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული (ცხრ.1).

ცხრილი 1.

ნალექების განაწილება თვეების მიხედვით, მმ
(თბილისის ბოტანიკური ბალის მეტეო მონაცემები)

სადგური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
თბილისის ბოტანიკური ბაღი	6	19	25	70	113	94	32	37	64	59	23	33	575

ცხრილის მიხედვით ნალექების სიმცირეა სწორედ ცხელ თვეებში - ივლისსა და აგვისტოში, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებს მცენარეებზე. ყველაზე მცირე ნალექებით ხასიათდება ზაფხულის თვეები, რაც ნიადაგის გამოშრობას განაპირობებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნალექების წლიური რაოდენობა და მისი განაწილება არ იძლევა ნიადაგის ტენიანობის ხასიათის სრულ სურათს (რაზედაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნალექების მოსვლის ხასიათს). დაკვირვებები ცხადყოფს, რომ რაც უფრო ინტენსიურია შხაპი (წამში 0,5 მმ და მეტი), მით უფრო ნაკლებია ნიადაგში ჩაჟონვა. სწორედ ივნისში, ივლისსა და აგვისტოში მოსული წვიმები შხაპის ხასიათისაა. ამიტომ ზედაპირული ჩამონადენი რამდენჯერმე სჭარბობს ნიადაგში ჩაჟონვას. შხაპის სახით მოსული ნალექები ნიადაგის ეროზიის გამომწვევი მიზეზია; მცირე სიღრმისა და ძლიერ ხირხტიანი ნიადაგები, რომლებიც ძირითადად გავრცელებულია ფერდობებზე, ადვილად ჩამოირეცხებიან წყლის ნაკადის მიერ.

ნიადაგის გადარეცხვა და თხიერი ზედაპირული ჩამონადენის რაოდენობა დამოკიდებულია დღე-ღამური ნალექების რაოდენობაზეც. აღნიშნულია ფაქტი, როცა ერთ საათში მოვიდა 63 მმ ნალექი. ცხადია, ასეთ კოკისპირულ წვიმებს დიდი ზიანი მოაქვს ბუნებრივი მცენარეული საფრისათვის. შესაბამისად

ნალექები განიცდიან დიდ მერყეობას, საშუალო თვიური მაქსიმუმი უდრის 131,5 მმ-ს, ხოლო საშუალო თვიური მინიმუმი 2,4 მმ-ს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთსა და იმავე თვეში (აგვისტო) ზოგჯერ შეიძლება მოვიდეს 116 მმ, ზოგჯერ კი მთელი თვე უნალექო იყოს. ნალექების ასეთი ძლიერი მერყეობა უარყოფითად მოქმედებს როგორც მცენარეების ზრდა-განვითარებაზე, ისე მათ მრავალფეროვნებაზე.

ნალექების მნიშვნელოვან მერყეობას სავეგეტაციო პერიოდში თან ერთვის წყლის ორთქლის რაოდენობის შემცირება ჰაერში, რაც კიდევ უფრო დამღუპველად მოქმედებს მცენარეებზე. ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობა სავეგეტაციო პერიოდში თანდათან მცირდება და აგვისტოში 59-55%-მდე ჩამოდის, ე.ი. უახლოვდება იმ მინიმუმს (50%), რომელიც აუცილებელია მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოტანიკური ბაღის ეკოლოგიური კვლევის სტაციონარის მონაცემებით, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ცალკეულ დღეებში კატასტროფულად მცირდება. კერძოდ: სავეგეტაციო პერიოდის თვეების ცალკეული დღეების 13.00 საათისათვის ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 10-11% - მდე კლებულობს (ცხრილი 2).

ცხრილი 2.

ჰაერის მინიმალური ფარდობითი ტენიანობა, %

თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ტენიანობა	19	17	12	17	17	17	12	11	10	17	16	26

ცხრილის მონაცემებიდან გამომდინარე, ეს მაჩვენებლები ყველაზე დაბალია ივლის-აგვისტოსა და სექტემბერში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჰაერის ფარდობითი ტენიანობის დაბალი მაჩვენებლები კიდევ უფრო დამძიმებულია თვეების ცალკეული დღეების ძალზე დაბალი (10-12%) ფარდობითი ტენიანობით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 50%-ზე დაბალი ფარდობითი ტენიანობის მაჩვენებლები დამღუპველად მოქმედებს მცენარეების ზრდა-განვითარებაზე, მაშინ ნათელია 10-12%-ის ტოლი ფარდობითი ტენიანობის მეტად უარყოფითი ზემოქმედება

მცენარეების სასიცოცხლო პროცესებზე (ლომიძე, ბიძინაშვილი, 2013).

ნიადაგები

ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს, რომელიც მცენარეული საფარის ზრდა-განვითარებას განსაზღვრავს ნიადაგი წარმოადგენს, რომლის ძირითადი თვისებებია მისი ნაყოფიერება (ე.ი. უნარი მაქსიმალურად უზრუნველყოს მცენარე წყლითა და საკვები ნივთიერებებით). თბილისის ბოტანიკური ბაღის ნიადაგობრივი პირობები მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია ერთის მხრივ იმ გარემოებით, რომ ბაღის ნიადაგების ნაწილი ხელოვნურადაა შექმნილი (მიწა შემოზიდულია თბილისის შემოგარენიდან), მეორეს მხრივ ბაღის ნაირგვაროვანი მიკროკლიმატური და ედაფური პირობებით.

ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ნიადაგი მძიმეა, უმეტეს შემთხვევაში მცირე სიღრმის, განუვითარებელი, ზოგან დედაქანზე ნიადაგი საერთოდ არ გვხვდება და შიშველი კედლებიდან ჩანს. შედარებით ღრმა ნიადაგი დავაკებულ ადგილებსა და ხელოვნურად შექმნილ ტერასებზე აღინიშნება.

ბაღის ბუნებრივი ნიადაგები განეკუთვნება სამ ძირითად ტიპს:

1. საშუალო სიღრმის ნიადაგები (სიღრმით 30-50 სმ) განვითარებულია ბაღის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მხოლოდ ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობებზე, დ. 600-700 მ სიმაღლეზე, საკმაოდ მცირე ფართობზე; მუქი ყავისფერი შეფერილობისაა, მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის, ზოგჯერ თიხნარიც, სუსტი ტუტე რეაქციის (pH 6,3-6,5), ზედა ფენაში არ აღინიშნება კალციუმის კარბონატები, რომელიც ქვედა ფენაში 5-8% აღწევს. ჰუმუსი ზედა ფენაში 5-7,5% შეადგენს. მათზე განვითარებულია ბუჩქოვანი მცენარეულობა – გრაკლიანები და ძეძვიანები.
2. მცირე სიღრმის ნიადაგები (სიღრმით 15-30 სმ) განვითარებულია მეტწილად ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე, ბაღის ტერიტორიის დიდ ნაწილზე; ყავისფერი შეფერილობისაა, მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის, სუსტი ტუტე რეაქციის (pH

6,5-6,8); კალციუმის კარბონატები ზედა ჰორიზონტში არ არის, ქვედაში - 6-8% შეადგენს; ჰუმუსი ზედა ფენაში 4,5-6,5 %-ია. მცენარეული საფარი საშუალოდ ან სუსტადაა განვითარებული.

3. პრიმიტიული, ძლიერ ხირხატიანი ნიადაგები (სიღრმით 15 სმ-მდე) გვხვდება სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციების საშუალო და დიდი დაქანების ფერდობებზე. ყავისფერი შეფერილობისაა, მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის და ძლიერ ხირხატიანი, რეაქცია ნეიტრალურია ან სუსტი ტუტე (pH 6,5-6,7), ჰუმუსიანობა დაბალია -1,5-2 %. მათზე გაბატონებულია ქსეროფილური მცენარეულობა - ძეძვიანები, შავჯაგვიანები და სხვ. (კერესელიძე და სხვ., 1999, 2001; ლომიძე და სხვ., 2005).



ბოტანიკური ბაღის საერთო ხედი

თბილისის ბოტანიკური ბაღის უნიკალურ ლანდშაფტს და მის ორიგინალობას განაპირობებს რელიეფური, მიკროკლიმატური პირობები და მცენარეულობის სახეობრივი მრავალფეროვნება, რომელიც ორი ძირითადი ჯგუფითაა წარმოდგენილი: საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან (ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, ჩრდილო ამერიკიდან, ჩინეთი-იაპონიიდან, ჰიმალაის მთებიდან, ციმბირიდან და სხვ.) ინტროდუცირებული მცენარეებით (ბაღის კოლექციები), რომელთა რაოდენობა 3500-ზე მეტ სახეობას და შიდა სახეობრივ ტაქსონს მოიცავს და ადგილობრივი, აქ ბუნებრივად მოზარდი სახეობებით. ბაღის მეცნიერ თანამშრომლების ჯ. კერესელიძის, მ. ლორიასა და მ. ელბაქიძის (2001) მიერ 90-იან წლებში ჩატარებული გამოკვლევებით ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი

ფლორის მცენარეები (ხე-ბუჩქები და ბალახოვნები) 670-მდე სახეობითაა წარმოდგენილი.

თბილისის მიდამოებში თუ მდინარისპირა ჭაღის, ტყისა და დაბლობის სარტყელი მთლიანდ სახეცვლილია და მხოლოდ აქა-იქ გადარჩენილი ნაშთები იძლევა მასზე წარმოდგენას, თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მდინარისპირა მცენარეულობა ბაღის სხვა ბუნებრივ მცენარეულობას შორის, მეტ-ნაკლებად პირველადი სახითაა შემონახული, რაც განპირობებულია მისი შემქმნელი ხეებისა და ბუჩქების სწრაფი განახლებისა და ინტენსიური ზრდის უნარით; აქ, ამ სარტყლის პირველი ტერასა წარმოდგენილია ვერხვნარ-ტირიფნარით, რომელთა შორისაა: თეთრი ხვალო (*Populus alba*), ოფი (*Populus nigra*), წნორი (*Salix alba*). მცირე რაოდენობით აღინიშნება: მაღალი ტირიფი (*Salix excelsa*), სამმტკვრიანა ტირიფი (*Salix triandra*), ფშატა-ტირიფი (*Salix wilhelmsiana*) იშვიათია, ლაფანი (*Pterocaria pterocarpa*), იაღლუნი (*Tamarix hohenakeri*), ქაცვი (*Hippophae rhamnoides*) და სხვ.



წავკისისწყლის ხეობის ერთ-ერთი მონაკვეთი ბოტანიკურ ბაღში

აღნიშნული სარტყლის მეორე ტერასა შედგება მინდვრის ნეკერჩხლის (*Acer campestre*), ქორაფისა (*Acer laetum*) და თელასგან (*Ulmus minor*), ზოგჯერ ერევა თუთაძ (*Morus alba*), აღინიშნება შავი კუნელი (*Crataegus pentagyna*), წითელი კუნელი (*Crataegus kyrtostyla*), კვილო (*Ligustrum vulgare*), კატაბარდა (*Clematis vitalba*), მაყვლის (*Rubus*) სხვადასხვა სახეობები; ერთეული ეგზემპლარების სახით გვხვდება ეკალიტი (*Smilax excelsa*), ღვედკეცი (*Periploca graeca*) და სხვ.



წავკისისწყლის ხევის მდინარისპირა მცენარეულობა, ცოცხმაგარა - *Lythrum salicaria*

წავკისისწყლის ხევის სანაპიროს ბალახოვანი ფლორა წარმოდგენილია შემდეგი ეკოლოგიური რიგებით: დატბორილ ნაპირებზე აღინიშნება ჰელოფიტები, ჰიგროფიტები და ჰიგრომეზოფიტები.

ჰელოფიტებიდან აღსანიშნავია ლელქაში და ჭილი (*Juncus inflexus*, *J. articulatus*).

ჰიგროფიტებიდან: წყლის მრავალძარღვა (*Alisma plantago-aquatica*), ისლი (*Carex hirta*), ლაქაში (*Typha angustifolia*);

ჰიგრომეზოფიტებიდან: წყალნაწყენი (*Epilobium hirsutum*), ჩაღანდრი (*Veronica anagalis-aquatica*), ცოცხმაგარა (*Lythrum salicaria*), ცოცხანა (*Verbena officinalis*), წალიკა (*Polygonum hydropiper*), ბოსტნის წალიკა (*Polygonum persicaria*), ლიკოპუსი (*Lycopus europaeus*), ტყის პიტნა (*Mentha longifolia*), ტენცო (*Mentha aquatica*), გოქშო (*Dipsacus laciniatus*), შვიტა (*Egusetum arvense*), ორკბილა (*Bidens tripartita*), ვარდკანაფა (*Eupatorium cannabinum*), წყლის წიწმბი (*Nasturtium officinalis*), მრავალძარღვები (*Plantago major*, *P. medium*, *P. lanceolata*) და სხვ.



წყალნაწყენი - *Epilobium hirsutum*



ვარდკანაფა – *Eupatorium cannabinum*

მდინარისპირა ზოლში (რომელიც 2,6 კმ სიგრძისაა და 5-დან 20 მ-მდე სიგანის სხვადასხვა მონაკვეთში) ტყის ელემენტებიდან გვხვდება: პირწმინდა (*Ajuga reptans*), ყვავისფრჩხილა (*Coronilla varia*), ოშომა (*Glechoma hederaceae*), ნიგვზისძირა (*Geum urbanum*), იის სხვადასხვა სახეობები (*Viola alba*, *V. ambigua*, *V. odorata*, *V. reichenbachiana*, *V. suavis*), დიდჯამა ფურისულა (*Primula macrocalyx*), ონტკოფა (*Physalis alkekengi*) და სხვ.

ნათელი ტყეების სარტყელს თბილისის მიდამოებში უკავია მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მხარის მთის ფერდობები ზ.დ. 400-450 მ-დან 500-600 მ სიმაღლემდე, რომლებიც მთის ყველა ექსპოზიციის ფერდობებზე ერთნაირად არ არის გამოხატული (გულისაშვილი, 1970). თბილისის ბოტანიკური ბაღის ფარგლებში წავკისისწყლის ხევის ქვედა ნაწილში ნათელ ტყეებსა და მის ნაშთებს უკავიათ როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობები. აქ სხვა ელემენტებისაგან განსხვავებით კარგადაა შემორჩენილი აკაკნარები, რომლებიც აკაკის ორი სახეობითაა წარმოდგენილი: კავკასიური აკაკი (*Celtis caucasica*), გვხვდება ხშირად და შიშველი აკაკი (*Celtis glabrata*) – უფრო იშვიათია; ასევე აღინიშნება კევის ხის (*Pistacia mutica*)

ერთეული ინდივიდები, პერყენა (*Pyrus salicifolia*), ბროწეული (*Punica granatum*), ღელვი (*Ficus carica*), ძეძვი (*Paliurus spina-christi*), შავჯაბა (*Rhamnus pallasii*), თრიმლი (*Cotinus coggygria*), თუთუბო (*Rhus coriaria*), სირვაშლა (*Cotoneaster racemiflora*), ფუტყუჭა (*Colutea orientalis*), მყრალი ღვია (*Juniperus foetidissima*), წითელი ღვია (*Juniperus oxycedrus*), ჯორისძუა (*Ephedra procera*), წითელი კუნელი (*Crataegus kyrtostyla*), შავი კუნელი (*Crataegus pentagyna*) და სხვ.

ნათელი ტყის სხვადასხვა ფრაგმენტში ბალახოვანი მცენარეები შემდეგი სახეობებითაა წარმოდგენილი: კავკასიური ლაშქარა (*Symphytum caucasicum*), კულმუხო (*Inula helenium*), ქაფურა (*Filipendula vulgaris*), მამულა (*Artemisia vulgaris*), ოროვანდი (*Arctium lappa*), მარწყვა ბალახი (*Potentilla argentea*), ოშოშა (*Glechoma hederaceae*), ტყის მარწყვი (*Fragaria vesca*),



ტყის ელემენტები ბოტანიკურ ბაღში, სურნელოვანი ია - *Viola odorata*

ბორისოვის ასტრაგალი (*Astragalus bungeamus* = *A. borissovae*), იის სახეობები (*Viola odorata*, *V. suavis*), ენდრო (*Rubia iberica*), ჩიტისთავა

(*Gagea chloranha*, *G. lutea*), კოფრჩხილა (*Falcaria vulgaris*), ჩაწეობილა ბაია (*Ficaria ledebourii*), გობისცხვირა (*Prunella vulgaris*), ყვანხადა (*Stachys sylvatica*), ბარამბო (*Melissa officinalis*) და სხვ.



ონტკოფა – *Physalis alkekengi*

თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, მის ზედა ნაწილში, ფართოდაა გავრცელებული სტეპის მცენარეულობა, რომლებმაც მრავალი მეზოფილური ცენოზის ადგილსამყოფელი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ თბილისის მიდამოებში სტეპის ცენოზების წინ წამოწევა დღესაც გრძელდება, იმდენად არა ბუნებრივი პირობების, რამდენადაც ადამიანის გეგმაზომიერი მოქმედების გამო.

ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე აღინიშნება ქსეროფიტული ცენოზები: ჯაგნარი, ჯაგეკლიანები, შავჯაგიანები; შედარებით ვაკე ადგილებში გვხვდება სტეპის მცენარეულობა, რომელთა შორის აღსანიშნავია: ფარსმანდუკები (*Achillea biebersteinii*, *A. neilreichii*, *A. setacea*), გიეში (*Artemisia caucasica*), აბხინდა (*Artemisia absinthium*), პირწმინდა (*Ajuga chia*), ბირკავა (*Agrimonia*

eupatoria), ვარდკაჭაჭა (*Cichorium intybus*), კოტრანა (*Crambe juncea*), კრაზანა (*Hypericum perforatum*), ყაყაჩურა (*Glaucium corniculatum*), მარწყვა ბაღახის სახეობები (*Potentilla argentea*, *P. recta*, *P. reptans*), წითელი სამეურა (*Trifolium pratense*), ჭარელა (*Teucrium nuchense*), კუტი ბაღახი (*Teucrium polium*), აღმოსავლეთის კუტი ბაღახი (*Teucrium orientale*), პაწაწა ფოლიო (*Scabiosa micrantha*), მოყვითალო-თეთრი ფოლიო (*Scabiosa ochroleuca*), ქერიფქლას სახეობები (*Verbascum phlomoides*, *V. phoeniceum*, *V. thapsus*), ჯინჭარა (*Phlomis pungens*), ტუბერიანი ჯინჭარა (*Phlomis tuberosa*) და სხვ.


ბოტანიკური ბაღის ზემო ნაწილში, ე.წ. “ყამირზე” ღია, გაშლილ ფერდობებზე მრავლადაა წარმოდგენილი მარცვლოვანთა (Poaceae - Gramineae) ოჯახის სხვადასხვა გვარის მთელი რიგი წარმომადგენლები: ჭანგა (*Agropyron*), ნამიკრეფია (*Agrostis*), მელაკუდა (*Alopecurus*), ბერსელა (*Brachypodium*), წივანა (*Festuca*), ღვარძლი (*Lolium*), თივაქასრა (*Poa*), სათითურა (*Dactylis*), ცახცახა (*Briza*), მელიკა (*Melica*), ტიმოთელა (*Phleum*), შვრიელა (*Bromus*), ოქროშვრია (*Trisetum*), კეწეწურა (*Koeleria*), ვაციწვერა (*Stipa*) და სხვ.



ბოტანიკური ბაღის ზედა მონაკვეთი, ე. წ. “ყამირი”
თბილისის ბოტანიკური ბაღის სტეპის მცენარეულობა



ვაციწვერა – *Stipa capillata*



ცხცხას – *Briza media*



კრახანას – *Hypericum perforatum*



ფარსმანღუკი – *Achillea setacea*

წავკისისხვევის მარცხენა ნაპირზე, ბევრ ადგილას ნიადაგის კლდოვანი ფენა ჩამორეცხილია და დეგრადირებული, რაც ქსეროფიტური ტიპის ნაირგვარი ცენოზების განვითარების ხელსაყრელ პირობებს ქმნის, რომელთაგან აღსანიშნავია კლდენაშაღების, გლერძიანების და სტეპის ტიპის სხვადასხვა ფორმაციები: უროიან-ნაირბალახოვანი, უროიანი მდელოს ელემენტებით, პარკოსნები, ვაციწვერიანი, რომელთა ფონზე შეინიშნება ნახევარუდაბნოს ელემენტებიც.

ბადის ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი ფართობი უკავია მშრალ, ხრიოკ, კლდოვან ადგილებს (ნარიყალასა და თაბორის ქედები), სადაც იზრდება ამ ფორმაციებისათვის დამახასიათებელი ქსეროფიტული მცენარეები: კაპარი (*Capparis spinosa*), კლდისდუმა (*Sedum caucasicum*), მსუქანა (*Sedum oppositifolium*), თეთრი ფუნთუშა (*Sedum album*), კლდისვაშლა (*Sempervivum transcaucasicum*), თბილისის ბეგქონდარა (*Thymus tiflisiensis*), ჭარელა (*Teucrium*

nuchense), კუტი ბალახი (*Teucrium polium*), აღმოსავლეთის მიხაკი (*Dianthus orientalis*), უსუპი (*Hyssopus angustifolius*), ციმციმა (*Petrorhagia saxifraga*), გარეული ანისული (*Pimpinella aromatica*) და სხვ.

ბაღში აღინიშნება ნაშაღებიც და შესაბამისად ამ ადგილებისათვის დამახასიათებელი მცენარეულობაც, რომლებიც დამრეც ფერდობებზეა განვითარებული, კერძოდ: კლდის იასამანი (*Centranthus longiflorus*), აღმოსავლეთის მუზარადა (*Scutellaria orientalis*), მინდერისნემსა (*Galium verum*), ვერონიკები (*Veronica peduncularis*, *V. multifida*), გიეში (*Artemisia caucasica*), ავშანი (*Artemisia incana*), ყანის ნიორი (*Allium atroviolaceum*, *Allium rotundum*), მტკერის ესპარცეტი (*Onobrichis cyri*), ფამფარა (*Tragopogon graminifolius*), წინწკალა (*Gypsophyla elegans*), თბილისის ბეკქონდარა (*Thymus tiflisiensis*), ტყის ჩიტისთვალა (*Asperula glomerata*), ხვართქლა (*Convolvulus arvensis*), დიდი ხვართქლა (*Calystegia silvatica*), რძიანა (*Euphorbia helioscopia*), მზიურა (*Inula aspera*), აღმოსავლური ჭარელა (*Teucrium orientale*), კუტი ბალახი (*Teucrium polium*), დედაფუტკარა (*Stachys fruticulosa*) და სხვ.


შედარებით ხრიოკ ფერდობებზე, ხირხატ ნიადაგებზე და სამხრეთისაკენ მიმართულ ფერდობებზე ვითარდება ჯაგეკლიანი დაჯგუფებები მისთვის დამახასიათებელი ბალახოვნებით: ბამბიქულა (*Salvia aethiopis*), დაჯირა (*Salvia verbascifolia*), მუხნარის საღბი (*Salvia nemorosa*), შალამანდილი (*Salvia glutinosa*), ალისუმი (*Allisum hirsutum*), წინწკალა (*Gypsophyla elegans*), კოტრანა (*Crambe juncea*), გიეში (*Artemisia caucasica*), ველის წივანა, ქუჩი (*Festuca sulcata*), ჩიტის ბირკა (*Lappula echinata*), კლდის იასამანი (*Centranthus longiflorus*), მარიამსაკმელა (*Peganum harmala*), ფარსმანდუკები (*Achillea setacea*, *A. biebersteinii*, *A. neilreichii*), შოვიცის ყაზახა (*Muscari szovitsianum*), ყანის ნიორი (*Allium atroviolaceum*), ღორღორა (*Sisymbrium officinale*), ფერისცვალა (*Daucus carota*), ბურბუშელა (*Taraxacum officinale*), მათრახა (*Isatis iberica*), ძიძო (*Melilotus officinalis*), კლდისდუმა (*Sedum caucasicum*), მსუქანა (*Sedum oppositifolium*), თეთრი ფუნთუშა (*Sedum album*) და სხვ.



ბოტანიკური ბაღის ნაშაღები, კლდის იასამანი – *Centranthus longiflorus*



ბოტანიკური ბაღის კლდოვანი მონაკვეთები,
კაპარი – *Capparis spinosa*



აღმოსავლური მისაკი – *Dianthus orientalis*



კლდისგაშლდა - *Sempervivum transcaucasicum*

სარეველა ელემენტები თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი. ბაღის სარეველები არა მარტო მდიდარია სახეობრივი შემადგენლობით (რომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი), არამედ წარმოშობითაც განსხვავებულია; აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულში თბილისის მიდამოებში და კერძოდ ბოტანიკურ ბაღშიც გაძლიერებულია ადვენტურ მცენარეთა კოლონიზაციის პროცესი, ინვაზიენტთა აბორიგენულ მცენარეულობაში შეღწევა-დამკვიდრება სულ უფრო აქტიური ხდება. ამასთან გრძელდება ეგზოტური სახეობების გავრცელება და აბეზარ სარეველებად გადაქცევა. ამის მაგალითად ბაღის ტერიტორიაზე არღავანის (*Cercis siliquastrum*), საპნის ხის (*Koelreuteria paniculata*), ხემერაღის (*Ailanthus altissima*), ოპუნციის (*Opuntia phaeacantha*) დასახელებაც კმარა.

XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში ინტროდუქციის მიზნით ბოტანიკურ ბაღში ჩრდილოეთ ამერიკიდან შემოტანილ იქნა დეკორატიული თვალსაზრისით გამორჩეული ოპუნციის 8 სახეობა. თბილისის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები განსაკუთრებით ოპტიმალური აღმოჩნდა ორი სახეობისათვის (*Opuntia humifusa*, *O. phaeacantha*), რომლებიც ფართოდ გავრცელდა ჯერ ბოტანიკურ ბაღში, შემდეგ მიმდებარე ფერდობებზე, მოგვიანებით ბაღის საზღვრებს გარეთ (შინდისი, კრწანისის მიდამოები, თელეთის ქედი) და პრობლემები შეუქმნა საძოვრებსა და სახნავ სავარგულებს (კერესელიძე, ციცივიძე, ბიძინაშვილი და სხვ., 2003).

აღნიშნული პროცესი შეუფერხებლად გრძელდება, რაც მესაქონლეობის განვითარებისათვის მეტად უარყოფითად აისახება.



**ეკლიანი ოპუნციის - *Opuntia phaeacantha* პოპულაციები
თბილისის ბოტანიკურ ბაღში**

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოპუნციის სახეობები გამოირჩევა მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით. სამშობლოში (ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა) უძველესი დროიდან აქტიურად გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში. თანამედროვე მეცნიერული გამოკვლევებით კი დადგენილია, რომ მისგან შესაძლებელია მიღებულ იქნეს სპირტი, საპონი, დეზოდორანტები, ვიტამინები. ყლორტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიარეის სამკურნალოდ, დიზენტერიისა და მუცლის ტკივილებისას; ყვავილები და ღეროები იხმარება კომპლექსურ მკურნალობაში სიმსუქნის, ჰიპერტონიის, შაქრიანი დიაბეტის, კუჭის წყლულის, გასტრიტის, ღვიძლის დაავადებისა და ყაბზობის დროს. მისი წყალობით სისხლში ხდება შაქრისა და ქოლესტერინის დონის რეგულაცია, ხოლო კალიუმისა და კალციუმის მაღალი შემცველობიდან გამომდინარე ფოთლები

ახდენს ორგანიზმში ინსულინის გამომუშავების სტიმულირებას. ხასიათდება ბაქტერიციდული, ანტიესპტიკური თვისებებით და ფართოდ გამოიყენება ყელის ტკივილების, ნაწლავებისა და შარდსასაქესო სისტემის ანთებისას, ამავდროულად ააქტიურებს ღვიძლის, თირკმელების, ელენთის მუშაობას, აუმჯობესებს ტვინის სისხლძარღვების მიმოქცევას, ხსნის თავის ტკივილებს, ამახვილებს გონებას და მახსოვრობას. რეკომენდებულია საკვებად, გამოიყენება მათთვის, ვინც გონებრივი შრომითაა დაკავებული. ოპუნცია იწვევს ორგანიზმზე საერთო გამაჯანსაღებელ მოქმედებას, ამაღლებს დამცავ ფუნქციებს, აძლიერებს იმუნურ სისტემას; ოპუნციის ექსტრაქტი შედის ზოგიერთი კოსმეტიკური ხაზის შემადგენლობაში. მისი წვენი საფუძველზე მზადდება ლოსიონები, რომლებიც გამოიყენება დერმატიტების, მზის დამწვრობებისა და კანის გამონაყრების სამკურნალოდ. ასევე ახალი მონაცემებით ოპუნციის გამონაწერი - ეთილის აცეტატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავის ტვინის დაავადებების (ალცჰეიმერია, პარკინსონი, ინსულტი), გულ-სისხლძარღვთა სისტემის, კერძოდ მიოკარდიუმის ინფარქტის თავიდან ასაცილებლად და მათ სამკურნალოდ.


აშშ-ში ჩატარებული ცდებით გაირკვა, რომ კაქტუსის 20 - მდე სახეობა, მათ შორის ოპუნცია საუკეთესო ანტიბიოტიკია, ხოლო ბოლივიასა და პერუში ამ მცენარეებით დაიწვეს კიბოს სიმსივნეების მკურნალობა (ბიძინაშვილი, 2013).

აბორიგენული ფლორის ადვენტურ ელემენტებად შეიძლება ჩაითვალოს ყველა ის სახეობა, რომლის ენდოგენურ მცენარეულობაში განახლება-დამკვიდრება ადამიანის მიზანდასახული საქმიანობითაა განპირობებული. თბილისის ბოტანიკურ ბაღშიც ინტროდუქციისა და კულტივირების მიზნით, სხვადასხვა ქვეყნიდან მცენარეების შემოტანამ ხელი შეუწყო რიგი ადვენტური სახეობების შეჭრას ბალახოვანი ფიტოცენოზების ბუნებრივ სამყოფელში. ერთ შემთხვევაში ეს განხორციელდა სხვადასხვა საკვლევი (დეკორატიული, ტექნიკურ-სამკურნალო) ბალახოვანი მცენარეების, მეორე შემთხვევაში მერქნოვანი მცენარეების კომით შემოტანის გამო, რამაც გამოიწვია აღნიშნული ჯგუფის მცენარეების სახეობრივი ზრდა. აქ მოზარდი ადვენტური მცენარეებიდან აღსანიშნავია: აკალიფა (*Acalypha australis*), ჰიბრიდული ჯიჯლაყა (*Amaranthus hybridus*), ლურჯი ღიღილო (*Centaurea cyanus*, *C. diffusa*), ბოტრიოხლოა

(*Bortiochloa virginea*), ლემა (*Datura stramonium*), გველის მარწევა (*Duschesnea indica*), ღორის ბირკა (*Xanthium strumarium*), ცეცხლეკალა (*Xanthium spinosum*) ოქროცოცხა (*Xeranthemum squarrosum*) და სხვ.



ბოტანიკური ბაღის ხრიოკი ფერდობები, ორჟურა - *Zygophyllum fabago*



მარიამსაკმელა – *Peganum harmala*

ბაღში მოზარდ სარეველა მცენარეებში გამოყოფილია ერთწლოვანი, ორწლოვანი და მრავალწლოვანი სახეობები. მცირეწლოვან ან ერთწლოვან სარეველა მცენარეების სასიცოცხლო ფორმებში აღინიშნება გაზაფხულ-ზაფხულის (კრიოფილური) და ზაფხულ-შემოდგომის (თერმოფილური) ბიოლოგიური ტიპები.

გაზაფხულ-ზაფხულის ერთწლოვანებია კრიოფილური მცენარეები, ბორეალური ან ბორეალურ-ხმელთაშუაზღვეთური გენეზისით, რომლებიც ვითარდებიან ჩრდილოეთ ქვეყნებში საგაზაფხულო, ხოლო შუა და სამხრეთ სარტყელში მოზამთრე და საშემოდგომო ტიპზე, ანუ აღმონაცენი წარმოიქმნება შემოდგომით, გაზაფხულზე ან იშვიათად ზაფხულში 3-5⁰C ტემპერატურიდან დაწყებული და უფრო ზევით. ზაფხულის მაღალი ტემპერატურა (32-38⁰C) სამხრეთში მათ დაკნინებას იწვევს; ბოტანიკურ ბაღში ამ ჯგუფის მცენარეები ვეგეტირებენ გაზაფხულის ბოლომდე ან ზაფხულის დასაწყისში და

ჩვეულებრივ მათი თესლები მომწიფებისა და დაცვენისას არ აღმოცენდებიან შემოდგომის აცივებამდე. მათ მიეკუთვნება უმრავლესი სახეობები მარცვლოვანთა (Poaceae) ოჯახიდან: ჩიტოფეტვა (*Phalaris minor*), ტიმოთელა (*Phleum pratense*), ნამიკრეფიები (*Agrostis*), შერიუკა (*Avena fatua*), ცოცხა ბალახი (*Apera spica-venti*), ღვარძლი (*Lolium temulentum*), შერიელა (*Bromus erectus*, *B. tectorum*), ველური ქერი (*Hordeum bulbosum*), თაგვიანა (*Hordeum leporinum*) და სხვ., ასტრასებრთა (Asteraceae), კანაფისებრთა (Cannabaceae), კომბოსტოსებრთა (Brassicaceae), მიხაკისებრთა (Caryophyllaceae), ყაყახოსებრთა (Papaveraceae), ნიახურისებრთა (Apiaceae), ჯინჭრისებრთა (Urticaceae), პარკოსნებისა (Fabaceae) და რიგი სხვა ოჯახების წარმომადგენლები.

ერთწლოვან ზაფხულ-შემოდგომის ჯგუფის სარეველებს ჩვენს პირობებში ნაყოფმსხმოიარობა ეწყებათ ივნისში და გრძელდება გვიან შემოდგომამდე. ამ ჯგუფის მცენარეების აღმონაცენი წარმოიქმნება გაზაფხულის მეორე ნახევარში და ზაფხულის დასაწყისში, როდესაც ნიადაგის ტემპერატურაა 12-15⁰ C; ზაფხულის მაღალი ტემპერატურა მათზე დამთრგუნველად არ მოქმედებს, ხოლო ტენიანი ნიადაგის შემთხვევაში ვეგეტაცია უგრძელდებათ გვიან შემოდგომამდე, პირველ წაყინებამდე, ხოლო თუ ნაყოფმსხმოიარობის ფაზას ყინვების დადგომამდე ვერ აღწევენ, მაშინ იღუპებიან. არიდულ ზონაში, ზაფხულის პერიოდის მაღალ ტემპერატურაზე მათი ზრდა-განვითარება სწრაფად მიმდინარეობს აღმოცენებიდან თესლმსხმოიარობამდე, ამ პერიოდის ხანგრძლივობა 60-80 დღით განისაზღვრება.

ორწლოვანი სარეველა მცენარეები ვეგეტირებენ და განვითარების ციკლს თესლიდან თესლამდე ორ სავეგეტაციო პერიოდში ამთავრებენ. მათ შორის გამოყოფენ ნამდვილ და ფალკულტატურ ორწლოვანებს. ბაღში აღრიცხულ ნამდვილ ორწლოვანებს მიეკუთვნება: ძიძო (*Melilotus officinalis*), ქერიფტლა (*Verbascum Thapsus*, *V. phlomoides*), ღრიანჭველა (*Astrodaucus orientalis*), ლურჯი ძირწითელა (*Echium vulgare*), ნარშავი (*Carduus onopordioides*), ძაღლის ენა (*Cynoglossum officinale*); ფაკულტატური ორწლოვანი მცენარეებდან აღსანიშნავია: პატარძალა (*Anchusa italica*), მახობელი (*Cephalaria syriaca*), ოქროწყველა (*Solidago virgaurea*), ჩიტოყველა (*Berteroa ascendes*), ჩიტისბირკა (*Lapula*

echinata), ქოთანას (*Silene*) სახეობები. ორწლოვნები წარმოდგენილია დაუმუშავებელ ტერიტორიებზე დარღვეული ბუნებრივი მცენარეული საფარით: უშენი ადგილები, სარწყავი არხის ნაპირები და სხვ. ხოლო დაბალი აგროტექნიკური დონის შემთხვევაში მნიშვნელოვანი რაოდენობით ვითარდებიან დამუშავებულ ნაკვეთებზე, ნათესებში, ნარგაობებში და ა.შ.



სარეველა ელემენტები თბილისის ბოტანიკურ ბაღში, ვარდკაჭაჭა - *Cichorium intybus*



თაკომბალა - *Echinops sphaerocephalus*

მრავალწლოვანი სარეველა მცენარეების სახეობების რაოდენობა, მცირეწლოვნების სახეობებთან შედარებით ორჯერ ნაკლებია, მათგან განსხვავდებიან სიცოცხლის ხანგრძლივობით და გამრავლების თავისებურებებით, თესლით გამრავლების გარდა მრავლდებიან ვეგეტატიურადაც. მრავალწლოვან სარეველა ბალახებში სასიცოცხლო ფორმების კლასიფიკაციის მიხედვით (Kot, 1955) გამოყოფილია შემდეგი ჯგუფები:

- ვეგეტატიური გამრავლება არ აღენიშნებათ (მთავარდერძა მცენარეები).
- ვეგეტატიური გამრავლება სუსტადაა გამოხატული (კორდიანი, ტუბერბოლქვიანი, ფესურიან-გორგლიანი, ძირხვენები).
- ვეგეტატიური გამრავლება ძლიერადაა გამოხატული (მცენარეები მიწისზედა მხოხავი ყლორტებით, ფესურიანი და ფესვამონაყრიანი).

მრავალწლიან სარეველებში ჭარბობს სახეობები, რომლებიც მიეკუთვნებიან ფესურიან, ფესვამონაყრიან და მთავარდერძა სასიცოცხლო ფორმებს. მნიშვნელოვნად მცირეა როგორც რაოდენობრივი, ასევე ზიანის თვალსაზრისით ტუბერ-ბოლქვიანი, ფუნჯა და კორდიანი მცენარეების როლი.

ბაღში გავრცელებულ ფესურიან გვალვაგამძლე სარეველებიდან

აღსანიშნავია: შალაფა (*Sorgum halepense*), გლერტა (*Cynodon dactylon*), თაენასკვას სახეობები (*Cyperus*) და სხვ. ამ ჯგუფის მცენარეების ვეგეტაცია გვიან შემოდგომამდე გრძელდება, თესვები აღმოცენდებიან როგორც წესი მაღალ ტემპერატურაზე, რის გამოც ვეგეტაცია ეწყობათ გვიან გაზაფხულზე.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება სახეობები, რომლებიც ვეგეტაციას ზაფხულის დასაწყისში ამთავრებენ: გიგანტური ნამიკრეფია (*Agrostis gigantea*), წელის დვალურა (*Polygonum amhibium*), ვირისტერფა (*Tussilago farfara*), ფარსმანდუკი (*Achillea setacea*, *A. biebersteinii*, *A. ochroleuca*), მხოხავი ჭანგა (*Agropyron repens*), ქასრა (*Calamagrostis epigeios*) და სხვ.

ფესვამონაყრიან სარეველებიდან ბაღში გვხვდება: ხვართქლა (*Convolvulus arvensis*), მლაშე ხვართქლა (*Cynanchum acutum*), გონგოლა (*Sisymbrium irio*), ჩვეულებრივი სელიჭა (*Linaria vulgaris*), რძიანა (*Euphorbia helioscopia*), ღორის ქადა (*Lactuca serriola*); მათი ფესვების გასქელებულ ნაწილებზე ისახება დამატებითი კვირტები, რომლებიდანაც ხდება შემდგომი ვეგეტატიური გამრავლება, პირველი რიგის ფესვებზე მეორე რიგის ფესვების წარმოქმნა, მეორე რიგის ფესვებზე მესამე რიგის ფესვების წარმოქმნა და ა.შ. ამ ჯგუფში გამოყოფენ მეორე ქვეტიპს: წელის წიწმატი (*Nasturcium officinale*), წყალნაწყენი (*Epilobium hirsutum*), ყვავის-ფრჩხილა (*Coronilla varia*) და სხვ., რომელთა გვერდითი ფესვები განლაგებულია ჰორიზონტალური მიმართულებით, მეორად ვერტიკალურ ფესვებზე კვირტები არ უვითარდებათ, ხოლო ჰორიზონტალური ფესვების კვირტებიდან მიწისზედა ყლორტები ვითარდება.

მთავარდერძა სარეველები წარმოშობის მიხედვით იყოფა ბორეალურად (გვალვისადმი არამდგრადნი) და კრიოფილურად (გვალვაგამძლე). პირველს მიეკუთვნება ჩვენთან მოზარდი მჟაუნა (*Rumex acetosa*), მატიტელას (*Polygonum*), ქოთანას სახეობები (*Silene conica*, *S. cyri*, *S. italica*, *S. iberica*), სასტვენა (*Melandrium boissieri*) და სხვ., რომლებსაც ბაღის პირობებში მიწისზედა ნაწილი უხმებათ ზაფხულის შუა რიცხვებში. კრიოფილურ სახეობებს მიეკუთვნება კაპარი (*Capparis spinosa*), მარიამსაკმელა (*Peganum harmala*), ორყურა (*Zygophyllum fabago*) და სხვ., რომელთა მიწისზედა ნაწილი გვიან შემოდგომით ხმება.



ფრიალ დეკორატიული პარაზიტი მცენარე
პირიმზე - *Diphelypaea coccinea* (*Phelipaea coccinea*)



უქლოროფილ პარაზიტი მცენარე
ჩაწყობილა - *Lathraea squamaria*

ბოტანიკურ ბაღში ფუნჯაფესვიანი სარეველებიდან, რომლებიც გამოირჩევიან დამოკლებული ფესურით, წარმოადგენენ მთავარდერძას წარმოებულებს (მათგან განსხვავებით მთავარი ფესვი დამოკლებული აქვთ გვერდითი ფესვების ძლიერი განვითარების ხარჯზე) და წარმოქმნიან ხშირ ფუნჯა ფესვების სისტემას, მიეკუთვნება მრავალძარღვას სახეობები: *Plantago major*, *P. media*, *P. lanceolata*, *P. altissima*.

ფესურიანტუბერიანი სარეველებიდან აღსანიშნავია: თერო (*Lathyrus tuberosus*), მინდვრის ასტრა (*Aster amelloides*), დედაფუტკარა (*Stachys sylvatica*) და სხვ.

ბაღში მოზარდ ფესვტუბერიან სარეველა მცენარეებიდან, რომელთა მთავარი ფესვი გასქელებულია, აქვს ტუბერის ფორმა (ფესვური წარმოშობის), უვითარდებათ ერთი ან რამდენიმე წვეროსეული კვირტი, მიეკუთვნება ჯინჭარი (*Urtica dioica*) და სხვ. სარეველა მცენარეების ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე ჰემი-ჰეტეროტროფული და ჰეტეროტროფული მცენარეები, ანუ პარაზიტები და ნახევრად პარაზიტები. მათში გამოყოფენ ფესვისეულს (ოჯ. კელაპტარისებრნი - *Orobanchaceae*), რომლებიც პარაზიტობენ მკვებავ მცენარეებზე და დედა-მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობიდან გამომდინარე შეიძლება იყვნენ ორ და მრავალწლოვნები; ბაღში დაფიქსირდა: პირიმზე (*Diphelypaea coccinea*), კელაპტარა (*Orobanche owerini*), უქლოროფილო პარაზიტი მცენარე ჩაწყობილა (*Lathraea squamaria*), ღეროსეული პარაზიტები (ოჯ. აბრეშუმისებრნი - *Cuscutaceae*), პარაზიტობენ მცენარეების ღეროებზე და ყოველთვის ერთწლიანებია. ბაღში აღირიცხა ასევე ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული პარაზიტის გვარი აბრეშუმას (*Cuscuta*) 5 სახეობა: *Cuscuta monogyne*, *C. lupuliformis*, *C. cupulata*, *C. europaea*, *C. epithimum*, რომლებიც სხვადასხვა მცენარეზე პარაზიტობენ (ბიძინაშვილი და სხვ., 2009).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით ერთ და ორწლოვანი ბალახოვანი სარეველა მცენარეებისთვის დამახასიათებელია მეწლეობა, არის წლები, როდესაც ფართოდაა წარმოდგენილი და ხშირად საერთო ასპექტს ჰქმნის, ზოგჯერ კი პირიქით.

ბოტანიკურ ბაღში ბუნებრივად გავრცელებული მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეები ყვავილობის პერიოდების მიხედვით შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს:

ადრე გაზაფხულზე მოყვავილე მცენარეები: *Crocus adamii*, *Merendera trigyna*, *Gagea chlorantha*, *G. commutata*, *G. dubia*, *Ficaria ledebouri*, *Anemone caucasica*, *Iris reticulata*, *Tussilago farfara* და სხვ.

გაზაფხულზე მოყვავილე: *Allium paradoxum*, *Anthriscus longirostris*, *Carex hirta*, *Carduus nutans*, *Capsela bursa-pastoris*, *Capparis spinosa*, *Cerastium argenteum*, *C. glomeratum*, *Coronilla orientalis*, *C. varia*, *Chelidonium majus*, *Doronicum orientale*, *Isatis iberica*, *Iris caucasica*, *I. iberica*, *Lotus corniculatus*, *Viola odorata*, *Viola suavis*, *Viola sylvestris*, *Vinca herbacea*, *Vicia iberica*, *V. variabilis*, *Plantago major*, *P. media*, *P. lanceolata*, *Taraxacum officinale*, *Sisymbrium irio*, *Silene italica*, *S. conica*, და სხვა მრავალი.

ზაფხულ მოყვავილე: *Alisma plantago-aquatica*, *Arctium lappa*, *Amaranthus hybridus*, *A. retroflexus*, *Anthemis cotula*, *A. dumetorum*, *Achillea setacea*, *A. biebersteinii*, *Allium atroviolaceum*, *A. albidum*, *A. rotundum*, *Alcea rugosa*, *Bellis perennis*, *Bidens tripartita*, *Campanula alliariiifolia*, *C. hohenackeri*, *C. rapunculoides*, *Cephalaria media*, *Convolvulus arvensis*, *Dipsacus laciniatus*, *Daucus carota*, *Dianthus orientalis*, *Echinops sphaerocephalus*, *Galatela dracunculoides*, *Nepeta cataria*, *Epilobium hirsutum*, *Inula helenium*, *I. cordata*, *Lotus corniculatus*, *Lythrum salicaria*, *Onopordum acanthium*, *Pimpinella aromatica*, *Pyrethrum parthenifolium*, *Sisymbrium officinale*, *Solidago virgaurea*, *Xeranthemum sguarrosum* და სხვა მრავალი.

შემოდგომით მოყვავილე: *Amaranthus albus*, *Eupatorium cannabinum*, *Cichorium intybus*, *Artemisia vulgaris*, *Mentha aguatica*, *Ononis arvensis*, *Lycopus europaeus* და სხვ.

ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა თბილისის ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი ფლორის ბალახოვანი მცენარეების სახეობრივი შემადგენლობა, მოხდა მათი იდენტიფიკაცია, აღირიცხა სასიცოცხლო ფორმები, მნიშვნელობა, ხორცილი, ფენოფაზები (ყვავილობა, ნაყოფმსხმოიარობა), ჰაბიტატი და შესაძლებლობის ფარგლებში რაოდენობრივი მხარე. საქართველოს (თბილისის) ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ბუნებრივად მოზარდი ბალახოვანი მცენარეები წარმოდგენილია 74 ბოტანიკური ოჯახით, 311 გვართა და 624 სახეობით; მათგან: ერთწლოვანია 208 სახეობა; ორწლოვანი – 61; მრავალწლოვანია 355 სახეობა. მათ შორის საქართველოს ენდემია 5 სახეობა: *Cerastium argenteum*, *Euphorbia boissieriana*, *Petasites georgicus*, *Onobrichis kachetica*, *Thymus tiflisiensis*; კავკასიის

ენდემი 19 სახეობა: *Dianthus subulosus*, *Gypsophyla stevenii*, *Iris iberica*, *Isatis iberica*, *Iurinea blanda*, *Lotus caucasicus*, *Nonea setosa*, *Onobrychis radiata*, *Seseli grandivittatum*, *Pimpinella aromatica*, *Symphytum caucasicum*, *Taraxacum grossheimi*, *T. praticola*, *Tragopogon serotinus*, *T. tuberosus*, *Teucrium nuchense*, *Thalictrum buschianum*, *Thymus coriifolius*, *Verbascum formosum*.

აღნიშნული ჯგუფის მცენარეებიდან მრავალი სახეობა იშვიათია და სათანადო დაცვას მოითხოვს.

სისტემატიკური თვალსაზრისით ბალის ფლორა შემდეგ სურათს იძლევა, სახეობრივი შემადგენლობით ყველაზე ფართოდაა წარმოდგენილი შემდეგი ბოტანიკური ოჯახები: **Asteraceae (81 სახეობა)**, **Poaceae (59)**, **Lamiaceae (43)**, **Apiaceae (33)**, **Brassicaceae (30)**, **Fabaceae (27)**, **Caryophyllaceae (24)**, **Scrophulariaceae (22)**, **Boraginaceae (19)**, **Chenopodiaceae (14)**, **Polygonaceae (14)**, **Rosaceae (13)** და **Rubiaceae (12)**.

თითო-ორი სახეობით გამოირჩევა ოჯახები: **Apocynaceae**, **Asparagaceae**, **Aspleniaceae**, **Balsaminaceae**, **Cannabaceae**, **Capparaceae**, **Convolvulaceae**, **Fumariaceae**, **Hypericaceae**, **Lythraceae**, **Malvaceae**, **Onagraceae**, **Primulaceae**, **Resedaceae**, **Solanaceae**, **Urticaceae**, **Verbenaceae** და სხვ.

ბოტანიკურ ბაღში მოზარდ ბალახოვან მცენარეთა სახეობრივ სიმრავლეს ყოველთვის არ შეესაბამება თითოეული მათგანის დიდი რაოდენობით გავრცელება, აქ მრავალი სახეობა გვხვდება მცირერიცხოვანი პოპულაციების, ან ერთეული ინდივიდების სახით, კერძოდ: *Ajuga chia*, *Asplenium trichomanes*, *A. septentrionale*, *Adiantum capillus-veneris*, *Adonis aestivalis*, *Anchusa italica*, *Allium albidum*, *A. globosum*, *Artemisia absinthium*, *Arctium lappa*, *Aster ibericus*, *Asparagus officinalis*, *A. verticillatus*, *Dictamnus caucasicus*, *Crocus adamii*, *C. speciosus*, *Corydalis angustifolia*, *Iris caucasica*, *I. reticulata*, *I. iberica*, *Glaucium corniculatum*, *Nepeta cataria*, *Glechoma hederaceae*, *Polypodium vulgare*, *Tamus communis*, *Inula helenium*, *Cynoglossum officinale*, *Conium maculatum*, *Datura stramonium*, *Dianthus orientalis*, *Echium rubrum*, *Echium vulgare*, *Hyosциamus niger*, *Pimpinella aromatica*, *Seseli grandivittatum*, *Ceterach officinarum*, *Helichrysum rubicundum*, *Inula helenium*, *Ononis arvensis*, *Polygala transcaucasica*, *Verbascum phoeniceum* და სხვ.

გაფანტულად და მცირერიცხოვანი ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი: *Agrimonia eupatoria*, *Brunella vulgaris*, *Briza media*, *Calystegia silvatica*, *Coronilla varia*, *Crambe juncea*, *Dipsacus laciniatus*, *Eryngium caeruleum*, *Equisetum arvense*, *Filipendula vulgaris*, *Hypericum perforatum*, *Nonea flavescens*, *Gypsophila elegans*, *Leonurus quinquelobatus*, *Linaria vulgaris*, *Malva sylvestris*, *Merendera trygina*, *Onopordum acanthium*, *Parietaria judaica*, *Physalis alkekengi*, *Poterium polygamum*, *Rubia tinctorum*, *Rumex crispus*, *Scrophularia divaricata*, *Stachys sylvatica*, *Salvia verticillata*, *Solanum nigrum*, *S. persicum*, *Symphytum caucasicum*, *Teucrium nuchense*, *Thalictrum buschianum*, *Tribulus terrestris*, *Urtica dioica*, *Verbascum formosum*, *Zygophyllum fabago* და სხვ.

მაღალი შეხვედრილობით და რაოდენობრივი თვალსაზრისით გამოირჩევა 70-მდე სახეობის მცენარე, რომელთაგან აღსანიშნავია: *Artemisia vulgaris*, *Achillea setacea*, *Allium atroviolaceum*, *A. paradoxum*, *Capsella bursa-pastoris*, *Chenopodium album*, *Cirsium arvense*, *C. hybridum*, *Cichorium intybus*, *Centranthus longiflorus*, *Chelidonium majus*, *Convolvulus arvensis*, *Daucus carota*, *Isatis iberica*, *Echinops spaerocephalus*, *Euphorbia boisieriana*, *E. helioscopia*, *Falcaria vulgaris*, *Fumaria officinalis*, *Galium album*, *Galium verum*, *Geranium robertianum*, *Geum urbanum*, *Lactuca sativa*, *Lamium album*, *Heracleum antasiaticum*, *Lycopsis orientalis*, *Lepidium campestre*, *Muscari szovitsianum*, *Myosotis arvensis*, *Medicago caerulea*, *Melilotus officinalis*, *Melandrium boissieri*, *Holosteum glutinosum*, *Peganum harmala*, *Plantago major*, *P. lanceolata*, *Potentilla argentea*, *P. reptans*, *Polygonum hidropiper*, *Rumex acetosa*, *Rapistrum rugosum*, *Reseda lutea*, *Senecio vernalis*, *Silene iberica*, *S. conica*, *Sisymbrium officinale*, *Stipa capillata*, *Sedum caucasicum*, *S. album*, *S. oppositifolium*, *Scutellaria orientalis*, *Sideritis montana*, *Taraxacum vulgare*, *Thymus tiflisiensis*, *Tragopogon graminifolius*, *Verbascum thapsus*, *Viola kitaibeliana*, *V. odorata*, *V. reichenbachiana*, *Valeriana officinalis* და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოტანიკურ ბაღში გავრცელებულ ბალახოვან მცენარეებს შორის მრავალი გამოირჩევა სამკურნალო მნიშვნელობით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ოფიცინალურ და ტრადიციულ მედიცინაში, კერძოდ: *Alliaria petiolata*, *Anchusa italica*, *Agrimonia eupatoria*, *Allium albidum*, *Asparagus*

officinalis, Achillea biebersteinii, A. setacea, Artemisia absinthium, Arctium lappa, Bidens tripartita, Brassica campestris, Bryonia dioica, Capsella bursa-pastoris, Conium maculatum, Cannabis ruderalis, Capparis spinosa, Chenopodium album, Calystegia sepium, Cichorium intybus, Cynoglossum officinale, Datura stramonium, Dictamnus caucasicus, Echium rubrum, E. vulgare, Echinops sphaerocephalus, Equisetum arvense, Euphorbia boisieriana, E. helioscopia, Eupatorium cannabinum, Epilobium hirsutum, Fumaria officinalis, Glechoma hederaceae, Heracleum antasiaticum, Helichrysum rubicundum, Hyosciamus niger, Hypericum perforatum, Inula helenium, Lamium album, Leonurus quinquelobatus, Lythrum salicaria, Melilotus officinalis, Mentha aquatica, M. longifolia, Nasturtium officinale, Onopordum acanthium, Origanum vulgare, Pimpinella aromatica, Plantago major, P. lanceolata, Peganum harmala, Pyrethrum parthenifolium, Solidago virgaurea, Stachys sylvatica, Taraxacum officinale, Tussilago farfara, Urtica dioica, Vinca herbacea, Xanthium spinosum, Ziziphora serpillacea და მრავალი სხე.

რიგი სახეობებისა იხმარება საკვებად, მხალისა და საღაოების სახით: *Anthriscus nemorosa, Asparagus officinalis, Alliaria petiolata, Allium paradoxum, Pastinaca sativa, Cichorium intybus, Capsella bursa-pastoris, Capparis spinosa, Chenopodium album, Falcaria vulgaris, Malva sylvestris, Melandrium boissieri, Sinapis arvensis, Sylene iberica, Sysimbrium officinalis, Tragopogon graminifolius, Taraxacum officinale, Urtica dioica, Rumex crispis, R. acetosa* და სხე.

დეკორატიული თვალსაზრისით გამოიჩნევა: *Acantholimon lepturoides, Asparagus officinalis, A. verticillatus, Anchusa italica, Asplenium trichomanes, A. septentrionale, Achillea biebersteinii, Artemisia absinthium, Bellis perennis, Centaurea depressa, Cephalaria media, Coronilla varia, Crocus adamii, C. speciosus, Doronicum orientale, Echium rubrum, E. vulgare, Fritillaria caucasica, Hyssopus angustifolius, Origanum vulgare, Gypsophila elegans, Iris caucasica, I. reticulata, I. iberica, I. pumila, Inula aspera, I. helenium, I. vulgaris, Leucanthemum vulgare, Lotus caucasicus, Merendera trygina, Muscari caucasicum, M. szovitsianum, Myosotis arvensis, Pyrethrum sericeum, Ranunculus repens, Solidago virgaurea, Silene italica, S. iberica, Scabiosa columbaria, Scilla siberica, Scutellaria orientalis* და სხვა მრავალი.

მონაცემები საქართველოს
ერთეულ ბოტანიკურ ბაღში
ბუნებრივად მოზარდ ბალახოვან მცენარეებზე



ცნობარი მოიცავს ზოგად ინფორმაციას ბოტანიკურ ბაღში მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ბუნებრივად მოზარდ ბალახოვან მცენარეებზე. შეკრებილია მონაცემები მათ მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებზე, ფენოფაზებზე (ყვავილობისა და ნაყოფმსხმოიარობის პერიოდები), ხორციუბზე, იმ ძირითად ადგილსამყოფლებზე, სადაც წარმოდგენილია ესა თუ ის მცენარე ბოტანიკურ ბაღში, რაოდენობრივ მხარეზე. ყურადღება გამახვილებულია სასარგებლო თვისებებზეც (ბარნაბიშვილი, 1956; ბიძინაშვილი, 2002; 2009; 2010; 2012; 2013; 2013^ა; ბიძინაშვილი და სხვ., 2008; 2009; 2010; კეცხოველი, 1929; 1935; 1959; 1970; ლაჩაშვილი და სხვ., 2013; მაყაშვილი, 1934; 1952; 1953; საქართველოს მცენარეების სარკვევი, 1964; 1969; საქ. ფლორა, I გამოც., ტ. I-VIII, 1941-1952; საქ. ფლორა II გამოც., ტ. I-XVI, 1971-2016; Гроссгейм, 1939; 1940; 1946; 1950; 1967; Колаковский, 1980-86; Ролловъ, 1908).

Fam. Adiantaceae – ოჯ. ადიანთასებრნი

Adiantum capillus-veneris L. – ვენერას თმა

მრავალწლოვანი, გრძელ მხოხავეფესურიანი სპოროვანი ბალახოვანი მცენარეა, 30 სმ-მდე სიგრძის ნახი, შიშველი, ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ დაყოფილი მარაოსებრი ფოთლებით. სორუსები ხაზურია ან მოგრძო, სპორები სამკუთხა მომრგვალოა, ეგზოსპორიუმი სქელი და სადაა, პერისპერმიუმი წვრილმარცვლოვანი. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII. ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის სახეობაა, ჰემიკრიფტოფიტი. იზრდება ტენიან და დაჩრდილულ ადგილებში, წყლისპირა მონაკვეთებზე. გვხვდება ერთეული ინდივიდების სახით. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Fam. Alismataceae – ოჯ. წყლის-მრავალძარღვასებრნი

Alisma plantago-aquatica L. – წყლის მრავალძარღვა

მრავალწლოვანი მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა სწორმდგომი ღეროთი და ფესვის ყელთან შეკრებილი როზეტისეული ფოთლებით. წყლისქვეშა ფოთლები ხაზურია, წყლის ზედაპირზე მცურავი კი კვერცხისებრი ან გულისებრი. ყვავილები თეთრია, ორსქესიანი, პირამიდულ საგველა ყვავილედად შეკრებილი. ნაყოფი კრებადი კაკლუჭაა, წრიულადაა განლაგებული, შედგება 10–12-პატარა ნაყოფებისაგან, თითოეული მათგანი ბრტყელი ფორმისაა, ნალივით მოღუნული. ყვ. V-IX; ნაყ. IX. ბორჯაღური, ევრაზიური სახეობაა, ჰიდროფიტი. იზრდება დაჭაობებულ ადგილებში, წყლის პირებსა და მდგარ დაგუბებულ წყლებში. ბაღში მცირერიცხოვანი პოპულაციები დაფიქსირდა. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Fam. Alliaceae – ოჯ. ხახვისებრნი

Allium albidum Fisch. ex Bieb. – თეთრი ხახვი

მრავალწლოვანი ბოლქვოვანი მცენარეა. კონუსური ბოლქვები ჰორიზონტალურ ფესურაზეა მიმაგრებული. ორწახნაგოვანი ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა. ფოთოლი ვიწრო ხაზურია, მოსქო, თავბლაგვი, თავმოყრილია ბოლქვის ყელთან. ყვავილსაფარი თეთრია, ზოგჯერ ვარდისფერი, შეკრებილია ნახევარსფერულ, კუმს ქოლგისებრ ყვავილებად. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VIII. ცენტრალურაზიური სახეობაა.

იზრდება კლდის ნაპრალებში, მშრალ, ხრიკ ფერდობებზე (ე.წ. ყამირზე) მცირერიცხოვანი ჯგუფების სახით. გამოიყენება ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში.

Allium atroviolaceum Boiss. – ყანის ნიორი

მრავალწლოვანი ბოლქოვანი მცენარეა. ბოლქვი კვერცხისებრ-სფერულია, მღვრიე წაბლისფერი ქერქლით შემოხვეული, შედგება მსხვილი, მოყვითალო, პატარა ქერქლებისაგან. საყვავილე დერო მაგარია, 30-60 სმ-მდე სიმაღლის. ფოთლები ბრტყელია, ფართო ხაზური. ყვავილსაფარი მუქი წითელია, ალუბლისფერი ან ოდნავ ღია, შეკრებილია მრავალყვავილიან სფერულ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ირანულ-თურანული სახეობაა, კრიფტოფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ღორღიან და წვრილმარცვლოვან სუბსტრატებზე, ჩვეულებრივია. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Allium globosum Bieb. ex Redoute – სფერული ხახვი

მრავალწლოვანი ბოლქოვანი მცენარეა; კვერცხისებრ-სფერული ბოლქვები ჯგუფ-ჯგუფად სხედან მოკლე ფესურაზე. დერო 30-60 სმ სიმაღლისაა, ცილინდრული. ფოთლები ნახევარცილინდრულია, ვიწროხაზური, ზოგჯერ ჯაგრისებრი. ყვავილსაფარი ვარდისფერია ან მოთეთრო და ვარდისფერძარღვიანი; შეკრებილია კუმს, სფერულ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. სარმატული სახეობაა, კრიფტოფიტი. იზრდება კლდოვან ფერდობებზე, გაფანტულად. გამოიყენება ოფიცინალურ მედიცინაში.

Allium moschatum L. – ჯავახოსებრი ხახვი

მრავალწლოვანი ბოლქოვანი მცენარეა. ბოლქვი მოგრძო-კვერცხისებრია, მთლიანი, რუხი მურა ფერის გარსით. დერო 10-25 სმ სიმაღლისაა. ფოთოლი ძაფისებრია, კიდეზე მოკლე წამწამებიანი. ყვავილსაფარი ზარისებრია, ვარდისფერი ან მოთეთრო, შეკრებილია მეჩხერ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი კოლოფია მცირერიცხოვანი თესლით. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, კრიფტოფიტი. იზრდება კლდოვან და ხრიკ ადგილებში. გვხვდება გაფანტულად.

Allium paradoxum (Bieb.) G. Don fil. – პრასანა

მრავალწლოვანი ბოლქვოვანი მცენარეა. ბოლქვი სფერულია. ღერო სამწახნაგოვანია 10-20 სმ სიმაღლის. ფოთოლი ერთია, ხაზური, პრიალა, თანდათანობით შევიწროებულია და ზურგზე მკვეთრად გამოსახული ქედი აქვს ჩაველებული. ყვავილები გრძელყუნწიანია, მათ ძირში პატარა ზომის მომრგვალო ბოლქვებია განვითარებული, ყვავილსაფარი თეთრია. ყვ. III-IV; ნაყ. IV-V. პირკანული სახეობაა, კრიფტოფიტი. იზრდება დაჩრდილულ ადგილებში, ბუჩქნარებში, გვხვდება მცირე და ფართო ფრაგმენტების სახით. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Allium pseudoflavum Vved. – ცრუყვითელი ხახვი

მრავალწლოვანი ბოლქვოვანი მცენარეა. ბოლქვი კვერცხისებრია, ქაღალდისებრი გარსით შემოხვეული. ღერო 20-35 სმ სიმაღლისაა. ფოთოლი ნახევრადცილინდრულია, ძაფისებრი, შუა ყვავილობაში ხმება. ყვავილსაფარი ყვითელი ან მომწვანო-ყვითელია, ყვავილები შეკრებილია მეჩხერ ქოლგისებრ ყვავილედად. ნაყოფი კოლოფია მცირერიცხოვანი თესლით. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ჩრდილო ირანული სახეობაა, კრიფტოფიტი. იზრდება ხრიოკ, ქვიან ფერდობებზე, გვხვდება გაფანტულად.

Allium rotundum L. – მრგვალი ხახვი

მრავალწლოვანი ბოლქვოვანი მცენარეა. ბოლქვი კვერცხისებრია. ღერო 30-70 სმ სიმაღლისაა. ფოთოლი ხაზურია, ღარიანი, მწვანე. ყვავილსაფარი ფართო ზარისებრია, მისი გარეთა წრის ფოთლები მუქი წითელია, შიგნითა წრის ფოთლები კი უფრო ბაცია, ზოგჯერ თეთრი.

შეკრებილია მრავალყვავილიან სფერულ ან ნახევარსფერულ ქოლგისებრ ყვავილედად. ნაყოფი მრავალთესლიანი წვრილი კოლოფია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთურ-ევროპული სახეობაა, კრიფტოფიტი. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში. გვხვდება გაფანტულად.

Allium rupestre Stev. – კლდის ხახვი

მრავალწლოვანი ბოლქვოვანი მცენარეა. ბოლქვი კვერცხისებრია, სიფრიფანა გარსით შემოხვეული. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა. ფოთოლი თითქმის ძაფისებრია, ხაოიანი. ყვავილსაფარი ზარისებრია, მღვრიე თეთრი ან მკრთალი სოსანი. ყვავილები

შეკრებილია მენხერ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მცირეთესლიანი კოლოფია. ყვ. VIII-IX; ნაყ. IX-XI. აღმოსავლეთხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ფერდობებზე, ბუნქნარებში, კლდეებზე. გვხვდება ერთეულებად.

Fam. Amaranthaceae – ოჯ. ჯიჯლაყასებრნი

Amaranthus albus L. – თეთრი ჯიჯლაყა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 50 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგომი ან წამოწეული, ძირიდან გაფარჩხულ-დატოტვილი თეთრი ღეროთი. ფოთლები ყუნწიანია, უკუკვერცხისებრი ან ნიჩბისებრი, ძირში ღრმად შევიწროებული, წვერში ბლაგვია და მოკლე ქიცვისებრ წვეტიანი, კიდეზე ხუჭუჭა ტალღოვანი ვიწრო არშიით. ყვავილები უფერულია, ფოთლების იღლიებში ჯგუფ-ჯგუფადაა შეკრებილი, ზოგჯერ მოკლე, წვეტილ თავთავისებრ ყვავილეებს ქმნიან. უფრო გრძელი თანაყვავილი საზურ-ლანცეტააა, ძირიდან მოკლე, მაგარ ეკლადაა წაწვეტებული. ნაყოფი მშრალია, თხელკედლებიანი, მომრგვალო-ელიფსური, იხსნება გარდიგარდმო ხუფით. თესლი შავია, მრგვალი, ოსპისებრი მოყვანილობის, მსხვილქედიათი. ყვ. VII-X; ნაყ. IX-XI. ჩრდილო ამერიკული სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნათესებში.

Amaranthus blitoides S. Wats. – ჯიჯლაყა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 60 სმ-მდე სიმაღლის წამოწეული, ძირიდან დატოტვილი, უხვად შეფოთილი, მოთეთრო, ოდნავ შებუსვილი ღეროთი. ფოთლები ყუნწიანია, ფოთლის ფირფიტა პატარა ზომისაა, უკუკვერცხისებრ-ლანცეტიდან მოგრძო ლანცეტამდე, კიდეზე ვიწრო თეთრი არშიით შემოვლებული. ყვავილები უფერულია, მხოლოდ ფოთლის იღლიებშია ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი. ნაყოფი მომრგვალო-ელიფსურია, ხუფით იხსნება. ყვ. VII-X; ნაყ. IX-XI. ჩრდილო ამერიკული სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნათესებში.

Amaranthus deflexus L.- მოღუნული ჯიჯლაყა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 70-900 სმ-მდე სიმაღლის წამოწეული, იშვიათად სწორმდგომი ღეროთი. ფოთლები რომბულ-კვერცხისებრია, ძირისკენ სოლისებრად შევიწროებული,

ნაპირებზე წვრილ-ტალღოვანი და დაკბილული, პატარა წვეტით დაბოლოებული ან ამოკვეთილი, თეთრი გაფანტული შებუსვით. ყვავილები თეთრია, ფოთლების იდლიებში ჯგუფებად განლაგებული, ან უფოთლო ცრუ თავთავებადაა თავმოყრილი. ნაყოფი მოგრძო კვერცხისებრია ან მსხლისებრ გამობერილი, მოგრძო-უკუკვერცხისებრი წაბლისფერი თესლებით. ყვ. VI-VII; ნაყ. IX-X. სამხრეთ ამერიკული სახეობაა, გზადმოყოლილი ნეოტროპული სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებში და ნათესებში.

Amaranthus hybridus L. – შიბრიდული ჯიჯლაყა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 1 მ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები რომბულ-კვერცხისებრია ან ელიფსური, ზოგჯერ თავამოკვეთილი, პატარა წვეტით დაბოლოებული, მწვანე ან მოწითალო. ყვავილები მწვანეა ან წითელი, შეკრებილია მოგრძო ჯგუფებად, რომლებიც წარმოქმნის თავთავისებრ კენწრულ და იდლიურ ყვავილელებს. ნაყოფი ფართო ელიფსურია, შავი პრიალა წვრილი თესლებით. ყვ. VII-VIII; ნაყ. X-XI. გზადმოყოლილი ნეოტროპული სარეველაა, ფართო მეორადი არეალით. იზრდება რუდერალურ ადგილებში მცირე ფრაგმენტების სახით. თესლებისაგან ღებულობენ ფქვილს, რომელსაც საკვებად იყენებენ. ხასიათდება სამკურნალო მნიშვნელობითაც.

Amaranthus lividus L. – ლეგა-ისფერი ჯიჯლაყა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 80 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგომი ან წამოწეული, ზოგჯერ გართხმული, დატოტვილი, შიშველი ღეროთი. ფოთლები გრძელყუნწიანია, ელიფსური ან რომბულ-კვერცხისებრი, ძირში სოლისებრი, თავამოკვეთილი, პატარა წვეტით დაბოლოებული, მწვანე ან მოწითალო. ყვავილები მკრთალი მწვანეა, შეკრებილია ხშირყვავილიან კენწრულ და იდლიურ ყვავილელებად. ნაყოფი ელიფსურია, არ იხსნება ან უსწორ-მასწოროდ სკდება. თესლი წაბლისფერია ან შავი, მრგვალი. ყვ. VI-X; ნაყ. VIII-XI. ევროპული სახეობაა. იზრდება როგორც სარეველა ნათესებში, რუდერალურ ადგილებში, გზისპირებზე.

Amaranthus retroflexus L. – ჩვეულებრივი ჯიჯლაყა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 1 მ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები რომბულ-კვერცხისებრია, ზემოდან შიშველი, ქვემოდან მოკლე ბეწვით შებუსული. ყვავილები მწვანეა ან წითელი, შეკრებილია ღეროს წვეროსა და ფოთლის იღლიებში ხშირ თავთავისებრ ყვავილედეზად. ნაყოფი ელიფსურია, თესლი შავია, მრგვალი. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. ჩრდილო ამერიკული სახეობაა, გზადმოყოფილი სარეველა მეორადი არეალით. იზრდება რუდერალურ ადგილებში.

Fam. Apiaceae (Umbelliferae) – ოჯ. ნიახურისებრნი (ქოლგოსანნი)

Anethum graveolens L. – კამა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 40-100 სმ-მდე სიმაღლისაა, მომრგვალო, წვრილღარებიანი. ფოთლები მრავალჯერ ფრთისებრია განკვეთილი წაგრძელებულ ხაზურ ჯაგრისებრ ნაკეთულებად. ყვავილები შეკრებილია 25-30 სხივიან ქოლგისებრ ყვავილედეზად, გვირგვინის ფურცლები ყვითელია. ნაყოფი ელიფსური ტყუბი თესლურაა. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX. ხმელთაშუაზღვეთური ფართოდ კულტივირებული სახეობაა, ადვილად ველურდება, მეზოფიტია. ბაღში დაფიქსირდა ნათესებში. სანელებელ-არომატული და სამკურნალო მცენარეა, ხასიათდება ანტიბაქტერიული მოქმედებით.

Anthriscus longirostris Bertol. – ჭყიმა-ბალახი

ერთწლოვანი ბალახოვანი 20-60 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. ფოთლები ორმაგფრთისებრია განკვეთილი, კვერცხისებრია, ფრთისებრ დასერილ სეგმენტებად. ყვავილები თეთრია, შეკრებილია 3-5 სხივიან ქოლგისებრ ყვავილედეზად. ნაყოფი მოგრძოა, ჯაგრისებრი ბეწვით მოფენილი. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ბუჩქნარებში. გვხვდება მცირე ჯგუფების სახით.

Anthriscus nemorosa (Bieb.) Spreng. – ჭყიმი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 1-1.5 მ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ორმაგ-სამმაგ ფრთისებრია განკვეთილი, მათი სეგმენტები კვერცხისებრია ან მოგრძო, ფრთისებრ დაკვეთილი ან დაკბილული. ყვავილი თეთრია, შეკრებილია 8-15

სხივიან ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მოკლე ჯაგრითაა მოფენილი. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. სმელთაშუაზღვეთურმთიანეთის სახეობაა დიზუნქციური არეალით, ჰემიკრიფტოფიტი. იზრდება ხევის პირებზე, მდელოებზე, ბუჩქნარებში. გამოიყენება საკვებად ფხალის სახით. სამკურნალოდ იხმარება სხვადასხვა სახის შემუპების, კუჭ-ნაწლავისა და ქალური დაავადებებისას.

Apium graveolens L. – ნახური

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გამსხვილებული, თითისტარისებრი ფესვით. ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, წახნაგოვან-ღარებიანი. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ფრთისებრი, სეგმენტები ფართო კვერცხისებრია, ჩვეულებრივ სამნაკეთიანი, კიდეებზე დაკბილული; ზედა ფოთლები თითქმის მჯდომარეა, სეგმენტები სოლისებრია, წვერზე რამდენადმე განკვეთილი და დაკბილული. ყვავილები მრავალრიცხოვან ქოლგისებრ ყვავილეებადაა შეკრებილი; გვირგვინის ფურცლები თეთრია. ნაყოფი ღია ყავისფერი, ტყუპი თესლურაა. ყვ. V-VII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-მცირე. აზიური სახეობაა, ფართოდაა კულტივირებული მთელ დედამიწაზე, ხშირად ველურდება. ბაღში დაფიქსირდა წავკისის ხეობის ტენიან ადგილებში. სანელებელ-არომატული მცენარეა, გამოიყენება სამკურნალოდ თირკმელების დაავადებებისას, ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედებით.

Astrodaucus orientalis (L.) Drude – ღრიანჭველა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 50-100 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ფართო-კვერცხისებრი ფორმის, მრავალჯერად მოკლე, ვიწრო ხაზურ სეგმენტებად დაყოფილი; ზედა ფოთლები დაპატარავებულია, მჯდომარე, ხასიათდება სიფრიფანა არშიით შემოვლებული ვაგინით. ყვავილები თეთრია, შეკრებილია რთულ, დიდი ზომის მრავალსხივიან ქოლგისებრ ყვავილეებად. ნაყოფი ტყუპი თესლურაა, რომელიც მომწიფებისას თითო თესლურად იშლება. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. მცირე. აზიურ-კავკასიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე, კლდეებზე გაფანტულად, ხშირად ცალკეული ინდივიდების სახით.

***Bifora radians* Bieb. – ქინძარა**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 10-25 სმ სიმაღლის, წიბოებიან-ღარიანი, დატოტვილი ღეროთი. ფოთლები კვერცხისებრია, ორმაგ ფრთისებრ განკვეთილი, ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ზედა მჯდომარე. ყვავილები თეთრია, შეკრებილია 5-8 სხივიან ქოლგებად. ნაყოფი ტყუბი თესლურაა, ოდნავ დანაოჭებული. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. პანონიკურ-კავკასიური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნათესებში. იხმარება საჭმელების საკმაზად.

***Bupleurum affine* Sadl. – ქვაპურას მსგავსი**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 20-75 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მთლიანია, ღანცეტა, გრძლად წაწვეტებული. ყვავილები მოწითალო-იისფერია ან მომწვანო იისფერი, შეკრებილია კენწრულ ყუნწიან ქოლგისებრ ყვავილეებად. ნაყოფი კვერცხისებრი, ტყუბი თესლურაა. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. პანონიკური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში. ჩვეულებრივი სარეველაა.

***Bupleurum exaltatum* Bieb. – მაღალი ქვაპურა**

მრავალწლოვანი ბალახოვანი ლევა მცენარეა, ძირში გახევებული. ღერო მრავალია, სწორი, წკეპლისებრი, დატოტვილი, 40-70 სმ სიმაღლის. ფოთლები ხაზურ-ღანცეტაა ან ხაზური, ყუნწის მსგავსად მცირეოდენ შევიწროებული. ყვავილი მოოქროსფერო-ყვითელია, შეკრებილია 2-4-სხივიან, მრავალ ქოლგისებრ ყვავილეებად. ნაყოფი კვერცხისებრი, ტყუბი თესლურაა. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. წინააზიურ-ცენტრალურ აზიური სახეობაა, გზადმოყოლილი სეგეტალური სარეველა. იზრდება კლდეებზე, ქვა-ღორღიან ადგილებზე.

***Bupleurum gerardii* All. – ცვალებადი ქვაპურა**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 50 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მთლიანია, ხაზური, წაწვეტებული. ყვავილები ცოტად თუ ბევრად ღია ყვითელია, შეკრებილია მრავალ, ერთნაირად განვითარებულ ქოლგისებრ ყვავილეებად. ნაყოფი გლუვი, ტყუბი თესლურაა. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. მცირე. აზიური სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება მშრალ ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში.

Bupleurum rotundifolium L – მრგვალოფოთოლა ქვაპურა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 20-60 სმ-მდე სიმაღლის, ზედა ნაწილში რამდენადმე დატოტვილი ღეროთი. ფოთლები განწვრეტილია, კვერცხისებრი ან ელიფსური, წვერზე წვეტი. ყვავილი მომწვანო შეფერილობისაა, შეკრებილია მრავალრიცხოვან, 5-10-სხივიან ქოლგებად. ნაყოფი კვერცხისებრი, ტყუბი თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. შუა ევროპული სახეობაა, გზადმოყოლილი სეგეტალური სარეველა. იზრდება მშრალ, ღია ფერდობებზე, ბუჩქნარებში. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ჩირქროვებისა და ჭრილობების შესახორცებლად.

Caucalis platycarpos L. – ყანის ბირკა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ცოტად თუ ბევრად შებუსული გაფარჩხული ბეწვით. ღერო 20-40 სმ სიმაღლისაა, წიბოებიან-ღარებიანი ძირიდანვე ან ზედა ნაწილში გაფარჩხულად დატოტვილი. ფოთლები კვერცხისებრია, სამმაგ ფრთისებრ განკვეთილი მოგრძო-კვერცხისებრ, ფრთად დაყოფილ ნაკვეთლებად. ყვავილები თეთრია ან მოწითალო, შეკრებილია 2-3-სხივიან ქოლგებად. ნაყოფი ტყუბი, ღარებიანი თესლურაა. ყვ. IV-VIII; ნაყ. VI-IX. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, გზადმოყოლილი სეგეტალური სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებზე, მშრალ ქვიან ფერდობებზე.

Conium maculatum L. – კონიო, მათოთი

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 0,6-1 მ-მდე სიმაღლისაა, მომრგვალო, ლევა, უპირატესად ქვედა ნაწილშია მოფენილი მოწითალო-მურა ფერის ლაქებით. ფოთლები კვერცხისებრია, სამმაგ - ფრთისებრ განკვეთილი, ფოთლის ნაკვეთები მოგრძო კვერცხისებრია, ფრთისებრ დაკვეთილი; ქვედა ფოთლები ვრძელყუნწიანია, ზედა თითქმის მჯდომარე. ყვავილი თეთრია, შეკრებილია 10-20-სხივიან ქოლგისებრ ყვავილელებად. ნაყოფი მოყვანილობით ფართო-უკუკვერცხისებრი ტყუბი თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, რუდერალურ ადგილებში. შხამიანი მცენარეა!!! გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი მოქმედებით.

Coriandrum sativum L. – ქინძი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა წვრილი მთავარდერძა ფესვით. ღერო 40-100 სმ სიმაღლისაა, შიშველი, ღარებიანი, ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები კვერცხისებრია, გრძელყუნწიანი, ერთმაგ-ორმაგ ფრთისებრ დანაკეთული, სეგმენტები კვერცხისებრია, ოდნავ განკვეთილი, კიდევებზე დაკბილული. ყვავილები შეკრებილია მრავალრიცხოვან 3-6-სხივიან ქოლგისებრ ყვავილედეზად. ნაყოფი სწორი სფეროსებრი, შიშველი ტყუბი თესლურაა. ყვ. V-VII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ფართოდაა კულტივირებული, ადვილად ველურდება. ჩვენს მიერ ბაღში დაფიქსირდა რუდერალურ ადგილებში. სანელებელ-არომატული მცენარეა. გამოიყენება საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, ხასიათდება ნადველმდენი და ამოსახველებელი მოქმედებით.

Daucus carota L. – ფერისცვალა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-100 სმ-მდე სიმაღლის ღეროებით. მთელი მცენარე ცოტად თუ ბევრად ხშირი ხეშეში ბეწვითაა მოფენილი. ფოთლები მოგრძოა, ფრთისებრ დაყოფილი ღანცეცა ან მოგრძო სეგმენტებად. ყვავილი თეთრია, რამდენიმე შუა ყვავილი ცენტრალურ ქოლგაში მუქი წითელია, ხავერდოვანი და უფრო ხშირად უნაყოფო. ქოლგა მრავალსხივიანია. ნაყოფი ელიფსური ტყუბი თესლურაა. ყვ. VI-IX; ნაყ. VIII-X. დასავლეთ პალეარქტიკული სახეობაა, მდელოს მეზოფიტი; იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებს შორის, ნათესებში, ზოგჯერ როგორც სარეველა. ბოტანიკურ ბაღში ფართო ფრაგმენტებადაა წარმოდგენილი.

Eryngium caeruleum Bieb. – ლურჯი ნარი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მოცისფრო-მწვანე ან თითქმის მოლურჯო-იისფერი ეკლიანი მცენარეა. ღერო 30-50 სმ-მდე სიმაღლისაა, ზედა ნაწილში გაფარჩხული. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, რბილი ტყავისებრი, მოგრძო კვერცხისებრი, ძირში გულისებრი, მთლიანი ან სამნაკეთიანი, ადრე ჭკნება; ღეროსეული ქვედა ფოთლები მაგარია, ტყავისებრი, თათისებრ დაყოფილი, ეკლისებრ კბილებიანი. ყვავილები ცისფერია, შეკრებილია მჭიდრო თავაკებად, რომლებიც საერთო საბურვლის მსხველცავი მოზრდილი ფოთლებითაა ქვემოდან

შემოხვეული, თანაყვავილები სადგისისებრია, ჩხვლეტია. ნაყოფი პრიზმულია, მოფენილია ბუშტების მსგავსი მწოლარე ქერქლებით. ყვ. VI-VIII. ნაყ. VIII-IX. ხმელთაშუაზღვეთური, ჰემიქსეროფილური სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ყამირ ადგილებში.

Eryngium campestre L. – მინდვრის ნარი

მრავალწლოვანი მონაცრისფრო-მომწვანო ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-60 სმ-მდე სიმაღლისაა, მარტოული, შუა ნაწილიდან ძლიერ გაფარჩხულ-დატოტვილი. ფოთლები მკვრივია, ტყავისებრი, ფართო კვერცხისებრი მოხაზულობის, კიდეებზე ეკლისებრ კბილებიანი. ყვავილეთი საგველაა. ნაყოფი უკუკვერცხისებრია. ყვ. V-VIII; ნაყ. VII-IX. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე. სტეპებში. გამოიყენება ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში ფეხების შეშუპების, გულ-მკერდის დაავადებების, ყაბზობისა და სიყვითლის სამკურნალოდ.

Falcaria vulgaris Bernh. – კოფრჩხილა

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სეგეტალური სარეველა. ღერო 30-60 სმ-მდე სიმაღლისაა. ფოთლები ტყავისებრია, სამად განკვეთილი. ყვავილები თეთრია, ქოლგა მრავალია, ტოტების კენწეროებზეა შეკრებილი ფარისებრ საგველა ყვავილედებად. ნაყოფი ტყუპი თესლურაა. ყვ. VII-X; ნაყ. VIII-X. დასავლეთპალეარქტიკული სახეობაა. იზრდება ქვიან ფერდობებზე, ღია მშრალ ადგილებში. გვხვდება ფართო ჯგუფების სახით. გამოიყენება საკვებად, მწნილის სახით; ფოთლები ხასიათდება შარდმდენი მოქმედებით. ნედლი ფოთლების წვენი ჭრილობების შესახორცებლადაც ხმარობენ.

Foeniculum vulgare Mill. – დიდი კამა

მრავალწლოვანი (კულტურაში ერთ ან ორწლოვანი) მცენარეა თითისტარისებრი ხორცოვანი სქელი ფესვით და სწორმდგომი წვრილღარიანი 2 მ-მდე სიმაღლის ღეროებით, ხშირად მოცისფრო ან ლევა ნაფიფქით, უხვად დატოტვილი. ფოთლები მორიგეობითია, მოხაზულობით კვერცხისებრ-სამკუთხა, სამ-ოთხმაგფრთისებრ განკვეთილი ხაზურ ან ძაფისებრ სეგმენტებად, ქვედა - ყუნწიანია, ზედა - მჯდომარე. გარეგანად კამის მსგავსია

(რის გამოც მას სააფთიაქო კამასაც უწოდებენ), მაგრამ სუნით და გემოთი ანისულს მოგვაგონებს. ყვავილი წვრილია, ყვითელი, შეკრებილია 20-25 სხივიან ქოლგებად, რომლებიც თავის მხრივ წარმოქმნის ყვავილელებს - 20 სმ დიამეტრის რთულ ქოლგებს, რომლებიც 10 მცირე ქოლგისაგან შედგება. ნაყოფი მოგრძო-ცილინდრული, გვერდებშიტკეცილი, ლევა ან მომწვანო მურა ორთესლურაა, 1,4 სმ სიგრძისა და 3-4 მმ სიგანის, ხუთწახნაგიანი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური წარმოშობის სახეობაა. აღირიცხა რამდენიმე პუნქტში, ნათესებში, კლდოვან ადგილებში. სანელებელ-არომატული და სამკურნალო მცენარეა. ხასიათდება ამოსახველებელი, ლაქტაციის გამაძლიერებელი და მეტეორიზმის საწინააღმდეგო მოქმედებით.

Heracleum antasiaticum Manden. – დიგი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 50-80 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები თითქმის მომრგვალოა, ღრმად ფრთისებრ დანაკვეთილი. ყვავილები თეთრია, შეკრებილია მრავალსხივიან, დიდი ზომის ქოლგისებრ ყვავილელებად. ნაყოფები ფართო უკუკვერცხისებრია. ყვ. V-VIII; ნაყ. VIII-IX. წინა აზიური სახეობაა, მეზოფიტი; იზრდება როგორც დაჩრდილულ, ასევე ღია ადგილებში, წავკისისწყლის ხეობაში, მშრალ, ქვიან ფერდობებზე. მცენარე შხამიანია, გამოიყენება ხალხურ მედიცინაში კანის დავადებებისა და კუჭ-ნაწლავის აშლილობისას.

Laser trilobum (L.) Borkh. – ტყიურა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარღერძა ფესვთა სისტემით. ღერო 2 მ-მდე სიმაღლისაა, მომრგვალო, წვრილღარებიანი, დატოტვილი. ფოთლები დიდი ზომისაა, ფართო კვერცხისებრი, ქვედა ორჯერად სამადაა დაყოფილი, ზედა კი სამად; ფოთოლაკები მომრგვალოა, სამნაკეთიანი ან სამად დაყოფილი, ცოტად თუ ბევრად გულისებრი ძირით, კიდევებზე მსხვილი და არათანაბრად მრგვალებილებიანი, ზედა მხარეზე მწვანე, ქვედაზე ლევა ფერის. ყვავილები თეთრია, შეკრებილია 12-30-სხივიან ქოლგისებრ ყვავილელებად. ნაყოფი მოგრძო ელიფსური ტყუპი თესლურაა. ყვ. V-VIII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე. აზიური სახეობაა, მეზოფიტი,

სციოფიტი. ბოტანიკურ ბაღში დაფიქსირდა სამკურნალო მცენარეების ნაკვეთის მიმდებარე მონაკვეთზე, იფნების კორომში.

Malabaila dasyantha (C.Koch) Grossh. – მალაბაილა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 40-80 სმ სიმაღლის, დაღარული ღეროთი. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია. მოლქროსფრო ყვავილები შეკრებილია მრავალსხივიან (12-17) ქოლგებად. ნაყოფი უკუკვერცხისებრია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. მცირე. აზიური სახეობაა, მეზოქსეროფიტი, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე, ნათესებში, ბილიკების გასწვრივ.

Pastinaca sativa L. – ძირთეთრა

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, კრიფტოფიტი. ფესურა ხორცოვანია, თეთრი, საჭმელად ვარგისი. ღერო 40-100 სმ სიმაღლისაა. ფოთლები ფრთისებრია, პრილა. ყვავილი თეთრია, ქოლგა მრავალია, 7-20 სხივით. ნაყოფი კვერცხისებრია, შიშველი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII; ევროპული სახეობაა. როგორც ბოსტნეული მცენარე ფართოდაა კულტივირებული. ბოტანიკურ ბაღში დაფიქსირდა სამკურნალო მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე (საიდანაც ალბათ გავრცელდა) ერთეული ინდივიდების სახით. ხასიათდება სამკურნალო მნიშვნელობითაც.

Petroselinum crispum (Mill.) A.W.Hill. – ოხრახუში

ორწლოვანი ბალახოვანი, შიშველი მცენარეა. ღერო 50-80 სმ სიმაღლისაა, სწორი, მომრგვალო, წვრილღარებიანი, ჩვეულებრივ დატოტვილი. ფოთლები კვერცხისებრია, ქვედა მათგანი ორმაგ-სამმაგ ფრთისებრია, უკუკვერცხისებრ განკვეთილ სეგმენტებად; ზედა ფოთლები სამადაა გაყოფილი მთლიან ან სამნაკვითიან სეგმენტებად, ზედა მხარეზე პრილაა. ყვავილები შეკრებილია 7-20-სხივიან ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მომრგვალო კვერცხისებრია, გვერდებზე ოდნავ შებრტყელებული წყვილი თესლურა. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. ევროპული სახეობაა, ფართოდ კულტივირებული. გვხვდება გაველურებული სახით ნაკვიან ადგილებში. სანელებელ-არომატული მცენარეა, ხასიათდება შარდმდენი მოქმედებით.

Physocaulis nodosus (L.) Koch. – ფიზოკალისი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-80 სმ სიმაღლისაა. ფოთლები ფართო კვერცხისებრია, ორმაგ ფრთისებრ განკვეთილი. ყვავილები მოთეთრო-მოვარდისფროა, შეკრებილია მრავალ, 2-4-სხივიან ქოლგებად. ნაყოფი მეჭეჭებიანი თესლურაა. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება ნათესებში, დაჩრდილულ ადგილებში, ბუჩქნარებში.

Pimpinella affinis Ledeb. – ანისული

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-100 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ფრთისებრია. ყვავილები თეთრია, შეკრებილია 15-40-სხივიან ქოლგებად. ნაყოფი კვერცხისებრი, ფუძესთან მომრგვალებული თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება ნათესებში, ბუჩქნარებში, ფერდობებზე.

Pimpinella aromatica Bieb. – არომატული ანისული

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 25-40 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ფრთისებრია, შედგება 3-4 წყვილი, მომრგვალო კვერცხისებრ ამოკვეთილ-დაკბილული ფოთოლაკებისაგან. ყვავილები თეთრია, შეკრებილია 5-8-სხივიან ქოლგებად. ნაყოფი წვრილი თესლურაა. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. კავკასიის ენდემური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება ნათესებში, მშრალ, ქვიან და ბალახოვან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში, მცირე ჯგუფების სახით. გამოიყენება ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში. ნაყოფები ხასიათდება ანტიკატარალური, ანტისპაზმური, მეტეორიზმისა და კუჭის აშლილობის საწინააღმდეგო მოქმედებით.

Pimpinella tripartita Kalen. – სამად განკვეთილი ანისული

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 35-80 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მომრგვალო გულისებრია. ყვავილი თეთრია, შეკრებილია მრავალსხივიან ქოლგებად. ნაყოფი კვერცხისებრ-სფერულია თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის სახეობაა, კავკასიური ირადიაციებით. ჰემიქსეროფიტი, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება დაჩრდილულ ადგილებში, ნარგაობებში, ბუჩქნარებში.

Scandix iberica Bieb. – ოფოფა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-50 სმ სიმაღლის ღეროებით, ფოთლები კვერცხისებრია. ყვავილები თეთრია, შეკრებილია 5-9-სხივიან ქოლგებად, ნაყოფი შებრტყელებული თესლურაა. ყვ. IV; ნაყ. VI-VII. წინა აზიური სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში.

Scandicum stellata Banks et Soland. – სკანდიციუმი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 10-25 სმ სიმაღლის ღეროებით. ფოთლები კვერცხისებრია, სამმაგ ფრთისებრ განკვეთილი. ყვავილები თეთრია, შეკრებილია 1-3- სხივიან ქოლგებად. ნაყოფი ხორკლიანი ბეწვითაა შებუსული. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ხმელთაშუაზღვეთურ-ირანული სახეობაა. ჩვეულებრივი სარეველა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებსა და ნათესებში.

Seseli grandivittatum (Somm. et Levier) Schischk. – ზეზელი

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-70 (100) სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ განკვეთილი. ყვავილები თეთრია, შეკრებილია 8-20-სხივიან ქოლგისებრ ყვავილელებად. ნაყოფი მოგრძო კვერცხისებრია. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. მცირე აზიურ-იბერიული სახეობაა, კავკასიის ენდემი, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ხირსატთან ფერდობებზე.

Torilis japonica (Houtt) DC. – იაპონური ძაღლის ბირკა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-100 სმ სიმაღლის სწორი, ზედა ნაწილში დატოტვილი, ღარებიანი, ჯაგრისებრი ბეწვით მოფენილი ღეროთი. ფოთლები კვერცხისებრია, ორმაგ ფრთისებრ განკვეთილი; სეგმენტები ღანცეტაა, კიდეზე დაკბილული ან ფრთისებრ-დაკვეთილი. ყვავილები თეთრია, იშვიათად მოწითალო, შეკრებილია 5-12-სხივიან ქოლგებად ტოტების ბოლოებზე. ნაყოფები კვერცხისებრია, მოფენილია წვერზე რკალისებრ მოხრილი პატარა ეკლებით. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. დასავლეთ პალეარქტიკული სახეობაა, ჰემიქსეროფიტი, გზადმოყოლილი სარეველა. იზრდება ბუჩქნარებში, მდელოებზე.

Tordylium maximum L. – ტორდილიუმი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-50 სმ სიმაღლის, სწორი, ღარებიანი, ზედა ნაწილში დატოტვილი ღეროთი; მთელი მცენარე მოფენილია მიტკეცილი, მაგარი ბეწვით. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, ფრთისებრი, შედგება 3-4 წყვილი ფოთოლაკისაგან, რომლებიც კვერცხისებრია ან მოგრძო-კვერცხისებრი. ყვავილი თეთრია, შეკრებილია 5-15-სხივიან ქოლგებად. ნაყოფი ფართო ელიფსურია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთურ-ევროპული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ღია ფერდობებზე, ბუჩქნარებში.

Zosima orientalis Hoffm. – ზოსიმა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-60 სმ სიმაღლის, ღარებიან-წიბოებიანი, ძირიდანვე დატოტვილი ღეროთი. მთელი მცენარე მონაცრისფრო-მწვანეა, ცოტად თუ ბევრად სქლად მატყლისებრ შებუსული. ფოთლები თავმოყრილია ღეროს ძირში, ორმაგ-სამმაგ ფრთისებრია განკვეთილი. ყვავილები მკრთალი მწვანე ან მოყვითალო მწვანე, შეკრებილია 10-35-სხივიან ქოლგებად. ნაყოფები ფართო ელიფსურია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთურ-ირანულ-თურანული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ქვა-ღორღიან ფერდობებზე.

Fam. Apocynaceae – ლჯ. ქენდირისებრნი

Vinca herbaceae Waldst. & Kit. – გველის სურო

მრავალწლოვანი ბალახოვანი მოკლე ფესურიანი მცენარეა. ღერო რამდენიმეა, როგორც ნაყოფიანი, ისე უნაყოფო, გართხმული ან წამოწეულია, შიშველი. ფოთლები კვერცხისებრია ან მომრგვალო-კვერცხისებრი, ზედა – მოგრძო ღანცეცა ფორმისაა. ყვავილები მარტოულია, ფოთლის იდლიებში განწყობილი, დიდი ზომის; გვირგვინის ფურცლები მოლურჯო-იისფერია ან იშვიათად თეთრი. ნაყოფი შედგება ორი თავისუფალი ფოთლურისაგან, რომლებიც მუცლის ნაწიბურით იხსნება. ყვ. IV-V; ნაყ. VI. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება წავკისისწყლის ხეობაში, ტყის პირებზე, დაჩრდილულ ფერდობებზე. გამოიყენება ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში. ხასიათდება ჭრილობების შემახორცებელი და დერმატიტების საწინააღმდეგო მოქმედებით.

Fam. Asparagaceae – ოჯ. სატაცურისებრი

Asparagus officinalis L. – სამკურნალო სატაცური

მრავალწლოვანი ფესურიანი მცენარეა 150 სმ-მდე სიმაღლის სწორი, გლუვი ან დაკუთხული, გაფარჩხულ-დატოტვილი ღეროთი. ფოთლები რედუცირებულია ოდნავ შესამჩნევ ქერქლებად, რომელთა უბეებში კონებად (3-6) სხედან კლადოდიუმები – სახეცვლილი ყლორტები, რომლებიც ფოთლების მსგავსია, წვრილია, თითქმის ძაფისებრი, მარაოსებრ გაშლილი. ყვავილები ზარისებრია ან მილისებრი, წვრილი, მომწვანო-ყვითელი, განლაგებულია მთავარ ღეროზე და გვერდითა ტოტებზე. ნაყოფი წითელი, სფერული კენკრაა, რამდენიმე თესლით. ყვ. V-VI; ნაყ. VII-IX. ბორეალური, დასავლეთ პალეარქტიკული სახეობაა, ტყის, მეზოფიტი. იზრდება ტყის პირებსა და ბუჩქნარებში. გვხვდება ერთეული ინდივიდების სახით. გამოიყენება საკვებად, ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში, სატაცურის პრეპარატები ხასიათდება შარდმდენი მოქმედებით. ფრიალ დეკორატიულია.

Asparagus verticillatus L. – სატაცური

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, მცოცავი, 80-200 სმ სიგრძის, დაკუთხული, ძლიერ დატოტვილი, ნორჩობისას მღვრიე მოწითალო ღეროებით. მისი წვეროსეული ტოტები, ისევე როგორც კლადოდიუმები, პრიალაა, კიდეხაოიანი, სამწახნაგოვანი. ყვავილები მოკლეყუნწიანია, მომწვანო შეფერილობის, განლაგებულია გვერდითი ტოტების კენწეროებზე. ნაყოფი ნარინჯისფერი კენკრაა, წვრილი, შავი თესლებით. ყვ. V-VI; ნაყ. VIII. უძველესი, აღმოსვლეთ ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, მესამეული პერიოდის რელიქტი, მეზოფიტი. იზრდება წავკისისწყლის ხეობის გასწვრივ, ბუჩქნარებში, ერთეული ინდივიდების სახით. დეკორატიულია.

Fam. Aspleniaceae – ოჯ. გვიმრუჭასებრი

Asplenium septentrionale (L.) Hoffm. – ჩრდილოეთის გვიმრუჭა

მრავალწლოვანი, მოკლე ფესურიანი, სპოროვანი, 5-15 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. მრავალრიცხოვანი, ძველი ფოთლის ნარჩენებთან ერთად თავმოყრილი, კორდის შემქმნელი ფოთლები ოდნავ ტყავისებრი კონსისტენციისაა, მეზამთრე, მუქი წებოსფერ-მწვანე, ვიწროყუნწიანი; ფოთლის ფირფიტა

დიქოტომიურად დაყოფილია 2-4 ვიწრო-ხაზურ ან ხაზურ თათისებრ სეგმენტებად, ქვედა მხარე სორუსებითაა მოფენილი, მომწიფებისას ერთმანეთს ერწყმის და თითქმის ცალკეული სეგმენტის მთელ ქვედა ზედაპირს ფარავს. ყვ. VI-VIII. ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის, ტყის ლითოფილური სახეობაა, ლავრაზიური არეალით. იზრდება ქვიან ფერდობებზე, წარმოდგენილია ერთეული ინდივიდების სახით.

Asplenium trichomanes L. – მამასწარა

მრავალწლოვანი ფესურიანი, სპოროვანი, 5-30 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მრავალრიცხოვანია, ჯგუფურადაა განლაგებული და ძველი ფოთლების ნარჩენებთან ერთად ქმნის პატარა კორდებს; ფოთლის ფირფიტა ოდნავ ტყავისებრია, მუქი მწვანე, ხაზური, მისი სეგმენტები თითქმის მჯდომარეა, მომრგვალო-უკუკვერცხისებრი ან რომბისებრ-მომრგვალო, სოლისებრი; ფოთლის ყუნწი მუქი მურა ფერისაა, ზოგჯერ მოწითალო ელფერით. სორუსები მოგრძოა, მომწიფებისას ერთმანეთთან შერწყმული. ყვ. V-XI. ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის, ტყის ლითოფილური სახეობაა, ფართო ლავრაზიური არეალით. იზრდება დაჩრდილული კლდეების ნაპრალებში, ქვიან და ღორღიან ხავსით დაფარულ ფერდობებზე, დამპალ კუნძებზე, წარმოდგენილია ცალკეული ინდივიდების სახით.

Asplenium ruta-muraria L. – უჭურველი

მრავალწლოვანი მოკლე ფესურიანი, სპოროვანი, ბალახოვანი ლიტოფილური მცენარეა. ფოთლები მრავალრიცხოვანია, შეჯგუფული, ოდნავ ტყავისებრი, მუქი წენგოსფერ-მწვანე, მქრქალი, ცოტად თუ ბევრად ჯირკვლისებრი შებუსვით ან შიშველი; ყუნწი გრძელია, წვრილი, მწვანე, ფუძესთან მუქი მურა; ფოთლის ფირფიტა პატარაა, სამკუთხა-კვერცხისებრი მოყვანილობის, ორმაგ ფრთისებრ დანაკეთული მცირერიცხოვან, სხვადასხვა ფორმის სეგმენტებად. სორუსები ხაზურია, მომწიფებისას თითქმის მთელი სეგმენტის ქვედა მხარეს ფარავს. ყვ. VII-IX. ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის სახეობაა ფართო ლავრაზიური არეალით. ბოტანიკურ ბაღში გვხვდება იშვიათად. დაფიქსირდა მხოლოდ ერთეული ეგზემპლარები. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Ceterach officinarum Willd. – სამკურნალო ცეტერახი

მრავალწლოვანი, მცირე ზომის მოკლე ფესურიანი სპოროვანი, ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები ტყავისებრია, ფრთისებრ განკვეთილი, ლანცეტა ან მოგრძო ლანცეტა ფორმის; სეგმენტები მომრგვალო ოვალურია, ზემოდან მქრქალი მონაცრისფრო მწვანე, შიშველი, ქვემოდან – ყუნწიანად დაფარულია კრამიტისებრად განლაგებული მურა ფერის ქერქლებით, რომლებშიც სორუსებია ჩამალული. სპორები ოვალურ-თირკმლისებრია, ბლაგვეკლიანი. ყვ. V–VI. ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის, თითქმის ევრაზიური ლიტოფილური სახეობაა. იზრდება კლდეების დაფარულ ნაპრალებში, ქვის ფერდობებზე. იშვიათია, წარმოდგენილია ერთეული ინდივიდების სახით. დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა; ხასიათდება შემკვრელი და ჭიისმდენი მოქმედებით.

Fam. Asteraceae (Compositae) – ოჯ. ასტრასებრნი (რთულყვავილოვანნი)

Achillea biebersteinii Afan (A. micrantha Willd.) – ბიბერშტეინის ფარსმანდუკი

მრავალწლოვანი მხოხავფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 20-60 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი, მარტივი, ცოტად თუ ბევრად სქლად მოფენილი გრძელი, თეთრი ფერის ბეწვით. ფოთლები ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა, ორმაგ ფრთისებრ-განკვეთილი; ფოთლის პირველადი სეგმენტები განკვეთილია ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა ფორმის, მოკლედ წაწვეტებულ ნაკვთულებად, სქლად ბანჯგვლიანი ბეწვით მოფენილი. პატარა, კვერცხისებრი კალათები ღეროების კენწეროებზეა შეკრებილი რთულ ფარისებრ ყვავილედებად. ყვავილები კაშკაშა ყვითელია. ნაყოფი წვრილი თესლურაა. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX. წინააზიურ-ცენტრალურ აზიური გზადმოყოლილი სახეობაა, ჰემიქსეროფიტი, ჰელიოფიტი. იზრდება მშრალ ღორღიან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში, გვხვდება მცირე ჯგუფების სახით. ხასიათდება სამკურნალო მნიშვნელობით. ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება კუჭის დაავადებების, ყაბზობისა და ბუასილის დროს.

Achillea neilreichii Kerner (A. ochroleuca Ehrh.) – მოყვითალო-თეთრი ფარსმანდუკი

მრავალწლოვანი მხოხავფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 30-60 სმ სიმაღლის მარტივი, მთელ სიგრძეზე შეფოთილი ღეროთი, ცოტად თუ ბევრად სქლად მოფენილი თეთრი ბეწვით. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, სეგმენტები დაშორიშორებულია, განკვეთილია ლანცეტა ფორმის, წაწვეტებულ ნაკეთულებად. კალათები წვრილია, ენისებრი ყვავილები მღვრიე ყვითელი. ნაყოფი თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა, ქსეროფიტი, ჰელიოფიტი. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, გზის პირებზე. ხასიათდება ნაღველმდენი, შარდმდენი, სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედებით.

Achillea setacea Waldst. et Kit. – ჯაგრისებრი ფარსმანდუკი

მრავალწლოვანი მხოხავფესურიანი, სქლად შებუსული ბალახოვანი მცენარეა 20-40 სმ სიმაღლის მარტივი, მთელ სიგრძეზე შეფოთილი ღეროთი. ფოთლები საზურ-ლანცეტაა, ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ განკვეთილი, სეგმენტები ურთიერთმიახლოებულია, განკვეთილია საზური ფორმის ძლიერ წაწვეტებულ 2-3-ად დაყოფილ ნაკეთულებად. კალათები პატარა ზომისაა, ენისებრი ყვავილები თეთრია. ნაყოფები წვრილი თესლურაა. ყვ. VI-VIII. ნაყ. VII-IX. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ქსეროფიტი, ჰელიოფიტი. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, გზის პირებზე, ბუჩქნარებში. გვხვდება სშირად, მცირერიცხოვანი ჯგუფების სახით. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ხასიათდება სისხლდენის შემაჩერებელი, ანთების საწინააღმდეგო და ანტისეპტიკური მოქმედებით.

Ambrosia artemisiifolia L. – ამბროზია

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-100 სმ სიმაღლის მარტივი ან ზედა ნაწილში საგველასებრ დატოტვილი, მიტკეცილ ჯაგრისებრი ბეწვით მეტ-ნაკლებად მოფენილი ღეროთი. ქვედა ფოთლები მოპირისპირეაა განლაგებული, მოკლეყუნწიანია, ორმაგ-ფრთისებრ-დაყოფილი, ზედა ფოთლები მჯდომარეა, ერთჯერად ფრთისებრ განკვეთილი მოგრძო ან ლანცეტა – საზურ, კიდემთლიან ნაკეთულებად. კალათები ნახევარსფერულია, შეკრებილია თავთავისებრ საერთო

ყვავილელებში, ყვავილები მკრთალი ყვითელია. თესლურა შავია, კვერცხისებრი ან უკუკვერცხისებრი, წვერზე ნისკარტი. ყვ. VIII-IX; ნაყ. IX-X. ჩრდილო-ამერიკული სახეობაა. გზადმოყოლილი სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნათესებში.

Anthemis altissima L. – ყანის ირაგა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, ოდნავ წახნაგოვანი, შუა ნაწილიდან გაფარჩხულად დატოტვილი, ტოტები თითო კალათით ბოლოვდება. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, ორმაგ ან სამმაგ ფრთისებრ განკვეთილი ნემსისებრ ნაწილებად, ხრტილოვანი წვეტებით დაბოლოებული. კალათები დიდი ზომისაა, ენისებრი ყვავილები თეთრია. თესლურა მურა ფერისაა, შებრტყელებულ-ოთხწახნაგოვანი. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე. აზიური სახეობაა, მინდვრის სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებში.

Anthemis cotula L. – კამენია

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, წამწამისებრი ბეწვით ოდნავ შებუსული, შუა ნაწილიდან ფარისებრ დატოტვილი. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, ორმაგად ფრთისებრ დანაკეთული წვრილ მთლიან სამკბილიან წაწვეტებულ გაფარჩხულ ნაწილაკებად. საყვავილე ღერძი მოკლეა, კალათები პატარა ზომისაა; ენისებრი ყვავილები თეთრია. ნაყოფი მომრგვალო ბზრიადლასებრი მეჭვჭვიანი, მუქი ყავისფერი თესლურაა. ყვ. V-XI; ნაყ. VI-X; ევროპული სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ყველანაირ ადგილსამყოფელში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ხასიათდება ანტისპაზმური და ჭიისმდენი მოქმედებით.

Anthemis dumetorum Sosn. – ირაგა

მრავალწლოვანი მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-70 სმ სიმაღლისაა, სწორი, წიბოებიანი, ზედა ნაწილში უფოთლო ღერძები თითო კალათით ბოლოვდება. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, ფრთისებრ დანაკეთული, სეგმენტები მოგრძო ლანცეტა ან მოგრძო-ხაზურია, თავის მხრივ ფრთისებრ-თათისებრ განკვეთილი მოკლე, მთლიან მსხვილ თეთრწვეტიან ნაკეთულებად. მთელი მცენარე შებუსულია მომწვანო ან

მონაცრისფრო მიტკეცილი აბლაბუდასებრი ბეწვით. კალათები მსხვილია, ენისებრი ყვავილები თეთრია. თესლურები შებრტყელებულია, ოთხწახნაგოვანი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. კავკასიურ-მცირე. აზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ბუჩქნარებში, ფერდობებზე, გზის პირებზე. გვხვდება ერთეული ან მცირე ჯგუფების სახით.

Arctium lappa L. – ოროვანდი

ორწლოვანი მთავარდერძიანი ბალახოვანი მცენარეა 1,5-2 მ-მდე სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ფართო ან მომრგვალო კვერცხისებრია, კიდეებზე წვრილად ამოკვეთილი კბილებით, ყუნწიანი, ზედა მხარეზე ქეჩისებრ შებუსული. კალათები საშუალო ზომისაა, ყვავილები მეწამული ფერის. თესლურა მოგრძოა, დანაოჭებული, აბლაბუდასებრი ბეწვით მოფენილი, მონაცრისფრო-მურა ფერის. ყვ. VII-VIII; ნაყ. IX. ბორეალური, ევრაზიური სახეობაა, მეზოქსეროფიტი, ჰელიოფიტი. იზრდება წავეისისწყლის ხეობაში, რუდერალურ ადგილებში, გაფანტულად, ერთეული ინდივიდების სახით. გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში, ფესვები ხასიათდება შარდმდენი, ოფლმდენი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტიალერგიული, ანტიმიკრობული, ანტისეპტიკური მოქმედებით. ნორჩ ფოთლებს საკვებად ხმარობენ.

Artemisia absinthium L. – აბზინდა

მრავალწლოვანი გრძელფესურიანი ბალახოვანი მცენარეა სქლად მონაცრისფრო-ვერცხლისფერ ქეჩისებრი შებუსვით. ღერო 60-100 სმ სიმაღლისაა, სწორი, დატოტვილი, ძირში გახევებული. ფოთლები გრძელყუნწიანია, ღევა, ფართო კვერცხისებრი, ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ განკვეთილი ლანცეტა ფორმის ან მოგრძო, წაწვეტებულ ნაკეთულებად. კალათები წვრილია, ნახევარსფერული, მჭიდროდაა განწყობილი გვერდით ტოტებზე, რომლებიც ქმნიან გრძელ საგველასებრ ყვავილედს. ყვავილები ყვითელია. თესლურა წვრილია, მოყვითალო შეფერილობის. ყვ. VII-IX. ნაყ. VIII-X. ჰოლარქტიკული სახეობაა, ქსეროფიტი, ჰელიოფიტი. იზრდება ბოტანიკური ბაღის სანერგის მიდამოებში, გზისპირა მონაკვეთზე მცირე ფრაგმენტის სახით. გამოიყენება მეცნიერულ და ტრადიციულ მედიცინაში როგორც

მადისმომგვრელი, საფალარათო და მეტეორიზმის საწინააღმდეგო საშუალება.

Artemisia annua L. – უჯანგარი

ერთწლოვანი მთავარდერძიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 150 სმ-მდე სიმაღლისაა. ფოთლები სამკუთხა-კვერცხისებრია, ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ განკვეთილი, სეგმენტები წაგრძელებულია, ღრმად ფრთისებრ დაყოფილი პატარა ზომის, ლანცეტა ნაკვეთლებად. კალათები პატარა ზომისაა, სფერული, მჭიდროდაა განწყობილი გვერდით ტოტებზე და ქმნის გაფარჩხულ საგველასებრ ყვავილედს, ყვავილები თეთრია, შიშველი. ნაყოფი წვრილი თესლურაა. ყვ. VI-X; ნაყ. VII-IX. კოსმოპოლიტური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, გზისპირა მონაკვეთებზე. გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში ციებ-ცხელების, დიზენტერიის, ჩირქოვანი წყლულებისა და სიმსივნეების საწინააღმდეგოდ.

Artemisia caucasica Willd. – გეშო

მრავალწლოვანი ჰორიზონტალურ ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ქმნის კორდებს ძირში განვითარებული, მოკლე, სქლად შეფოთილი ვეგეტატიური ყლორტებით. საყვავილე ღერო მრავალია, 10-30 სმ სიმაღლის, სწორი. ნაცრისფრად შებუსუსული მცენარეა. ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ორმაგ ფრთისებრ ან თათისებრ განკვეთილი, ორივე მხარეზე ვერცხლისფერი მიტკეცილი ბეწვით შებუსუსული. კალათები ფართო ზარისებრია, მოკლეყუნწიანი, გრძელ მტევნისებრ ყვავილედად შეკრებილი. ყვავილები ყვითელია. თესლურა წვრილია. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. კავკასიურ-მცირე. აზიური სახეობაა. ჰემიქსეროფიტი. იზრდება ქვიან ადგილებში, კირქვიან ფერდობებზე, ქმნის მცირე კორდებს.

Artemisia marschalliana Spreng. (*A. inodora* Bieb.; *A. sosnowskyi* Krasch. ex Novopokr.) – სამწვანე

მრავალწლოვანი გრძელფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 20-60 სმ სიმაღლის მრავალრიცხოვანი, სწორი წიკპლასებრი, ზედა ნაწილში დატოტვილი ღეროთი. ფოთლები მონაცრისფროა, ორმაგ ფრთისებრ განკვეთილი მოგრძო, ვიწრო ხაზური ფორმის წაწვეტებულ ნაკვეთლებად. კალათები კვერცხისებრია, სწორი, ზოგჯერ დახრილი, გვერდით ტოტებზეა მტევნისებრ შეკრებილი

და ქმნის ფართო ფარჩხატ საგველასებრ ყვავილედს. ყვავილი მოწითალო ან მოყვითალო ფერისაა. თესლურა ჩალისფერია, ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-X. ევროპულ-მცირე. აზიური სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება ღია ქვიან და ღორღიან ფერდობებზე, კლდეებზე.

***Artemisia incana* (L.) Druce (*Tanacetum incanum* L.; *T. orientale* Willd.; *Artemisia fasciculata* Bieb.) – ღეგა ავშანი**

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი, სქლად ნაცრისფრად შებუსული მცენარეა. საყვავილე ღეროები სწორია, წკეპლისებრი, მრავალრიცხოვანი 20-40 (50) სმ სიმაღლის. ფოთლები თითქმის მომრგვალოა, ფრთისებრ განკვეთილი, სეგმენტები თათისებრად დაყოფილი ვიწრო ლანცეტა ფორმის მობლაგვო ნაკეთულებად. კალათები ცილინდრულია, სწორი. ყვავილები მოყვითალო შეფერილობისაა. თესლურა მუქი მურაა, უკუკვერცხისებრი, უქოჩრო. ყვ. VIII; ნაყ. IX-X. მცირე. აზიურ-ირანული სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება ქვიან და კლდოვან ადგილებში. ამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

***Artemisia lerchiana* L. - ავშანი**

მრავალწლოვანი მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, მონაცრისფრო ქეჩისებრ სქლად შებუსული. ღერო მრავალრიცხოვანია, სწორი, შუა ნაწილიდან დატოტვილი, 30-40 სმ სიმაღლის. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ორმაგ ფრთისებრ განკვეთილი მოკლე, ხაზური ფორმის, მობლაგვო წვერიან ნაკეთულებად, შუა და ზედა ფოთლები მჯდომარეა, თანდათანობით დაპატარავებული. კალათები მჯდომარეა, ზარისებრი, მჭიდროდაა განწყობილი გვერდით ტოტებზე და ქმნის გრძელ საგველასებრ ყვავილედს. ყვავილები მოყვითალო შეფერილობისაა, შიშველი. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. ევროპულ-მცირე. აზიური სახეობაა, ქსეროფიტი, ჰელიოფიტი. იზრდება მშრალ ქვიან და კლდოვან ადგილებში.

***Artemisia scoparia* Waldst. et Kit. – წნულისებრი ავშანი**

ერთ ან ორწლოვანი მთავარღერძიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-70 სმ სიმაღლისაა, მარტოული, იშვიათად 2-3, შუა ნაწილიდან ან ძირიდანვე დატოტვილი, მოწითალო ფერის, შიშველი, იშვიათად გაფანტულად შებუსული. ქვედა ფოთლები

ყუნწიანია, ორმაგ-სამმაგად განკვეთილი ვიწრო ხაზური ფორმის ნაკეთულებად. კალათები პატარა ზომისაა, კვერცხისებრი, შეკრებილია ხშირ მტევნებად, რომლებიც ტოტებს ფარავს და ქმნის ფართო, ფარხნატ საგველას. ყვავილები მოყვითალო ან მოწითალოა. თესლურა წვრილია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX. კოსმოპოლიტური სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე. გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში, ხასიათდება ჭეისმდენი და ბუასილის საწინააღმდეგო მოქმედებით.

Artemisia vulgaris L. – მამულა

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა სწორი, შიშველი ან გაფანტულად შებუსუსული 50-150 სმ სიმაღლის ღეროთი. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, დანარჩენი – მჯდომარე, ღრმდაა ფრთისებრ განკვეთილი ან დაყოფილია ფართო ლანცეტა ან ვიწრო ლანცეტა, ჩვეულებრივ ჩაჭრილ ნაკეთებად. კალათები მრავალრიცხოვანია, ზარისებრი, შეკრებილია გრძელ, მჭიდრო მტევნებად და საგველასებრ ყვავილედს ქმნის. ყვავილები მოწითალო-მურა შეფერილობისაა. ყვ. VII-X.; ნაყ. VIII-XI. ევრაზიური სახეობაა, მეზოფიტი, ჩვეულებრივი გზადმოყოლილი სარველა. ჰიდრომეზოფიტი. იზრდება წყლის პირებზე, დანაგვიანებულ ადგილებში, ბუჩქნარებში. გვხვდება ფრაგმენტულად. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ბალახი ხასიათდება სიცხის დამწვევი, ანტისეპტიკური და საერთო გამაჯანსაღებელი მოქმედებით.

Aster ibericus Stev. – იბერიული ასტრა

მრავალწლოვანი კორიზონტალური, გრძელ ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 20-80 სმ სიმაღლის, დატოტვილი ან მარტივი ღეროთი. ფოთლები სამძარღვიანია, ლანცეტა. მთელი მცენარე მონაცრისფრო ბუსუსებითაა მოფენილი. კალათები საშუალო ზომისაა, ფარისებრ ყვავილედად შეკრებილი. ენისებრი ყვავილები ღურჯია ან ცისფერი, მილისებრი – ყვითელი. თესლურა 4 მმ სიგრძისაა, შებუსუსული. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. მცირე. აზიური სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ქვიან ეკოტოპებზე, ბუჩქნარებში.

Bellis perennis L. – ზიზილა

მრავალწლოვანი, 5-20 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები უკუკვერცხისებრია ან მოგრძო ნიჩბისებრი. კალათები მცირე ზომისაა, მარტოული. ენისებრი ყვავილები თეთრი ფერისაა ან თეთრი ვარდისფერი წვეთით, მილისებრი-ყვითელი. თესლურა უკუკვერცხისებრია, ბრტყელი, მოთეთრო-მონაცრისფრო. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. პალეარქტიკული სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ტენიან ადგილებში, ტყის ფანჯრებში, ნატყევარ მდელოებზე. ფრიად დეკორატიულია, გამოიყენება ხალხურ მედიცინაშიც, როგორც ამოსახველებელი საშუალება ბრონქიტის, ღვიძლის დაავადებების, სიყვითლის, ნიკრისის ქარის, რევმატიზმის სამკურნალოდ.

Bidens tripartita L. – ორკბილა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-70 (100) სმ სიმაღლისაა, მარტივი ან ძირიდანვე დატოტვილი, მოპირისპირედ განწყობილი ტოტებით. ფოთლები მოკლეყუნწიანია, ღრმად 3-5-ად დაყოფილი, ღანცეცა ან მოგრძო ღანცეცა დაკბილულ ნაკვთად, რომელთაგან შუა ნაკვთი დანარჩენებზე ბევრად დიდია. კალათები აღმამდგომია, მარტოული ან რამდენიმეა ღეროს და ტოტების ბოლოებზე განლაგებული. ყვავილები მოყვითალო ყავისფერია. თესლურა სოლისებრია, შებრტყელებული. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ბორეალური, ევრაზიური სახეობაა, წყალჭაობის მცენარე. იზრდება დაჭაობებულ და ტენიან ადგილებში, წავკისისწყლის ხეობაში, მდინარის ნაპირებზე. გამოიყენება ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში, ხასიათდება შარდმდენი, ოფლმდენი, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით.

Callicephalus nitens (Bieb.) C.A.Mey – კალიცეფალუსი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 60-80 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ხაოიანია, ვიწრო ნაწილებად ფრთისებრ განკვეთილი. კალათა ჰომოგამურია, საშუალო სიდიდის, მრავალყვავილიანი. ყვავილები მეწამულია ან ვარდისფერი, თესლურა ოთხწახნაგოვანია, ძირში შევიწროებული, ქოჩრიანი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება მშრალ ქვიან ან ღორღიან ფერდობებზე, კლდოვან ადგილებში.

Cardus acanthoides L. – ეკლიანი ნარშავი

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-120 სმ სიმაღლისაა, დადარული, დატოტვილი, კალათებამდე ეკლიანი ფრთებით ჩავლებული, აბლაბუდასებრი ბეწვითაა ოდნავ მოფენილი ან გაბნეული ბეწვით შებუსული. ფოთლები მწვანეა, ლანცეტა ან ხახურ-ლანცეტა ფორმის, ღრმად ამოკვეთილ-ფრთისებრ დაყოფილი ან ამოკვეთილ-ფრთისებრ ნაკეთიანი, 2-5-ამოკვეთილ-დაკბილული ნაკეთით. კალათები მარტოულია ან რამდენიმე ერთად ჯგუფად გაწყობილი, სწორი, სფეროსებრ-ბზრიალასებრი ან თითქმის სფერული, სხვადასხვა ზომის საყვავილე ღერძზე განწყობილი. ყვავილები მეწამული ან ხორცისფერ-წითელი ფერისაა, იშვიათად თეთლი. ნაყოფი წვრილი თესლურაა, გარდიგარდმო ნაოჭებიანი. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში ციებ-ცხელების სამკურნალოდ.

Cardus hamulosus Ehrh. – კაუჭა ნარშავი

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-100 სმ სიმაღლის აბლაბუდისებრი ბეწვით მოფენილი ღეროთი. ფოთლები ფრთისებრია განკვეთილი, კვერცხისებრია, 2-3-დაყოფილი ეკლიანი ნაკეთებით. კალათები მარტოულია, სწორი, თითქმის სფერული. ყვავილები მეწამული ფერისაა. თესლურა წვრილზოლიანია, გარდიგარდმო სუსტად გამოსახული ნაოჭებით. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევროპული სახეობაა, მეზოქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე, კლდეებზე, რუდერალურ ადგილებში.

Cardus nutans L. – ჩაქინდრული ნარშავი

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-100 სმ-მდე სიმაღლის, მარტივი ან დატოტვილი, მაგარი, ეკლიან-ფრთიანი, ზედა ნაწილში ქეჩისებრი ბეწვით მოფენილი ღეროთი. ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, ამოკვეთილ-ფრთისებრ დაყოფილი, კვერცხისებრი, 3-5-ად დაყოფილი ნაკეთებით, კიდევებზე ეკლებიანი. კალათები ღეროსა და ტოტების კენწვროვანზეა მარტოულად განწყობილი, თითქმის სფერული ან სფერულ-ბზრიალასებრი. ყვავილები იისფერ-მეწამულია. თესლურა სუსტად დანაოჭებული. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-

ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, რუდერალურ-სეგეტალური სარეველა. იზრდება ნათესებში, რუდერალურ ადგილებში, მდელოებზე, გაფანტულად და მცირერიცხოვანი ჯგუფების სახით. ბალახის ნაცარი მდიდარია პოტაშით.

Cardus onopordioides Fisch. ex Bieb. – ბრტყელკალა ნარშავი

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-90 სმ სიმაღლის დადარული, დატოტვილი, ეკლიანი ფრთებით ჩაკლებული ღეროთი. ფოთლები მოგრძო უკულანცეტა ფორმისაა, ამოკვეთილ-ფრთისებრ განკვეთილი, ნაკეთები ეკლიანია, შიშველი. კალათა რამდენიმეა, სწორი, კვერცხისებრი ან სფერულ-ბზრიალასებრი. ყვავილები ვარდისფერ-მეწამული შეფერილობისაა. თესლურა გარდიგარდმო ნაოჭიანია. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ქვიან ან თიხნარ ფერდობებზე ერთეული ინდივიდების ან მცირერიცხოვანი ჯგუფების სახით. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Carthamus lanatus L. – აღისარჩული

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი, მონაცრისფრო-მომწვანო, აბლაბუდისებრ შებუსული მცენარეა, 1 მ-მდე სიმაღლის სწორი და მაგარი, მარტივი ან ზედა ნაწილში ფარისებრ ან გაფარჩხულ დატოტვილი ღეროთი. ფესვთანური ფოთლები ჩანგისებრია, ბასრკბილა გვერდითი სეგმენტებით და კვერცხისებრი ფორმის კენწრული სეგმენტით; ღეროსეული ფოთლები ტყავისებრია, მჯღომარე, ღერომხვევი, ლანცეტა, წვერზე ეკლით. კალათები მარტოულია, დიდი ზომის, კვერცხისებრი. ყვავილები მკრთალი ყვითელია. თესლურა უკუკვერცხისებრია, წვერზე ქონრით. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა. იზრდება ნათესებში, გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებში. თესლები ხასიათდება ძლიერი სასაქმებელი, ხოლო ფოთლები - შარდმდენი და ანტისეპტიკური მოქმედებით.

Centaurea depressa Bieb. – დიდილო

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა აბლაბუდისებრ-მატყლისებრი ბეწვით მოფენილი. ღერო 15-60 სმ სიმაღლისაა, სწორი ან წამოწეული, მარტივი ან დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, მთლიანი ან ჩანგისებრი, პატარა ზომის გვერდითი

ნაკვთებით; ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა, ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა ფორმის. კალათები საშუალო ზომისაა, ყვავილები იისფერ-ლურჯია. თესლურა ელიფსურ-უკუვერცხისებრია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ნათესებში, რუდერალურ ადგილებში, გზის პირებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Centaurea diffusa Lam. – დიფუზური დიდილო

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 15-50 სმ სიმაღლის სწორი, წიბოებიანი, ძირში გაფარჩხულად დატოტვილი, ხორკლიანი ღეროთი. ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, ორმაგ ფრთისებრ განკვეთილი, ღეროსეული - ფრთისებრ-ლანცეტაა, წაგრძელებული, წვეტიანი ნაკვთებით; ყველა ფოთოლი ნაცრისფერ-ქეჩისებრია, კიდეებზე და ქვედა მხარეზე წვრილი, ჯაგრისებრი ხორკლებით. კალათები პატარა ზომისაა, მარტოული. ყვავილები მოთეთროა ან ვარდისფერი. თესლურა მურა ფერისაა, სწორი, უქონრო. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-მცირე. აზიური სახეობაა. ქსეროფიტი, გზად მოყოლილი სარეველა. იზრდება მშრალ ეკოტოპებზე, ნათესებსა და რუდერალურ ადგილებში.

Centaurea iberica Trev. ex Spreng. – იბერიული დიდილო

ერთწლოვანი ხაოიანი ბეწვით მოფენილი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა, სწორი, მონაცრისფრო-მწვანე, გაფარჩხულად დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები ფრთისებრია განკვეთილი, ღეროსეული – ფრთისებრ დაყოფილია ხაზურ-ლანცეტა ფორმის, ეკლისებრ წვეტიან კიდეებზე დაშორიშორებულ კბილებიან სეგმენტებად. კალათები საშუალო ზომისაა, კვერცხისებრი ფორმის, მარტოული. ყვავილები ვარდისფერია. თესლურა კვერცხისებრია, ქონრით. ყვ. V-VI; ნაყ. VII-X. ევროპულ-მცირე. აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, გზის პირებზე.

Centaurea ovina Pall. ex Willd. – ცხვრის დიდილო

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა რბილი ქეჩისებრ-მატყლისებრი ბეწვით მოფენილი 50-80 სმ სიმაღლის სწორი, გაფარჩხული ღეროთი. ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, ორმაგ ფრთისებრ განკვეთილი ხაზური ნაკვთებით. ღეროსეული

–მჯდომარეა, ფრთისებრ დაყოფილი ხაზური ნაკვეთებით. კალათები წვრილია, მარტოული, მოგრძო კვერცხისებრი. ყვავილები ვარდისფერია, თესლურა მოგრძო უკუკვერცხისებრია, უქონრო. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX. მცირე. აზიურ-ირანული სახეობაა. იზრდება ქვიან და თიხნარ ეკოტოპებზე, გზისა და ტყის პირებზე.

***Centaurea reflexa* Lam. – გადაღუნული დიდილო**

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, 20-100 სმ-მდე სიმაღლის დადარული, ზედა ნაწილში დატოტვილი ღეროთი. ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, მოგრძო, ორმაგ ფრთისებრ განკვეთილი, მოგრძო უკუკვერცხისებრი სეგმენტებით; ღეროსეული ქვედა ფოთლები მჯდომარეა, ფესვთანურის მსგავსი, ზედა – მარტივია, მოკლე ხაზური ან ქერქლისებრი. კალათები შეკრებილია ფარისებრ ყვავილელებად. ყვავილები გოგირდისფერ-ყვითელია. თესლურა მოფენილია სქელი ბეწვით, ქონორი ჭუჭყისებრ-თეთრია. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. მცირე. აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ქვიან და კლდოვან ფერდობებზე.

***Centaurea solstitialis* L. (*C. adamii* Willd.) – მარტოული დიდილო**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მონაცრისფრო-ქეჩისებრი ბეწვით მოფენილი. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, სწორი, დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები ჩანგისებრია, კენწრული ფოთოლაკი უფრო დიდი ზომისაა, სამკუთხა-კვერცხისებრი ფორმის, კიდედაკბილული; ღეროსეული – ხაზური ან ხაზურ-ლანცეტაა. კალათები კვერცხისებრია, საშუალო ზომის, საბურველის ფოთოლაკები ხასიათდება 5–7-მოყვითალო ეკლით. ყვავილები ყვითელია, თესლურა ელიფსურ-კვერცხისებრია, მოთეთრო ფერის, ქონრიანი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-X. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, გზადმოყოფილი სარეველა. იზრდება მშრალ ქვიან და კლდოვან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში, ნათესებში.

***Cichorium intybus* L. – ვარდკაჭაჭა**

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი, მოღეგო-მწვანე ფერის მცენარეა 40-150 სმ სიმაღლის, დაკუთხულ-დადარული, გაფარჩხულად დატოტვილი ღეროთი. ფესვთანური ფოთლები მოგრძო ლანცეტა ფორმისაა, ფრთისებრ-დაკვეთილი ან

ამოდრღნილ-დაკბილული; ზედა ფოთლები მჯდომარეა, ლანცეტა ფორმის, ღერომხვევი. კალათები ტოტების კენწეროებზე მარტოულია, კენწრული ფოთლების იდლიებში კი ჯგუფად განწყობილი. ყვაილეები ცისფერია, იშვიათად თეთრი. თესლურა პრიზმისებრია, წვერზე წაკვეთილი, ყვითელი. ყვ. VI-X; ნაყ. VII-XI. ბორეალური, ევრაზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ფერდობებზე, გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებში, წყლის პირებზე. გვხვდება ფრაგმენტულად. გამოიყენება ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში, ხასიათდება დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედებით.

***Cirsium arvense* (L.) Scop. – მინდვრის ნარი**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 1 მ-მდე სიმაღლის, ზედა ნაწილში დატოტვილი, წახნაგოვანი, წვრილად დაღარული, ოდნავ შებუსული ღეროთი. ფოთლები ლანცეტა-ხაზურია ან მოგრძო ელიფსური, ღრმად ფრთისებრ დაყოფილი სამკუთხოვან ან მოგრძო ნაკვეთბად, ძირისა და წვერისკენ შევიწროებულია. კალათები მრავალია, ფარისებრ-საგველა ყვაილეებად შეკრებილი. ყვაილეები ლილისფერ-ვარდისფერია. თესლურა შებრტყელებულია, წვერზე ირიბად ამოკვეთილი. ყვ. V-VI; ნაყ. VI-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე. აზიური სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა. იზრდება დასარეველიანებულ ადგილებში, გზის პირებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

***Cirsium incanum* (S.G.Gmel) Fisch. – თეთრი ნარი**

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 1-1,5 მ სიმაღლის სწორი, დაღარული, თხელ აბლაბუდისებრ ბეწვიანი, ზედა ნაწილში ფარისებრ ტოტებიანი ღეროებით. ქვედა ფოთლები კვერცხისებრია ან განიერ ელიფსური, ფრთისებრ ნაკვეთებიანი, ქვედა მხარეზე თეთრი ქეჩისებრი, ზემოდან მწვანე, გლუვი, კიდეზე ქიცვისებრ წამწამებიანი და მოკლე წვრილი ეკლით დაბოლოებული; ღეროსეული ფოთლები დაპატარავებულია. კალათები ფარისებრ ყვაილეებდაა შეკრებილი. ყვაილეები ლილისფერ-ვარდისფერია. თესლურა შებრტყელებულია. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე. აზიური სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება გზის პირებზე, ყამირ და რუდერალურ ადგილებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Conyza canadensis (L.) Cronq. (*Erigeron canadensis* L.) – ცხენისკუდა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-150 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ხაზურ-ღანცეცტაა, მჯდომარე. ყვავილები თეთრი ფერისაა, დაყვავილების შემდეგ ბაცი იისფერი. კალათები პატარა ზომისაა, მრავალრიცხოვანი, შეკრებილია მტკვნელებად, რომლებიც თავის მხრივ გრძელ საგვევლადაა თავმოყრილი. ნაყოფი – თესლურაა, ხაზურ ღანცეცტა, ორმხრივშებრტყელებული. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX. ჩრდილო ამერიკული სახეობაა, სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, მდინარის ნაპირებზე, ნათესებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში სხვადასხვა სახის სისხლდენების სამკურნალოდ

Doronicum orientale Hoffm. – ყვითელი გვირილა

მრავალწლოვანი გრძელფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 15-50 სმ სიმაღლის, შიშველი ან გაბნეული ბეწვით შემოსილი, ზედა ნაწილში უფოთლო ღეროთი. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, მომრგვალო გულისებრი ფორმის, კიდებზე ამოკვეთილ დაკბილული ან კიდემთლიანი. ღეროსეული - ღერომხვევია, კვერცხისებრი. კალათები მარტოულია, ყვავილები მერთალი ყვითელია, თესლურა ყავისფერია, ქოჩრით. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის - ევროპულ - კავკასიური სახეობაა, მეზოფიტი, სციოფიტი. იზრდება დაჩრდილულ ადგილებში, იშვიათია. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში თავბრუსხვევისა და ეპილეფსიის სამკურნალოდ; ფრიად დეკორატიულია.

Echinops sphaerocephalus L. – თავკომბალა

მრავალწლოვანი ბალახოვანი, აბლაბუდისებრ-ქეჩისებრი ბეწვით და ჯირკვლებით დაფარული მცენარეა 0,5-1 მ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ფრთისებრგანკვეთილია, კიდევკლიანი. ყვავილები ცისფერია ან თეთრი, შეკრებილია მრავალ, მღვრიე თავაკისებრ ყვავილედებად. თესლურა უკუკონუსურია, ქოჩრით. ყვ. VII; ნაყ. VIII-IX. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ლიტოფილი. იზრდება სტეპებში, ქვიან და ღორღიან ქსეროფიტულ ეკოტოპებზე. გვხვდება ფრაგმენტების სახით. მცენარე ხასიათდება შარდმდენი და ოფლმდენი მოქმედებით.

Eupatorium cannabinum L. – ვარდკანაფა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 50-120 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები თითქმის მჯდომარეა, სამად გაყოფილი, თითოეული მათგანი მოყვანილობით ლანცეტა ან მოგრძო-ლანცეტა, ხერხებილა. კალათები პატარა ზომისაა, შეკრებილია ფარისებრ ყვავილედებად, ყვავილი ვარდისფერია. ნაყოფი ცილინდრული, წიბოებიანი, მუქი მურა ფერის თესლურაა ერთ წრედ განლაგებული ბეწვებისაგან შემდგარი ქოჩრით. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. ბორეალური, ევრაზიური სახეობაა, ჰიგრომეზოფიტი. იზრდება მდინარის ნაპირებზე, დაჭაობებულ ადგილებში, ტენიან ნაკაფებში. პოპულარული სამკურნალო საშუალებაა სიყვითლისა და სურავანდის სამკურნალოდ.

Filago arvensis L. – მინდვრის ნაცარა

ერთწლოვანი ბალახოვანი, თეთრი ან მონაცრისფრო, ხშირი ბეწვით მატყლისებრ შებუსული მცენარეა, 5-30 სმ სიმაღლის, სწორი, საგველასებრ დატოტვილი ღეროთი. ფოთლები პატარა ზომისაა, ლანცეტა ან ხაზური, მჯდომარე. კალათები პატარა ზომისაა, მოთეთრო, შეკრებილია გორგლებად ფოთლების იდლებში ან ტოტების ბოლოებში თავაკისებრ ყვავილედებად. ნაყოფი კვერცხისებრი, წვერზე შევიწროებული თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში, ნათესებში, როგორც სარეველა.

Filago eriocephala Guss. – ნაცარა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 5-30 სმ სიმაღლის დატოტვილი, უხვად შეფოთილი ღეროთი. მთელი მცენარე ქეჩისებრი შებუსვისაგან მოთეთროა ან მოყვითალო. ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, მჯდომარე, კიდეტალდოვანი. კალათები მოთეთროა, შეკრებილია ხშირ მომრგვალო თავაკებად და განლაგებულია გაორკაპებული ტოტების ბოლოებსა და მათ ძირში. თითოეულ თავაკში თავმოყრილია 20-ზე მეტი კალათა. ნაყოფი მოგრძო ოვალური თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VII-IX. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება მშრალ, კლდოვან ფერდობებზე, ნათესებში.

Galatella dracunculoides (Lam.) Nees. – შემოდგომის წინწკალა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-65 სმ სიმაღლის მარტივი, მოკლე ხშირი ბეწვით მოფენილი ღეროთი. ფოთლები მოკლეა, ორივე მხრიდან ჩაღრმავებული წერტილებით მოფენილი, ადვილად იმტვრევა, ქვედა მათგანი ღანცეცტაა, ზედა – ხაზური ან ხაზურ-ღანცეცტა. ენისებრი ყვავილები ღურჯი ან ცისფერია, შიგნითა მილისებრი, ყვითელი. ნაყოფი სიგრძეზე წიბოებიანი, ნახევრად მიტკეცილი ბეწვით მოფენილი თესლურაა. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, კემიქსეროფიტი, ლიტოფილი. იზრდება წავკისის ხევის გაყოლებასე ბუჩქნარებში, მშრალ ადგილებში.

Helichrisum rubicundum (C.Koch) Bornm. [*Helichrysum plintocalyx* (C.Koch) Sosn.] – უკვდავა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 10-40 სმ სიმაღლის მარტივი, ღეროთი. მთელი მცენარე მოთეთრო ბეწვით ქეჩისებრად მოფენილი. ღეროსეული ზედა ფოთლები ხაზური მოყვანილობისაა, ხოლო ქვედა - ხაზურ-ნიჩბისებრი, თავბლაგვი. ყვავილები ყვითელია, მილისებრი; კალათები პატარა ზომისაა, შეკრებილია მრავალ და კენწრულ შეკუმშულ ფარისებრ ყვავილელებად, მათი საბურველის ფოთლები სიფრიფანაა, მშრალი, პრიალა, ყვითელი ან ნარინჯისფერი. ნაყოფი მრგვალი, ხუთწანაგოვანი ან ოდნავ მობრტყო, ქოჩრიანი თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. კავკასიური სახეობაა, ლიტოფილური მცენარე. იშვიათია, ბოტანიკურ ბაღში დაფიქსირდა ყამირზე, მცირერიცხოვანი პოპულაციის სახით. გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში, ხასიათდება შარდმდენი, ჭიისმდენი, ნაღველმდენი მოქმედებით.

Hieracium umbellatum L. – ხარნუყა

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 20-90 სმ სიმაღლის უხვად შეფოთლილი ღეროთი. ფოთლები ღანცეცტა ან ხაზური, შორიშორს დაკბილული ან კიდემთლიანი. კალათები საშუალო ზომისაა, მუქი მწვანე საბურველით, შეკრებილია ქოლგად ან ისეთ საგველად, რომლის წვერზე პატარა ქოლგა მაინც წარმოიქმნება, ყვავილები ყვითელია. ნაყოფი მუქი მურა ფერის, თითქმის შავი თესლურაა. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. ბორეალური, ევრაზიური სახეობაა, ტყის, მეზოფიტი. იზრდება

წავკისის ხევის გაყოლებაზე, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში. ფესურა გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც შემკვრელი და სისხლდენის შემახერებელი საშუალება.

***Inula aspera* Poir. (*Inula cordata* auct) – ხორკლიანი მზიურა**

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 25-60 სმ სიმაღლის სწორი, მარტივი ღეროთი. ფოთლები უმეტესად შიშველია, ოდნავ ტყავისებრი, ხაოიანი, ვიწრო ელიფსურიდან ფართო ელიფსურამდე, ნაპირები წვრილკბილაა და ხაოიანი. კალათები საშუალო ზომისაა, შეკრებილია ფარისებრ ყვავილელებად, რიცხვით 2-6, იშვიათად ერთი, ყვავილი მოოქროსფრო ყვითელია. ნაყოფი ცილინდრული, წიბოიანი, შიშველი თესლურაა. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. თეტისის სახეობაა, ტყე-მდელოს მცენარე, მეზოქსეროფიტი. იზრდება ღია ადგილებში, ბალახოვან ფერდობებზე და ბუჩქნარებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ხასიათდება ამოსახველელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. ფრიად დეკორატიულია.

***Inula conyza* DC. (*Inula vulgaris* Lam.) – ჩვეულებრივი მზიურა**

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 40-1000 სმ სიმაღლის დატოტვილი, შებუსული ღეროთი. ფოთლები მოგრძო ელიფსურია, წვრილკბილა, ქვედა მათგანი ყუნწიანია, ზედა – მჯდომარე, ძირისკენ შევიწროებული. კალათა მრავალია, შეკრებილია ფარისებრ საგველა ყვავილელებად, ენისებრი ყვავილები მოწითალო ყვითელია, ნაყოფი შებუსული, ცილინდრული, წიბოებიანი თესლურაა. ყვ. VII; ნაყ. VIII-IX. ბორეალური, ევროპული სახეობაა, ტყის, ჰემიკრიფტოფიტი. გვხვდება წავკისის ხევის გაყოლებაზე, ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, მშრალ ფერდობებზე გაფანტულად. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. დეკორატიულია.

***Inula helenium* L. – კულმუხო**

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 1-1,5 მ სიმაღლის სწორი, ზედა ნაწილში დატოტვილი ღეროთი. ფოთლები დიდი ზომისაა, ელიფსური, არათანაბრად ხერხებილა, ქვემოდან რბილი, მოკლე მოთეთრო ბუსუსით შემოსილი, ქვედა მათგანი გრძელ ყუნწიანია, სიგრძით 35-50 სმ-მდე, ზედა ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, მჯდომარე და ღერომხვევი.

კალათები დიდი ზომისაა, მჯდომარე, ყვაილები ოქროსფერ-ყვითელია, ნაყოფი პრიზმული მოყვანილობის, ოთხწახნაგოვანი, შიშველი თესლურაა. ყვ. VII-IX; ნაყ. VIII-X. ბორეალური, ევრაზიური სახეობაა, ტყე-მდელოს მცენარე, მეზოფიტი. იზრდება წავკისის წყლის ხეობაში, ნაკაფებში, ტყის ფანჯრებში, ერთეული ინდივიდების სახით. გამოიყენება ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში როგორც ამოსახველებელი, შარდმდნი, ნალევმდენი და ჭიისმდენი საშუალება. დეკორატიულია.

Iurinea blanda (Bieb.) C.A.Mey. – იურინეა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, მარტოული, ზოგჯერ ძირში დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები მთლიანია, წაგრძელებულ-ნიჩბისებრი ან ლანცეტა ფორმის, ფრთისებრ დაყოფილი; ღეროსეული ფოთლები ფრთისებრ დანაკეთულია ვიწრო, კიდებგადაკეცილ ნაკვეთებად; ყველა მათგანი ზედა მხარეზე მომწვანოა, ქვედაზე – თეთრქქინისებრი. ყვაილები შეკრებილია ნახევრადსფერულ, მარტოულ კალათებად, რომლებიც გრძელ საყვავილე ღერძზეა განლაგებული; გვირგვინი მეწამული ფერისაა. ნაყოფი უკუპირამიდული თესლურაა, ოთხწახნაგოვანი, მურა ფერის ნაოჭებით. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. კავკასიის ენდემია. იზრდება მშრალ, განათებულ ღორღიან, ქვიან ეკოტოპებზე, თაბორისა და ნარიყალას ქედებზე.

Lactuca saligna L. – სალათა

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ძირიდანვე დატოტვილი, მკრთალი ყვითელი ან მოთეთრო 30-80 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ვიწრო ლანცეტაა, მთლიანი ან კიდებამოკვეთილი ან შორიშორს დაკბილული. კალათები საშუალო ზომისაა, მჯდომარე თავთავისებრ ყვაილელებად შეკრებილი, ყვაილები მკრთალი ყვითელია. ნაყოფი ყავისფერი, მოგრძო ოვალური თესლურაა. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში, ნათესებში.

Lactuca serriola L. – ღორის ქადა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 50-120 სმ სიმაღლის, მოთეთრო ან მკრთალი ყვითელი ღეროთი, რომელიც ქვედა

ნაწილში ეკლების მსგავსი ჯაგრითაა მოფენილი. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია ან ლანცეტა, მჯდომარე, ღერომხვევი, მახვილობილოებიანი, ქვემო მხრის მთავარ ძარღვზე ხეშეში ჯაგრით ჩამწკრივებული. ყვავილები ყვითელია, კალათები ყუნწიანია, ფართო ან ვიწრო საგველა ყვავილელებად შეკრებილი. ნაყოფი მკრთალი ყავისფერი ან მომწვანო-რუხი, თეთრ ნისკარტიანი თესლურაა. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. ბორეალური, ევრაზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ნათესებში, ნახატებსა და რუდერალურ ადგილებში.

Lapsana communis L. – ფუზფუნა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-90 სმ სიმაღლის ზემოთკენ დატოტვილი, შიშველი ღეროთი. ფოთლები თხელია, კიდელაკბილული, ქვედა და შუა ფოთლები ჩანგისებრია, ზედა - კვერცხისებრ ლანცეტა ან ლანცეტა. კალათები საშუალო ზომისაა, მრავალი, მეჩხერ ფარისებრ ყვავილელებად შეკრებილი, ყვავილები ენისებრია, მკრთალი ყვითელი. ნაყოფი მობრტყოსამწახნაგოვანი, ოდნავ მოღუნული, სიგრძეზე დადარული, უქონრო თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. ევროპულ-სამელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ჩვეულებრივი სარვეველა. იზრდება ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, ნათესებში, რუდერალურ ადგილებში.

Lapsana grandiflora Bieb. – მსხვილყვავილა ფუზფუნა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-120 სმ სიმაღლის, ზევითკენ დატოტვილი ღეროთი. ქვედა ფოთლები ჩანგისებრია, დაკბილული, ყუნწიანი, ზედა - მჯდომარე და კვერცხისებრ-ლანცეტა. კალათები მრავალია, ფარისებრ ყვავილედად შეკრებილი, ყვავილები მონარინჯისფრო-ყვითელი. ნაყოფი მობრტყო, სიგრძივდარიანი, უქონრო თესლურაა. ყვ. V-VII; ნაყ. VII-IX. სამელთაშუაზღვეთურ-კავკასიურ-ბალყანურ-მცირე აზიური სახეობაა, ტყის, მეზოფიტი. იზრდება დაჩრდილულ ადგილებში, ტყის ნარგაობებში, ბუჩქნარებში.

Leontodon asperimus (Willd.) Ball. – ლომისკბილა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-40 სმ სიმაღლის, მარტივი, ერთკალათიანი ღეროთი. ფოთლები ვიწრო ლანცეტაა, ამოდრღნილ-დაკბილული, ძირისკენ შევიწროებული. კალათა

საშუალო ზომისაა. ყვავილები ღია ყვითელია, ენისებრი, განაპირა მათგანი, ზოგჯერ გარედან მოლურჯოა. ნაყოფი მოგრძო, ვიწრო, სიგრძეზე წიბოებიანი, ძირსა და ბოლოში შევიწროებული თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება კლდოვან და მშრალ ადგილებში, მშრალ ფერდობებზე.

Leucanthemum vulgare L. – მინდვრის გვირილა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-60 სმ სიმაღლის, სწორი ან ოდნავ წამოწეული, ხშირად ზედა ნაწილში დატოტვილი ღეროთი. ქვედა ფოთლები ძირისკენ თანდათანობით შევიწროებულია და ცოტად თუ ბევრად ღრმად დაკბილული; შუა და ზედა ფოთლები მჯდომარეა, შორიშორს დაკბილული, ხაზური ფორმის. კალათები დიდი ზომისაა, მარტოული ან 2-3-ერთად შეკრებილი. ენისებრი ყვავილები თეთრია, მილისებრი – ყვითელი. ნაყოფი ცილინდრული, 10 თანაბარ თეთრ წიბოიანი თესლურაა. ყვ. IV-VI; ნაყ. VII-IX. ფართო გავრცელების ევრაზიური სახეობაა, სეგეტალურ-პასკუალური სარეველა, მეზოფიტი, ჰელიოფიტი. იზრდება მდელოებზე, ნათესებში, ბალახოვან ადგილებში. დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა, ხასიათდება ნერვული სისტემის დამამშვიდებელი და სასაქმებელი მოქმედებით.

Onopordum acanthium L. – ბრტყელკაღა

ორწლოვანი, იშვიათად მრავალწლოვანი, ეკლებიანი, აბლაბუდისებრი ბეწვით შემოსილი ბალახოვანი მცენარეა 15-150 (200) სმ სიმაღლის ზემოთ დატოტვილი, სიგრძეზე ეკლებიანი ფოთლებით ჩაველებული ღეროთი. ქვედა ფოთლები დიდი ზომისაა, დანაკეთული, შუათანა და ზედა - მთლიანია, მჯდომარე, კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-ღანცეცა. კალათები მსხვილია, თითოა ან რამდენიმე ერთად შეკრებილი, ყველა ყვავილი მილისებრია, მეწამული, ღია იისფერი ან ვარდისფერი. ნაყოფი უკუკვერცხისებრია, მობრტყო ოთხწახნაგოვანი და სიგრძეზე დანაოჭებული. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა, მეზოქსეროფიტი. იზრდება გზის პირებზე, ტენიან მდელოებზე, რუდერალურ ადგილებზე, ხევის გაყოლებზე. გამოიყენება ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში, ხასიათდება სისხლდენის

შემაჩერებელი, ბაქტერიციდული, კარდიოტონური და სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებით.

Petasites georgicus Manden. – ქართული ბუერა

მრავალწლოვანი ბალახოვანი, მსხვილფესურიანი მცენარეა 20-30 სმ სიმაღლის საყვავილე ღეროთი. ფოთლები დიდი ზომისაა, როზეტისეული, ვითარდება დაყვავილების შემდეგ, ფორმით ფართო კვერცხისებრიდან თირკმლისებრ-გულისებრამდე. ენისებრი ყვავილები მოყვითალო ფერისაა; კალათები კონუსურია, შეკრებილია პირამიდულ-საგველასებრ ყვავილელებად. ნაყოფი ხაზური, სიგრძეზე წიბოებჩაღლებული თესლურაა. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. საქართველოს ენდემია, მეზოფიტი. იზრდება მდინარისპირებზე, ტენიან ადგილებში, აღირიცხა მცირერიცხოვანი პოპულაცია. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ხასიათდება სპაზმოლიტური და ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით.

Picris strigosa Bieb. – ჯაგრისებრი სტრიგოზა

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, უფრო ხშირად გაფარჩხულ-დატოტვილი, რბილი ბეწვითა და წვერდატოტვილი ჯაგრით შემოსილი. ქვედა ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, დანაკვეთილი, ხოლო ზედა – ხაზურ-ლანცეტა, ძირშევიწროებული და წვერდატოტვილი ჯაგრით შემოსილი. კალათები ფარისებრ საგველა ყვავილელებადაა შეკრებილი. ყვავილები გოგირდისფერია. ნაყოფი თესლურაა, ჭუჭყისფერთეთრი ქონრით. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. ევროპული სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე.

Podospermum canum (C.A.Mey.) Hoffm. – პოდოსპერმუმი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-30 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლების უმეტესობა ფესვის ყელთან როზეტადაა შეკრებილი, ვიწრო ხაზურია და ვიწრო ნაწილებად ფრთისებრ დაყოფილი. კალათები საშუალო ზომისაა, მარტოული, ყვავილები ენისებრია, ყვითელი. ნაყოფი მოგრძო, სიგრძეზე დაღარული, ქონრიანი თესლურაა. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. მცირე აზიური სახეობაა, ქსეროფიტი, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე.

Podospermum laciniatum (L.) DC. – დანაკეთული პოდოსპერმუმი

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 15-45 სმ სიმაღლის, სწორი ან წამოწეული, შეფოთილი ღეროთი. ფოთლები ხაზურ ნაწილებადაა ფრთისებრ დაყოფილი, მათი კენწრული ნაწილი უფრო მსხვილია და ხაზურ-ლანცეტა; ღეროსეული ფოთლები დაპატარავებულია, მთლიანი, ვიწრო ხაზური. კალათა საშუალო ზომისაა, მარტოული, ყვავილები ენისებრია, მკრთალი ყვითელი. ნაყოფი ცილინდრული თესლურაა, სიგრძეზე დადარული, ქონრიანი. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-ირანული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება ნათესებში, მშრალ ადგილებში. ფესვები და ნორჩი ფოთლები საკვებად გამოიყენება.

Pulicaria dysenterica (L.) Bernh. (*Inula dysenteria* L.; *Pulicaria uliginosa* Stev. ex DC.) – პულიკარია

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 30-60 სმ სიმაღლის დატოტვილი, მოთეთრო-მონაცრისფრო ბეწვით მოფენილი ღეროთი. ფოთლები მჯდომარეა, გულისებრი ძირით, ქვემოდან მოთეთრო ქეჩის მსგავსად შებუსული; ქვედა ფოთლები ელიფსურია ან ელიფსურ-ლანცეტა ფორმის, შუათანა და ზედა - კვერცხისებრი ან ელიფსური. კალათები პატარაა, შეკრებილია ფარჩხატ ფარისებრ ყვავილედებად, ყვავილები მოქროსფრო ყვითელია. ნაყოფი მოგრძო უკუკვერცხისებრი, წიბოებიანი თესლურაა. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. ბორეალური, სამხრეთევროპული სახეობაა, ჰიგრომეზოფიტი. იზრდება წყალჭაობიან ადგილებში, წავკისის ხევის გაყოლებაზე.

Pyrethrum corymbosum (L.) Scop. – ფარისებრი გვირილა

მრავალწლოვანი მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 35-120 სმ სიმაღლის სწორი, დადარული, წიბოებიანი და ბეწვით მოფენილი ღეროთი. ფოთლები მოგრძო ფრთისებრია, მათი სვემენტები უთანაბროდაა დაკბილული; ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ზედა - მჯდომარე, ქვედა მხრიდან ბეწვით შემოსილი. ენისებრი ყვავილები თეთრია; კალათები გრძელყუნწიანებია, ერთი ან რამდენიმე ფარის მსგავს ყვავილედებად შეკრებილი. ნაყოფი უკუპირამიდული, სიგრძეზე ღრმად და თანაბრად დადარული, თავზე დაკბილული სიფრიფანა არშიით შემოვლებული თესლურაა. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII. ბორეალური, დასავლეთევრაზიური სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება

ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ტყის პირებზე. ინსექტიციდური დანიშნულების მცენარეა.

Pyrethrum parthenifolium Willd. – საჭარა

მრავალწლოვანი გრძელფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 30-80 სმ სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ორმაგფრთისებრ განკვეთილია, მათი სეგმენტები დაყოფილია კვერცხისებრი მოყვანილობის ან მოგრძო, ბლავვ ნაკვთებად. კალათები პატარა ზომისაა, გრძელყუნწიანი, მრავალრიცხოვანი ენისებრი ყვავილები თეთრია. ნაყოფი უკუპირამიდული, დაღარული, წვრილი თესლურაა. ყვ. VI-X; ნაყ. VIII-XI. თეტისის სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება წავკისის ხევის გაყოლებზე, ბუჩქნარებში, მდელოებზე. ინსექტიციდური დანიშნულების მცენარეა.

Pyrethrum sericeum (Adams) Bieb. – ნაცარა გვირილა

მრავალწლოვანი ფესურიანი, ბალახოვანი მცენარეა 15-35 სმ სიმაღლის მარტივი, სწორი, თითოკალათიანი ღეროთი. მთელი მცენარე უხვი და ხშირი ბეწვის გამო, მოთეთრო-მოვერცხლისფროა. ფოთლების უმეტესობა როზეტის სახით, ღეროს ძირშია თავმოყრილი, გრძელყუნწიანია, მოყვანილობით ფართო-ლანცეტა, ორჯერ ფრთისებრ განკვეთილი, მათი უკანასკნელი სეგმენტები ხაზურია, მახვილი. კალათები დიდი ზომისაა, მარტოული, ენისებრი ყვავილები თეთრია. ნაყოფი უკუპირამიდული, დაღარული, მოკლე მრგვალკბილა, მოყავისფრო შეფერილობის თესლურაა. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის, კავკასიური სახეობაა, ქსეროფიტი. იშვიათია, იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე, კლდეთა ნაპრალებში. ფრიად დეკორატიულია.

Reichardia glauca Matthews. – რეხარდია

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 30-90 სმ სიმაღლის სწორი, დატოტვილი ღეროთი. ფოთლები მოგრძოა, ფრთისებრ დანაკვთული, ზოგჯერ თითქმის მთლიანი, კიდეტალღოვანი და უთანაბრო ზომის თითქმის მხვლეტავ კბილებიანი, ისევე როგორც ღერო ლევა შეფერილობისაა. კალათები დიდი ზომისაა, ღეროს ტოტებზე თითო-თითოდ განლაგებული, ყვავილები ენისებრია, შიშველი. ნაყოფი

ოთხწახნაგოვანი, სიგანეზე დანაოჭებული, მურა ფერის თესლურაა. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ხრიოკ ადგილებში.

Senecio vernalis Waldst. et Kit. – გაზაფხულის თავყვითელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-40 სმ სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ქვედა ფოთლები მოგრძოა, ამოკვეთილ-დაკბილული, ძირისკენ ყუნწად შევიწროებული, დანარჩენები მოგრძო-სახურია, ღერომხვევი, ფრთისებრ ღრმად დანაკვეთული და კიდედაკბილული. კალათები ცილინდრული ფორმისაა, კენწეროზე ფარხნატ ფარისებრ-საგველა ყვავილედეზად შეკრებილი, ენისებრი ყვავილები მოოქროსფრო-ყვითელია. ნაყოფი ცილინდრული 5-10 წიბოიანი, სქლად თეთრად შებუსული თესლურაა, წვრილი მარტივი ბეწვისაგან შემდგარი ქორით. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI; ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა ირადიაციით, ფართოდ გავრცელებული სარეველა. იზრდება ბალახოვან და კირქვიან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში, ნათესებში.

Senecio vulgaris L. – ჩვეულებრივი თავყვითელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 15-40 სმ სიმაღლის დატოტვილი ღეროთი, ფოთლებიანად შიშველი ან აბლაბუდას მსგავსი ბეწვით მოფენილი. ფოთლები მოგრძო უკუკვერცხისებრია, ცოტად თუ ბევრად ღრმად აბოკვეთილ-ფრთისებრ დაყოფილი. კალათები ვიწრო ცილინდრული ფორმისაა, ტოტების კენწეროებზე შეკრებილი ფარისებრ-საგველა ყვავილედეზად; ენისებრი ყვავილები განუვითარებელია, მილისებრი – ყვითელი შეფერილობისაა. ნაყოფი ცილინდრული, წიბოებიანი, ოდნავ შებუსული თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, მდინარის ნაპირებზე.

Sigesbeckia orientalis L. – ბირკაულა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-100 სმ სიმაღლის დატოტვილი, მოკლე და ხუჭუჭა ბუსუსით მოფენილი ღეროთი. ფოთლები ფართოა, კვერცხისებრ-სამკუთხა, კვერცხისებრი ან მოგრძო კვერცხისებრი, ნაპირებზე მსხვილბილა. კალათები პატარა ზომისაა, ტოტების ბოლოებში

განლაგებული, ენისებრი ყვავილები მოკლეა, ყვითელი. ნაყოფი უკუპირამიდული, ოთხწახნაგოვანი, უქონრო, მუქი რუხი ან მოშავი თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-XI. ბორეალური სახეობაა, სარეველა. იზრდება გზის პირებზე, რუდეერალურ ადგილებში, ნათესებში.

Silybum marianum (L.) Gaertn. – ბაყაყურა

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 100-150 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი, იშვიათად მარტივი, ცილინდრული, სიგრძეზე დადარული, შიშველი ან აბლაბუდისებრი ბეწვით აქა-იქ მოფენილი. ფოთლები დიდი ზომისაა, განსაკუთრებით ფესვთანური და ქვედა ფოთლები, დანარჩენები – უფრო მცირე ზომისაა, მჯდომარე, ღერომხვევი; ყველა ფოთოლი ძარღვების გაყოლებაზე თეთრლაქებიანია, უკულანცეტიცები ან ელიფსური, ფრთისებრდანაკეთული ან ფრთისებრგანკვეთილი, ნაკვეთი არასწორად დაკბილულ-ჩაჭრილია და მაგარი, ბოლოვდება ყვითელი ეკლით. კალათები სფერულია, ტოტების ბოლოებზე მარტოულად განლაგებული; ყვავილები მეწამულია. ნაყოფი ელიფსური ან მოგრძო უკუკვერცხისებრი თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-აზიური სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა. იზრდება ნათესებში, რუდეერალურ ადგილებში. ხალხურ მედიცინაში რეკომენდებულია ღვიძლის, ნაღვლის სადინარების, ელენთის ანთებითი პროცესების, ჭკლების, ყაბზობის დროს.

Solidago virgaurea L. – ოქროსწიკვლა

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 25-80 სმ სიმაღლის სწორი, შებუსული ღეროთი. ფესვთანური ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრია ან ფართო ნიჩბისებრი, ქვემოდან დაწყებული ზევითკენ თანდათანობით შემცირებულია, კიდევხერსებიდა. კალათები საშუალო ზომისაა, მტევნის მსგავს საგველა ყვავილებად შეკრებილი, ყვავილები ყვითელია. ნაყოფი ცილინდრული, შებუსული თესლურაა, ერთ წრედ განლაგებული მტვერევადი ბეწვისაგან შემდგარი ქონრით. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX. ბორეალური, დასავლეთევრაზიური სახეობაა, ტყის, მეზოფიტი. იზრდება ტყის ფანჯრებში, მდელოებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც შარდმდენი, ნაღველმდენი საშუალება შარდკენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ.

Sonchus asper (L.) Hill. – ღიჭა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-100 სმ სიმაღლის, ჯირკვლოვანი ჯაგრით შემოსილი ღეროთი. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, მთლიანი ან ამოკვეთილ-დანაკეთული. ენისებრი ყვავილეები ყვითელია, კალათები საშუალო ზომისაა, ფარის მსგავს საგველა ყვავილეებად შეკრებილი. ნაყოფი მობრტყო, ოვალური, სიგრძეზე წიბოებიანი, ქოჩრიანი თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VII-IX. ფართოდ გავრცელებული რუდერალური, კოსმოპოლიტური მცენარეა. იზრდება გზის პირებზე, ნათესებში. თაფლოვანია.

Sonchus oleraceus L. – ბოსტნის ღიჭა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-60 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ფრთისებრ განკვეთილია, უთანაბროდ დაკბილული. კალათები საშუალო ზომისაა, ფარის მსგავს საგველა ყვავილეებად შეკრებილი, ენისებრი ყვავილეები ყვითელია. ნაყოფი ოვალური, სიგრძეზე წიბოებიანი, სიგანეზე დანაოჭებული თესლურაა. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. კოსმოპოლიტური სახეობაა, ფრიად გავრცელებული სარეველა. იზრდება ნათესებში, რუდერალურ ადგილებში. თაფლოვანია.

Taraxacum grossheimii Schischk. – გროსჰეიმის ბურბუშელა (ბაბუაწვერა)

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 10-25 სმ სიმაღლის საყვავილე ღეროთი. ფოთლები მოგრძო-უკუღანცეცაა, საკმაოდ დიდი ზომის, ბურბუშელისებრი, ფრთისებრ დანაკეთული, მისი ნაკეთები სამკუთხაა, უკან მიმართული და მეტწილად კიდედაკბილული. კალათები საშუალო ზომისაა, მარტოული, ყვავილეები ენისებრია, ყვითელი. ნაყოფი ნაცრისფერი, ხორკლით მოფენილი თესლურაა. ყვ. IV-V. ნაყ. V-VII. კაკასიის ენდემია. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნაკაფებზე. იშვიათია, მითითებულია ადრეული მკვლევარების მიერ. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Taraxacum officinale Wigg. – სამკურნალო ბურბუშელა (ბაბუაწვერა)

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 10-30 სმ სიმაღლის საყვავილე ღეროთი. ყვავილეები მოგრძო უკუღანცეცაა

ფორმისაა, ბურბუშელისებრ ან ჩანგისებრ-ფრთისებრ განკვეთილი სამკუთხა, კიდემთლიან ან დაკბილულ, ძირს ან გვერდზე გადახრილ ნაკვეთებად, შიშველი ან ქვედა მხარეზე ოდნავ შებუსული. კალათები საშუალო ზომისაა, მარტოული. ყველა ყვავილი ენისებრია, მოოქროსფრო ან ღია ყვითელი ფერის. ნაყოფი მოგრძო უკუკვერცხისებრი თესლურაა, თეთრი ქონრით. ყვ. IV – X; ნაყ. V-XI. ბორეალური, ფართო ვერაზიური სახეობაა. იზრდება ტენიან და რუდერალურ ადგილებში, ნაკაფებში, გზისა და ტყის პირებზე. გამოიყენება მეცნიერულ და ხალხურ მედიცინაში როგორც მადის მომგვრელი, საკვებმომწელებელი ტრაქტის მოქმედების გამაუმჯობესებელი, ნალევმდენი, დიურეზული და სასაქმებელი საშუალება.

Taraxacum praticola Schischk. – მღელს ბურბუშელა

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 4-20 სმ-მდე სიმაღლის საყვავილე ღეროთი. ფოთლები უკუკვერცხისებრიდან მოგრძო უკულანცეტამდე, არაღრმად ფრთისებრ დაკვეთილი. კალათები საშუალო ზომისაა, მარტოული. ყველა ყვავილი ენისებრია, ღია ყვითელი ფერის, გარედან ჩასდევს მუქი ფერის ზოლი. ნაყოფი მოგრძო უკუკვერცხისებრი, ღია მურა ან მომურო-მოწითალო ფერის თესლურაა. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. კავკასიის ენდემია. იზრდება მშრალ ხირხატთან, ბალახოვან ფერდობებზე, გზის პირებზე.

Taraxacum serotinum (Waldst. & Kit.) Poir. – საგვიანო ბურბუშელა

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 5-20 სმ-მდე სიმაღლის საყვავილე ღეროთი. ფოთლები თითქმის ტყავისებრია, უკუკვერცხისებრიდან მოგრძო უკულანცეტამდე, ბურბუშელისებრ-ფრთისებრ განკვეთილი, ცოტად თუ ბევრად ფართო სამკუთხა ნაკვეთებით. კალათა მარტოულია; ყველა ყვავილი ენისებრია, ნარინჯისფერ-ყვითელი ფერის. ნაყოფი თითისტარისებრი, ღია ნაცრისფერი ან მომურო ფერის თესლურაა, მასზე 2-ჯერ გრძელი ქონრით. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე. აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში.

Tragopogon coloratus C.A.Mey – ფერადი ფამფარა

ორწლოვანი მთავარდერძა ფესვიანი ბალახოვანი მცენარეა 5-20 სმ-მდე სიმაღლის სწორი, ძლიერი, მარტივი ან ძლიერ დატოტვილი, საკმაოდ ხშირფოთლიანი ღეროთი. ფესვთანური ფოთლები ვიწროა, ხაზური; ღეროსეული – ლანცეტა-ხაზური. საყვავილე ღერძი მარტოული მცირეყვავილიანი კალათით ბოლოვდება. ყვავილები მეწამული ფერისაა. ნაყოფი ვიწროღარიანი, ათწიბოიანი, სორკლიანი ქერქლებით მოფენილი თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. მცირე აზიურ-კავკასიური სახეობაა. იზრდება მშრალ და ბალახოვან ფერდობებზე.

Tragopogon graminifolius DC. – მარცვლოვანფოთოლა ფამფარა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-90 სმ-მდე სიმაღლის წამოწეული ან სწორი, მარტივი ან დატოტვილი, მრავალრიცხოვანი ღეროთი. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები ლანცეტა-ხაზური ფორმისაა, კიდემთლიანი, წვერისკენ წაწვეტებული, ზედა ფოთლები შედარებით მოკლეა, ძირში გაფართოებული. კალათები არ არის დიდი ზომის, მცირეყვავილიანია, ყვავილები ყვითელი ფერისაა. კალათაში ყველა თესლურა განსხვავებულია. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VIII. ირანულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ღია ადგილებში, მდელოებზე, ნახსატებზე, ბუჩქნარებში, გზის პირებზე.

Tragopogon pusillus Bieb. – პაწაწკინტელა ფამფარა

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი ქულასებრ შებუსული მცენარეა 20-25 სმ-მდე სიმაღლის. ფესვი წვრილია, ქვედა ნაწილში ტუბერისებრ გამსხვილებული. ფესვთანური ფოთლები ძალიან ვიწროა, მრავალი, ღეროსეული ფოთლები ძირში გაფართოებულია, წვერისკენ ღრმად შევიწროებული. კალათები პატარა ან საშუალო ზომისაა, ყვავილები ყვითელია. ყველა თესლურა განსხვავებულია. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. კავკასიურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვიან ადგილებსა და ფერდობებზე, მდელოებსა და ბუჩქნარებში.

Tragopogon serotinus Sosn. – საგვიანო ფამფარა

მრავალწლოვანი შიშველი ან ქულასებრ შებუსული ბალახოვანი მცენარეა, 50 სმ სიმაღლის მრავალი, ძლიერ დატოტვილი, ხშირფოთლიანი, წამოწეული ან ძირიდან სწორი ღეროთი. ფესვი

სწორია, ცილინდრული. ფესვთანური და დეროსეული ქვედა ფოთლები ვიწრო ხაზური ფორმისაა, კიდემთლიანი, წვერისკენ წაწვეტებული, ზედა ფოთლები უფრო მოკლეა, ძირში გაფართოებული. კალათები პატარებია, მცირე ყვავილიანი, ყვავილები ყვითელი ფერისაა. თესლურები ქერქლისებრი ხორკლითაა მოფენილი, ძირში გლუვი. ყვ. IV-VI. ნაყ. VI-VIII. კავკასიის ენდემია. ჰემიქსეროფიტი, იზრდება ნაშალ-ღორღოვან და კლდოვან ეკოტოპებზე, თაბორისა და ნარიყალას მშრალ ფერდობებზე.

Tragopogon tuberosus C.Koch. – ტუბერიანი ფამფარა

მრავალწლოვანი შიშველი ან ქულასებრ შებუსული ბალახოვანი მცენარეა 45 სმ სიმაღლის სწორი ღეროთი. ფესვი ქვედა ნაწილში ტუბერისებრ გამსხვილებულია. ფესვთანური ფოთლები მრავალია, გრძელი ხაზური; დეროსეული ფოთლები ქვედა მხარეს ძლიერ გაფართოებულია, რის შემდეგაც თანდათანობითაა სიგრძეზე შევიწროებული, ღერომხვევი. კალათები დიდი ზომისაა, ყვავილები კაშკაშა ყვითელია, ქვედა მხარეზე 4 იისფერი ზოლი ჩასდევს; განაპირა თესლურები ქერქლისებრი ხორკლებითაა მოფენილი, შიგნითა თესლურები წვრილია, არათანაბრად გამოსახული ქერქლიანი წიბოებით. ყვ. V-VI; ნაყ. VII. კავკასიის ენდემია. ჰემიქსეროფიტი. იზრდება მშრალ ხირსატიან ფერდობებზე, გზის პირებზე.

Tussilago farfara L. – ვირისტერფა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გრძელი მხოხავი ფესურით. პირველად ვითარდება 10-25 სმ სიმაღლის საყვავილე ღეროები, რომლებიც მოფენილია ქერქლისებრი, მოწითალო, წვრილი ფოთლებით. მოგვიანებით წარმოიქმნება მომრგვალო-კვერცხისებრი ფორმის, კიდებზე არათანაბრად ამოკვეთილ-დაკბილული, ზედა მხარეზე შიშველი, ქვედაზე – სქლად თეთრად მატყლისებრ შებუსული ფესვთანური ფოთლები. კალათები მარტოულია, პატარა ზომის, ყვავილები კაშკაშა ყვითელია, ზოგჯერ მოწითალო. თესლურა წაგრძელებულ-ცილინდრულია. ყვ. II-IV; ნაყ. IV-V. ბორეალური, ევრაზიური სახეობაა, ფართო ეკოლოგიით. იზრდება განათებულ და ნახევრად დაჩრდილულ ადგილებზე, წყლის პირებზე, ნაშალებზე. გამოიყენება ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში როგორც

ანთების საწინააღმდეგო, დამარბილებელი, ამოსახველებელი და შარდმდენი საშუალება.

Xanthium spinosum L. – ცეცხლეკალა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-50 სმ სიმაღლის სწორმდგომი, ძლიერ დატოტვილი, მოკლე ბეწვით შემოსილი ღეროთი. ფოთლები მოკლე ყუნწიანია, 3-5 ნაკვთიანი, ზედა მხარეზე მიტკეცილებეწვიანი, მწვანე, ქვედა მხარეზე მოთეთრო ქეჩისებრი ბეწვით მოფენილი; ფოთლის ნაკვთები ღანცეცბაა, სოლისებრ შევიწროებული, კიდემთლიანი ან მცირეოდენ დაკბილული. ღეროზე ფოთლების ძირში ზის 1 ან 2, ორად ან სამად დატოტვილი ყვითელი ეკალი. კალათები ერთსქესიანია, ერთსახლიანი (მდედრობითი და მამრობითი კალათები ერთ მცენარეზეა განლაგებული); მდედრობითი კალათები მოგრძოა ან კვერცხისებრი, ორყვავილიანი, მათი საბურველი შეზრდილია, 1-2 მხვლეტავი რქითაა დაბოლოებული, ნაყოფობის დროს გამაგრებულია, ზედაპირზე წვერმოკაუჭებული ეკლებით მოფენილი; ასეთი ცრუნაყოფი ღეროსა და მის ტოტებზე თითო-თითოდ ან ჯგუფურადაა განწყობილი. მდედრობითი ყვავილები ყვითელია, უყვავილსაფროა და ორბუდიან მდედრობით კალათებში თითო-თითოდ განლაგებული. მამრობითი კალათები თითქმის სფერულია, მრავალყვავილიანი, ტოტების ბოლოებში განლაგებული; მამრობითი ყვავილები მილისებრია. ნაყოფი მოგრძო, უქონრო, ეკლებიან საბურველში წყვილ-წყვილად ჩამჯდარი თესლურაა. ყვ. VI-X; ნაყ. VII-XI. ჩრდილო ამერიკული სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა, ქსეროფიტი. იზრდება რუდერალურ ადგილებში, გზებზე, ნათესებში. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისა და სისხლიანი ფაღარათის დროს.

Xanthium strumarium L. – ღორის ბირკა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 15-120 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგომი, დატოტვილი, ფოთლებთან ერთად მოკლე ხაოიანი ბეწვით შემოსილი ღეროთი. ფოთლები მომრგვალო სამკუთხა ან კვერცხისებრია. მდედრობითი კალათები 2-3 ერთადაა საერთო ყვავილედის ქვედა ნაწილში შეკრებილი ან მარტოულია. მამრობითი კალათები სფერულია, განლაგებულია ყვავილედის ზედა ნაწილში; მწიფე ცრუ ნაყოფი მომწვანო-მონაცრისფროა,

ფართო ელიფსური ან კვერცხისებრი. ყვ. VII-X; ნაყ. VIII-IX. ჩრდილო ამერიკული სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა, ქსეროფიტი. იზრდება რუდერალურ ადგილებში, გზებზე, ნათესებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში როგორც შარდმდენი, სიცხის დამწვევი და სედატიური საშუალება.

Xeranthemum squarrosum Boiss. – ოქროცოცხა

ერთწლოვანი ბალახოვანი, მოთეთრო-მონაცრისფროდ შებუსული მცენარეა 20-40 სმ სიმაღლის, ძირიდანვე დატოტვილი ღეროთი. ფოთლები მოგრძო ხაზური ფორმისაა, ნაცრისფერი ბეწვით შებუსული. კალათები საშუალო ზომისაა, ღეროს ტოტების ბოლოებში თითო-თითოდ განლაგებული, შეიცავს 20-40 ყვავილს; გარეთა ყვავილები უნაყოფოა, მცირე რიცხვით, ხოლო შიგნითა მილისებრი და ორსქესიანი; ყვავილობის დროს საბურველი ან ფართო-კვერცხისებრია, ან ზარისებრი; მისი შიგნითა ფოთლები ვარდისფერია, პრიალა, გარეთებზე ბევრად გრძელი, რის გამოც ენისებრი ყვავილების შთაბეჭდილებას ქმნის. ნაყოფი მწოლარე ბეწვითაა სქლად შემოსილი, მოგრძო თესლურაა, ერთ რიგად განწყობილი ქოჩრით. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში. თაფლოვანი და დეკორატიულია, გამოიყენება ხალხურ მედიცინაში კუჭის დაავადებებისა და ფეხების შეშუპებისას.

Fam. Balsaminaceae – ოჯ. ინასებრნი

Impatiens noli-tangere L. – უკადრისა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-100 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია ან ელიფსური. დიდი ზომის ყვავილები ყვითელია. ნაყოფი მოგრძო ხაზური კოლოფია, მრავალი წვრილი თესლით. ყვ. VI-VIII; ნაყ. IX. ევრაზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება დაჩრდილულ და ნოტიო ადგილებში, მდინარის ნაპირებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში წყალმანკის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებებისას და როგორც პირსასაქმებელი. თაფლოვანი მცენარეა.

Fam. Boraginaceae – ოჯ. ლაშქარასებრნი

Aegonichon purpureocaeruleum (L.) Holub. – მოცისფრო-მეწამული კაკბის საკენკელა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მოკლე გახევებული ფესურითა და უნაყოფო, ხშირად მწოლარე ყლორტებით. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, მარტივი, სწორი, სქლად შეფოთილი, გადახრილბეწვიანი. ფოთლები კიდემთლიანია, ქვედა – ხაზური, დანარჩენი ლანცეტისებრი, მახვილწვერიანი, მიტკეცილბუსუსიანი. ყვავილი მოიისფრო-ლურჯია, გაშლისას მოწითალო. კაკლუჭები მომრგვალო კვერცხისებრია, თეთრი, გლუვი, პრიალა, წვერში მობლაგვო. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის-ევროპულ-ყირიმულ-კავკასიურ-მცირე აზიური სახეობაა, ტყის, მეზოფიტი. დაფიქსირდა მცირე ჯგუფის სახით ბუჩქნარებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში როგორც დამარბილებელი და გამამაგრებელი საშუალება.

Anchusa italica Retz. - პატარბაღა

ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-60 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ოვალური ან მოგრძო ლანცეტაა. ყვავილი მეწამული-ლურჯი ფერისაა. ნაყოფი კაკლუჭაა, ვიწრო კვერცხისებრი, ყავისფერი. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში, ყამირზე, ერთეული ინდივიდების სახით. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში სიყვითლის საწინააღმდეგოდ. გამოირჩევა დეკორატიულობითაც.

Asperugo procumbens L. – ბატკნისყურა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 50 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მოგრძო ელიფსურია ან ლანცეტა. ყვავილი იისფერია, მცირე ზომის. კაკლუჭები გვერდებშებრტყელებულია, მსხლისებრი ფორმის. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. პალეარქტიკული სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნათესებში, ბუჩქნარებში.

Cynoglossum officinale L. – ძაღლის ენა

ორწლოვანი ბალახოვანი, ქეჩისებრ შებუსული მცენარეა 30-100 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მოგრძო ლანცეტა ან ელიფსური ფორმისაა. ყვავილი ჭუჭყისფერ-მეწამულია.

კაკლუჭები ფართო კვერცხისებრია. ყვ. V-VIII; ნაყ. VII-IX. გერაზიური, ბორეალური წარმოშობის სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ქვიან ადგილებში, ბუჩქნარებში, გვხვდება იშვიათად. გამოიყენება ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში. ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი და ამოსახველებელი მოქმედებით.

Echium rubrum Jasq. - ბირწითელა

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-100 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ფართო ღანცეცაა. ყვავილები მეწამული შეფერილობისაა, მილისებრზარისებრი. კაკლუჭები პატარა ზომისაა, შავი, წვრილობორცვიანი. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, სტეპებზე, ერთეული ინდივიდების სახით. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში ჭრილობების შესახორცებლად, ქალური დაავადებებისა და გველის ნაკბენის საწინააღმდეგოდ. ფრიად დეკორატიულია.

Echium vulgare L. – ღურჯი ბირწითელა

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-60 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ღანცეცა ან ხაზურ-ღანცეცა ფორმისაა. გვირგვინი ძაბრისებრია, პირველად წითელი ფერის, შემდეგ იღებს ღურჯ შეფერილობას. კაკლუჭა მურა ფერისაა, ბორცვებიანი. ყვ. VI-IX; ნაყ. VIII-X. დასავლეთეგრაზიური, ხმელთაშუაზღვეთური წარმოშობის სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება ყამირზე, რუდერალურ ადგილებში, იშვიათად ნათესებში, ერთეული ინდივიდების სახით. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში სისხლის გამწმენდ საშუალებად. ფრიად დეკორატიულია.

Heliotropium ellipticum Ledeb. – ჰელიოტროპი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-40 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-ელიფსური. ყვავილი თეთრია. კაკლუჭების ზედაპირი თითქმის გლუვია. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. აღმოსავლეთხმელთაშუაზღვეთურ-ირანულ-თურანული სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება მშრალ, ღორღიან ადგილებში, გზის პირებზე, ნათესებში.

Lappula barbata (Bieb.) Guerke. – მეჭეჭიანი ჩიტის ბირკა

ერთწლოვანი 40-60 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები შეკრებილია როზეტად, ღანცებთანხობისებრია. ყვავილები ცისფერია ან მოთეთრო. კაკლუჭები ხორკლიანია. ყვ. IV-VI; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთური წარმოშობის სახეობაა, ჰემიქსეროფიტი, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება მშრალ ქვიან, ღორღიან ადგილებში.

Lappula patula (Lehm) Nenyharth. – ჩიტის ბირკა

ერთწლოვანი 10-30 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები ხაზურია, ბლაგვი ან მომრგვალო. ყვავილი ცისფერია. კაკლუჭები მოგრძოა ან ოვალური. ყვ. IV-V. ნაყ. V-VI. ხმელთაშუაზღვეთურ-ირანულ-თურანული სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე.

Lithospermum arvensis L. – ქვათესლა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 5-30 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მოგრძო-ღანცება ან ხაზური ფორმისაა. ყვავილი იისფერ-თეთრია, იშვიათად ცისფერი ან ღურჯი. კაკლუჭები კვერცხისებრ-სამკუთხოვანია. ყვ. IV-V; ნაყ. V-VII. ხმელთაშუაზღვეთურ-პალეარქტიკული სახეობაა, მეზოქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, რუდერალურ ადგილებში.

Lithospermum officinale L. – კაკბის საკენკელა

მრავალწლოვანი მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორმდგომია, საგველასებრ დატოტვილი, მეტ-ნაკლებად გაფარჩხული ტოტებით, ხშირად შეფოთლილი. ფოთლები კიდემთლიანია, ღანცება ან მოგრძო ღანცეცისებრი, წაწვეტებული, მიტკეცილი ბეწვით შებუსული. ყვავილები თეთრია ან მოყვითალო-თეთრი, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილელებად, რომლებიც ღეროს დატოტვილ ნაწილშია განლაგებული. კაკლუჭები კვერცხისებრია ან მოგრძო, თეთრი, პრიალა, ბლაგვწვერიანი. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII; ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-აზიური სახეობაა, ტყის, მეზოფილური. იზრდება ბუჩქნარებში, მდელოებზე ერთეული ინდივიდების სახით. ხალხურ მედიცინაში თესლები გამოიყენება შარდის ბუშტის კენჭოვანი და ვენერიული დაავადებებისას.

Lycopsis orientalis L. – შაფხოხა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 10-40 სმ სიმაღლის ღეროთი; მთელი მცენარე მოფენილია გაფარჩხული, უხეში ბეწვით. ფოთლები მოგრძო ოვალურია. ყვავილი ღურჯი ფერისაა. კაკლუჭა ირიბ-ოვალური ფორმისაა. ყვ. V; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთურ-ირანულ-თურანული სახეობაა, სარეველა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე, რუდეერალურ ადგილებში. წარმოდგენილია ფრაგმენტების სახით.

Myosotis arvensis (L.) Hill. – კესანე

ორ ან მრავალწლოვანი ეფემერული მცენარეა 20-50 სმ სიმაღლის ღეროთი. ფესვთანური ფოთლები მოგრძო ნიჩბისებრია, ღეროსეული – მოგრძო ლანცეტა. ყვავილი ვარდისფერია, შემდგომ ცისფერი. კაკლუჭა მურა-მოშავო ფერისაა. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ევროპულ- ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა ირადიაციებით, ტყე-მდელოს, მეზოფიტი. იზრდება ნათელ ტყეებში, ბუჩქნარებში, ბალახოვან ფერდობებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში თვალის დაავადებებისას. დეკორატიულია.

Nonea lutea (Desr) DC. – ყვითელი ნონეა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 15-40 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მოგრძო ლანცეტა ფორმისაა. ყვავილი ღიმილისფერ-ყვითელია. კაკლუჭები ნაოჭიანია. ყვ. III-V; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება გზის პირებზე, მშრალ ქვიან, ხირხატიან ფერდობებზე, კლდოვან ადგილებში.

Nonea rosea (Blieb.) Link. – ვარდისფერი ნონეა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 15-40 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები უკუკვერცხისებრია. ყვავილი ვარდისფერია ან იისფერ-ვარდისფერი. კაკლუჭები ოდნავ შებრტყელებულია, ხასიათდება სიგრძივი ნაოჭით. ყვ. III-V; ნაყ. VI-VIII. აღმოსავლეთ ამიერკავკასიური სახეობაა. იზრდება გზის პირებზე, მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ზოგჯერ ნათესებში.

Nonea setosa (Lehm.) Roem. & Schult. – ჯაგრისებრი ნონეა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გაფარჩხული, უხეში ბეწვით მოფენილი. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, სწორი ან

წამოწეული, დატოტვილი, სუსტი. ქვედა ფოთლები მოგრძო უკუკვერცხისებრია, ბლაგვეწვერიანი, კიდემთლიანი ან დაკბილული; შუათანა ფოთლები მჯდომარეა, ღერომხვევი. ყვავილები შეკრებილია წაგრძელებულ, ცალმხრივ ყვავილედად. გვირგვინი დიდი ზომისაა, ყვითელი ფერის. კაკლუჭები ვიწრო ოვალური ფორმისაა, სწორი, ოდნავ შესამჩნევი სიგრძივი ნაოჭებით. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. კავკასიის ენდემია, აწერილია თბილისის მიდამოებიდან. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ნაშალ ღორღიან ეკოტოპებზე.

Onosma microcarpa Stev. & DC. – წვრილნაყოფა ონოსმა

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ხშირი, მოკლე ბუსუსებითა და ჯაგრისებრი ბეწვებით შებუსული მცენარეა. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა. ფოთლები ხაზურ-ღანცეტა ფორმისაა. ყვავილი ყვითელია. კაკლუჭა ნაცრისფერი წინწკლებითაა მოფენილი, გლუვი. ყვ. V-VI; ნაყ. VI. წინა აზიური, ლიტოფილური სახეობაა. იზრდება ქვიან ფერდობებზე.

Onosma tenuiflora Willd. – წვრილფოთოლა ონოსმა

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ხშირი, მოკლე ბუსუსებითა და ჯაგრისებრი ბეწვებით შებუსული მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა. ქვედა ფოთლები ხაზურ-ნიჩბისებრია, ზედა – ხაზური. ყვავილი მოყვითალოა, წვრილბუსუსიანი. კაკლუჭა ფერფლისებრ-ნაცრისფერია. ყვ. IV-V; ნაყ. V-VII. პონტურ-სარმატული, ლიტოფილური სახეობაა. იზრდება ქვიან ფერდობებსა და კლდეებზე.

Symphytum caucasicum Bieb. – კავკასიური ღაშქარა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-75 სმ სიმაღლის ღეროთი. მთელი მცენარე შებუსულია ჯაგრისებრი, ხაოიანი, რბილი მონაცრისფრო ბეწვით. ფოთლები ფართოა, ვიწრო-ღანცეტა ან კვერცხისებრი. ყვავილი ღურჯი ფერისაა. კაკლუჭა მუქი ყავისფერია, ბადისებრ-ნაოჭიან-ბორცვიანი. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. კავკასიის ენდემია, ტყის, მეზოფილური. იზრდება წავკისის ხეობაში, ტენიან მდელოზე, წყლისპირა მონაკვეთებზე მცირე ჯგუფებად. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Fam. Brassicaceae (Cruciferae) – ოჯ. კომბოსტოსებრი (ჯვაროსანნი)

Alliaria petiolata (Bieb.) Cavara ex Grande – ნივრის დედა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-50 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფესვთანური ფოთლები თირკმლისებრია, ღეროსეული შუა ფოთლები გულისებრი, ზედა – კვერცხისებრ-გულისებრი. ყვავილი თეთრია. თესლი მოშავო-მოყავისფრო. ყვ. IV-VII; ნაყ. VII-VIII. დასავლეთ ევრაზიური სახეობაა, ჰემიკრიფტოფიტი. იზრდება ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, ნაკაფებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში სურავანდის, ასთმის, კუჭის აშლილობის დროს.

Alyssum desertorum Stapf. – უდაბნოს აღისუმი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 5-20 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მოგრძო ხაზურია, ძირისკენ შევიწროებული, ღეროიანად ვარსკვლავისებრი ბეწვით შემოსილი. ყვავილები მკრთალი ყვითელია. ნაყოფი სრულიად შიშველია, ოდნავ თავამოკვეთილი, ბრტყელნაპირებიანი, შუაში საგდულეზამოხნეკილი, ხშირ მტევენებად შეკრებილი ჭოტაკია. თითოეულ ბუდეში წითური, ვიწრო ფრთით შემოვლებული 1-2 თესლია. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. აღმოსავლეთხმელთაშუაზღვეთურ-ირანულ-თურანული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებსა და რუდერალრ ადგილებში. ჩვეულებრივი სარეველია.

Alyssum murale Waldst. & Kit. – კედლის აღისუმი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-60 სმ სიმაღლის ღეროთი. მთელი მცენარე მიტკეცილი ვარსკვლავისებრი ბეწვებისაგან მონაცრისფრო-მოთეთროა. ფოთლები მოგრძო უკუოვალური ან მოგრძო უკუღანცებია. ყვავილი ოქროსფერ-ყვითელია, შეკრებილია პირამიდულ საგველასებრ ყვავილედად. ნაყოფი მომრგვალო და ბრტყელი ჭოტაკია. თესლი სიფრიფინა ფართო ფრთითაა შემოვლებული. ყვ. III-VII; ნაყ. V-VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, მეტწილად სამხრეთის კალთებზე. გვხვდება ხშირად.

***Alyssum tortuosum* Waldst. & Kit. ex Willd. – კლაკნია ალისუმი**

მრავალწლოვანი ბალახოვანი, მონაცრისფრო-ღვებო მცენარეა 5-30 სმ სიმაღლის დაკლაკნილი, წამოწეული ან სწორი ღეროთი. ფოთლები მოგრძო უკუკვერცხისებრია ან მომრგვალო-ოვალური, თავწაწვეტებული და ძირისკენ ყუნწად შევიწროებული, ღეროიანად ვარსკვლავისებრი ბეწვით მოფენილი. ყვავილი ოქროსფერ-ყვითელია, შეკრებილია ფარისებრ საგველა ყვავილედად. ნაყოფი ელიფსური ან ოვალური, ბრტყელი, ვარსკვლავისებრი ბეწვით შემოსილი ჭოტაკია. თესლი მომრგვალებულია, უფროს. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე, კირქვიანებზე, ქვიან ადგილებში.

***Brassica campestris* L. – შალგი**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-100 სმ-მდე სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ზედა ფოთლები მჯდომარეა, კვერცხისებრი, ღერომხვევი, ქვედა – ყუნწიანია, ჩანგისებრ-ფრთისებრ დაყოფილი. ყვავილები მკრთალი ყვითელია. ნაყოფი მოგრძო-კონუსური მოყვანილობის ჭოტია. თესლის ზედაპირი ბადისებრია დაქსელილი, მოწითალო-მურა შეფერილობისაა. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. ცენტრალურ აზიური სახეობაა, ქსერომეზოფიტი. იზრდება დანაგვიანებულ ადგილებზე, ნათესებში. ჩვეულებრივი სარეველაა, მისგან მზადდება პოტაში.

***Brassica elongata* Ehrh. – წაგრძელებული კომბოსტო**

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 50-120 სმ სიმაღლისაა, ზედა ნახევრიდან გაფარჩხულ-დატოტვილი. ზედა ფოთლები ყუნწიანია ან ყუნწად შევიწროებული, მოგრძო-კვერცხისებრი ან ხაზური, კიდემთლიანი და შორიშორ დაკბილული. ქვედა ფოთლები მთლიანია ან ფრთისებრ დაყოფილი, შებუსული და შორიშორ დაკბილული, მოგრძო ან მოგრძო-უკუკვერცხისებრი. გვირგვინის ფირცლები მკრთალი ყვითელია. ნაყოფი ცილინდრული ჭოტია, კონუსური ან ცილინდრული ნისკარტით. თესლი ოვალურია. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ნათესებში, მშრალ, ქვიან ადგილებში.

Calepina irregularis (Asso) Thell. – მაკრატელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-50 სმ-მდე სიმაღლის ძირიდანვე დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ამოკვეთილ-დაკბილულია, მათგან ქვედა ყუნწიანია, ფრთისებრ დაყოფილი ან მთლიანი, როზეტად შეკრებილი, ხოლო ზედა - მჯდომარეა, მთლიანი, ღერომხვევი და ძირბიბილოებიანი. ყვავილები თეთრია, შეკრებილია მოკლე მტევნებად, რომლებიც ნაყოფობისას გრძელდება და თავთავის მსგავსი ხდება. ნაყოფი კვერცხისებრი, სიგრძეზე წიბოებჩაველებული, შიშველი ჭოტაკია. ყვ. IV; ნაყ. V. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება გზის პირებზე და რუდერალურ ადგილებში.

Camelina microcarpa Andr. – წიწმატა-სელი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 25-75 სმ-მდე სიმაღლის ძირიდანვე დატოტვილი ღეროთი, მოფენილია მარტივი აფშეკილი და მოკლე დატოტვილი ბეწვით. ფესვთანური ფოთლები მოგრძო უკუოვალურია, ღეროსეული - ლანცეტა. ყვავილი მკრთალი ყვითელია. ნაყოფი მოგრძო მსხლისებრი ჭოტაკია. თესლი ცილინდრულია, მოწითალო. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. პალეარქტიკული სახეობაა, როგორც სარეველა გვხვდება მშრალ, ქვა-ღორღიან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში.

Capsella bursa-pastoris (L.) Medic. – წიწმატურა, საჭიჭორა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მარტივი და დატოტვილი ბეწვით მოფენილი, 10-40 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფესვთანური ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, უფრო ხშირად ფრთისებრაა დაყოფილი, იშვიათად მთლიანია. ღეროსეული ფოთლები მცირერიცხოვანია, უფრო მცირე ზომისაა და ლანცეტა ან ხაზური ფორმის. ყვავილები პატარა ზომისაა, უფრო ხშირად თეთრი, შეკრებილია მოკლე ფარისებრ ყვავილელებად. ნაყოფი მობრტყო ჭოტაკია, უკუსამკუთხა და ოდნავ თავამოკვეთილი; ნაყოფის ბუდეები მრავალთესლიანია; თესლი ოვალურია, ყვითელი და თითქმის გლუვი. ყვ. III-IV; ნაყ. V-VI. ბორეალური სახეობაა ფართო მეორადი არეალით, გზადმოყოლილი სარეველა. იზრდება გზის პირებზე, ნათესებში, მდელოებზე, რუდერალურ ადგილებში. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება საშვილოსნოდან, კუჭისა და ფილტვებიდან სისხლდენის დროს.

Cardaria draba (L.) Desv. (*Lepidium draba* L.) - წიწმანტელა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-40 სმ სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ღეროზე განლაგებული ფოთლები მოგრძოა ან ლანცეტა, ცოტად თუ ბევრად დაკბილული, მჯდომარე, დერომხვევი; ქვედა ფოთლები – ყუნწიანი. ყვავილები თეთრია, ფარისებრ ყვავილედად შეკრებილი. ნაყოფი გულისებრი ჭოტაკია. ყვ. V-VI; ნაყ. VII. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება გზის პირებზე, ნათესებში.

Cardaria propinqua (Fisch. & C.A.Mey.) N. Busch (*Lepidium propinquum* Fisch. & C. A. Mey). – წიწმანტელას მახლობელი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-50 სმ სიმაღლის, ზემოთკენ დატოტვილი ღეროთი. ფოთლები წაგრძელებულია, ძირისკენ შევიწროებული. ყვავილი თეთრია, ფარისებრ ყვავილედად შეკრებილი. ნაყოფი მომრგვალო-გულისებრი ჭოტაკია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ჩრდილო-ირანული სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება გზის პირებზე, მშრალ გორაკებზე, იშვიათად ნათესებში.

Conringia orientalis (L.) Dumort. – კომბოსტურა

ერთწლოვანი ბალახოვანი ღევა-ნაცრისფერი მცენარეა, 15-75 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მოგრძო ელიფსურია ან ფართო ელიფსური, კიდემთლიანი, დერომხვევი. ყვავილი მკრთალი ყვითელია. ნაყოფი ხაზური ჭოტია. თესლი ყავისფერია, ხაოიანი. ყვ. IV-V; ნაყ. V. ხმელთაშუაზღვეთურ-ირანულ-თურანული სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებში, ნასვენ ნაკვეთებზე. გამოიყენება საკვებად, მხალეულის სახით.

Crambe juncea Bieb. – კოტრანი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-70 სმ სიმაღლის წვრილი, დატოტვილი ღეროთი. ფოთლები დიდი ზომისაა, მოგრძო კვერცხისებრი, უთანაბროდ ამოკვეთილ-დაკბილული ან ფრთისებრ დაყოფილი, ქვემოდან ხეშეში ბეწვით მოფენილი. ყვავილები თეთრია, გვირგვინის ფურცლები მთლიანი, უკუკვერცხისებრი, ძირისკენ შევიწროებული; შეკრებილია დატოტვილ, მეჩხერ, წვრილტოტებიან ყვავილედად. ნაყოფი

გაუხსნელი ჭოტაკია, რომელიც ორი ნაწილისაგანაა შემდგარი: ზედა ნაწილი სფერულია, გლუვი, ერთოესლიანი, ზომით ბევრად უფრო დიდი, ქვედა კი ყუნწის მსგავსია, მოკლე ცილინდრული. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. იბერიული სახეობაა, ჰემიკრიფტოფიტი. იზრდება მშრალ, ქვიან და ღოდნარ ფერდობებზე.

***Descurainia sophia* (L.) Webb ex Prantl. (*Sisymbrium Sophia* L.) – ცახოს ბალახი**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 15-75 სმ სიმაღლის სწორი დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ვიწრო ხაზურ ნაწილებად ორსამმაგ ფრთისებრია დაკვეთილი, შიშველია ან მოკლე დატოტვილი ბეწვით შემოსილი. ყვავილები მომწვანო-ყვითელია. ნაყოფი წვრილი, ოდნავ მოღუნული ჭოტია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-IX. პალეარქტიკული სახეობაა, რუდერალური სარეველა. იზრდება გზების გასწვრივ, დანაგვიანებულ ადგილებსა და ნათესებში.

***Erophila praecox* (Stev.) DC. – ეროფილა**

ერთწლოვანი პატარა ზომის ბალახოვანი მცენარეა 1-8 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მოგრძო ან ელიფსური, ძირისკენ შევიწროებული და მოკლე ყუნწად გადასული. ყვავილები თეთრია. ნაყოფი უკუოვალურ-მომრგვალებული ჭოტაკია, თესლი მრავალია, წვრილი, ყავისფერი, გლუვი. ყვ. III-IV; ნაყ. IV. ხმელთაშუაზღვეთურ-ირანულ-თურანული სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება მშრალ გორაკებსა და ფერდობებზე, ქვიშნარ და დანაგვიანებულ ადგილებში.

***Erophila verna* (L.) Chevall. – გაზაფხულის ეროფილა**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 2-25 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მოგრძო ელიფსურია. ყვავილები თეთრია. ნაყოფი მოგრძო-ელიფსური ჭოტია. თესლი მოწითალო-ყავისფერია, მოგრძო ოვალური. ყვ. III-IV; ნაყ. IV-V. ხმელთაშუაზღვეთურ-ირანულ-თურანული სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება მშრალ და რუდერალურ ადგილებში, ნათესებში, გზის პირებზე.

***Erysimum leptophyllum* (Bieb.) Andr. – ერიზიმუმი**

მრავალწლოვანი ბალახოვანი მონაცრისფრო-ლევა ფერის მცენარეა 10-35 სმ-მდე სიმაღლის სწორი, მარტივი ღეროთი.

ფოთლები ხაზური ან ვიწრო ხაზურია, მეტწილად კიდემთლიანი, ბეწვით მოფენილი, ქვედა ფოთლები მრავალრიცხოვანია. ყვავილები ყვითელია, საშუალო ზომის. ნაყოფი მობრტყო-ოთხწახნაგოვანი ჭოტია. თესლი წვრილია, ყავისფერი. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. წინააზიური სახეობაა. იზრდება კლდეებზე, მშრალ, ქვიან ფერდობებზე.

Isatis iberica Stev. – ქართული მათრახა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი ხეშეში ბეწვით შებუსუსული მცენარეა 30-60 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები კიდელაკბილულია, რბილი ან ხეშეში ბეწვით სქლად მოფენილი, მათგან ქვედა ფოთლები მოგრძოა, შუა და ზედა მჯდომარე, ძირში ისრისებრი. ყვავილები ყვითელია. ნაყოფი მოგრძო-ნიჩბისებრი ჭოტია, თესლი მოკლე ცილინდრულია. ყვ. IV; ნაყ. VI. კაკასიის ენდემია. იზრდება ღია, მზიან ადგილებში, კლდეებსა და ღორღიანებზე, ნაშაღებზე, მშრალ ადგილებში. ბაღში ფართო ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში ჭრილობებისა და სიმსივნის საწინააღმდეგოდ.

Isatis subradiata Rupr. – მათრახა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-60 სმ სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ფოთლები მოგრძო ნიჩბისებრია, ზედა – ხაზურ-ლანცეტა. ყვავილი ყვითელია. ნაყოფი ელიფსური ან ვიწრო ელიფსური ჭოტაკია. თესლი წვრილია, მოყავისფრო. ყვ. V; ნაყ. V-VI. წინააზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებსა და ნაშაღებზე.

Lepidium campestre (L.) R.Br. – მინდვრის წიწმატელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 15-60 სმ სიმაღლის სწორი ღეროთი. ფოთლები ღეროზე სქლადაა განლაგებული, ლანცეტაა ან მოგრძო, ამოკვეთილ-დაკბილული, უხვად შებუსუსული, იშვიათად შიშველი. ყვავილები თეთრია. ნაყოფი მომრგვალო, ქვედა მხრიდან გამობერილი, მეჭეჭებით მოფენილი ჭოტაკია, მომწიფებისას ორი საგდულით იხსნება. ნაყოფის თითოეული ბუდე ერთთესლიანია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ევროპული სახეობაა. იზრდება გზის პირებზე, ნათესებში, ნათელ ტყეებში, ბუჩქნარებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში როგორც

ქარმდენი, სურავანდისა და რეჰმატიზმის საწინააღმდეგო საშუალება.

Myagrurn perfoliatum L. – ყვინა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-80 სმ სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ღეგაა, მოგრძო ლანცეტა, კიდემთლიანი ან ამოკეკეთილ-დაკბილული. ყვავილები ყვითელია. ნაყოფი უკუმსხლისებრი, სიგრძივნაოჭიანი ან ბორცვებიანი ჭოტაკია. ყვ. IV; ნაყ. V. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა, სარეველა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, დანაგვიანებულ ადგილებში, ნათესებსა და გზის პირებზე.

Nasturtium officinale R. Br. – წყლის წიწმატი

მრავალწლოვანი ბალახოვანი წყლის მცენარეა 5-50 სმ სიმაღლის, წამოწეული, ფესვმომკიდე და დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ფრთისებრია დაყოფილი, მათგან კენწრული ნაწილი უფრო დიდია, მომრგვალო ან ოვალური, დაკბილული, გვერდითები – მოგრძოა ან ოვალური, მრგვალებილა და ძირში ასიმეტრიული. ყვავილები თეთრია, ნაყოფობის პერიოდში მათი ყუნწები ჰორიზონტალურადაა მიმართული ან ქვემოთაა დახრილი. ნაყოფი ცილინდრული, ოდნავ მოღუნული ჭოტია. თესლი ნაყოფში ორმწკრივადაა განლაგებული, მოწითალო მიხაკისფერია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VIII. დასავლეთ ევრაზიური სახეობაა, ჰიგრომეზოფიტი. იზრდება მდ. წავეკისსწყლის პირებზე, დაჭაობებულ ადგილებში. თაფლოვანი მცენარეა, გამოიყენება ხალხურ მედიცინაში კანის ქრონიკული გამონაყრების, ანემიის, ეგზემის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების დროს.

Neslia paniculata (L.) Desv. – ნესლია

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 25-80 სმ სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ლანცეტაა, ისრისებრფუძიანი, ქვედა მათგანი ელიფსურია, ყუნწადაა შევიწროებული. ყვავილები ყვითელია. ნაყოფი სფერული ჭოტაკია, მომწიფებისას გაუხსნელი რჩება, ერთთესლიანია. ყვ. V. ნაყ. VI. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა ფართო მეორადი არეალით, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება ნასვენ ნაკვეთებზე, რუდერალურ ადგილებში.

Rapistrum rugosum (L.) All. – ბოლოკა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-100 სმ-მდე სიმაღლის დატოტვილი, ფოთლებიანად ხეშეში ბეწვით მოფენილი ღეროთი. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, კვერცხისებრ-ლანცეტა, ჩანგისებრი ან ფრთისებრ დაყოფილი, ზოგჯერ მთლიანი, ზედა – მოგრძო ლანცეტა ან ლანცეტა, ძირისკენ ყუნწად შევიწროებული ან მჯდომარე. ყვავილები ყვითელია. ნაყოფი ჭოტაკია, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება – ზედა ნაწილი სფერულია, ნისკარტით დაბოლოებული, სივრძეზე დაღარული და დანაოჭებული, გაუხსნელი, ერთთესლიანი, ქვედა ნაწილი ყუნწის მსგავსია, ცილინდრული, 1-2-თესლიანი. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. ხმელთაშუაზღვეთური წარმოშობის მცენარეა. იზრდება მშრალ დანაგვიანებულ ადგილებში, ნათესებში, გზის პირებსა და ფერდობებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში როგორც შარდმდენი საშუალება.

Sinapis arvensis L. – მინდვრის მღოფი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 10-80 სმ-მდე სიმაღლის დატოტვილი და ხაო-ბეწვიანი ღეროთი. ფოთლები კვერცხისებრია, უთანაბროდ დაკბილული, ზედა ფოთლები უფრო ვიწროა და თითქმის მჯდომარე, ქვედა ჩანგისებრია ან მთლიანი, ზოგჯერ ფრთისებრ დაყოფილი, ყველა მათგანი ბეწვებითაა მოფენილი. ყვავილები მკვეთრი ყვითელია. ნაყოფი ცილინდრული ან ცილინდრულ-ოთხწახნაგოვანი ჭოტია. თესლი სფერულია, მუქი ყავისფერი. ყვ. VI-X; ნაყ. VII-X. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ზომიერად მშრალ, ნაყოფიერ და თიხნარ ნიადაგებზე, ნათესებში, ნახატებში, დანაგვიანებულ ადგილებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ხასიათდება შარდმდენი მოქმედებით.

Sisymbrium irio L. – გონგოლა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 10-60 სმ-მდე სიმაღლის დაუტოტავი და აფშეკილი ბეწვით მოფენილი ღეროთი. ფოთლები რამდენიმე ლანცეტა ნაწილადაა დაყოფილი, რომელთა შორის კენწრული მსხვილია და მოყვანილობით შუბისებრი. ყვავილები ყვითელია. ნაყოფები შიშველი, მცირეოდენ მოღუნული, მოკლე ხეშეში ბეწვით თხლად მოფენილი ჭოტია. თესლი მოწითალო-ყვითელია. ყვ. III-V; ნაყ. V-VIII. ხმელთაშუაზღვეთური

წარმოშობის მცენარეა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნათესებში, გზის პირებსა და ფერდობებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Sisymbrium loeselii L. – ლოზელის გონგოლა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-80 სმ-მდე სიმაღლის დატოტვილი და ქვემოთ მიმართული აფშეკილი ბეწვით მოფენილი ღეროთი. ფოთლები ჩანგისებრი და ბურბუშმელისებრია, ფრთისებრგანკვეთილი. ყვავილები ყვითელია. ნაყოფი შიშველი, მოკლე ბეწვით მოფენილი ჭოტია. თესლი ელიფსურია, ღია ყვითელი. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VIII. ცენტრალურაზიური სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა. იზრდება ნათესებში, გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებსა და მშრალ ფერდობებზე.

Sisymbrium officinale (L.) Scop. – ღორღორა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 15-60 სმ-მდე სიმაღლის გაფარჩხულ-დატოტვილი ღეროთი. მთელი მცენარე სქლადაა შებუსული. ფოთლები 3-7 კიდედაკბილულ ნაწილადაა ფრთისებრდაკვეთილი. ყვავილები ყვითელია. ნაყოფი სადგისისებრი მოყვანილობის თავწაწვეტებული ჭოტია. თესლი მოწითალო-მიხაკისფერია. ყვ. V-X; ნაყ. VI-X. ხმელთაშუაზღვეთურ-ევროპული სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნათესებში, გზის პირებსა და ფერდობებზე. ფოთლები და თესლები ხასიათდება შარდმდენი, ჭისმდენი, ამოსახველებელი და სურავანდის საწინააღმდეგო მოქმედებით.

Sterigmostemum tomentosum (Willd.) Bieb. – სტერიგმოსტემუმი

ერთწლოვანი ბალახოვანი, ვარსკვლავისებრი ხშირი ბეწვით შემოსილი მცენარეა 20-40 სმ-მდე სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ელიფსურია, ფრთისებრ რთულად დანაკეთული. ყვავილები ყვითელია. ნაყოფი ცილინდრული, უხსნადი ჭოტია. თესლი მოგრძოა, მუქი მწვანე. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ირანულ-თურანული სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა. იზრდება თიხნარ-ბიცობიან და ქვიან ადგილებში.

***Thlaspi arvense* L. – ყანის ქუთქუთა**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-50 სმ-მდე სიმაღლის დატოტვილი ან დაუტოტავი ღეროთი. ფოთლები მოგრძო ოვალურია, დაკბილული. ყვავილები თეთრია. ნაყოფი მომრგვალო, ვიწრო ამოკვეთილი ჭოტაკია, თესლი ყავისფერია. ყვ. IV-V; ნაყ. V-VII. პალეარქტიკული სახეობაა, რუდერალურ-სეგეტალური სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნათესებში, გზის პირებსა და ფერდობებზე.

***Thlaspi perfoliatum* L. – ქუთქუთა**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 5-35 სმ-მდე სიმაღლის მარტივი ან დატოტვილი ღეროთი. ფოთლები კვერცხისებრია, თავწაწვეტებული, ღერომხევი, კიდედაკბილული. ყვავილები თეთრია. ნაყოფი უკუგულისებრი, თავამოკვეთილი ჭოტაკია. თესლი გლუვია, ყავისფერი. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ჩვეულებრივი სარეველა. იზრდება ქვიან ფერდობებზე, გზების გასწვრივ, მდელოებზე, ბუჩქნარებში.

Fam. Cactaceae – ოჯ. კაქტუსისებრნი

***Opuntia humifusa* Raf. – გართხმული ოპუნცია**

მრავალწლოვანი სუკულენტური, 40-55 სმ სიმაღლის გართხმული მცენარეა აღმართული ან მწოლარე, სეგმენტებად დატოტვილი ღეროებით. სეგმენტები ბრტყელი, მომრგვალებული ან წაგრძელებულია, მუქი მწვანე, არეოლები განლაგებულია შორი-შორს, 1 ან 2 გრძელი ეკლით. ეკალი მოყავისფრო ან ზოგჯერ თითქმის თეთრია. გლოსილია მრავალრიცხოვანია მოყვითალოდან მუქყავისფრამდე. ყვავილები ჩვეულებრივ კაშკაშა ყვითელია, ზოგჯერ მოყვითალო გულით. გვირგვინის ფურცლი 8-10-ია, ფართოდ გაფარჩხული, მტვრიანა ყვითელი, დინგი თეთრი. ნაყოფი წვნიანია, კვერცხისებრი ან მოგრძო უკუკვერცხისებრი, წითელი. ყვ. V-VI, ნაყ. VIII-IX. კოსმოპოლიტური, აბეზარა ადვენტური მცენარეა ჩრდილო ამერიკიდან, ქსეროფიტი. იზრდება სამხრეთ აღმოსავლეთ ექსპოზიციებზე, ქვა-ღორღიან ჰაბიტატებზე. პირველად ინტროდუცირებულ იქნა თბილისის ბოტანიკურ ბაღში, ამჟამად გასცდა მის ტერიტორიას, სწრაფად ვრცელდება და იკავებს თბილისის მიდამოების ფიტოცენოზებს. დეკორატიულია როგორც ყვავილობის, ისე ნაყოფმსხმოიარობის

ფაზაში. გამოირჩევა მრავალმხრივი სამკურნალო მნიშვნელობით. ნაყოფებს იყენებენ უალკოჰოლო, შუშხუნა სასმელების დასამზადებლად.

Opuntia phaeacantha Engelm. – ეკლიანი ანუ კამანჩის ოპუნცია

მრავალწლოვანი სუკულენტური, 35-45 სმ სიმაღლის გართხმული, გაფარჩხული მცენარეა მადლა აღმართული ღეროებით. ღეროს შემადგენელი ნაწილები (სეგმენტები) ბრტყელი, უუკუვერცხისებრი ან მომრგვალებულია. არეოლები ერთმანეთისაგან საკმაოდ დაცილებული, ქვედა მხრიდან უეკლო; ეკლები მეტნაკლებად მოღუნულია, მაგარი, ყავისფერი, ზოგჯერ ფუძესთან უფრო მუქი ან თითქმის თეთრი. გლობილია მრავალია, ყვითელი ან ყავისფერი, ნაყოფი წვნიანია, მსხლისებრი ან ბურთისებრი, წითელი. ყვ. VI - VII, ნაყ. IX-X. კოსმოპოლიტური სახეობაა ჩრდილო ამერიკიდან, აბეზარა, ადვენტური სარეველა, ქსეროფიტი. იზრდება სამხრეთ აღმოსავლეთ ექსპოზიციებზე, ქვა-ღორღიან ჰაბიტატებზე. დეკორატიული, სამკურნალო და საკვები მცენარეა.

Fam. Campanulaceae – ოჯ. მაჩიტასებრნი

Campanula alliarifolia Willd. – ბუსკანტურა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მსხვილფესვიანი მცენარეა. ღერო 40-100 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორი ან დატოტვილი, შებუსხული. ფესვთანური ფოთლები ფართო სამკუთხა-გულისებრია, მონაცრისფრო, გაფანტულბეწვიანი. ყვავილენი გრძელი მტევანია, ყვავილები მსხვილია, ფართო სამკუთხა ან ღანცეპისებრი ნაკვებით. გვირგვინი თეთრი ან მოვარდისფროა. ნაყოფი ძირს დახრილი კოლოფია. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-X. კავკასიურ-ჩრდილო ანატოლიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება მდელოებზე, კლდეებზე, ნაშალ ჰაბიტატებზე. დეკორატიული და თაფლოვანი მცენარეა, გამოიყენება ნახევრად დაჩრდილული ადგილების გასაფორმებლად, სათაიგულებად.

Campanula hohenackeri Fisch. & C.A.Mey. – ჰოჰენაკერის მაჩიტა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი, მნიშვნელოვნად აღემატება ზევით აშვერილ რკალისებრ მოხრილ, გვერდით ტოტებს. ყვავილები ყუნწიანია, საგველად შეკრებილი.

გვირგვინი მილისებრ-ძაბრისებრია, მოცისფრო სოსანის ფერი. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-X. კავკასიურ-მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება მშრალ ხრიოკ ადგილებში, ღია ფერდობებზე. გამოიყენება სათაიგულე მასალად, აგრეთვე სხვადასხვა სახის გაფორმებაში.

Campanula latifolia L. – ალოშა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო მეტწილად 60-120 სმ სიმაღლისაა, სწორი, მარტივი, შიშველი, ზოგჯერ შებუსული. ფოთლები ორმაგხერხებილია, შებუსული, ქვედა მათგანი კვერცხისებრ-ლანცეტაა, თავწაგრძელებული, ოდნავ ფუძეგულისებრი ან ერთბაშად ყუნწად შევიწროებული, ზედა - ლანცეტაა და მჯდომარე. ყვავილები გრძელყუნწიანია, მცირერიცხოვანი, ფოთლების იდლებში თითო-თითოდაა განლაგებული. გვირგვინი ფართო ზარისებრია, ცისფერი ან მოთეთრო. კოლოფი კვერცხისებრია. ყვ. VI; ნაყ. VIII - IX. კავკასიურ-ევრაზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება მდელოებზე, ტყის პირებზე, ნაშალებზე, ქვა-ღორღიან ჰაბიტატებზე. დეკორატიული და საკვები მცენარეა.

Campanula rapunculoides L. – მაჩიტა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მოკლე ფესურიანი მცენარეა მოკლე ჯაგრისებრი ბეწვით მოფენილი. ღერო 40-80 სმ სიმაღლისაა, აღმავალი, მარტივი, იშვიათად დატოტვილი, უხეში ბეწვით შებუსული. ფოთლები ხერხებილია, ქვედა მათგანი გრძელყუნწიანია, მოგრძო-გულისებრი ან კვერცხისებრ-გულისებრი, ზედა – მჯდომარეა, მოგრძო-ლანცეტა ფორმის. ყვავილები მოკლეყუნწიანია, შეკრებილია გრძელ ცალგვერდა მტევნად; გვირგვინი მუქი იისფერია, მილისებრ-ზარისებრი. კოლოფი სფერულია. ყვ. IV-V; ნაყ. VII-IX. კავკასიურ-ევრაზიურ-ჩრდილო ამერიკული სახეობაა. იზრდება კლდეებზე, მშრალ ხრიოკ ჰაბიტატებზე. გამოიყენება საპარკო-საბაღო ხელოვნებაში, სათაიგულედ.

Fam. Cannabaceae – ოჯ. კანაფისებრნი

Cannabis ruderalis Janisch. – ველური კანაფი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-150 სმ სიმაღლისაა, წახნაგოვან-ხაოიანი, ხშირფოთლიანი. ფოთლები თათისებრ

დაკვეთილია 5-9 ფოთოლაკად, თითოეული მათგანი მსხვილკბილა-ხერხისებრია, ზემოდან მუქი მწვანე და მოკლე ბეწვით მოფენილი, ქვემოდან – უფრო მკრთალი. მამრობითი ყვავილები შეკრებილია კენწრულ საგველასებრ ყვავილელებად; მდედრობითი ყვავილები ზედა ფოთლების ილღიებშია ჯგუფებად ან მჭიდრო თავთავისებრ ყვავილელებად შეკრებილი. ყვავილსაფარი მოყვითალო-მწვანე ფერისაა, სიფრიფანა, ნაყოფობისას სწრაფად იზრდება და ნაყოფზეა შემოხვეული. ნაყოფი კაკალია. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VIII. კავკასიურ-ევროპულ-ირანული სახეობაა, მეზოქსეროფიტი. იზრდება რუდეერალურ ადგილებზე ნათესარებსა და ნახატებში, მშრალ ეკოტოპებზე, გვხვდება იშვიათად. სამკურნალო მცენარეა, ნაყოფები გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ორგანოების სუსტი მოქმედების, მამრობითი სასქესო ორგანოების დაავადებების დროს. აფხაზეთში მთელი მცენარის ნახარშს ათაშანგის საწინააღმდეგოდ ხმარობდნენ.

Fam. Capparaceae – ოჯ. კაპარისებრნი

Capparis spinosa L. (= Capparis herbacea Willd.) – კაპარი ეკლიანი
 მრავალწლოვანი ბალახოვანი, გრძელფესურიანი მცენარეა. ღერო 1-2 მ სიგრძისაა, მიწაზე გართხმული ტოტებით. ფოთლები კვერცხისებრია, ელიფსური ან მომრგვალო ფორმის, მოკლეყუნწიანი, ხშირად თავწვეტიანი. თანაფოთლები ეკლისებრია, მოყვითალო. ყვავილი მარტოულია, მსხვილი, ფართოდ გაშლილი, გრძელყუნწიანი, ფოთლების ილღიებში განწყობილი. გვირგვინის ფურცლები თეთრი ან მოვარდისფროა. ნაყოფი რამდენიმე ფოთლისგანაა შემდგარი, ხორცოვანია, სფერული ან ოვალური. თესლი თირკმლისებრია, მოკლენისკარტიანი. ყვ. IV-V; ნაყ. VII-IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ნაშალ ქვა-ღორღიან ჰაბიტატებზე. მაღალდეკორატიული და ეკონომიკური მნიშვნელობის, თაფლოვანი და საკვები მცენარეა.

Fam. Caryophyllaceae – ოჯ. მისაკისებრნი

Arenaria serpyllifolia L. – არენარია
 ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-25 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული, ძირიდანვე დატოტვილი, შებუსუსული. ფოთლები კვერცხისებრია ან ელიფსური, თითქმის მჯდომარე,

მკაფიოდ გამოხატული ძარღვებით. ყვავილედი შედგება მრავალყვავილიანი დიქაზიუმებისაგან, რომლებიც საგველასებრ ყვავილედად არიან შეკრულნი. ყვავილები გრძელყუნწიანია, გვირგვინის ფურცლები თეთრია, მოკლე. ნაყოფი მრავალთესლიანი კვერცხისებრი კოლოფია. ყვ. IV-V; ნაყ. VII-IX. ჩრდილო ამერიკული სახეობაა, ტრივიალურია. იზრდება მშრალ ადგილებში და ნაშალ ჰაბიტატებზე.

Bufonia tenuifolia L. – წვრილფოთოლა ბუფონია

ერთწლოვანი ბალახოვანი წვრილფესურიანი მცენარეა. ღერო 30-40 სმ-მდე სიმაღლისაა, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთოლი ვიწრო ხაზურია, ძირში გაფართოებული, მოკლე ვაგინად შეზრდილი და ვიწრო სიფრიფანა არშიით მოვლებული. ყვავილები დამოკლებულ მტევნისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი და თავის მხრივ ვიწრო საგველას ქმნის; თანაყვავილები ღანცეკა სადგისისებრია, გვირგვინის ფურცლები თეთრია. ნაყოფი მოკლე კოლოფია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX. კავკასიურ-ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური ფლემენტია, ქსეროფიტი. იზრდება ქვა-ღორღიან ჰაბიტატებზე, გვხვდება იშვიათად.

Cerastium argenteum Bieb. – ვერცხლისებრი პირთეთრა

მრავალწლოვანი ფესურიანი, სქელკორდიანი ბალახოვანი მცენარეა, მწოლარე თეთრი-ქეჩისებრი ბეწვით შებუსული. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, წამოწეული. ფოთლები ვიწრო-ღანცეკაა, კიდებგადაღუნული, ძარღვამოზნეკილი, ქეჩისებრ თეთრად შებუსული. ყვავილები შეკრებილია ღეროდან გადახრილ კენწრულ ყვავილედებად. გვირგვინის ფურცლები სიფრიფანაა, თეთრი, ორჯერ აღემატება ჯამის სიგრძეს, ერთ მესამედამდეა თავამოკვეთილი. ნაყოფი მოგრძო კოლოფია. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. საქართველოს ფლორის ენდემური, იშვიათი სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ღორღიან და კლდოვან ჰაბიტატებზე. გამოიყენება მებაღეობაში, როგორც დეკორატიული მცენარე.

Cerastium glomeratum Thuill – გორგლისებრი პირთეთრა

ერთწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-20 სმ-მდე სიმაღლისაა, მისი ზედა ტოტები და ჯამის ფოთლები

ჯირკვლოვანი ბეწვითაა მოფენილი. ფოთლები კვერცხისებრ - ელიფსური ან კვერცხისებრ-მომრგვალოა, ღეროიანად გრძელი წამოწეული ბეწვით მოფენილი. ყვავილელები ღეროებისა და ტოტების ბოლოებზე განლაგებული, შეკუმშულია, მრავალყვავილიანი, თითქმის თავაკისებრი. კოლოფი ხასიათდება კიდეზე გადაღუნული კბილებით. ყვ. III-IV; ნაყ. VI-VII. ევროპულ-ხმელთაშუაზრვეთურ-აზიურ-ჩრდილო და სამხრეთ ამერიკული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება გზის პირებზე, წავკისის ხეობაში, რიყნარ და სილნარ ჰაბიტატებზე.

Cerastium ruderae Bieb. – რუდერალური პირთეთრა

ერთწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა, ძირიდანვე ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი. ღერო 10-30 სმ-მდე სიმაღლისაა, წამოწეული, მარტივი ან დატოტვილი. ფოთლები ელიფსური ან მოგრძო-კვერცხისებრია, თავბლაგვი. ყვავილები ღეროს წვერში ან ტოტების ბოლოებზე ქოლგისებრ ყვავილედებაა შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები თეთრია, თავამოკვეთილი. კოლოფი მცირეოდენ ყელმოსხრილია, მისი კბილები კიდებმოდუნულია. ყვ. III-IV; ნაყ. V-VI. კავკასიურ-ევრაზიური სახეობაა, ქსეროფიტი. ტრივიალურია, იზრდება ფერდობებზე, მშრალ ადგილებსა და ნათესებში.

Cerastium tauricum Spreng. – ყირიმული პირთეთრა

ერთწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა რბილი, მარტივი ბეწვით სქლად შებუსული. ღერო 5-20 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი, ან მარტივი. ქვედა ფოთლები ნიჩბისებრია, ზედა – მოგრძო-ელიფსური. ყვავილები შეკრებილია ფარჩხატ ცალმხრივ ყვავილეებად, დიქაზიუმების სახით და განლაგებულია ღეროსა და ტოტების ბოლოებში. გვირგვინის ფურცლები თეთრია, ბეწვით მოფენილი. კოლოფი ყელმოსხრილია, ხასიათდება კიდეებზე გადანაღუნი კბილებით. ყვ. III-IV; ნაყ. V-VI. ევროპულ-ხმელთაშუაზრვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ქვიან სილნარებში, რიყნარ ჰაბიტატებზე. რიცხოვრივად შემცირებულია, გვხვდება პატარა ჯგუფებად.

Dianthus orientalis Adams – აღმოსავლური მისაკი

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა. ღერო 15-30 სმ-მდე სიმაღლისაა, მრავალი, დატოტვილი, შიშველი, ქვედა

ნაწილში გახევებული. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, თავწაწვეტებული, უმეტესობა ღეროს ძირშია თავმოყრილი. ყვავილები მარტოულია, გვირგვინის ფურცლები მოვარდისფრო-მოწითალოა, კიდებზე ფიხისებრ ღრმად ჩაჭრილი. კოლოფი ცილინდრულია, ერთბუდიანი, მომწიფებისას ოთხი კბილით იხსნება. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. მცირე აზიურ-აღმ. ქურთისტანულირანული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება კლდის ნაპრალებში, ნაშაღებზე. გვხვდება მცირე რაოდენობით. გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობაში და სათაიგულედ.

***Dianthus subulosus* Freyn & Conrath. – ტყის მიხაკო**

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა, რამდენიმე ერთად აღმართული. ფოთლები ხაზურია, ბოლოწაწვეტებული, კიდეხაოიანი. ყვავილელი კენწრულია, კუმსი, თავაკისებრი, ძირში გარშემორტყმული კენწრული ფოთლებით, რომლებიც ქვედა ნაწილში მოთეთროტყავისებრია, ზოგჯერ კიდებზე მეწამულ-მოწითალო ფერის ღაქით. გვირგვინის ფურცლები წითელია. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX. კაკასიის ენდემია, მეზოფიტი. იზრდება მშრალ ადგილებში, ბუჩქებს შორის. იშვიათია, გვხვდება ერთეული ინდივიდების სახით. გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობაში, მეყვავილეობაში, სათაიგულედ.

***Gypsophila bicolor* (Freyn & Sint.) Grossh. – ორფერა წინწკალა**

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 35-80 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი, ღეგა, შიშველი. ფოთლები ღანცეცტა ან მოგრძო-ღანცეცტა, თავწაწვეტებული. ყვავილები გრძელ ყუნწებზეა განლაგებული და გაშლილ, მრავალყვავილიან, მოთეთრო, გუმბათისებრ ყვავილელებად შეკრებილი. თანაყვავილები პატარა ზომისაა, ღანცეცტა, კიდებზე თეთრი სიფრიფანა, ზურგის მხარეზე თეთრი კრისტალური ნაფიფქით. გვირგვინის ფურცლები მოვარდისფრო-მოთეთროა. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. კაკასიურ-ირანული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ღია ფერდობებზე. გვხვდება მცირე რაოდენობით. თაფლოვანია; გამოიყენება ლუდისა და შუშუნა სასმელების დასამზადებლად.

Gypsophila elegans Bieb. – მოხდენილი წინწკალა

ერთწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 10-50 სმ-მდე სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ან ნიჩბისებრი, ძირისკენ შევიწროებული. ყვავილები გრძელ და ძალიან წვრილ ყუნწებზეა განლაგებული და გაშლილ, მეჩხერ, საგველასებრ ყვავილეებადაა შეკრებილი. თანაყვავილები პატარა ზომისაა, თეთრი, სიფრიფანა. გვირგვინის ფურცლები მკრთალი მოვარდისფრო-მოთეთროა, მუქი მოწითალო-მეწამული ძარღვებით დაქსელილი. ნაყოფი სფერული კოლოფია. ყვ. IV-V; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ქსეროფიტი. იშვიათია, იზრდება ქვიან ფერდობებზე, სტეპებზე, ბუჩქნარებში. გამოიყენება სათაიგულედ და სხვადასხვა სახის გაფორმებაში.

Gypsophila stevenii Fisch. ex Schrank. – სტევენის წინწკალა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 20-70 სმ-მდე სიმაღლისაა, მსხვილი, აღმავალი, მკრთალი მომწვანო-ლევა, ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი. ფოთლები ხაზურია ან ხაზურ-ლანცეტა, უმეტესობა ღეროს ძირშია თავმოყრილი. ყვავილები შეკრებილია მეჩხერ, მოგრძო, მრავალყვავილიან საგველასებრ ყვავილეებად. გვირგვინის ფურცლები თეთრია, სიფრიფანა. ნაყოფი მომრგვალო-კვერცხისებრი კოლოფია. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. კავკასიის ენდემია, ქსეროფიტი. იზრდება ქვადორდიან, ნაშად ჰაბიტატებზე, იშვიათია, პოვნა შესაძლებელია. გამოიყენება საპარკო-საბალო ხელოვნებაში, სათაიგულედ.

Holosteum glutinosum (Bieb.) Fisch. & C. A. Mey. – წებოვანი ჰოლოსტეუმი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ხშირი, ჯირკვლოვანი ბეწვით უხვად მოფენილი. ღერო 4-20 სმ სიმაღლისაა, სუსტი, წამოწეული. ფესვთანური ფოთლები ვიწრო-ლანცეტა ან ნიჩბისებრია, ღეროსეული – (3-4 წყვილი) ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა. ყვავილები შეკრებილია 3-10 სხივიან ქოლგისებრ ყვავილეებად. თანაყვავილები პატარა ზომისაა, ყვავილის ყუნწები არათანაბარი სიგრძისაა, ზევითკენ მიმართული, ჯირკვლოვანი ბუსუსებით სქლად დაფარული. გვირგვინის ფურცლები თეთრია ან ღია ვარდისფერი. ნაყოფი მრავალთესლიანი მოგრძო კოლოფია. ყვ. III-IV; ნაყ. V-VI;

კავკასიურ-მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მცირე ჯგუფების სახით მშრალ ქვიან-თიხნარ ჰაბიტატებზე.

Holosteum marginatum Fisch. & C. A. Mey. – ჰოლოსტეუმი

ერთწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი, ღევა, შიშველი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა. ფესვთანური ფოთლები უკუკვერცხისებრი ან ელიფსურია, შებუსული. გვირგვინის ფურცლები თეთრი ან ღია ვარდისფერია. ქოლგის ძირში არსებული თანაყვავილები მსხვილია. ნაყოფი მრავალთესლიანი, მოგრძო ცილინდრული კოლოფია. ყვ. II-III; ნაყ. IV-V. კავკასიურ-მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ღორღიან ფერდობებზე, ნაშალ ჰაბიტატებზე. რიცხოვრებულ შემცირებულა.

Holosteum umbellatum L. – ქოლგისებრი ჰოლოსტეუმი

ერთწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 5-20 სმ სიმაღლისაა. ფოთლები ფესვის ყელთანაა შეკრებილი, 1-2 წყვილი ღეროზეა განლაგებული, ლანცეტაა, თავწაწვეტებული, ფუძისკენ ყუნწად შეზრდილი. ყვავილები ღეროს წვერზეა 5-10 სხივიან ქოლგისებრ ყვავილედად შეკრებილი. თანაყვავილები პატარა ზომისაა, ნახევრად გაშლილი ან კლეისტოგამური. გვირგვინის ფურცლები თეთრი ან მოვარდისფერია. ნაყოფი მრავალთესლიანი, ცილინდრული კოლოფია. ყვ. III-IV; ნაყ. VI-VII. კავკასიურ-ხმელთაშუაზღვეთურ-აზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ხრიოკ ადგილებში. რიცხოვრებულ შემცირებულა. ფოთლები ხასიათდება შემკვერელი მოქმედებით, ხმარობენ ჭრილობების შესახორცებლად.

Melandrium boissieri Schischk. – სასტვენა

ორი ან მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 40-60 სმ სიმაღლისაა. ზედა ნაწილში დატოტვილი, ბეწვით მოფენილი. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, კვერცხისებრი, ზედა – თითქმის მჯდომარე, კვერცხისებრ ლანცეტა. ყვავილები ერთსქესიანია, ორსახლიანი, ტოტების ბოლოებში შეკრებილი. მდედრობითი ყვავილების ჯამი, განსაკუთრებით ნაყოფობის დროს, ბუშტივითაა გაბერილი, მამრობითი ყვავილებისა მცირეოდენ გაფართოებულია; გვირგვინის ფურცლები თეთრია

ან მერთალი ყვითელი. გაუხსნელი ნაყოფი მსხლის მოყვანილობისაა, მომწიფებისას 10 კბილით იხსნება, გახსნილი ნაყოფი ქოთნისებრია, კბილებგადაღუნული. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VIII. კავკასიურ-ევროპულ-აღმ. ქურთისტანული სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება განათებულ ბალახოვან ფერდობებზე და ბუჩქნარებში, ქვა-ღორღიან ხირხატ ჰაბიტატებზე.

Petrorhagia saxifraga (L.) Link. (*Tunica saxifraga (L.) Scop.*) – ციმციმა
მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 10-35 სმ სიმაღლისაა, მრავალი, მეტწილად დატოტვილი, წამოწეული. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, თავწაწვეტებული, ძირში გაფართოებული და ვიწრო სიფრიფანა არშიით მოვლებული, ფოთლების უმეტესობა ღეროს ძირშია თავმოყრილი. ყვავილები ტოტების ბოლოებშია თითო-თითოდ განლაგებული და მეჩხერ ყვავილედად შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები თეთრია, ხშირად ქვემოდან ვარდისფერი. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ღორღიან ფერდობებზე ბუჩქნარებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში როგორც შარდმდენი საშუალება.

Silene conica L. – კონუსური ქოთანა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-30 სმ სიმაღლისაა, წვრილი, მარტივი, იშვიათად დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები მოგრძო ნიბისებრია, ღეროსეული - ხაზური. ყვავილები თითო-თითოა ან რამდენიმე ერთად ღეროს წვერზე, ჯგუფურად კი ფოთლების იდლებშია განლაგებული. გვირგვინის ფურცლები მეტწილად ვარდისფერია, იშვიათად თეთრი. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია, მჯდომარე. ყვ. III-IV; ნაყ. VI-VII. კავკასიურ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ხრიოკ ადგილებში, პოვნა შესაძლებელია.

Silene cyri Schichk. – მტკვრის ქოთანა

ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, 1-4, მარტივი, ზემოთკენ ზოგჯერ წებოვანი, ქვემოთ მოკლებუსუსიანი. ქვედა ფოთლები უპუკვერცხისებრია ან ნიბისებრი, გრძელ ყუნწად შევიწროებული და თავწაწვეტებული, ღეროსეული - ვიწროა და პატარა ზომის, თითქმის ხაზური.

ყვავილები ერთსქესიანია, ორსახლიანი, პატარა ზომის, მარტივ ღეროებზე მოპირისპირე და მრავალყვავილიან მტევნისებრ ყვავილელებად შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები მომწვანო-მოყვითალოა. ნაყოფი კვერცხისებრი ფორმის კოლოფია. ყვ. IV; ნაყ. V-VI. კავკასიურ-შუა აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე, კლდეთა ნაპრალებში. იშვიათია, პოვნა შესაძლებელია. დეკორატიულია.

Silene iberica Bieb. – ქართული ქოთანა

ერთწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 30-70 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი, ფოთლებიანად ხუჭუჭა ბეჭვით მოფენილი. ფოთლები ღანცეცა ან ვიწრო-ღანცეცაა, ძირისკენ შევიწროებული, მახვილწვერიანი. ყვავილები მჯღომარეა ან მოკლეყუნწიანი, ტოტების ცალ მხარეზე მტევნისებრ ყვავილელებად შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები თეთრია. კოლოფი ფართო კვერცხისებრია. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. კავკასიურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ქვიან ფერდობებზე. იშვიათია, პოვნა შესაძლებელია. დეკორატიულია.

Silene italica (L.) Pers. – იტალიური ქოთანა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-40 სმ სიმაღლისაა, აღმავალი, მარტივი ან დატოტვილი, ზედა ნაწილში წებოვანი. ფოთლები (უმეტესობა ფესვის ყელთანაა შეკრებილი) ელიფსურია, ყუნწად შევიწროებული, ორივე მხრიდან შებუსული, კიდევამწამებიანი. ქვედა ფოთლები ნიჩბისებრია, ზედა – უკუღანცეცა, კენწრული ფოთლები კი ხაზურ ღანცეცაა. ყვავილები დაჯგუფულია სამყვავილიან დიქაზიუმებად ტოტების ბოლოებზე და შეკრებილია მრავალყვავილიან საგველასებრ ყვავილელებად. გვირგვინის ფურცლები თეთრია. კოლოფი მოგრძო-კვერცხისებრი. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. კავკასიურ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიურ-ჩრდილო ირანული სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში, ქვა-ღორღიან ნაშადლებზე, ტყის პირებზე. დეკორატიულია; გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Silene solenantha Trautv. – მიღისებრყვავილიანი ქოთანა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 30-40 სმ სიმაღლისაა, სწორი, ზემოთკენ დატოტვილი და ყვავილის

ყუნწებიანად წებოვანი; ინვითარებს დამოკლებულ უნაყოფო ყლორტებს. ყველა ფოთოლი ხაზურია, შიშველი, კიდევამწამებია, უმეტესობა ფესვის ყელთანაა შეკრებილი. ყვავილები მარტოულია, კენწრული; თანაყვავილები წვრილია, ლანცეტა-ხაზური. გვირგვინის ფურცლები მომწვანო-ყვითელია. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. კავკასიური სახეობაა. იზრდება ნახევრად დაჩრდილულ ადგილებში, კლდეებსა და ღორღიან ქვა-ნაშალებზე. დეკორატიულია.

Silene spergulifolia (Willd.) Bieb. – ქოთანა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ნიადაგმფარავი, კორდშემქმნელი, ფესურიანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, ძირგახევებული, მრავალი, მოკლე ხუჭუჭა ბეწვით მოფენილი. ფოთლები ვიწროა, მეტწილად ხაზური ან ლანცეტა-ხაზური. ყვავილები მოკლეყუნწიანია, მჯდომარე, ტოტების ბოლოებში ორორად ან სამ-სამად განლაგებული და ხშირად თითქმის თავაკისებრ ყვავილელებად თავმოყრილი. გვირგვინის ფურცლები თეთრია. ნაყოფი მსხლისებრი ფორმის კოლოფია. ყვ. III-IV, ნაყ. VI-VII. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება ღორღიან და კლდოვან ფერდობებზე, ძალზე შემცირებულია. დეკორატიულია.

Stellaria media (L.) Vill - ჟუნჯრუკი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-35 სმ სიმაღლისაა, ცილინდრული, სუსტი, მწოლარე ან წამოწეული, ღია მწვანე ფერის. ფოთლები თხელია, კვერცხისებრი, თავწაწვეტებული, მათგან ზედა მჯდომარეა, ხოლო ქვედა – ყუნწიანი, შიშველი. ყვავილები შეკრებილია ნახევარქოლგებად. გვირგვინის ფურცლები თეთრია, ღრმად ორად გაყოფილი. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია. თესლი სფერულია. ყვ. III-IV; ნაყ. V-VI; ევროპულ ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება დაჩრდილულ ტენიან ადგილებში. ჩვეულებრივია. გვხვდება პატარ-პატარა ჯგუფების სახით. გამოიყენება გაზაფხულზე მოსახლეობის მიერ საკვებად, მხალის სახით. თავლოვანი და სამკურნალოა; ნედლ მცენარეს ხმარობენ ბუასილის საწინააღმდეგოდ და თვალის ანთებითი პროცესების დროს, აგრეთვე გამონაყრებისას.

Telephium orientale Boiss – აღმოსავლური ტელეპიუმი

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 10-25 სმ სიმაღლისაა, მრავალი, დაუტოტავი, ძირში გახევებული. ფოთლები სრულიად შიშველია, ლევა ფერის, ელიფსური ან ოვალური ფორმის, თავბლაგვი, მათ ძირში პატარა ზომის სიფრიფანა თანაფოთლებია განვითარებული. ყვავილები ღეროების წვერზეა ხშირ, ფარისებრ ყვავილელებად შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები თეთრია. ნაყოფი მრავალთესლიანი პირამიდული, პრიალა კოლოფია. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ღორღიან და კლდენაშაღ ჰაბიტატებზე. გვხვდება იშვიათად. დეკორატიულია.

Fam. Chenopodiaceae – ოჯ. ნაცარქათამასებრნი

Atriplex aucheri Moq. – ოშეს თათაბო

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 80-100 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, ძირიდან დატოტვილი, ოთხწახნაგოვანი, ხშირად მოღუნული, ფქვილისებრი, მოთეთრო ნაფიფქით. ფოთლები ყუნწიანია, მოსქო, ზემოდან მწვანე, ქვემოდან - მოთეთრო ან თეთრი ფერისაა ხშირი ქერქლოვანი ბეწვებისაგან, მოყვანილობით კვერცხისებრია ან ლანცეტისებრი, კიდემთლიანი ან დაშორიშორებულ-კბილებიანი. ყვავილები შეკრებილია გრძელ, შეუფოთლავ თავთავისებრ ყვავილელებად. თანაყვავილები მდედრობითი ყვავილების საბურველს წარმოადგენს, მოყვანილობით მომრგვალო ოვალურია, კიდემთლიანი, წვერში მობლაგვო, ფქვილისებრი ნაფიფქით, რომელიც თხლადაა მოფენილი; საბურველში მოთავსებული თესლები მურა ფერისაა, მქრქალი, ყვავილსაფრიანი ყვავილის თესლები შავია, პრიალა. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-აზიური სახეობაა. იზრდება თიხნარ ფერდობებზე, რუდერალულ ადგილებში მცირერიცხოვან ჯგუფებად.

Atriplex nitens Schkuhr – პრიალა თათაბო

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 80 - 120 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი ან ზედა ნაწილში დატოტვილი, ცილინდრული ან ბლაგვწახნაგოვანი, ფქვილისებრი ნაფიფქით. ფოთლები თხელია,

ზემოდან მწვანე, შიშველი და მცირეოდენ პრიალა, ქვემოდან ოდნავ ლეგა და ქერქლოვანი ბეწვით მოფენილი. ქვედა ფოთლები მოყვანილობით სამკუთხედისებრია, ფუქეში შუბისებრი, დანარჩენ ნაწილში ამოკვეთილ-დაკბილული, წაწვეტებული; ზედა ფოთლები ლანცეტისებრია, თითქმის კიდემთლიანი. ყვავილები საგველასებრ ყვავილელებშია შეკრებილი. თანაყვავილაკები მდედრობითი ყვავილების საბურველს წარმოქმნიან, მოყვანილობით მომრგვალო-ოვალურია, ნორჩობაში ფქვილისებრი ნაფიფქით. საბურველში მოთავსებული თესლები მურა ფერისაა; თანაყვავილეებიანი ყვავილის თესლი შავია, პრიალა. ყვ. V-VI; ნაყ. VII-IX. ევრაზიური სახეობაა, სარეველა. იზრდება რუდერალურ ადგილებში მცირე ჯგუფებად.

Atriplex patula L. – თათაბო

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 80-100 სმ სიმაღლისაა, ხშირად ძირიდან დატოტვილი, ოთხწახნაგოვანი, წამოწეული გადაშლილი ტოტებით, ფქვილისებრი ნაფიფქით. ფოთლები მოგრძო-რომბისებრია ან ლანცეტა, კიდემთლიანი, ყუნწიანი, მწვანე, ქვემოდან ფქვილისებრი ნაფიფქით. ყვავილების გორგლურები შეკრებილია გრძელ, შეუფოთლავ თავთავისებრ ყვავილეებად. თესლები ორნაირია, რუხი ფერის ან მოყვითალო. ყვ VII-IX; ნაყ. VIII-X. ევროპულ-მცირე აზიურ- ჩრდილო ამერიკული სახეობაა. იზრდება ნაშალ ქვა-ღორღიან ჰაბიტატებზე.

Atriplex tatarica L. – თათრული თათაბო

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 100-120 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული, დატოტვილი, ბლავგ ოთხწახნაგოვანი, ნორჩობაში ფქვილისებრი ნაფიფქით. ფოთლები სამკუთხა-კვერცხისებრია ან მოგრძო კვერცხისებრი, ძირისკენ სოლისებრ შევიწროებული და ყუნწად გადასული, დაკბილული, ზედა მათგანი – ლანცეტაა და კიდემთლიანი, ორივე მხრიდან ან მხოლოდ ქვემოდან ქერქლოვანი ბეწვისაგან მოვერცხლისფრო. ყვავილების გორგლურები შეკრებილია შეუფოთლავ, ან მხოლოდ სულ ქვედა ნაწილში შეუფოთლილ, თავთავისებრ ყვავილელებში. თესლი ორნაირია, ნაწილი ყავისფერია, პრიალა, ოდნავ ამოზნექილი და

დანაოჭებული, ნაწილი კი მურა ფერისაა, მქრქალი, ბრტყელი და წვრილბორცვებიანი. ყვ. VI-VII; ნაყ. IX-X. ევროპულ-სმელთაშუაზღვეთურ-აზიური სახეობაა. იზრდება დაჩრდილულ და ღია ადგილებში, ქვა-ღორღიან ჩამორეცხილ ჰაბიტატებზე. გვხვდება მცირერიცხოვან ჯგუფებად.

Chenopodium album L. - თეთრი ნაცარქათამა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 70-100 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი, ფქვილისებრი ნაფიფქით მოფენილი ან მთლიანად შიშველი. ფოთლები მოყვანილობით რომბისებრ – კვერცხისებრია, მოგრძო კვერცხისებრი ან ლანცეტა, კიდებამოკვეთილ-დაკბილული, იშვიათად მთლიანი. ყვავილები შეკრებილია ხშირ, თავთავისებრ ან მეჩხერ საგველასებრ ყვავილელებად. ყვავილსაფარი თეთრია, ნაყოფობის დროს დახურულია, მისი ნაკეთები ფქვილისებრი ნაფიფქითაა მოფენილი; ნაყოფსაფარი ადვილად სკდება. თესლი ოდნავ დანაოჭებულია, ზოგჯერ თითქმის გლუვი ყვ. V-VI; ნაყ. IX-X. კოსმოპოლიტი მცენარეა. იზრდება ნაშაღებზე, ქვა ღორღიან ჰაბიტატებზე. რუდერალურ ადგილებში. გამოიყენება ადამიანისა და ფრინველის საკვებად.

Chenopodium botrys L. – მტევნისებრი ნაცარქათამა

ერთწლოვანი ბალახოვანი, მოყვითალო-მწვანე მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით; ახასიათებს მძაფრი სუნი. ღერო 50-70 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი. ფოთლები მოხახულობით მოგრძოა, ფრთისებრ ამოკვეთილ-დანაკეთული. ყვავილების გორგლურები საგველასებრ, კენწვრომდე შეფოთლილ, გრძელტოტებიან ყვავილელებშია შეკრებილი. ყვავილსაფარი ხუთწვერიანია, ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი. თესლი ოსპისებრია, მოშავო-რუხი ფერის, პრიალა. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. სმელთაშუაზღვეთურ-აზიური სახეობაა. იზრდება ქვიან და ქვიშნარ ფერდობებზე, ნათესებში, რუდერალურ ადგილებში მცირე ჯგუფების სახით. გამოიყენება ადამიანისა და ფრინველის საკვებად.

Chenopodium glaucum L. - ლეგა ნაცარქათამა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 50-70 სმ სიმაღლისაა, შიშველი, წამოწეული, იშვიათად სწორმდგომი, ძირიდან დატოტვილი, ქვედა ტოტები გართხმულია. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრი ან მოგრძო-უკუკვერცხისებრია, შორიშორს და უთანაბროდ ამოკვეთილ-დაკბილული, ყუნწიანი, ორფერი, ზემოდან - მწვანე, შიშველი, ქვემოდან - ნაცრისფერ-ფქვილისებრი ნაფიფქით, ლეგა, ხასიათდება მოყვითალო-მომწვანო ძარღვით. ყვავილები ჯგუფ-ჯგუფადაა შეკრებილი კენწრულ ან იდლიურ თავთავისებრ ყვავილელებში, რომლებიც ქვედა ნაწილში შეფოთლილია. ყვავილსაფარი 3-5 ფოთლიანია, შიშველი, ნაყოფობის დროს დახურული. თესლი მოშავო-რუხი ფერისაა, პრიალა, ბადისებრ-დანაოჭებული. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ქვა-ღორღიან ჰაბიტატებზე. ტრივიალურია.

Chenopodium hybridum L. – ჰიბრიდული ნაცარქათამა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 100 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორმდგომი, ჩვეულებრივ დატოტვილი, ხასიათდება ძალიან წვრილი, მოკლე ღეროსეული ჯირკვლებით. ფოთოლი დიდი ზომისაა, თხელი, მწვანე, კვერცხისებრ-სამკუთხა, ორივე მხრიდან შიშველი, ამოკვეთილ-დაკბილული. ყვავილების გორგლურები შეკრებილია ფარჩხატ საგველასებრ ყვავილელებში. ყვავილსაფარის ფოთლები ოდნავ ფქვილისებრი ნაფიფქითა და წვრილი ჯირკვლებითაა მოფენილი. თესლი დიდი ზომისაა, შავი ფერის, მქრქალი, არაღრმა ფიჭისებრი ორმოებით მოფენილი, კიდებზე მომრგვალებული ან ბლაგვქედია. ყვ. VI-X; ნაყ. VIII-X. ევრაზიური სახეობაა. იზრდება როგორც სარეველა ნათესებში, აგრეთვე რუდერალურ ადგილებში.

Chenopodium rubrum L. – წითელი ნაცარქათამა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 100 სმ-მდე სიმაღლისაა, ზოგჯერ მოწითალო, სწორმდგომი ან წამოწეული, იშვიათად ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები მცირეოდენ ხორცოვანია, მწვანე, კვერცხისებრ-რომბული, სოლისებრია შევიწროებული და ყუნწში გადადის, კიდებზე ამოკვეთილ-დანაკეთული ან ამოკვეთილ-დაკბილული, ჩვეულებრივ წარზიდული ქვედა კბილებით, წვერში ოდნავ ბლაგვი ან

მახვილი. ყვავილების გორგლურები შეკრებილია საკმაოდ ხშირ კენწრულ და ილლიურ თავთავისებრ ყვავილედეში, რომლებიც მხოლოდ ქვედა ნაწილშია შეფოთლილი. თესლები მოწითალო-რუხი ფერისაა, პრიალა, წვრილად დაწერტილი, კიდეებზე ბლაგვი. ყვ. VI-IX; ნაყ. VIII-IX. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში.

Chenopodium sosnowskyi Kapell. – სოსნოვსკის ნაცარქათამა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 40-60 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული, მოფენილია ფქვილისებრი ნაფიფქით. ფოთლები რომბისებრი ან კვერცხისებრია, კიდემთლიანი, ზოგჯერ თითქმის სამნაკეთიანი ან შუბისებრი. ყვავილები უფოთლო, ცრუ თავთავებად ან უფრო იშვიათად ფარჩხატ საგველასებრ ყვავილედეებადაა შეკრებილი. ყვავილსაფარი ნაყოფობისას დახურულია, მისი ნაკეთები მახვილქედიანია, ფქვილისებრი ნაფიფქით მოფენილი. თესლი შავი ფერისაა, პრიალა, მკვეთრად გამოსახული რადიალური ღარებით. ყვ. VI-X; ნაყ. VIII-XI. კავკასიურ-მცირე აზიური სახეობაა, სარეველა. იზრდება გზის პირებზე, რუდერალურ და ნახევრად დაჩრდილულ ადგილებში. გამოიყენება საკვებად.

Chenopodium urbicum L. – ქალაქის ნაცარქათამა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 50-80 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი ან დატოტვილი, შიშველი. ფოთლები სქელია, ღია მწვანე, პრიალა, ქვედა და შუა ფოთლები მოყვანილობით სამკუთხა ან სამკუთხა-შუბისებრია, ძირში წაკვეთილი ან მოკლე სოლისებრ შევიწროებული; ზედა – ლანცეტისებრია, კიდემთლიანი. ყვავილების ჯგუფები განლაგებულია კენწრულ და ილლიურ თავთავისებრ შეუფოთლავ ყვავილედებად, რომლებიც ვიწრო საგველასებრ ყვავილედეშია თავმოყრილი. ყვავილსაფარი შიშველია. თესლი შავი ფერისაა, პრიალა, წვრილად დაწერტილი. ყვ. VII-X; ნაყ. VIII-XI. ევრაზიური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, გზის პირებზე, ზოგჯერ ნათესებში.

Kochia prostrata (L) Schrad. – წითელწვერა

მრავალწლოვანი ბუჩქბალახოვანი 70 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა ხუჭუჭა ბეწვით ან ქენისებრ შებუსული, წამოწეული ტოტებით. ფოთლები მჯდომარეა, ვერცხლისფერი, ვიწროხაზური ან ხაზურ-სადგისისებრი, მოკლე და გრძელი ბეწვით მოფენილი. ყვავილები 2-3 ერთადაა გორგლურებად შეკრებილი ან მარტოულია თავთავისებრ ყვავილედებად თავმოყრილი. ყვავილსაფარი ხშირი, ხუჭუჭა ბეწვითაა შემოსილი, მისი ფოთლების გამონახარდები სიფრიფანაა, მოწითალო, მუქძარღვებიანი. თესლი მურა ფერისაა, მომრგვალო-კვერცხისებრი. ყვ. VII-X; ნაყ. VIII-XI. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, თიხნარ, ქვა-ღორღიან ჰაბიტატებზე, რუდერალურ ადგილებში. დეკორატიულია, გამოიყენება საქონლის საკვებად.

Kochia scoparia (L) Schrad – ყვითელი ცოცხი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 60-100 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, ძირიდანვე დატოტვილი; შემოდგომისათვის მწვანე ტოტები წითლდება, მცენარე მთლიანად მოფენილია მოკლე ხუჭუჭა ბეწვებით. ფოთლები თხელია, ლანცეტისებრი ან ხაზურ-ლანცეტა, მახვილი, შევიწროებულია ყუნწად, შიშველი ან მოკლე მიტკეცილი ბეწვით მოფენილი; ყვავილები 1-2 (5) ფოთლების იდლიებშია განლაგებული და თავმოყრილია თავთავისებრ ყვავილედებად. ყვავილსაფრის ფოთლები კიდევამწვამიანია, ხოლო ფრთის მსგავსი გამონახარდები ხორცოვანია, მოთეთრო, უფრო ხშირად მუქი წერტილებით მოფენილი. თესლი მუქი მურა ფერისაა, კვერცხისებრი. ყვ. VI- X; ნაყ. VIII-XI. ევრაზიური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ქვა-ღორღიან მშრალ ჰაბიტატებზე. მოჰყავთ ცოცხების დასამზადებლად; იყენებენ მებაბრეშუმეობაში ცახად, მის მოჭრილ ბუჩქებზე აბრეშუმის ჭია კარგად იკეთებს პარკს.

Noaea mucronata (Forssk.) Aschers. & Schweinf. – შავდავითა

მრავალწლოვანი ბუჩქბალახოვანი 55-70 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა, ძირიდანვე გაფარჩხულ-დატოტვილი, ჰორიზონტალურად გადახრილი, ღეგა ან იშვიათად მწვანე, შიშველი ან ხორკლიანი, წვერში ეკლით დაბოლოებული ტოტებით. ფოთლები ღეგაა, მჯდომარე, ვიწრო ხაზურ-

სადგისისებრი, შიშველი ან ხაოიან-ხორკლიანი, ქვედა მათგანი - ადრევე ცვივა. ყვავილები თავთავისებრ ყვავილედაა შეკრებილი. თანაყვავილები მოგრძო კვერცხისებრია, ძირგამობრილი. ყვავილსაფრის ფოთლებზე განვითარებული ფრთები მოყვითალოა. თესლი მომრგვალოა ან ოდნავ მოგრძო, პრიალა. ყვ. VII-X; ნაყ. IX-XI. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე, კლდეებსა და ჩამონახვავებზე.

Salsola dendroides Pall – ყარღანი, ჩარანი

მრავალწლოვანი ბუჩქბალახოვანი 40-60 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა, დატოტვილი, ლევა ფერის, შემოდგომაზე შავდება. ფოთლები მორიგეობითაა განწყობილი, მჯდომარეა, მცირეოდენ ხორცოვანი, ხაზური, ოდნავ ძირგაფართოებული და წვერისკენ მცირეოდენ შევიწროებული. ყვავილები თითო-თითოდაა განლაგებული მფარავი ფოთლების იღლიებში, შეკრებილია საგველასებრ ყვავილედად. ყვავილსაფრის ნაკეთები მოყვითალო-მოვარდისფროა, იშვიათად მოთეთრო-ვერცხლისფერი. თესლი მრგვალია, პრიალა. ყვ. IV-V; ნაყ. IX-XI. აღმოსავლეთ ანატოლიურ-ირანული სახეობაა. იზრდება ბიცობიან თიხნარ ნიადაგებზე, გამოიყენება საქონლის საკვებად, განსაკუთრებით ზამთრის საძოვრებზე.

Salsola iberica Sennen. & Pau in Bull - – ქართული ყარღანი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 60-80 სმ-ის სიმაღლისაა, სწორმდგომი, ძირიდან გაფარჩხულ-დატოტვილი, შიშველი ან მოკლე ჯაგრისაგან ხაოიანი. ფოთლები მორიგეობითაა, მჯდომარე, ხეშეში, ვიწრო ლანცეტისებრი, ნახევრად ცილინდრული ან ძაფისებრი, წვერში ეკლისებრ წაწვეტებული. მფარავი ფოთლები თანაყვავილაკებზე გრძელია, ისევე როგორც თანაყვავილაკები მხვლეტავია, ნაყოფობის დროს არ არის გაბერილი და არც ძირშია შეზრდილი. ყვავილები თითო-თითოდ თავთავისებრ ყვავილედაშია განლაგებული; ყვავილსაფრის ნაკეთები სიფრიფანაა, ხასიათდება უფერული ან ვარდისფერი ფრთისებრი გამონაზარდებით. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-X. ევრაზიურ- ჩრდილო ამერიკული სახეობაა. იზრდება ქვიშნარ, ბიცობიან და რუდერალურ ადგილებში. ნორჩ მდგომარეობაში ვარგისია სასილოსკედ ცხვრების გამოსაკვებად.

ამ გვარის სახეობები მდიდარია ნატრიუმის მარილებით, რომელიც მცენარის დაწვის შემდეგ გადადის ნატრიუმის ნახშიროჟანგში, რაც ადრეულ პერიოდში კავკასიის მოსახლეობის მიერ გამოიყენებოდა სოდისა და საპნის მისაღებად.

Fam. Cistaceae – ოჯ. საკმელისებრი

Helianthemum nummularium (L.) Mill. (Cistus nummularius L.) – მზეყვავილა

დატოტვილი ნახევრადბუჩქია, 10-40 სმ სიმაღლის, სწორმდგომი, წამოწეული, იშვიათად გართხმული, ძირგახევებული ღეროებით. ფოთლები ოვალური, ხაზურ-ლანცეტა ან მომრგვალო კვერცხისებრია, ზემოდან მწვანე, გაფანტული, გაკრული ბეწვით მოფენილი, ქვემოდან – მონაცრისფრო-ქეჩისებრი, მკვეთრად ამოწეული შუა ძარღვით, გადაკეცილი ან სწორი კიდიტ. ყვავილები მტევნის მსგავს ხეულებადაა შეკრებილი. გვირგვინი მონარინჯისფრო-ყვითელია ან მოყვითალო-მოვარდისფრო, ძირისკენ ერთბაშად მუქ ვარდისფრად შეფერილი. ნაყოფი მუქი ყვითელი, მოკლე ქეჩისებრი ბეწვით მოფენილი, მრავალთესლიანი კოლოფია. თესლი ყავისფერია, ბორცვებიანი ზედაპირით. ყვ. IV-VIII. ნაყ. VI-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში.

Helianthemum salicifolium (L.) Mill. (Cistus salicifolis L.) – მზეყვავილა (მლაშობის)

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-25 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი, ქეჩისებრ შებუსული, რკალისებრ აღმავალი, იშვიათად სწორი ან გართხმული. ფოთლებიც ასევე ქეჩისებრ შებუსულია, უკუკვერცხისებრი ან უკუკვერცხისებრ-ლანცეტაა, იშვიათად მომრგვალებული, ძირში შევიწროებული, მობლაგვო წვერით. ყვავილენი 6-13 ყვავილიანია, მცირეოდენ თავმოხრილი. გვირგვინის ფურცლები მკრთალი ყვითელი ფერისაა, ძირთან უფრო მუქი. ნაყოფი მომრგვალო-სამწახნავოვანი, თითქმის შიშველი კოლოფია. თესლი წვრილია. ყვ. IV-VI; ნაყ. VI-VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მშრალ და ქვიან ადგილებში.

Fam. Colchicaceae – ოჯ. სათოვლიასებრნი (უცუნასებრნი)

Merendera trigyna (Stev. ex Adams) Stapf – ენბელა

ტუბერბოლქოვანი, ევემეროიდული, პატარა ზომის უღერო მცენარეა. ტუბერბოლქვი მოგრძო-ელიფსურია, მფარავი ქერქლი უხეშია, მუქი ყავისფერი, ტყავისებრი, მრავალფენად კრამიტისებრ განწყობილი. ფოთოლი ხაზურ-ლანცეტაა, მოსქო, რიცხვით 3-4. ყვავილი უფრო ხშირად 1, იშვიათად 2 ან მეტია; ყვავილსაფარი ვარდისფერია, თეთრი ან სოსანი. ნაყოფი მოგრძო ელიფსური, სამბუდიანი, ხსნადი კოლოფია. თესლი მომრგვალოა, მოყავისფრო. ყვ. II-III; ნაყ. IV-V. კავკასიურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, მდელოებზე, ნაშად ჰაბიტატებზე. დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა.

Fam. Convolvulaceae L. – ოჯ. ხვართქლასებრნი

Convolvulus arvensis L. – ყანის ხვართქლა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მხოხავფესურიანი მცენარეა. ღერო ხვიარაა, წვრილი, 20-110 სმ სიგრძის. ფოთლები გრძელყუნწიანია, მოყვანილობით სამკუთხა-კვერცხისებრი, ძირში ისრისებრი. ყვავილები თითო ან 2-3 ერთად ფოთლების იდლიებში განლაგებული; თანაყვავილები პატარა ზომისაა, ხაზურ-სადგისისებრი ფორმის. გვირგვინი ვარდისფერია ან თეთრი, გარედან მუქი ვარდისფერი ზოლებით. ნაყოფი სფერული, წაწვეტებული, შიშველი კოლოფია. თესლი მუქი ნაცრისფერია, ბორცვებიანი. ყვ. IV-VIII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება გზის პირებზე, ბალახოვან ფერდობებზე, ნაშად ჰაბიტატებზე, რუდერალურ ადგილებში.

Convolvulus cantabrica L. – ხვართქლა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა, მოწითალო ფერის. ღერო 20-40 სმ სიმაღლისაა, ძირში ზოგჯერ გახევებული, დატოტვილი, სწორი ან წამოწეული, გაფარხხულბეწვიანი. ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, თავწაწვეტებული. ყვავილები გრძელყუნწიანია, თითო ან 2-4 ერთად ფოთლების იდლიებში განლაგებული; გვირგვინი ვარდისფერია. ნაყოფი მომრგვალო კოლოფია. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ნაშალებზე და ქვიან ჰაბიტატებზე.

Convolvulus lineatus L. – ხაზური ხვართქლა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო დაბალია, არა უმეტეს 10 სმ სიმაღლისა, სწორმდგომი ან მწოლარე, გახევებული, მიტკეცილი ვერცხლისებრი ბეწვით შებუსული. ფოთლები როზეტის მსგავსად თავმოყრილია ღეროს ძირში, ვიწრო ლანცეტაა, იშვიათად ფართო ლანცეტა, გრძელყუნწიანი, ხავერდის მსგავსი, მოვერცხლისფრო ბეწვით მოფენილი. ყვავილები მოკლემყუნწიანია, თითო ან 2–4-ერთად ტოტების ბოლოებში და ხშირად ზედა ფოთლების იდლიებშია განლაგებული. გვირგვინი მუქი ან ბაცი ვარდისფერია. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია, შებუსული. ყვ. IV-VII; ნაყ. VI-IX. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ადგილებში, ბუჩქნარებში, გზის პირებზე, ნაშალ ჰაბიტატებზე.

Calystegia sepium (L) R. Br. – დიდი ხვართქლა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 2 მ-მდე სიგრძისაა, წვრილი, ხვარა. ფოთლები დიდი ზომისაა, გრძელყუნწიანი, კვერცხისებრ-სამკუთხა ფორმის, ძირში ისრისებრი, კიდემთლიანი, წვეროსკენ წარზიდული. ყვავილები გრძელყუნწიანია, ფოთლების იდლიებში თითო-თითოდ განლაგებული. თანაყვავილები თავწაგრძელებულია. გვირგვინი თეთრი ფერისაა. ნაყოფი მომრგვალო კოლოფია. ყვ. IV-VII; ნაყ. VII-IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, ნაშალებზე, ნახევრად დაჩრდილულ ადგილებში, ტყის პირებზე.

Calystegia silvatica (Kit.) Criseb . – ტყის ხვართქლა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 1,5-2 მ-მდე სიგრძისაა, წვრილი, ხვარა ან მცოცავი. ფოთლები გულისებრ-კვერცხისებრი, ძირში გულისებრ-ისრისებრი; ყვავილები დიდი ზომისაა, მარტოული, იდლიური, ყვავილის ყუნწები ფოთლებს აღემატება. თანაყვავილები წვერზე მობლაგვოა, ფართო კვერცხისებრი, ძლიერ გამობერილი. გვირგვინი თეთრია. ნაყოფი მომრგვალო კოლოფია. ყვ. V-VII; ნაყ. VII-IX. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ნახევარად დაჩრდილულ ადგილებში, წავკისის ხეის გაყოლებზე.

Fam. Crassulaceae – ოჯ. მსუქანასებრნი (სქელფოთოლასებრნი)

Sedum acre L. – ფუნთუშა

მრავალწლოვანი წვნიანი სუკულენტური მცენარეა წვრილად დატოტილი ფესურით. ინვითარებს 10 სმ-მდე სიმაღლის საყვავილე ღეროებს და უნაყოფო ყლორტებს. ფოთლები მორიგეობით არის განწყობილი, მოგრძო კვერცხისებრია, ხასხასა მწვანე, მჯღომარე. ყვავილები თითქმის მჯღომარეა, მოკლე ქოლგისებრ-ფარისებრ ყვავილედად შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები ოქროსფერ-ყვითელია. ნაყოფი მრავალთესლიანია, უფრო ხშირად 5-6 ფოთლურისგანაა შემდგარი. თესლი ყავისფერია, წვრილი. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. ევროპულ, ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ კლდოვან, ნაშალ კაბიტატებზე. პოვნა შესაძლებელია. ნიადაგმფარავი ხალიჩოვანი დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა. ნედლი ფოთლები ხასიათდება შარდმდენი და გამსხნელი მოქმედებით.

Sedum album L. – თეთრი კლდისდუმა

მრავალწლოვანი წვნიანი სუკულენტია რუხი წვრილი ფესურით. საყვავილე ღეროები 10-15 სმ სიმაღლისაა, მრავალი, მწოლარე ან წამოწეული, მკრთალი, ზოგჯერ მოწითალო. ინვითარებს სანაყოფე და უნაყოფო ღეროებს. ფოთლები მკრთალი მწვანეა, ზოგჯერ მოწითალო, ტკიპისებრი ან კვერცხისებრი, სანაყოფე ღეროებზე – უფრო მსხვილი და დაშორიშორებული, უნაყოფოზე – უფრო პატარა და სქლად განლაგებული. ყვავილედის ფარისებრი საგველაა; გვირგვინის ფურცლები თეთრია. ნაყოფი მრავალთესლიანია, უფრო ხშირად 5-6-ფოთლურისგან შემდგარი, თესლი წვრილია. ყვ. IV-V; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება კლდოვან ნაშალებზე, ქვიან ადგილებში. გვხვდება მცირე ჯგუფებად. დეკორატიული ხალიჩოვანი, ნიადაგმფარავი მცენარეა. გამოიყენება საპარკო, საბაღო ხელოვნებაში ხალიჩოვანი ორნამენტების დასამშვენებლად.

Sedum caucasicum (Grossh.) Boriss - კავკასიური კლდისდუმა

მრავალწლოვანი წვნიანი სუკულენტია თითისტარისებრ ხორცოვანი ან გამსხვილებული ფესვებით. ღერო 40-60 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, მოიასამნისფრო-მეწამული და მწვანე

ფერის, ზოგჯერ დახვეული. ფოთლები ფართო კვერცხისებრია, მჯდომარე, ჯვარედინად მოპირისპირე, უთანაბროდ დაკბილული ან თითქმის კიდემთლიანი. ყვავილები მრავალყვავილიან ფარისებრ საგველა ყვავილედებადაა შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები მომწვანო-თეთრია. ნაყოფი სამკუთხაა. ყვ. VI-VII, ნაყ. VII-XII. მცირე აზიური სახეობაა. იზრდება კლდოვან და ქვიან ფერდობებზე, ღია მზიან ადგილებში. დეკორატიულია, გამოიყენება ხალხურ მედიცინაში; ხასიათდება ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით, ნედლი გასრესილი ფოთლები იხმარება ჭრილობების, ფურუნკულების, დამწვრობის დროს.

Sedum pallidum Bieb. – მერთალი ფუნთუშა

ერთწლოვანი წვნიანი სუკულენტია. ღერო 5-25 სმ სიმაღლისაა, ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი, ძირისკენ ხშირად წითელი. ფოთლები მორიგეობით არის განწყობილი, მერთალი მწვანეა, ზოგჯერ მოწითალო, მოგრძო ლანცეტა, ნახევრად ცილინდრული. ყვავილები შეკრებილია ფარისებრ – ქოლგისებრ ყვავილებად; გვირგვინის ფურცლები პატარა ზომისაა, მოგრძო ლანცეტა, მოვარდისფრო ან თეთრი, შუაში მუქი ვარდისფერი ზოლით. ნაყოფი მეტწილად ხუთფოთლურიანია და აღმაცერად ზემოთ აშვერილი; თესლი რუხი ფერისაა, ოვალური ფორმის. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ქვა-ღორღიან, კლდოვან ნაშაღებზე. ტრივიალურია.

Sempervivum transcaucasicum Muirhead – კლდისვაშლა (ამიერკავკასიური კლდისვაშლა)

მრავალწლოვანი ბალახოვანი სუკულენტური მცენარეა. ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, სქლად შებუსული. როზეტისეული ფოთლების რიცხვი 30-მდეა; ღეროსეული ფოთლები მორიგეობით არის განწყობილი, ლანცეტაა, წაწვეტებული, ზედა ნაწილში მეწამულ წითელი ფერის. ყვავილეთი ფარისებრ-ქოლგისებრია, დატოტვილი. გვირგვინის ფურცლები 12-16, მომწვანო-ყვითელი, ხაზურ-ლანცეტა ფორმის. ნაყოფი ხუთფოთლურიანია, წვრილი თესლით. ყვ. IV-V; ნაყ. VII-VIII. მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ქვიან ადგილებში, კლდის ნაპრალებში მცირე ჯგუფებად. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Fam. Cucurbitaceae – ოჯ. გოგრისებრნი

Bryonia dioica Jacq. – ლეშურა

მრავალწლოვანი მსხვილფესვიანი ლიანა ტუბერისებრ გასქელებული, ხორცოვანი ფესვით. ღერო 2-3 მ სიგრძისაა, მცოცავი, მარტივი უღვაშებით. ფოთლები მარტივია, გრძელყუნწიანი, ორნაკეთიანი, გულისებრი, უთანაბროდ მსხვილად დაკბილული. ყვავილები ერთ ან ორსახლიანია, შეკრებილია იდლიურ ყვავილედებად, მდედრობითი (ბუტკოიანი) ყვავილები ფარის მსგავსად, ხოლო მამრობითი (მტერიანიანი) – მტევნებად. გვირგვინი მომწვანო-ყვითელია. ნაყოფი კენკრაა, მომწიფებისას მოწითალო-მოყავისფრო, თესლი კვერცხისებრია. ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX. ვერაზიური სახეობაა. გვხვდება დაჩრდილულ ადგილებში, ტყის პირებზე, ბუჩქნარებში. დეკორატიული, სამკურნალო, შხამიანი და ეთერზეთოვანი მცენარეა. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. ნაყოფებისაგან მიიღება წითელი საღებავი. გვხვდება ერთეული ინდივიდების სახით.

Ecballium elaterium (L.) A. Rich. – კიტრანა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 20-25 სმ სიმაღლისაა, გართხმული ან სწორი. ფოთლის ფირფიტა გრძელყუნწიანია, გულისებრ-კვერცხისებრი ან სამკუთხოვანი, კიდევებზე არათანაბრად დაკბილული, ქვემოდან თეთრი ქეჩისებრი, მოთეთრო-ვერცხლისფრად სქლად შებუსული. ყვავილები ერთსქესიანია, ერთსახლიანი, დიდი ზომის, იდლიური; ბუტკოიანი ყვავილები მარტოულია, გვირგვინი ბაცი ან მუქი ყვითელი შეფერილობის; მტერიანიანი ყვავილები მოკლე ზარისებრია, გრძელ მტევნებადაა შეკრებილი. ნაყოფი გრუ კენკრაა, პატარა კიტრის მსგავსი, გრძელყუნწიანი, მრავალთესლიანია ყვ. V-X; ნაყ. VII-XI. კავკასიურ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ქვალორდიან ჰაბიტატებზე, გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებში. ნაყოფები შხამიანია; ხალხურ მედიცინაში რეკომენდებულია წყალმანკის სამკურნალოდ, გარეგანად - აბსცესების, რევმატიზმის, ბუასილის, ქრონიკული სურდოს დროს, მაგრამ უკიდურესი სიფრთხილით. დეკორატიულია, იზრდება მცირერიცხოვან ჯგუფებად და სპორადულად.

P.S. კიტრანა ბოტანიკურ სახელმძღვანელოებში შესულია როგორც მცენარეების გამრავლების საილუსტრაციო მაგალითი; ნაყოფი მომწიფებისას ყუნწს სცილდება და ყუნწის მიმაგრების ადგილზე გაჩენილ ღრუდან სითხესთან ერთად თესვები საკმაო სიძლიერით გამოირტყოცნება, რაც ნაყოფის კედლების განსაკუთრებული აგებულებით და ქიმიზმით აიხსნება. ამის გამო რუსულ ლიტერატურაში ცნობილია, “ცოფიანი ძაღლის” სახელწოდებით.

Fam. Cuscutaceae – ოჯ. აბრეშუმასებრნი

Cuscuta approximata Bab. (C. cupulata Engelm.) – აბრეშუმა

ერთწლოვანი პარაზიტი უქლოროფილო მცენარეა, ფესვი და განვითარებული ფოთოლი არა აქვს. ღერო ძაფისებრია, მოვარდისფრო-ყვითელი, მისაწოვრების საშუალებით გარს ეხვევა მკვებავ მცნარეს. გვირგვინი თეთრია, ჯამზე ოდნავ გრძელი, მისი ნაკეთები კვერცხისებრია, თავბლაგვი, ზევით აღმართული, შემდეგ კი გადაღუნული. ნაყოფი სფერული კოლოფია. თესლი მრგვალი. ყვ. IV-V; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა, პარაზიტობს ველურ მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეებზე.

Cuscuta epithimum (L.) L. – სამყურას აბრეშუმა

ერთწლოვანი პარაზიტი უქლოროფილო მცენარეა, ფესვი და განვითარებული ფოთოლი არა აქვს. ღერო წვრილია, ძაფისებრი, მოწითალო, დატოტვილი, მისაწოვრების საშუალებით გარს ეხვევა მკვებავ მცნარეს. ყვავილები მოვარდისფრო-თეთრია, მოკლეყუნწიანი, რომლებიც შეკრებილია პატარა ზომის სფერულ თავაკისებრ ყვავილედებად. გვირგვინი ცილინდრული ფორმისაა, თეთრი ან წითელი, წითელი ფერის დინჯით. ნაყოფი სფერული კოლოფია. თესლი წვრილია, ნაცრისფერი. ყვ. IV-V; ნაყ. IX-X. ევრაზიური სახეობაა, განსაკუთრებით ფართოდ პარაზიტობს პარკოსნებზე.

Cuscuta europaea L. – ევროპული აბრეშუმა

ერთწლოვანი პარაზიტი უქლოროფილო მცენარეა, ფესვი და განვითარებული ფოთოლი არა აქვთ. ღერო მოსქოა, მოწითალო, დატოტვილი. გვირგვინი ვარდისფერია, ჯამზე ორჯერ გრძელი, მისი ნაკეთები კვერცხისებრია, ზევით აღმართული ან

გადაღუნული. ნაყოფი კვერცხისებრ-სფერული კოლოფი. თესლი ყავისფერია ან შავი. ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX. ევროპული სახეობაა. პარაზიტობს ჯინჯარზე, ანწლზე და რიგ სხვა ბალახოვან მცენარეებზე და ბუჩქებზე.

Cuscuta lupuliformis Krock. – ხანჭკოლას აბრეშუმა

ერთწლოვანი პარაზიტი უქლოროფილო მცენარეა, ფესვი და განვითარებული ფოთოლი არა აქვთ. ღერო მოსქოა, მოწითალო ან მკრთალი და მუქი წითელი მეჭეჭებით მოფენილი. ყვაილები ყუნწიანია, ვარდისფერი, მოკლე მტევნებად შეკრებილი. ნაყოფი კვერცხისებრ-კონუსური კოლოფია. თესლი მომრგვალო-თირკმლისებრია, მობრტყო და ზოგჯერ ჩაზნექილგვერდებიანი. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX. ევრაზიური სახეობაა. პარაზიტობს როგორც ბალახოვან მცენარეებზე, ასევე ხე-ბუჩქებზე.

Cuscuta monogyna Vahl. – ერთბუტკოიანი აბრეშუმა

ერთწლოვანი პარაზიტი უქლოროფილო მცენარეა, ფესვი და განვითარებული ფოთოლი არა აქვთ. ღერო შედარებით სქელია, დატოტვილი. ყვაილები მჯდომარე ან მოკლეყუნწიანია, ვარდისფერი ან თეთრი, გვირგვინი ცილინდრული, სამტვრეები გულისებრ-კვერცხისებრია, მოკლეძაფებიანი, მჯდომარე. ნაყოფი დიდი ზომის კოლოფია, კვერცხისებრი ფორმის. თესლი მომრგვალოა, პატარა ნისკარტიანი, ზედაპირი ჩაღრმავებული წერტილებითაა მოფენილი. ყვ. IV-V; ნაყ. IX-X. ხმელთაშუაზღვეთურ-ირანული სახეობაა. პარაზიტობს ბუჩქებსა და ხეებზე, მეტწილად ძეძვზე.

Fam. Cyperaceae - ოჯ. ისლისებრნი

Carex digitata L. – თათისებრი ისლი

მრავალწლოვანი, ერთლებნიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მრავალია, 15-25 სმ სიმაღლის, სუსტი. ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, ბრტყელი, რბილი, ღეროს სიმაღლის. ყვაილები ერთსქესიანია, ერთსახლიანი, თავთავებად შეკრებილი. ყვაილები უყვაილსაფროა და თითოეული მათგანი მფარავი კილის იღლიაში ზის. ცალკეული მდედრობითი ყვაილი შემოსხვეულია სახეშეცვლილი მფარავი ფოთლებით, რომლებიც ქმნიან ერთგვარ ჩანთას, საიდანაც დინგებია ამოყოფილი. ეს ჩანთა

შემდეგ ნაყოფზე რჩება შემოკრული. ნაყოფი კაკალია. ყვ. IV-V; ნაყ. VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ტყის ჩრდილებში.

Carex diluta Bieb. – მკრთალი ისლი

მრავალწლოვანი, ერთლებნიანი, ღევა მწვანე, სქელ კორდიანი მცენარეა. ღერო 20-70 სმ სიმაღლისაა, გლუვი. ფოთლები ხაზურია, ბრტყელი ან კიდეგადაკეცილი, ხაოიანი, ღეროზე მოკლე. ყვავილები ერთსქესიანია, მეტწილად ერთსახლიანი, თავთავებად შეკრებილი; თავთავის ქერქლები კვერცხისებრია, ღია ჟანგისფერი, შუაში მწვანე. ჩანთები კვერცხისებრია, გამობერილ-სამწახნაგოვანი, მონაცრისფრო ან მოყვითალო-მწვანე, ჟანგისფერ წინწკლებიანი. ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX. ევროპულ-კავკასიურ-შუა აზიური სახეობაა, ჰიდროფიტი. იზრდება დაჭაობებულ ეკოტოპებზე.

Carex hirta L. – მოკლე და ხეშეშეწვიანი ისლი

მრავალწლოვანი ერთლებნიანი, გრძელყლორტიანი, ღია მწვანე მცენარეა. ღერო 10-60 სმ სიმაღლისაა, გლუვი. ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, ბრტყელი, მათი ვაგინები სქლად დაფარულია ბეწვით. თავთავის ქერქლები მოგრძო კვერცხისებრია, გრძელ ფხიანი, ღია ჟანგისფერი, ბეწვიანი. ჩანთა მოკლეკონუსურ-კვერცხისებრია, ჟანგისფერი, ბეწვიანი, სქელძარღვიანი. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VIII. კავკასიურ-ხმელთაშუაზღვეთურ-ჩრდილო ამერიკული სახეობაა, ჰიდროფიტი. იზრდება ტენიან ადგილებში, წავკისის ხევის გაყოლებზე. რიცხოვნობივად შემცირებულია. ტექნიკური მცენარეა.

Carex polyphylla Kar. & Kir. – მრავალფოთოლა ისლი

მრავალწლოვანი ერთლებნიანი ღია მწვანე, მხოხავ ფესურიანი, კორდისშემქმნელი მცენარეა. ღერო 40-80 სმ სიმაღლისაა, სამწახნაგოვანი, ზედა ნაწილში ბასრ-ხაოიანი. ფოთლები ხაზურია, ბრტყელი. თავთავები სფერულია, ცოტად თუ ბევრად ვარსკვლავისებრ გაფარჩხული, თავის მხრივ ქმნიან რთულ თავთავს. ჩანთები სიფრიფანაა, ჩალისებრი, ღრუბლისებრი. ყვ. IV-V; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა. ჰიდროფიტი. იზრდება ჭარბტენიან ჰაბიტატებზე. ტრივიალურია.

Carex stenophylla Waheeb. – ვიწროფოთოლა ისლი

მრავალწლოვანი ერთლებნიანი, გრძელფესურიანი, მონაცრისფრო-მწვანე შეფერილობის მცენარეა, მიწისქვეშა ყლორტებით. ფოთლები ხაზურ-ღანცეტაა, ბრტყელი ან ნახევრად დახვეული. თავთავის ქერქლები კვერცხისებრია, მომურო ფერის, ჩანთები ტყავისებრია, კვერცხისებრი, ჟანგისფრი, თითქმის მჯდომარე. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-ჩრდილო ამერიკული სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ჭარბტენიან ბიცობ ჰაბიტატებზე. ტრივიალურია. წარსულში ისლის სახეობებს იყენებდნენ შარდმდენ და ოფლმდენ საშუალებად.

Cyperus fuscus L. – თავნასკვა

ერთწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 5-30 სმ სიმაღლისაა, მრავალი, წახნაგებჩახნექილი, მრავალწიბოიანი. ფოთლები ხაზურია, ღეროზე მოკლე. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან თავთავისებრ ყვავილედეზად, ჯგუფ-ჯგუფადაა შეკრებილი და ღეროს წვერზე ქოლგისებრ ყვავილედად თავმოყრილი. ნაყოფი სამწახნაგოვანი, მოკლენისკარტიანი კაკალია. ყვ. VI-VII; ნაყ. IX-X. ევრაზიური სახეობაა. იზრდება წავკისის ხევის ნაპირებზე.

Pycreus flavescens (L.) Beauv. ex Reichenb. – მოყვითალო პიკრეუსი

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 5-30 სმ სიმაღლისაა, ჯგუფ-ჯგუფად ამოსული, რომელიც ხშირად ბუჩქს მოგვაგომებს, სამწახნაგოვანი, ღია მწვანე, გლუვი. ფოთლები ხაზურია, ნახევრად კიდებდახვეული. თავთავები შეკრებილია ჯგუფებად, რომლებიც თავმოყრილია ქოლგისებრ ყვავილედეზად: თავთავი მოგრძო ან მოგრძო კვერცხისებრია, მჯდომარე, ღია მოყვითალო ან მურა ფერის, თავთავის მფარავი ქერქლები კვერცხისებრია, მუქი მურა და მწვანე ქუდით ხასიათდება. ნაყოფი ფართო უკუკვერცხისებრი, შებრტყელებული, მურა ფერის კაკალია. ყვ. IV-V; ნაყ. VII-XI. ევრაზიურ-ამერიკული სახეობაა. იზრდება წავკისის ხევის ნაპირებზე.

Pycreus flavidus (Retz.) T. Koyama (P. globosus (All.) Reichenb). - პიკრეუსი

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი, მონაცრისფრო-მწვანე მცენარეა. ღერო 10-50 სმ სიმაღლისაა, ჯგუფებად

ამოსული ან მხოლოდ ერთი, სამწახნაგოვანი, გლუვი. ფოთლები ხაზურია, კიდევდახეუელი. თავთავები ხაზურ-ლანცეტაა, შეკრებილია შეკუმშული რთული ქოლგის მსგავსად, რომლის ძირში 2-3 უთანაბრო სიგრძის ფოთლია განვითარებული. მფარავი ქერქლები მოგრძო კვერცხისებრია, ოქროსფერ-ქანგისფერი, მომწვანო გასქელებული ქუდით და მკრთალი კიდევით. ნაყოფი ელიფსური, შებრტყელებული, მომურო ფერის კაკალია. ყვ. III-IV; ნაყ. VII-X. ვერაზიური სახეობაა. იზრდება წავკისის ხევის ნაპირებზე. გვხვდება მცირერიცხოვან ჯგუფებად.

Fam. Dioscoreaceae – ოჯ. დიოსკორეასებრი

Tamus communis L. - პაღლის სატაცური

მრავალწლოვანი ბალახოვანი ერთლებნიანი მცენარეა, სქელხორცოვანი, ტუბერის მსგავსად გამსხვილებული ფესურით. ღერო 70-150 სმ სიგრძისაა, წვრილი, ხვიარა, შეფოთლილი. ფოთლები გრძელყუნწიანია, ღრმა გულისებრი. ყვავილები ერთსქესიანია, ორსახლიანი; მდედრობითი ყვავილები შეკრებილია მოკლე, მარტივ მტკეცებად, ხოლო მამრობითი – გრძელ, დატოტვილ, იდლიურ მტკეცებად. ყვავილსაფარი მომწვანოა. ნაყოფი სფერული, ხორცოვანი, წითელი კენკრაა. ყვ. IV-V; ნაყ. VII-VIII. ვეროპულ- ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება დაჩრდილულ ადგილებში ბუჩქებში, ტყის პირებზე. პოვნა შესაძლებელია.

Fam. Dipsacaceae – ოჯ. გოქმოსებრი

Cephalaria media Litv. – კლდის მახობელი

მრავალწლოვანი, ფესურიანი, ბალახოვანი მცენარეა. ღერო 60-80 სმ სიმაღლისაა, სწორი, მარტოული ან დატოტვილი, ქვედა ნაწილში მრგვალი, ზედა ნაწილში წახნაგოვანი, წვრილი, შიშველი ან გაფანტული მიტკეცილებევიანი. ფოთლები ფრთისებრ დანაკეთულია, ზედა ფოთლები მთლიანია, ვიწრო ხაზური, ძირთან შეზრდილი, ყველა მათგანი შიშველი. ყვავილები შეკრებილია შებრტყელებულ, სფერულ თავაკისებრ ყვავილეებად. საბურველის ფოთლები ღია მწვანე-მომუროა; ყვავილთანური ფოთლები ლანცეტაა. გვირგვინი კაშკაშა წითელი. ნაყოფი თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. აღმოსავლეთ ანატოლიური სახეობაა. იზრდება კლდეებზე, მშრალ ქვიან და ღორღიან ფერდობებზე ერთეული ინდივიდების სახით.

Dipsacus laciniatus L. – ლანცეტა გოქშო

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მთავარდერძა ფესვით. ღერო 50-150 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, ზედა ნაწილში დატოტვილი, წიბოებიანი და ხორკლით ან პატარა ეკლებით მოფენილი. ფოთლები ფრთისებრ დაკვეთილია, ფუძეებით შეზრდილი, მათი ნაპირები და შუა ძარღვი ქვემოდან ხორკლიანია ან პატარა ეკლებით მოფენილი; ფესვთანური ფოთლები მოკლეყუნწიანია, ღეროსეული – მჯდომარე. ყვავილები შერებილია ოვალურ ან მოგრძო-კვერცხისებრ თავაკისებრ ყვავილელებად. თანაყვავილები ეკლითაა დაბოლოებული და ამის გამო მთელი თავაკიც ეკლიანი ხდება. გვირგვინი თეთრია ან მკთალი ლილისფერი. ნაყოფი თესლურა. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ტყის პირებზე, გვხვდება წავკისის ხევის გაყოლებაზე, რიცხობრივად მნიშვნელოვნად შემცირებულია. დეკორატიულია, გამოიყენება სათაიგულედ.

Dipsacus strigosus Willd. ex Roem. & Schult. გოქშო

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მთავარდერძა ფესვით. ღერო 70-120 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, მსხვილი, ზედა ნაწილში დატოტვილი. მცენარე მოფენილია წამწამებით და მოკლე ეკლებით. ფოთლები თხელია, მოგრძო ელიფსური, უთანაბროდ დაკბილული. საყვავილე თავაკები დიდი ზომისაა, საყვავილე ქერქლები მოგრძო კვერცხისებრია, წარხიდულია ხშირ უხეშ გრძელ ფხად; გვირგვინი სოსანისფერი. ნაყოფი თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება წავკისის ხევის გაყოლებაზე.

Pteroccephalus plumosus (L.) Coult. - პტეროცეპალუსი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მთავარდერძა ფესვით. ღერო 20-40 სმ სიმაღლისაა, მეტწილად დატოტვილი, ფოთლებიანად ჯირკვლოვანი და მარტივი ბუსუსით მოფენილი. ქვედა ფოთლები მთლიანია ან ჩანგისებრი, დაკბილული, შუათანა - მჯდომარე, ზედა- ფრთისებრია დაყოფილი ხაზურ-ლანცეტა სეგმენტებად. საყვავილე თავაკები მარტოულია, ქვემოდან ერთ წრედ განლაგებული საბურვლის ლანცეტა ფოთლებით შემოსხვეული. გვირგვინი ვარდისფერი ან ცისფერია. ნაყოფი ცრუ თესლურაა. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. აზიური სახეობაა. იზრდება

ჰემიქსეროფილურ ბუჩქნართა ფორმაციებში, ნაშალებზე, ქვა-ლორღიან ჰაბიტატებზე.

Scabiosa columbaria L. – ფოლიო

მრავალწლოვანი ბალახოვანი წვრილფესურიანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, შიშველი ან მოკლე თეთრი ბეწვით მოფენილი. ღეროსეული ფოთლები ერთმაგ ან ორმაგ ფრთისებრია დაყოფილი, უფრო იშვიათად ჩანგისებრია; ფესვთანური ფოთლები ზოგჯერ თითქმის მთლიანია. ყვავილები შეკრებილია სფერულ თავაკებად, რომლებიც ბალახოვანი საბურველითაა შემოსხვეული. გვირგვინი მეწამული, მოვარდისფრო-იასამნისფერი ან მკრთალი ცისფერია. ნაყოფი ცრუ თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ევროპულ - ანატოლიური სახეობაა. იზრდება მშრალ, კლდოვან, ღორღიან ჰაბიტატებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში; ხასიათდება მატონიზირებელი, დიარეზული, ხველების საწინააღმდეგო მოქმედებით.

Scabiosa micrantha Desf. – პატარა ფოლიო

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მთავარღერძა ფესვით. ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა, სწორი, უხვად დატოტვილი, ფოთლებიანად ხაო-ბუსუსიანი. ქვედა ფოთლები მთლიანია, მოგრძო ლანცეტა ფორმის ან ნიჩბისებრი; შუათანა – ჩანგისებრ-დანაკვეთული, ზედა - ფრთისებრ დანაკვეთული. ყველა ყვავილი ერთი ზომისაა, შეკრებილია სფერულ თავაკისებრ ყვავილელებად. თავაკები ნაყოფობისას მოგრძო კვეციხისებრია, საბურველი ქოთნისებრია, მისი ფოთლები თითქმის ხაზურია, ქვედა ნაწილში ხშირი შებუსვით. გვირგვინი ვარდისფერია. ნაყოფი ცრუ თესლურაა. ყვ. IV-V; ნაყ. V-VII. შუა აზიურ-ანატოლიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვიან, ღორღიან ეკოტოპებზე. დეკორატიულია.

Scabiosa rotata Bieb. – ბორბლისებრი ფოლიო

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მთავარღერძა ფესვით. ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, სწორი, დატოტვილი, მეტწილად თითო თავაკიანი, ფოთლებიანად ხაო-ბუსუსიანი. ქვედა ფოთლები მთლიანია, მოგრძო-ლანცეტა, ზედა – ძირისკენ ხაზურ-ლანცეტა ნაწილებად ფრთისებრ-დანაკვეთული. ყვავილები შეკრებილია სფერულ თავაკებად. გვირგვინი ვარდისფერია. ნაყოფი ცრუ თესლურაა. ყვ. III-IV; ნაყ. V-VI. ყირიმულ-ანატოლიურ-ირანული

სახეობაა. იზრდება მშრალ ღორღიან ჰაბიტატებზე. დეკორატიულია.

Fam. Equisetaceae – ოჯ. შვიტასებრნი

Equisetum arvense L – ყანის შვიტა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ნიადაგში დრმად ჩამჯდარი ფესურით. დერო 10-50 სმ სიმაღლისაა, დამუხლული, დადარული, ღრუ, რგოლურად განლაგებული ტოტებით. საგაზაფხულო ღეროები სპორებიანია, დაუტოტავი, რუხი, ხორცოვანი და ადრე ჭკნება; საზაფხულო ღეროები მწვანეა, უნაყოფო, დატოტვილი, 6-18 –წიბოიანი. თითოეული მუხლის ძირში განვითარებულია კბილებიანი ვაგინა, რომელიც შედგება ასიმილაციის უნარდაკარგული, შეზრდილი ერთძარღვიანი ქერქლოვანი ფოთლებისაგან. სპორანგიუმებში განვითარებული სპორები ყველა ერთნაირია, თითოეულ მათგანს სპირალურად შემორტყმული აქვს ორი გადაჯვარედინებული ლენტი, რომლებიც სიმშრალეში იშლებიან და სპორების გავრცელებას ხელს უწყობენ. III-IV. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ნათესებში, მინდვრებში, წყლის სიღნარ ნაპირებზე. გამოიყენება ოფიცინალურ და ტრადიციულ მედიცინაში.

Equisetum ramosissimum Dsf. - დატოტვილი შვიტა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღეროები 25-110 სმ სიმაღლისაა, ხორკლიანი წიბოებით, მკრთალი მწვანე, ან მცირეოდენ ლევა. ქვედა ნაწილი რგოლისებრად დატოტვილი, თითო რგოლში 2-5 ტოტია. ვაგინა ცილინდრულ-ძაბრისებრია, სამკუთხა კბილებით, შავი, თეთრ არშიამოვლებული ლაქით და სადგისისებრი თეთრი დაბოლოებით. თავთავები კვერცხისებრია ან ოვალურ ცილინდრული, წაწვეტებული და მჯდომარე. V-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება წავკისისწყლის ხეობაში, მდინარის ნაპირებზე.

Fam. Euphorbiaceae - ოჯ. რბიანასებრნი

Acalypha australis L. - ავსტრალიური აკალიფა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. დერო 10-50 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, მწოლარე ბეწვით თხლად მოფენილი. ფოთლები მარტივია, მორიგეობით განლაგებული, კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-ღანცეტა, ძირში სოლისებრ შევიწროებული,

ხერსებილა. ყვავილები უგვირგვინოა, მეტწილად ერთსახლიანი, მოკლე ილღიურ და კენწრულ თავთავისებრ ყვავილედებად შეკრებილი. ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია. თესლი მეტწილად გლუვი, ფართო-კვერცხისებრი. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. კოსმოპოლიტური მცენარეა, იზრდება საკოლექციო ნაკვეთებზე სარეველას სახით.

Chrozophora hierosolymitana Spreng - თუთაბაღასა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მონაცრისფრო ქეჩისებრი ვარსკვლავისებრი ბეწვით შებუსული. ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი. ფოთლები კვერცხისებრია ან რომბისებრი, ქვედა მხარეზე ორი მუქი ჯირკვლით; ზედა ფოთლები მოკლეყუნწიანია, ქვედა - გრძელყუნწიანი. ყვავილები ერთსქესიანია, ერთსახლიანი, მამრობითი ყვავილები მოკლე თავთავებად, ხოლო მდედრობითი – მათ ძირში საგველასებრ ყვავილედებად შეკრებილი. მტვრიანიანი ყვავილების გვირგვინი 5 ხაზური ფურცლისგანაა შემდგარი, ხოლო ბუტკოიანის – 5 ძაფისებრი ფურცლისაგან. ნაყოფი სამსაგდულიანი, ბორცვებიანი კოლოფია; თესლი ოვალური, ბორცვებიან – ხორკლიანი, მოშავო და მონაცრისფრო – თეთრი ნაფიფქით მოფენილი. ყვ. V-VIII; ნაყ. VIII-IX. კავკასიურ-აღ. ანატოლიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებსა და რუდერალურ ადგილებში.

Euphorbia boissieriana (Woronow) Prokh. – რძიანა (ბუასიეს)

მრგალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა, შიშველი, ღევა. მცენარის ყველა ნაწილი (რძიანას სხვა სახეობების მსგავსად) შეიცავს მწვავე რძეწვენს. ღერო 40-80 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, უნაყოფო ელორტებიანი, დატოტვილი, მცირერიცხოვანი ღეროსეული ფოთლები მოკლეყუნწიანია, ლანცეტა და მოგრძო-ხაზური, კიდემთლიანი, ბლაგვ ან მახვილ წვერებიანი; ქვედა ფოთლები ქერქლისებრია, მცირერიცხოვანი, მალევე ცვივა. მცენარე ერთსახლიანია, ყვავილები ერთსქესიანია, უყვავილსაფრო, შეკრებილია პატარა ზომის, ორსქესიანი ყვავილის მსგავს კათხასებრ (ციათიუმში) ყვავილედებად. ნაყოფი შებრტყელებულ – სფეროსებრი, თითქმის გლუვი კოლოფია. ყვ. IV-V; ნაყ. VII-VIII. საქართველოს ენდემია, აწერილია თბილისის მიდამოებიდან. იზრდება მშრალ ხირსატიან ფერდობებზე,

ნახსატებსა და ბუჩქნარებში, გვხვდება საკმაოდ ხშირად. საღებავი მცენარეა.

Euphorbia helioscopia L. – მზის მოყვარული რძიანა

ერთწლოვანი ბალახოვანი, გაფარჩხულბეწვიანი, ფესურიანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, მარტოული ან მრავალი, სწორმდგომი ან წამოწეული, მარტივი ან დატოტვილი. ფოთლები მოსქოა, უკუკვერცხისებრ-სოლისებრი ან ნიჩბისებრი, ძირისკენ თანდათან შევიწროებული, თავდაკბილული, ხოლო გვერდებზე კიდემთლიანი. ყვავილები შეკრებილია მრავალსხივიან, ბრტყელ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი გლუვი, შებრტყელებული კოლოფია. თესლები - კვერცხისებრი, მუქი ყავისფერი, ბადისებრ დანაოჭებული. ყვ. III-VIII; ნაყ. V-IX. ვროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, გზადმოყოლილია ჩრდ. ამერიკიდან. იზრდება რუდერალულ ადგილებში, მშრალ ფერდობებზე, გზის პირებზე, ბალის მთელ ტერიტორიაზე.

Euphorbia humifusa Schlect. - გართხმული რძიანა

ერთწლოვანი ბალახოვანი, მოკლე ფესურიანი ღევა მცენარეა, ყვავილობის შემდეგ ხშირად მოწითალო. ღერო 5-20 სმ სიგრძისაა, გართხმული, ძირიდან მრავალჯერ ორთითასებრ დატოტვილი, შიშველი. ფოთლები მოგრძო-ელიფსური, შიშველი ან ქვემოდან ბეწვებიანი, წვრილი ხერხებილა, მოკლეყუნწიანი და ძირში ოდნავ ასიმეტრიული. თანაფოთლები სადგისისებრია, ძირში ხშირად დაკბილული. კათხასებრი ყვავილეთი (ციათიუმი) ღეროს ორთითებში მარტოულად არის განწყობილი. ნაყოფი წაკვეთილ კვერცხისებრი კოლოფია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX. აზიური სახეობაა, გზადმოყოლილია ჩრდ. ამერიკიდან. იზრდება რუდერალურ ადგილებში, გზის პირებზე, ღორღიან ფერდობებზე.

Euphorbia iberica Boiss. – ქართული რძიანა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ღევა მცენარეა, მოკლე ფესურით. ღერო 40-80 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, ღარებიანი, ზემო ნაწილში ილიური საყვავილე ღერქებით და ხშირად შეფოთლილი უნაყოფო ტოტებით. ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრია, მოსქო, ქვედა მათვანი მოკლეყუნწიანია, ზედა – მჯღომარე, თავწვეტიანი. ყვავილები ერთსქესიანია, უყვავილსაფრო, შეკრებილია პატარა ზომის კათხასებრ

(ციათიუმი) ყვავილედად. ნაყოფი შებრტყელებულ-სფერული, ბორცვებიან-წერტილოვანი კოლოფია. თესლი კვერცხისებრი, გლუვი, მოთეთრო კოლოფია. ყვ.V-VII; ნაყ. VI-VIII. კავკასიურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ყამირებზე.

Euphorbia maculata L. – ხაღიანი რძიანა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ლეგა, შემდგომ ხშირად მოწითალო ხდება, გაფარჩხულ ბეწვიანი, ირიბი ფესვით. ღერო 5-10 სმ სიგრძისაა, მიწაზე გართხმული, ძალზე წვრილი, ძლიერ დატოტვილი, შებუსული. ფოთლები მოკლეყუნწიანია, ზემოდან შიშველი, ქვემოდან - ბეწვიანი, კიდეხერხებილა, ძირში ოდნავ ასიმეტრიული, შუაში უფრო ხშირად მოწითალო ლაქიანი. თანაფოთლები ნემსისებრია, ფოჩისებრ დაკბილული. კათხასებრი ყვავილეთი ღეროს ორკაპებში მარტოულადაა განწყობილი, მაგრამ ზედა მუხლთშორისების ძლიერ დამოკლების გამო მიახლოებულია მოკლე, ხშირ შეფოთლილ ცრუ მტევნებად. ნაყოფი პატარა ზომის, მიტკეცილობეწვიანი კოლოფია, ბლაგვქედიანი საგდულებით. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ევროპული სახეობაა, გზად მოყოლილი. იზრდება რუდერალურ ადგილებში, შემცირებულია რიცხოვნობივად, პოვნა შესაძლებელია.

Euphorbia seguieriana Neck – რძიანა

მრავალწლოვანი ბალახოვანი შიშველი, ლეგა მცენარეა. ღერო 20-25 სმ სიმაღლისაა, მრავალი, ინვითარებს საყვავილე და უნაყოფო ყლორტებს, სწორმდგომია, წკეპლისებრი, ძირთან დატოტვილი. ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა, ლეგა-მწვანე, ხაზური ან ხაზურ-ღანცეტა, მახვილი და კიდემთლიანი; ქვედა ფოთლები პატარა ზომისაა და ქერქლისებრი. ყვავილები შეკრებილია ყვავილის მსგავს კათხასებრ (ციათიუმი) ყვავილედად; კენწრული საყვავილე ღერძი ისე, როგორც ილიური, შედგება გაყოფილი სხივებისაგან. ნაყოფი სრულიად გლუვი, კვერცხისებრი კოლოფია. ყვ. V-VIII; ნაყ. VII-IX. ევროპული სახეობაა. იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე, კლდეებზე, ყამირებსა და რუდერალურ ადგილებში, როგორც სარეველა.

Fam. Fabaceae (Leguminosae) – ოჯ. პარკოსანნი

Coronilla orientalis Mill. – აღმოსავლური ყვავისფრჩხილა

მრავალწლოვანი ბალახოვანი, თეთრი გაფარჩხული ბეწვით თხლად მოფენილი მცენარეა. ღერო 15-45 სმ სიმაღლისაა, მრავალი, მწოლარე ან წამოწეული, იშვიათად სწორი, დატოტვილი. ფოთლები კენტფრთისებრია, შედგება 3-5 წვრილი ფოთოლაკისაგან; ფოთოლაკები მოკლეყუნწიანია, უკუკვერცხისებრი, ძირისკენ სოლისებრ შევიწროებული, ოდნავ თავამოკვეთილი. ყვავილები ფოთლების იდლებში გრძელყუნწიან, 6-9-ყვავილიან ქოლგისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი. გვირგვინი მკრთალი ყვითელია. ნაყოფი სწორი ან მოხრილი, ოთხწახნაგოვანი პარკია, მომწიფებისას სიგანეზე 2-9 ნაწილად იშლება. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ჰემიკრიფტოფიტი. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე და ბუჩქნარებში. გვხვდება იშვიათად. დეკორატიულია. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში როგორც სასაქმებელი საშუალება.

Coronilla varia L. – ყვავისფრჩხილა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მოკლე ფესურით. ღერო 20-90 სმ სიმაღლისაა, მრავალი, წამოწეულგაფარჩხული ან გართხმული, ღრუ, წახნაგოვანი, ცოტად თუ ბევრად დატოტვილი. ფოთლები კენტფრთისებრია, შედგება 7-12 წვრილი ფოთოლაკისაგან, რომლებიც მოკლეყუნწიანია, მოგრძო ან ოვალური, თავბლაგვი და ზოგჯერ პატარა წვევით დაბოლოებული. ყვავილები 12-20 რაოდენობით შეკრებილია ქოლგისებრ ყვავილედებად. გვირგვინის აფრა ვარდისფერია, ფრთები თეთრია, ნავის წვერი მუქი წითელი ფერის. ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ჰემიკრიფტოფიტი. იზრდება მზიან, ქვა-ლორდიან ჰაბიტატებზე. მცენარის წვენი შხამიანია, ადამიანებში იწვევს პირღებინებას და კუჭის აშლილობას; ხალხურ მედიცინაში გამოიყენება წყალმანკის, ჭლექის, ციებ-ცხელებისა და მუცლის ტკივილების სამკურნალოდ. დეკორატიულია.

Lathyrus aphaca L. – ყანის მატკვარცანა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-50 სმ სიმაღლისაა, მარტოული ან რამდენიმე, ოთხწახნაგოვანი, სწორმდგომი ან

აღმავალი, უფრო ფოთლის ნაცვლად განვითარებულია ორი თანაფოთოლი და უღვაში; თანაფოთლები მოპირისპირედია განწყობილი, დიდი ზომისაა, კვერცხისებრი ან სამკუთხა კვერცხისებრი, წვერზე მოკლედ წაწვეტებული და ძირში მახვილ ბიბილოებიანი. მტევნები 1-2 ყვავილიანია. გვირგვინი მკრთალი ყვითელია, მისი აფრა ხშირად სოსანი ძარღვებითაა. ნაყოფი ხაზური, შიშველი, სწორი ან ოდნავ ნამგლისებრ მოხრილი პარკია. თესლი პრიალაა, შავი, წაბლისფერი ან ჭრელი. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ნათესებში, ბალახოვან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში.

Lotus caucasicus Kuprian. ex Juz. – კავკასიური კურდღლისფრჩხილა

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა, ცოტად თუ ბევრად გრძელი, მიტკეცილი ბეწვით მოფენილი. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, მრავალი, წამოწეული, დატოტვილი. ქვედა ფოთლები კვერცხისებრია, წაწვეტებული, ზედა 3 ფოთოლაკი უკუკვერცხისებრია ან კვერცხისებრ-რომბული, წვერზე მომრგვალებული ან წაწვეტებული, კიდეზე წამწამიანი. ყვავილელი 3-8 ყვავილიანია, ზედა სამფოთოლაკიანი ფოთლის იღლიაში განვითარებული. გვირგვინი კაშკაშა ყვითელია. ნაყოფი ცილინდრული პარკია, მკვეთრად გამოსახული მუცლითა და ზურგის ნაწიბურებით. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. კავკასიის ენდემია. იზრდება თაბორის ქედის ნაშალ-ღორდიან ფერდობებზე.

Lotus corniculatus L. – კაუჭა კურდღლისფრჩხილა

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა. ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, რამდენიმე, წამოწეული, ზოგჯერ გართხმული, ჩვეულებრივ შიშველი, ან თხლად მიტკეცილებეწვიანი. ფოთლები ხუთფოთოლაკიანია, აქედან სამი შუა ფოთოლაკი უკუკვერცხისებრია, თავმომრგვალებული ან თავწაწვეტებული, ქვედა ორი – კვერცხისებრი. ყვავილები 5-6 რაოდენობით ქოლგისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი. გვირგვინი ყვითელია, ზოგჯერ მისი აფრა ნარინჯისფერია. ნაყოფი ხაზური, სწორი ან მცირეოდენ მოღუნული პარკია. თესლი მურაა, მომრგვალო. ყვ. VI-VI; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება უპირატესად ბალახოვან ფერდობებზე, ნაშალ ჰაბიტატებზე, ერთეული ინდივიდების სახით. ხალხურ მედიცინაში ფოთლები გამოიყენება

როგორც სუსტი შემკვრელი და წყლის შიშის საწინააღმდეგო საშუალება. დეკორატიულია.

Medicago caerulea Less. ex Ledeb. – ცისფერი იონჯა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მონაცრისფრო-მწვანე მცენარეა. ღერო 40-70 სმ სიმაღლისაა, სწორი, წამოწეული ან გართხმული, შებუსული, დატოტვილი. თანაფოთლები ხაზურ-ლანცეტაა; ფოთლები ვიწრო ხაზურ-სოლისებრი ან ხაზურია. ყვავილენი მტკვინისებრია, კუმსი ან ფარჩხატი, მრავალყვავილიანი. ყვ. IV-V; ნაყ. VI-X. მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ქვიან და გაშიშვლებულ ადგილებში, ბუჩქნარებში, გზისპირებზე. საყურადღებოა როგორც საქონლის საკვები. თაფლოვანია.

Medicago hemicycla Grossh. – თრიალეთის იონჯა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარღერძა ფესვით. ღერო 10-40 სმ-მდე სიგრძისაა, მრავალი, გართხმული, წამოწეული ან სწორმდგომი, შიშველი ან ზედა ნაწილში მიტკეცილი ბეწვით შებუსული, მეტ-ნაკლებად შეფოთლილი. ფოთლები ძირში მცირეოდენ შეზრდილია, მათი თავისუფალი ნაწილი სამკუთხა-ლანცეტა ფორმისაა; ფოთოლაკები მოგრძო-კვერცხისებრია ან მოგრძო-ხაზური. თანაფოთლების ზედა ნაწილი სამკუთხა-ლანცეტაა, ძირში დაკბილული. ყვავილები სხვადასხვა ფერისაა: იისფერი, მუქი იისფერი, ცისფერი, ან მკრთალი ყვითელი, შეკრებილია მოკლე 5–30-ყვავილიან ოვალურ ან მომრგვალო ყვავილედად. ნაყოფი ნამგლისებრი ან რკალივით მოხრილი, იშვიათად სწორი პარკია, მიტკეცილი წვრილი ბეწვით შებუსული. თესლები მოკლე-ოვალურია. ყვ. V-VIII; ნაყ. VII-IX. კავკასიურ-მცირე აზიური სახეობაა. გვხვდება იშვიათად, იზრდება ბალახოვან ფერდობებზე.

Medicago lupulina L. – ხანჭკოდასებრი იონჯა

ერთ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სუსტად განვითარებული ფესვით. ღერო 10-60 სმ სიგრძისაა, წვრილი, მეტწილად გართხმული, წამოწეული ან სწორმდგომი, წახნაგოვანი, ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები სამფოთლოაკიანია, რომლებიც უკუკვერცხისებრია ან თითქმის რომბული, ძირში სოლისებრი, თავდაკბილული. ყვავილები ყვითელია, თითქმის მჯდომარე, მოკლე თავაკისებრ მტკვინებად

შეკრებილი. ნაყოფი თირკმლისებრი, ერთთესლიანი, მომწიფებისას შავი, რკალივით მოღუნული პარკია, ამოხნექილი ძარღვებით მოხაზული. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება სუსტად დაკორდებულ ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ნათესებში.

Medicago minima (L.) Bartalini – მინიმალური იონჯა

ერთლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვით, ცოტად თუ ბევრად ბანჯგვლიანი ბეწვით მოფენილი. ღერო 5-30 სმ სიგრძისაა, ძირიდანვე დატოტვილი და მეტ-ნაკლებად უხვად შეფოთილი. ფოთოლაკები უკუეკერცხისებრია ან უკუეკერცხისებრი, ზოგჯერ მომრგვალო, ძირისკენ სოლისებრი, თავდაკბილული და ამოკვეთილი. თანაფოთლები დიდი ზომისაა, ფართო კვერცხისებრი, ძირში მეტწილად 1-2-სამკუთხა კბილით. ყვავილები მოკლე 2-8-ყვავილიან თავაკისებრ მტევნებადაა შეკრებილი; გვირგვინი ყვითელია. ნაყოფი ბურთივით მრგვალი პარკია, 3-5-ჯერ დახვეული, კაუჭიანი ეკლებით მოფენილი, ზოგჯერ უეკლო. თესლი თირკმლისებრია, წაბლისფერ-მურა. ყვ. IV-VI; ნაყ. VI-VII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ბალახოვან ფერდობებზე, ქვიან ადგილებში, ბუჩქნარებში.

Medicago orbicularis (L.) Bartalini – მრგვალნაყოფა იონჯა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვით. ღერო 10-40 სმ სიგრძისაა, მწოლარე, წამოწეული ან სწორმდგომი, წახნაგოვანი და ღარებიანი, შიშველი, ძირიდანვე დატოტვილი. ფოთოლაკები უკუეკერცხისებრი ან უკუსამკუთხა მოყვანილობისაა, ზედა ნაწილში დაკბილული, ხშირად წვერში ამოკვეთილი და უფრო დიდი ზომის კბილით დაბოლოებული. თანაფოთლები შიშველია, ძირამდეა დაყოფილი სავარცხლისებრ, სოლისებრ ნაკვთებად. ყვავილები შეკრებილია 1-5-ყვავილიან მტევნისებრ ყვავილელებად. გვირგვინი მონარინჯისფრო-ყვითელია. ნაყოფი მობრტყო, მრგვალი, უეკლო პარკია, 2-6 სპირალური ხვეულით, მომწიფებისას შავდება. თესლი მრავალია, მურა ფერის, წვრილ-ბორცვიან-წერტილოვანი ზედაპირით. ყვ. IV-VI; ნაყ. VI-VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ნათესებში, ბუჩქნარებში, ბალახოვან ადგილებში.

Medicago polychroa Grossh. – ჭრელყვავილა იონჯა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, მრავალი, ხეშეში, სწორმდგომი ან წამოწეული, იშვიათად გართხმული, ძლიერ დატოტვილი. თანაფოთლები ლანცეტა ან სამკუთხა სადგისისებრია, მიტკეცილებეწვიანი, ძირში რამდენიმე კბილით. ფოთოლაკები მონაცრისფროა, ოვალური ან მოგრძო სოლისებრი, შუა ნაწილის ზემოთ დაკბილული, წვერში ამოკვეთილი და წვეტით დაბოლოებული. ყვავილები შეკრებილია მოგრძო-ოვალურ ან თითქმის თავაკისებრ მტევნად, მრავალყვავილიანია. გვირგვინი სხადასხვა ფერისაა: ცისფერი, მეწამულ-ისფერი, მომწვანო, ლურჯი, ყვითელი, მოყვითალო ან მოთეთრო. ნაყოფი ჯირკვლოვანი ბეწვით უხვად მოფენილი, 2-3-ჯერ დახვეული პარკია. თესლები მურა ფერისაა. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. კავკასიური სახეობაა, სარეველა. იზრდება ქვა-ღორღიან ბალახოვან ფერდობებზე, გზის პირებზე.

Medicago rigidula (L.) All. – ხეშეშნაყოფა იონჯა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ცოტად თუ ბევრად ხშირი ბეწვით შებუსხული. ღერო 10-40 სმ სიგრძისაა, ხშირად ძირიდანვე დატოტვილი, წვრილი, ღარებიანი, ოთხწახნაგოვანი, უპირატესად გართხმული ან წამოწეული, ზოგჯერ სწორმდგომი. ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია ან უკუკვერცხისებრ-სოლისებრი, ზედა ნაწილში დაკბილული, წვერზე ზოგჯერ ამოკვეთილი და წვეტით დაბოლოებული. თანაფოთლები ფართო-კვერცხისებრია, ძირთან ფრთისებრაა მახვილწვერიან ნაკეთებად განკვეთილი, წვერში ლანცეტა-სადგისისებრი. ყვავილები შეკრებილია 4-6 ყვავილიან მტევნებად. ნაყოფი სფერული ან ცილინდრულ-კვერცხისებრი პარკია, 4-8-ჯერ დახვეული, ხვეულებზე ორი ღარის გარდა, ორი მწკრივი მოკლე ეკალია განლაგებული. თესლი მურა ფერისაა, თირკმლისებრი. ყვ. IV-VI; ნაყ. VII-VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მც. აზიური სახეობაა. იზრდება ხრიოკ ადგილებში, ღორღიან ფერდობებზე, გვხვდება ნათესებში როგორც სარეველა.

Melilotus albus Medik. – თეთრი ძიძო

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 0,4-1,5 მ სიმაღლისაა, სწორმდგომი, ძლიერ დატოტვილი. ქვედა ფოთლების ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, ზედასი – მოგრძო-ლანცეტა, თითქმის ძირიდანვე უთანაბროდ დაკბილული. თანაფოთლები

სადგისისებრია, მთლიანი. ყვავილები თეთრია, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილელებად, რომლებიც დაყვავილების შემდეგ უფრო გრძელდება. ნაყოფი მომრგვალო-კვერცხისებრი, ბადისებრ დანაოჭებული, მოკლენისკარტიანი პარკია. თესლი კვერცხისებრია, გლუვი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ვერაზიური სახეობაა, გზადმოყოლილი ჩრდ. ამერიკიდან. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში, მდინარისპირა ტერასებზე. ძვირფასი თაფლოვანი მცენარეა, აზოტის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დამგროვებელი და საუკეთესო მწვანე სასუქია.

Melilotus neapolitanus Ten. – ნეაპოლიტანური ძიძო

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-45 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი, მიტკეცილებეწვიანი. თანაფოთლები სამკუთხა ლანცეტაა. ფოთოლაკები უკუკვერცხისებრ-ცილინდრულია, ძირისკენ სოლისებრი, მათი ზედა მესამედის ნაპირები დაკბილულია. ყვავილები მკრთალი ყვითელია, ჰორიზონტალური ან აღმამდგომი, მოკლეყუნწიანი, მტევნისებრ ყვავილედად შეკრებილი. თანაყვავილები სადგისისებრია, ყვავილის ყუნწზე მოკლე ან მისი ტოლი. ნაყოფი სფერული პარკია, გარედან ფიჭის მსგავსად დაქსელილი. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, ღორღიან ფერდობებზე, გზის პირებსა და რუდერალურ ადგილებში. საქონლის საკვები და თაფლოვანი მცენარეა.

Melilotus officinalis (L.) Pall – ყვითელი ძიძო, სამკურნალო ძიძო

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული, დატოტვილი, შიშველი, შებუსული. თანაფოთლები სადგისისებრ-ხაზურია, მთლიანი. ქვედა ფოთლების ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, ზედასი-მოგრძო-ლანცეტა, უთანაბროდ დაკბილული, ქვემოდან მცირეოდენ ბეწვიანი. ყვავილები მრავალია, ყვითელი, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილელებად. ნაყოფი მომრგვალო-კვერცხისებრი, სივანეზე დანაოჭებული, მოკლენისკარტიანი პარკია. ყვ. V-IX; ნაყ. VII-X. ვერაზიური სახეობაა. იზრდება გზის პირებზე, დაკორდებულ ფერდობებზე. თაფლოვანი და სასილოსე მცენარეა, ივითარებს უხვ მწვანე მასას.

Onobrychis cyri Grossh. – მტკვრის ესპარცეტი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, მრავალი, ძირიდანვე დატოტვილი. თანაფოთლები კვერცხისებრია, წაწვეტებული, სიფრიფანა, მიტკეცილებეწიანი. ქვედა თანაფოთლები შეზრდილია, ზედა – თავისუფალი. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, შედგება 7-10 წყვილი ფოთოლაკისაგან, რომლებიც ოვალურია, მოგრძო-ოვალური ან ღანცეტა-ხაზური, მოზღაგვო და წვეტიანი; ზედა ფოთლები მოკლეყუნწიანია, შედგება 7-12 წყვილი მოგრძო ელიფსური ან ხაზური, წვეტიანი ფოთოლაკისაგან. ყვავილები შეკრებილია მოკლეყუნწიან, ხშირ მტევნებად, საყვავილე ღერძი 2-3 ჯერ აღემატება ფოთლების სიგრძეს. გვირგვინი ვარდისფერია ან მეწამული. ნაყოფი მომრგვალებული, გამობერილი პარკია, გრძელი, მახვილი ეკლით მოფენილი. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. კაკასიის ენდემია. იზრდება მშრალ, ქვა-ღორღიან, ნაშალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში. საქონლის საკვები ბალახია.

Onobrychis iberica Grossh. – ქართული ესპარცეტი

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 50-70 სმ სიმაღლისაა ცილინდრული, ღარებიანი, ძირიდანვე ან ზედა ნაწილში დატოტვილი, გაფარჩხულ-ბეწიანი. თანაფოთლები მოგრძო ღანცეტაა, წვერში თანდათანობით წაწვეტებული, თითქმის ბოლომდე შეზრდილი. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, მოგრძო ელიფსურიდან-მოგრძო ხაზურამდე; ზედა ფოთლები მოკლეყუნწიანია, მოგრძო ხაზური, ბლაგწვერიანი. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან მტევნისებრ ყვავილელებად, რომლებიც გადაყვავილების შემდეგ ძალიან გრძელდება. გვირგვინის აფრა გარედან მკრთალი ვარდისფერია, შიგნიდან ვარდისფერი, სიგრძეზე უფრო მუქი ზოლებით, შიგნითა მხარეზე მოყვითალო ფერის ვარდისფრად დაწინწკლული დიდი ზომის, ოვალური ფორმის ორი ლაქით. ნაყოფი მოიისფროა, ძირთან შევიწროებული, დისკოზე უეკლო. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. კაკასიის ენდემია. იზრდება მშრალ ქვა-ღორღიან ჰაბიტატებზე. პოვნა შესაძლებელია. დეკორატიულია.

Onobrychis kachetica Boiss. & Buhse – კახური ესპარცეტი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 40-60 სმ სიმაღლისაა, ფარჩხატი, დატოტვილი. ფოთლები შედგება 6-9

წერილი ფოთოლაკისაგან; ქვედა ფოთლების ფოთოლაკები ბლაგვია, ზედა ფოთლებისა კი კვერცხისებრ მოგრძო. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან მტევნებად. გვირგვინი ჩალისფერ ყვითელია, იშვიათად ოდნავ მოვარდისფერო. ყვ. IV-V; ნაყ. V-VII. საქართველოს ენდემია. იზრდება მშრალ ბალახოვან ფერდობებზე, თიხნარ და ღორღიან გაშიშვლებულ ადგილებში. საქონლის საკვები ბალახია.

Onobrychis radiata (Desf.) Bieb. – სხვიანი ესპარცეტი

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 30-70 სმ სიმაღლისაა, უხეში, დატოტვილი, გაფარჩხულბეწვიანი. თანაფოთლები თავისუფალია. ფოთოლაკები ელიფსური, ოვალური ან მოგრძოა. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან, ფარჩხატ მტევნისებრ ყვავილეებად, რომელიც 2-ჯერ აღემატება ფოთლებს. გვირგვინი მღვრიე მოყვითალო-ვარდისფერია, მკაფიოდ გამოსახული მუქი იისფერი ძარღვებით დაქსელილი. ნაყოფი მცირე ზომის პარკია, კიდევებზე მოკლე ეკლებით. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. კავკასიის ენდემია. იზრდება მშრალ, ბალახოვან ღორღიან და ქვიან ფერდობებზე. საქონლის საკვები სასილოსე მცენარეა.

Ononis pusilla L. – ფშნის ეკალი

მრავალწლოვანი ბალახოვანი უეკლო მცენარეა. ღერო 6-30 სმ სიმაღლისაა, სწორი ან წამოწეული, დატოტვილი, ძირგახევებული, მარტივი, ჯირკვლიანი და მარტივი ბეწვით მოფენილი. თანაფოთლები ვიწრო-ლანცეტაა, ხერხისებრ დაკბილული. ფოთლები სამფოთოლაკიანია, ფოთოლაკები მოგრძო ან მოგრძო-უკუკვერცხისებრია, ხერხისებრ დაკბილული. ყვავილები ყვითელია, ზედა ფოთლების იღლიებში თითო-თითოდ განლაგებული და თავთავის მსგავს ყვავილედად შეკრებილი. ნაყოფი ოვალური პარკია, 2-4 თესლიანი; თესლი სფერულია, წვრილბორცვიანი. ყვ. VI-IX; ნაყ. VII-X. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ქვიან, ნაშალ ჰაბიტატებზე. პოვნა შესაძლებელია.

Oxytropis pallasii Pers. – პალასის ოქსიტროპი

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა, გრძელი რბილი ბეწვით შებუსული ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა,

დამოკლებულია, გართხმული ან წამოწეული, მარტოული. ფოთლები 10-12 წყვილი ფოთოლაკისაგანაა შემდგარი; ფოთოლაკები ვიწროა, ორივე მხრიდან ბეწვით მოფენილი. ყვავილები მკრთალი ყვითელია, თითქმის სფერულ ან ოვალურ გრძელყუნწიან მტევნად შეკრებილი. თანაყვავილები ხაზურ-ლანცეტაა, ფრთებზე ოდნავ მოკლე. ნაყოფი ორბუდიანი, შებუსული, ოდნავ წვერმოდუნული პარკია. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. მცირე აზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ქვიან ჰაბიტატებზე. პოვნა შესაძლებელია.

***Pisum elatius* Bieb. – ბარდა**

ერთწლოვანი ბალახოვანი ლეგა ფერის მცენარეა. ღერო 40-60 სმ სიმაღლისაა, სუსტი, ზოგჯერ დატოტვილი. ფოთლები დატოტვილი პწკალით (ულვაშით) ბოლოვდება, შედგება 2-3 წყვილი ელიფსური ან მოგრძო-ელიფსური, კიდემთლიანი ფოთოლაკისაგან. თანაფოთლები დიდი ზომისაა კვერცხისებრ ნახევარ-ისრისებრი, ძირთან არათანაბრად დაკბილული. ყვავილები თითო ან ორ-ორი გრძელყუნწიან იდლიურ მტევნებადაა შეკრებილი; გვირგვინი მუქი წითელი ფერისაა. ნაყოფი ხაზური, მობრტყო, მრავალთესლიანი პარკია. თესლი სფერულია, წვრილმარცვლოვანი ზედაპირით, მუქი ფერის. ყვ. IV-VI; ნაყ. VI-VII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, მდელოებზე, ნაშალ ჰაბიტატებზე.

***Trifolium ambiguum* Bieb. – ცხვრის სამყურა**

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, იშვიათად დატოტვილი, დაღარული და წიბოებიანი, შიშველი. ყველა ფოთოლი ყუნწიანია, მათი უმრავლესობა ფესვთანურია; ფოთოლაკები ფართო ელიფსურია, შიშველი, ქვემოდან მრავალი ნათლად გამოსახული, კიდისკენ გამსხვილებული ძარღვით, ზევიდან ისრისებრი ლაქით. ყვავილედო თავაკია, მარტოული, იშვიათად 2-3, ყვავილობის დასაწყისში სფერული, მოგვიანებით მოგრძო-კვერცხისებრი, მრავალყვავილიანი, მაგრამ შედარებით ფარჩხატი. გვირგვინი თეთრია, ყვავილობის ბოლოს მოწითალო ფერის. ნაყოფი ერთ ან ორთესლიანი პარკია. ყვ. V-VII; ნაყ. VII-IX. მცირე აზიური-ირანული სახეობაა. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში.

Trifolium arvense L. – ბურტყლა სამყურა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გაფარჩხული, რბილი ბეწვით შებუსული. ღერო 10-15 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული, ჩვეულებრივ დატოტვილი ან მარტივი. ფოთოლაკები ხაზურია ან ხაზურ-ლანცეტა, სუსტად გამოსახული ძარღვებით, ზედა ნაწილში არათანაბრად წვრილკბილა, წვერზე მოკლეწვეტიანი, ორივე მხარეზე შებუსული. ყვავილები მოთეთრო-ვარდისფერია, შეკრებილია ოვალურ თავაკისებრ ყვავილეებად. ნაყოფი კვერცხისებრი, ერთთესლიანი პარკია. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ნაჩხატებში.

Trifolium bonanni Presl. – მარწყვა სამყურა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიგრძისაა, გართხმული ან წამოწეული, ქვედა მუხლებში ფესვგამდგარი, ნაკლებად დატოტვილი. ფოთლები გრძელყუნწიანია, ფოთოლაკები კვერცხისებრი ან ელიფსური, წვრილკბილიანი. თანაფოთლები სიფრიფანაა, კვერცხისებრ-ლანცეტა, საღვისისებრ წაწვეტებული. ყვავილელი მრავალყვავილიანი თავაკია, ნახევარსფეროსებრი. გვირგვინი ვარდისფერია. ნაყოფი ელიფსური, ერთთესლიანი პარკია. ყვ. V-VIII; ნაყ. VII-VIII. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებში.

Trifolium campestre Schreb. in Sturm – ბარის სამყურა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, წვრილი, სწორმდგომი ან წამოწეული, იშვიათად თითქმის გართხმული, დატოტვილი. ფოთლები ყუნწიანია, ფოთოლაკები უკუკვერცხისებრი ან სოლისებრი, ზოგჯერ თითქმის რომბისებრი, ზედა ნაწილში არანათლად გამოსახული კბილებით, ზოგჯერ თავამოკვეთილი; შუა ფოთოლაკი გრძელყუნწიანია. თანაფოთლები კვერცხისებრია ან კვერცხისებრ-ლანცეტა, არათანაბარკვერდებიანი, ბოლოში წაწვეტებული. ყვავილელი მრავალყვავილიანი თავაკია, კვერცხისებრი ან თითქმის სფერული. გვირგვინი ყვითელია, ნაყოფობის დროს მღვრიე ყვითელი ხდება. ნაყოფი კვერცხისებრი, ერთთესლიანი პარკია. ყვ. V-VIII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა.

იზრდება ღორღიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ზოგჯერ როგორც სარეველა ნათესებში.

Trifolium diffusum Ehrh. – დიფუზური სამყურა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მოკლე ფესურითა და მეტ-ნაკლებად ბეწვით შებუსული. ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული, გაფარჩხულ-დატოტვილი. ფოთლები სამფოთოლაკიანია, რომლებიც ელიფსური ან მოგრძო-ელიფსურია, ზემო მხარეზე მკრთალი ლაქით. თანაფოთლები სიფრიფანაა, გრძლადაა ყუნწთან შეზრდილი, ლანცეტაა, წვერისკენ შევიწროებული, კიდეებზე წვერილებილა. ყვავილები შეკრებილია სფერულ თავაკისებრ ყვავილედებად. გვირგვინი ვარდისფერია. ნაყოფი კვერცხისებრი პარკია, 1-4 თესლიანი. ყვ. IV-V; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებში, ბუჩქნარებში.

Trifolium medium L. – ტყის სამყურა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 15-50 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, მარტივი ან სუსტად დატოტვილი, ზოგჯერ ზიგზაგისებრაა მუხლმოსხრილი. ფოთოლაკები მოგრძო-ელიფსურია, შიშველი, ქვემოდან ოდნავ ლევა. თანაფოთლები ლანცეტაა, თანდათანობით წაწვეტებული. ყვავილელი თავაკია, მარტოული, ტოტების ბოლოებზე განლაგებული, კვერცხისებრი ან სფერული, ფარჩხატი, ყვავილობის დასაწყისში თითქმის მჯღომარე. გვირგვინი მეწამული ფერისაა. ნაყოფი კვერცხისებრი, სიფრიფანა, ერთთესლიანი პარკია. ყვ. V-VIII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე.

Trifolium phleoides Pourr. – სამყურა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მიტკეცილი ბეწვით შებუსული. ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა, წვერილი, სწორმდგომი ან წამოწეული, მეტწილად მარტივი. ფოთოლაკები თითქმის მჯღომარეა, უკუკვერცხისებრი, ზედა ფოთლებისა უკუღანცეტა. თანაფოთლები ასიმეტრიულია, მოგრძო წვერისკენ სადგისისებრ წაწვეტებული, ნათლად გამოსახული ძარღვებით. გვირგვინი ვარდისფერია. ნაყოფი სიფრიფანა, ერთთესლიანი პარკია. ყვ. V-

VII; ნაყ. VII-VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში.

Trifolium pratense L. – წითელი სამყურა, მდელოს სამყურა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. მთავარი ღერო დამოკლებულია, თითქმის განუყოფელი, მის ძირში გრძელყუნწიანი ფესვთაური ფოთლებია შეკრებილი, რომელთა იდლებიდან ვითარდება რამდენიმე (2-5) წამოწეული, 15-50 სმ სიმაღლის სუსტად დატოტვილი ღერო. თანაფოთლები კვერცხისებრია, გაფანტულბეწვიანი. ფოთოლაკები კვერცხისებრია ან ელიფსური, ორივე მხარეზე მიტკეცილი ბეწვით მოფენილი. ყვავილელი თავაკია, მარტოული ან ორ-ორი, ტოტების კენწეროებზე განლაგებული, კვერცხისებრი ან მომრგვალო-კვერცხისებრი, ხშირი, მრავალყვავილიანი. გვირგვინი ღია წითელი ფერიდან მუქ წითელ ფერამდე, ზოგჯერ ღილისფერი, იშვიათად მოთეთრო. ნაყოფი კვერცხისებრი, ერთთესლიანი პარკია. ყვ. V-IX; ნაყ. VI-X. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში.

Trifolium repens L. – თეთრი სამყურა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო მხოხავია 10-30 სმ სიგრძის, მუხლებს შორის ფესვკამდგარი, მხოლოდ ზედა ნაწილშია წამოწეული. თანაფოთლები სიფრიფანაა, მკრთალი, მოთეთრო, დიდი ზომის, კვერცხისებრი, წვერზე გრძლად სადგისისებრ წაწვეტებული. ფოთლები წვრილგრძელყუნწიანია, ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, წვერზე ამოკვეთილი, კიდეზე წაწვეტებულ წვრილკბილიანი. ყვავილელი თავაკია, სფერული; გვირგვინი თეთრია ან ვარდისფერი, იშვიათად მომწვანო, დაყვავილების შემდეგ მურა შეფერილობის. ნაყოფი ხაზური, 3-4 თესლიანი პარკია. ყვ. V-X; ნაყ. VI-X. ევროპული სახეობაა იზრდება ბუჩქნარებში, მდელოებზე, წყლის პირებზე.

Trifolium scabrum L. – ხორკლიანი სამყურა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-20 სმ სიმაღლისაა, მიტკეცილბეწვიანი, გართხმული ან წამოწეული, დატოტვილი. ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, ზოგჯერ ძირში სოლივით შევიწროებული, ქვედა მხარეზე მიტკეცილბეწვიანია და ნათლად გამოსახული, ხშირად მეწამული ფერის ძარღვებით.

თანაფოთლები ღანცეცაა. ყვავილედი თავაკია, ილღიური და კენწრული, ოვალური ან კვერცხისებრი. ყვავილები მჯდომარეა, გვირგვინი ვარდისფერი. ნაყოფი კვერცხისებრი, სიფრიფანა, ერთთესლიანი პარკია. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ევროპულ-სამელთაშუაზღვეთური სახეობაა, სარეველა. იზრდება წავკისის ხეობაში, მდინარის ნაპირებზე.

***Trigonella monspeliaca* L. – ულუმბო**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, მიტკეცილებეწვიანი, წამოწეული ან გართხმული, იშვიათად სწორმდგომი, დატოტვილი ან მარტივი. ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, ძირისკენ სოლისებრი, ზედა ნაწილში კიდელაკბილული, წვერში ხშირად ამოკვეთილი. თანაფოთლები ნახევარისრისებრია. ყვავილედი თავაკისებრია, მრავალყვავილიანი, ფოთლის იღლიებში განლაგებული. გვირგვინი ყვითელია. ნაყოფები ხაზური პარკია; თესლები წვრილია, ცვენია. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ბალახოვან, ქვიან ადგილებზე, გზის პირებზე და ნათესებში.

***Trigonella orthoceras* Kar. & Kir. – სწორქიანი ულუმბო**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-30 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი, წამოწეული, გართხმული, იშვიათად სწორი, ხეშეში ბეწვით მოფენილი. ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, ძირისკენ სოლისებრი, ცოტად თუ ბევრად ღრმად დაკბილული. თანაფოთლები ნახევრად ისრისებრია, მიტკეცილებეწვიანი. ყვავილები (1-4) ფოთლის იღლიებშია განლაგებული. თანაყვავილები ოდნავ აღემატება ყვავილის ყუნწს. გვირგვინი ყვითელია. ნაყოფი ხაზური, ფიჭისებრ დასერილი პარკია. თესლები მოგრძო-ცილინდრულია, წვრილბორცვიანი. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა, ადვენტური სარეველა. იზრდება მშრალ ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებში.

***Trigonella spicata* (Bieb.) Sibth. & Smith – თავაკისებრი ულუმბო**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, სწორი ან წამოწეული, მარტივი ან დატოტვილი. ფოთოლაკები

უკუკვერცხისებრიდან დაწყებული ვიწრო-ელიფსურამდეა, თითქმის ძირიდანვე ხერხებილა. ყვავილები მჭიდრო და მოკლე ცილინდრული თავაკის მსგავს ყვავილედაა შეკრებილი. გვირგვინი ყვითელია. ნაყოფი კვერცხისებრი, თავდაკიდებული, ბადეძარღვიანი, გრძელნისკარტიანი პარკია, 1-2 თესლით. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. კავკასიურ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მშრალ ადგილებში, ნათესებში.

Vicia angustifolia Reichard – ვიწროფოთოლა ცერცველა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, თითქმის შიშველი ან მიტკეცილებევიანი, წვრილი გრძელი ფესვით. ღერო 15-35 სმ სიმაღლისაა, რამდენიმე, წვრილი, წამოწეული ან სწორი, ხშირად ნახევრადგართხმული. ფოთლები 4-7 წყვილი ფოთოლაკისგანაა შემდგარი; ფოთოლაკები მოგრძო-ხაზურია, ვიწრო-ხაზური ან მოგრძო-უკუკვერცხისებრი, ხშირად თავამოკვეთილი; ფოთლის საერთო ყუნწი გრძელი დატოტვილი უღვაშით ბოლოვდება. ყვავილი თითო ან ორ-ორი ფოთლის ილიაში განლაგებული. გვირგვინი მეწამული იისფერია. ნაყოფი ხაზური, წაბლისფერი ან შავი, ქვემოთ დახრილი პარკია. თესლი სფერულია, შავი ან ჭრელი. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ნათესებში მავნე სარეველაა. საკვები მცენარეა.

Vicia cinerea Bieb. – ნაცრისფერი ცერცველა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარღერძა ფესვით. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, მონაცრისფრო, მიტკეცილი ბეწვით შებუსული, ძირიდანვე ძლიერ დატოტვილი, სწორმდგომი ან წამოწეული, ზოგჯერ საკმაოდ მაგარი. ფოთლის საერთო ყუნწი მოკლე დატოტვილი უღვაშით ბოლოვდება. ფოთოლი შედგება 5-8 წყვილი, ვიწრო ხაზური, ბლაგვწვერიანი ან ოდნავ წაწვეტებული ფოთოლაკისაგან. ყვავილები განლაგებულია ფოთლების ილიებში 1-3 ყვავილიან მტევნებად. გვირგვინი იისფერია. ნაყოფი გვერდებშებრტყელებული, ფართო ხაზური ან ლანცეტა პარკია. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. კავკასიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებსა და ნათესებში.

Vicia ervilia (L.) Willd. – უგრეხელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან აღმავალი, ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები 8-12 წყვილი ფოთოლაკისგანაა შემდგარი, უუღვაშო; ფოთოლაკები მოგრძო-ელიფსური ან ხაზურია, ხშირად თავამოკვეთილი. თანაფოთლები პატარა ზომისაა, დაკბილული. ყვავილები ფოთლების იდლებშია 2-4 ცალად განლაგებული; გვირგვინი მოთეთრო-იასამნისფერია. ნაყოფი კრიალოსნისებრი, 2-4 თესლიანი პარკია. თესლი სფერულია, გლუვი, ბაცი ყავისფერი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვიან ადგილებში, ნათესებში.

P.S. თბილისის ბოტანიკური ბაღის უფრ. მეცნ. თანამშრომლის გურამ აბესაძის მიერ აღწერილი იყო var. *microsperma* G. Abesadze, რომლის თესლი თითქმის ორჯერ უფრო წვრილია ძირითად სახეობაზე, დაფარულია ჭრელ და ნაცრისფერ ფონზე მრავალი, წვრილი, მუქი ყავისფერი ლაქებითა და წერტილებით (საქ. ფლორა, ტ. VII, 1981).

Vicia grandiflora Scop. – დიდყვავილა ცერცველა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარღერძა ფესვით. ღერო 25-60 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, ხშირად ძირიდან დატოტვილი. ფოთლები 3-10 წყვილ ფოთოლაკიანია, უღვაშით დაბოლოებული; ქვედა ფოთლების ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, ზედასი – უფრო ვიწრო. თანაფოთლები პატარა ზომისაა, ქვედა ფოთლების ნახევარშუბისებრია ან რამდენიმე კბილით, ზედასი – ოვალური ან ლანცეტა, კიდემთლიანი. ყვავილები შეკრებილია 1-3 ყვავილიან მტევენებად. გვირგვინი 20-28 მმ სიგრძისაა, მკრთალი ყვითელი, ზოგჯერ იისფერიც დაჰკრავს. ნაყოფი ხაზური, მუქი ყავისფერი პარკია. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII; ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება როგორც სარეველა მდელოებზე და ბუჩქნარებში.

Vicia hirsuta (L.) S. F. Gray – ხეშეშეწვიანი ცერცველა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, წვრილი და გრძელი ფესვით. ღერო 30-140 სმ სიგრძისაა, ძირიდანვე დატოტვილი, წვრილი და სუსტი, ოთხწახნაგოვანი, გართხმული ან წამოწეული, შიშველი ან ბეწვით შებუსული. ფოთლები 4-8 წყვილი ფოთოლაკისგან შედგება და დაბოლოებულია მარტივი

ულვაშით; ფოთოლაკები მოკლეყუნწიანია, ხაზური, ძალიან ვიწრო. ზედა ფოთლების თანაფოთლები ლანცეტაა და მთლიანი, ქვედასი – ნახევრადღერომხვევი. პატარა ზომის 2-8-მდე ყვავილი შეკრებილია მტევნისებრ ყვავილელებად. გვირგვინი მოცისფრო თეთრია. ნაყოფი რომბული პარკია. თესლი სფერულია, მობრტყო. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, ნათესებში.

Vicia narbonensis L. – ცხენის ცერცველა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 40-60 სმ სიმაღლისაა, მსხვილი, მაგარი, ოთხწახნაგოვანი. ქვედა ფოთოლი ერთი წყვილი ფოთოლაკისგანაა შემდგარი და მისი საერთო ყუნწი წვეტით ბოლოვდება; ზედა ფოთლები 2-3 წყვილ ფოთოლაკიანია, მათი საერთო ყუნწი მარტივი ულვაშითაა დაბოლოებული; ფოთოლაკები ოვალურია, კიდემწამწამებიანი. თანაფოთლები მსხვილია, კიდემთლიანი ან დაკბილული. ყვავილები 1-2, ფოთლების იდლებშია განლაგებული. გვირგვინი მღვრიე სოსანია ან მოვარდისფრო. ნაყოფი ფართო ხაზურია, შებრტყელებული, წაწვეტებული ნისკარტით, ხაოიანი, ოთხ-ხუთთესლიანი. თესლი სფერულია, მოშავო. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. კავკასიურ-ყირიმული სახეობაა. იზრდება დაჩრდილულ, ტენიან და რუდერალურ ადგილებში.

Vicia pannonica Crantz – ცერცველა

ერთწლოვანი ბალახოვანი, რბილი ბანჯგვლიანი ბეწვით მოფენილი მცენარეა. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული. ფოთლები 5-8 წყვილი ფოთოლაკისგანაა შემდგარი და გრძელი დატოტვილი ულვაშით დაბოლოებული; ფოთოლაკები მოგრძოა, ან ოვალური, თავწვეტიანი. თანაფოთლები პატარა ზომისაა, კვერცხისებრ-ლანცეტა ან ნახევარშუბისებრი, წვეტიანი. ყვავილები მოკლეყუნწიანია, დაკიდებული, შეკრებილია ორ-ოთხყვავილიან მოკლე მტევნებად. გვირგვინი მოყვითალოა, უფრო იშვიათად მეწამული. ნაყოფი მოგრძოა, თავსა და ბოლოში შევიწროებული, მოყავისფრო, მიტკეცილ აბრეშუმისებრბეწვიანი. თესლი სფერულია ან დაკუთხული, ოდნავ შებრტყელებული. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ნათესებში.

***Vicia peregrina* L. – უცხო ცერცველა**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, ძლიერ დატოტვილი, სუსტი, წამოწეული, მოკლებეწვიანი. ფოთლები შედგება 2-6 წყვილი ვიწრო-ხაზური ფოთოლაკისაგან. ზედა ფოთლების საერთო ყუნწი ბოლოვდება მარტივი ან დატოტვილი უღვაშით, ქვედა – ხშირად უუღვაშოა და მხოლოდ მოკლე წვეტით ბოლოვდება. თანაფოთლები პატარა ზომისაა, ქვედა ფოთლების 1-2-კბილიანი, ზედასი – ხაზური და უკბილო. ყვავილი ფოთლის იდლიებში მუდამ თითოა. გვირგვინი მეწამულია, აფრა უფ, კიდემთლიანი ან დაკბილული, უფრო კაშკაშა ფერისაა, ვიდრე ფრთები. ნაყოფი მოგრძო ხაზური, შებრტყელებული პარკია. თესლი მობრტყო-სფერულია, ხავერდოვან-ნაცრისფერი, შავი ლაქებით მოწინწკლული (მარმარილოსებრი). ყვ. IV-VII; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ნასვენ ადგილებსა და გზის პირებზე.

***Vicia sativa* L. – ჩვეულებრივი ცერცველა**

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, მეტწილად წამოწეული ან სწორმდგომი, მარტივი ან დატოტვილი, წახნაგოვანი, შიშველი ან ცოტად თუ ბევრად შებუსული. ფოთლები 4-8 წყვილი ფოთოლაკისგანაა შემდგარი, ფოთლის საერთო ყუნწი დატოტვილი უღვაშით ბოლოვდება. ფოთოლაკები მოგრძოა ან მოგრძო-უკუკვერცხისებრი, თავგადაკვეთილი ან მცირეოდენ თავამოკვეთილი, ძირისკენ სოლისებრი. თანაფოთლები ნახევარისრისებრია, იშვიათად რამდენიმე კბილით. ყვავილები მჯდომარეა, მარტოული ან ორ-ორია ერთად ფოთლების იდლიებში განლაგებული. გვირგვინი მოვარდისფრო-ლილისფერია; ნაყოფი ცილინდრული, ღია ყავისფერი პარკია 4-10 თესლით. თესლი სფერულია, უფრო იშვიათად შებრტყელებული, ყავისფერი. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ნათესებში, ბუჩქნარებსა და მდელოებზე. მარცვლოვანი კულტურების მავნე სარეველაა. წარმოადგენს კარგ საკვებ მცენარეს.

***Vicia truncatula* Fisch. ex Bieb. – წაჭრილი ცერცველა**

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდგომი ფესვით. ღერო 35-50 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული.

ფოთლები 7-12 წყვილი ფოთოლაკისგანაა შემდგარი, თავში მოკლე წვეტით; ფოთოლაკები ელიფსურია ან მოგრძო, თავბლაგვი ან გადაკვეთილი, წვეტით დაბოლოებული. თანაფოთლები პატარა ზომისაა, ზედა - მოგრძო ლანცეტაა. ყვავილები 3-7 რაოდენობით შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად. გვირგვინი ყვითელია, აფრა გარედან მოწითალოა. ნაყოფი მოკლეყუნწიანი პარკია. თესლი სფერულია. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. გვროპული სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში.

Vicia variabilis Freyn & Sint. – ცვალებადი ცერცველა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ხშირი ნაცრისფერი ბეწვით მოფენილი. ღერო 40-80 სმ სიმაღლისაა, მაგარი, ღარებიანი, ძლიერ დატოტვილი, დაკლაკნილი მუხლთშორისებით. ფოთოლი 8-11 წყვილი ფოთოლაკისგან შედგება, მისი საერთო ყუნწი დატოტვილი უღვაშით ბოლოვდება; ფოთოლაკები მოგრძო ლანცეტაა, ურთიერთ მიახლოებული, მოგრძო ხაზური, ბლაგვი ან წაწვეტებული. ქვედა ფოთლების თანაფოთლები ნახევარისრისებრია, ზედასი – ლანცეტა და შედარებით ვიწრო. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან, ცოტად თუ ბევრად მეჩხერ, ცალგვერდა მტევნებად. გვირგვინი ლურჯი ან მოცისფროა. ნაყოფი სოლისებრ შევიწროებული, ჩალისფერი პარკია. თესლი სფერულია. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. კავკასიურ-ანატოლიური სახეობაა. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე.

Vicia villosa Roth – ხაოიანი ცერცველა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, წვრილი გრძელი ფესვით. ღერო 40-100 სმ სიმაღლისაა, გაფარჩხული ან ბანჯგვლიანი ბეწვით შებუსული, წვრილი, სუსტი, გართხმული ან წამოწეული, დატოტვილი. ფოთოლი შედგება 6-8 (10) წყვილი ფოთოლაკისგან; ფოთოლაკები ხაზურ-ლანცეტაა, ბლაგვწვერიანი ან წაწვეტებული, კარგად გამოსახული რკალისებრი გვერდითი ძარღვებით. ფოთლის საერთო ყუნწი დატოტვილი უღვაშით ბოლოვდება. თანაფოთლები პატარა ზომისაა. ყვავილები შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად. გვირგვინი ლილისფერია, გვირგვინის ნაკეთების ფრჩხილები უფრო მკრთალია. ნაყოფი ფართო ხაზური ან მოგრძო რომბული პარკია ბადეძარღვიანი ზედაპირით. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII.

ევროპულ-სამელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, გზის პირებსა და ნაშალ ჰაბიტატებზე.

Fam. Fumariaceae – ოჯ. შავთარასებრნი

Corydalis angustifolia (Bieb.) DC. – ვიწროფოთოლა ბუჩქისძირა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა სფერული ტუბერით. ღერო 10-25 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი. ფოთოლი ორია ან სამი, მორიგეობით განლაგებული, ორმაგ-სამმაგ დაყოფილი მოგრძო ან ვიწრო ხაზურ ნაკეთებად. ყვავილები შეკრებილია ფარჩხატ, მტევნისებრ ყვავილელებად. გვირგვინი ღია ყვითელი ან თეთრია, საკმაოდ დიდი ზომის. ნაყოფი ხაზური კოლოფია. ყვ. II- III; ნაყ. IV-V. კავკასიურ-მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ტყის პირებსა და ბუჩქნარებში, ნახევრად დაჩრდილულ ნოყიერ ჰაბიტატებზე. რიცხობრივად შემცირებულია, პოვნა შესაძლებელია.

Fumaria officinalis L. – სამკურნალო შავთარა

ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი. ფოთლები სამმაგ-ოთხმაგ განკვეთილია ვიწრო ხაზურ წაწვეტილ ნაკეთებად. ყვავილები შეკრებილია ყუნწიან, მეტ-ნაკლებად კუმს მტევნისებრ ყვავილელებად. გვირგვინი მოვარდისფრო-იასამნისფერია. ნაყოფი სფერული კაკლუჭაა, წვერზე ჩაჭყლელი, გვერდიდან შებრტყელებული. ყვ. III-IV; ნაყ. V-VI. კავკასიურ-ევროპული სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნათესებში და ყამირებზე. მცენარის მიწისზედა ნაწილები ხასიათდება სპაზმოლიტური და ანალგეტიკური მოქმედებით. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ღვიძლისა და ნაღვლის სადინარების დაავადებებისას, სპაზმური შეკრულობის, კუჭის წყლულის, მეტეორიზმის სამკურნალოდ.

Fumaria schleicheri Soy. Willem. – შავთარა

ერთწლოვანი ბალახოვანი, წვრილფესურიანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, ძირიდან დატოტვილი, ტოტები სწორმდგომია ან დახრილი. ფოთლები ღეგაა, ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ განკვეთილი მოკლე ხაზურ ან უფრო ვიწრო თითქმის ძაფისებრ ნაკეთებად. ყვავილები შეკრებილია ფარჩხატ გრძელყუნწიან მტევნისებრ ყვავილელებად. თანაყვავილები 2-3 ჯერ მოკლეა ყუნწებზე. გვირგვინი მოვარდისფრო-იისფერია, წვერზე მუქი

ლაქით. ნაყოფი სფერული კაკლუჭაა. ყვ. III-IV; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, გზის პირებზე, ნათესებში. ტრივიალურია. მცენარის მიწისზედა ნაწილები ხასიათდება სპაზმოლიტური და ანალგეტიკური მოქმედებით.

Fam. Geraniaceae – ოჯ. ნემსიწვევრასებრნი

***Erodium cicutarium* (L.) L' Her. – შინაური სავარცხელა**

ერთ ან ორწლოვანი ეფემეროიდული ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-35 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, გართხმული ან წამოწეული, ან მცენარე თითქმის უღეროა, დაფარულია გაფარჩხული, მარტივი, იშვიათად მიტკეცილი ბეწვით. ფესვთანური და ღეროსეული ფოთლები ძირამდე ფრთისებრია განკვეთილი. საყვავილე ღერძები გრძელია, ილლიური, სივრძით ფოთლებს აღემატება, ქმნის ორ-შვიდყვავილიან, ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილ ყვავილელებს, გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია. მწიფე ნაყოფი 5-ად იშლება და თითოეული მათგანი სპირალურად იგრიხება. თესლი თითისტარისებრია, წვრილი და გლუვი. ყვ. IV. ნაყ. VII. ევრაზიური სახეობაა. გვხვდება გზის პირებზე ბალახოვან ფერდობებზე, ნათესებში. ფოთლები ხალხურ მედიცინაში გამოიყენება თავის ტკივილის, სისხლის დამწმენდ, შარდმდენ და ოფლმდენ საშუალებად.

***Erodium ciconium* (L.) L'Her. – სავარცხელა.**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-16 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, გართხმული ან წამოწეული, იშვიათად სწორმდგომი, შებუსებულია მარტივი, ზედა ნაწილში ჯირკვლოვანი, ხუჭუჭა, მწოლარე ბეწვით. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, წვრილი მარტივი ბეწვით მოფენილი, თანაფოთლები კვერცხისებრ ლანცეტა, წაწვეტებული. ყვავილები ქოლგისებრ ყვავილედადაა შეკრებილი; გვირგვინის ფურცლები იისფერია. თესლი თითისტარისებრია, ოდნავ ფიჭისებრ დაჩრუტნული. ყვ. IV; ნაყ. VI. ევრაზიური სახეობაა, იზრდება გზის პირებსა და რუდერალურ ადგილებში.

***Geranium columbinum* L. – გიორგელა, ქათმისკუჭა**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მიტკეცილი ხეშეში ბეწვით მოფენილი. ფესვი წვრილია, ძაფისებრი. ღერო გართხმული ან

აღმავალია, 8-40 სმ სიგრძის. ფესვთანური და ღეროსეული ფოთლები წაგრძელებულ მიტკეცილებევიან ყუნწებზე სხედან; ღეროსეული ფოთლები 3-5-ადაა დაყოფილი; თანაფოთლები ღანცეტაა. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია ან მკრთალი მეწამული ფერის. ნაყოფის საგდულები შიშველია. თესლი წვრილია. ყვ. III-IV; ნაყ. VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. გვხვდება ბუჩქებში, გზის პირებზე.

Geranium dissectum L. – ღრმადგანკვეთილი ნემსიწვერა.

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-35 სმ სიმაღლისაა, წამოწეული ან აღმავალი, გაფარჩხულ-დატოტვილი. ფოთლის ფირფიტა მომრგვალო - ხუთკუთხოვანია, თითქმის ძირამდე დაყოფილი. ყვავილები წვრილია, სოსანი, ვარდისფერი ან მოთეთრო. ნაყოფის საგდულები ნაოჭიანია, ნისკარტი წვრილი. თესლი მკაფიოდ გამოხატული ფიჭისებრი ზედაპირით 1,5 მმ სიგრძისაა. ყვ. V; ნაყ. VII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ნათესარებში, რუდერალურ ადგილებში.

Geranium lucidum L. – ღია ნემსიწვერა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მოკლე პრიალა ბეწვით შემოსილი. ღერო სუსტია, წამოწეული, დატოტვილი, 10-40 სმ სიმაღლის. მომრგვალო გულისებრი ფოთლები წაგრძელებულ ყუნწებზე სხედან, სრულიად შიშველია, მოსქო და პრიალა, ხშირად მოწითალო ან იისფერი. ყვავილი ვარდისფერია, მათი ყუნწები ფოთლებზე გრძელია. ნაყოფის საგდულები მხოლოდ ზურგის მხარეზეა ბადისებრ-ნაოჭიანი, ნისკარტი წვრილი, ძაფისებრია. თესლი გლუვი, 1,5 მმ სიგრძის. ყვ. V; ნაყ. VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ხეების ჩრდილქვეშ.

Geranium pusillum L. – ქათმისკუჭა.

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-20 სმ სიმაღლისაა, სუსტი, გაფარჩხულ-დატოტვილი. ფოთლის ფირფიტა თირკმლისებრია, ორივე მხარეს გაბნეულ გრძელებევიანი. გვირგვინის ფურცლები მკრთალი იისფერია ან მოლურჯო. ნაყოფის საგდულები მიტკეცილებევიანია, ნისკარტი წვრილია. თესლი გლუვია 1,5 მმ სიგრძის. ყვ. IV; ნაყ. VII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ტყეებში, გზის პირებზე და ნათესარებში.

Geranium robertianum L. – უმბურა.

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი ტუბერიანი მცენარეა. ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, სუსტი, წამოწეული, დატოტვილი. ფოთლები გრძელია, ფოთლის ფირფიტა ხუთკუთხოვანი; თანაფოთლები წვრილი, ლანცეტა. გვირგვინის ფურცლები მეწამული ფერისაა, ზოგჯერ მოთეთრო ზოლით. ნაყოფის საგდულები თხელი ან ბადისებრნაოჭიანი, ნისკარტი წვრილია. თესლი წვრილადაა დაწინწკლული, 2 მმ-მდე სიგრძის. ყვ. V; ნაყ. VIII. ჩრდილო ამერიკული სახეობაა, გზადმოყოლილი სარეველა. იზრდება ტენიან დაჩრდილულ ადგილებში. მცენარის ნახარში გამოიყენება ხალხურ მედიცინაში პირის ღრუში გამოსაველებად, საფენებად ჩირქოვანი ჭრილობებისას.

Geranium rotundifolium L. – მრგვალფოთოლა ნემსიწვერა.

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 6-35 სმ მიმაღლისაა, გაფარჩხულ-დატოტვილი, ზემოთკენ მოკლე ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი. ფოთლები მომრგვალო-თირკმლისებრია, 5-7 ბლაგვ (თავის მხრით 3-5-ად დაყოფილი) ნაკვთად დაკვეთილი. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია. ნაყოფის საგდულები გლუვია, გაფარჩხულბეწვიანი, მომწიფებისას ნაყოფის გვერდზეა დახვეული, ნისკარტი წვრილია. თესლი თხელფიჭისებრია. ყვ. IV; ნაყ. VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება გზის პირებზე და რუდერალურ ადგილებში.

Fam. Helleboraceae – ოჯ. ხარისძირასებრნი

Consolida divaricata (Ledeb.) Schrod. – ყანის სოსანი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ზედა ნაწილში მიტკეცილებევიანი, წვრილი ფესვით. ღერო 20-75 სმ სიმაღლისაა, სწორი, გაფარჩხულად დატოტვილი, შეფოთილი. ფოთლები ძალიან ვიწროა, ხაზური, შიშველი ან შებუსული. ყვავილები პატარა ზომისაა, იისფერი, 2 გრძელი შუა ნაკვთითა და ფართო, თითქმის ნახევრად მრგვალი, გვერდითი ნაკვთებით. ნაყოფი ფოთლურაა, შებუსული, სწორი ან ოდნავ მოხრილი ნისკარტით. თესლები მოშავო-მონაცისფროა, განივი ქერქლებით. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. კავკასიურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე და ბუჩქნარებში.

Consolida orientalis (J.Gay) Schroding. (Delphinium orientale J. Gay) – აღმოსავლური სოსანი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა წვრილი ფესვით. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი ან დატოტვილი, ზედა ნაწილში ჯირკვლოვანი შებუსვით. ფოთლები გრძელია, ვიწრო-ხაზური ნაკვებით. ყვავილედ მრავალყვავილიანი, ხშირი, მარტივი ან დატოტვილი მტევანია. ყვავილები დიდი ზომისაა, ღია-იისფერი ან მოწითალო-იისფერი. ფოთლურა სქლადაა შებუსული, ხასიათდება მოკლე ნისკარტით და ნაკერის გასქელებული კიდეებით. თესვები მოშავო-მურაა. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-ირანული სახეობაა. იზრდება ბოტანიკური ბაღის ზედა მონაკვეთის ღია ფერდობებზე. დეკორატიულია.

Fam. Hyacinthaceae – ოჯ. სუმბულისებრი

Muscari caucasicum (Griseb.) Baker – კავკასიური ყაზახა

პოლიკარპული მცენარეა, კვერცხისებრი ბოლქვითა და 20-30 სმ სიგრძის საყვავილე ღეროთი; ფოთლები სქელია, ხაზური ან ფართო ხაზური, რკალივით მოღუნული; მტევანი 20-40 ყვავილიანია, სტერილური ყვავილები მილისებრ-ცილინდრულია ან ოვალური, კაშკაშა მოღურჯო-იისფერი, მოკლე თავაკნაირ მტევნად შეკრებილი; სანაყოფე ყვავილების ყვავილსაფარი ოვალურია, მურა იისფერი, მისი სიგრძე 1,5-ჯერ აღემატება სიგანეს, თავში ღია ღურჯო კბილებით დაბოლოებული. ნაყოფი მოგრძო კოლოფია მრავალრიცხოვანი თესლით. ყვ. IV-V; ნყ. VI-VII. კავკასიურ-ჩრდ. ირანული სახეობაა, ქსერომეზოფიტი, სინათლის მოყვარული; იზრდება ქვიან, ღორღიან ადგილებზე. გვხდება სპორადულად, იშვიათად. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ხასიათდება პირსასაქმებელი და შარდმდენი მოქმედებით. ყვავილები იხმარება საღებავად.

Muscari szovitsianum Baker – შოვიცის ყაზახა.

პოლიკარპული მცენარეა უკვერცხისებრი ბოლქვით და უფოთლო ღეროთი. ფოთოლი ვიწრო-ხაზურია, ძირში შევიწროებული, თავწაწვეტილი. ყვავილები შეკრებილია მტევნისებრ, საკმაოდ მოკლე, ოვალურ ან მოგრძო ოვალურ ყვავილედებად. სტერილური ყვავილები მჯდომარეა; სანაყოფე ყვავილები კი მოკლეყუნწიანი. ყვავილსაფარი ქოთნისებრია, ღურჯო, ცისფერი,

იშვიათად თეთრი. ნაყოფი სამწახნაგოვანი კოლოფია. თესლი სფერულ-კვერცხისებრია, შავი და ნაოჭიანი. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. მცირე აზიური სახეობაა, ქსერომეზოფიტი, სინათლის მოყვარული. იზრდება ბუჩქნარებში, ბალახოვან ფერდობებზე, მდელოებსა და ტყის პირებზე, კლდოვან და ღორღიან ადგილებში ფართო ფრავმენტების სახით. ყაზახას ბოლქვები ხასიათდება პირსასაქმებელი და შარდმდენი მოქმედებით. ფრიად დეკორატიულია.

Ornithogalum ponticum Zahar. – პონტური ძაღლნიორა.

მრავალწლოვანი ბალახოვანი ბოლქვოვანი მცენარეა. საყვავილე ღერო 30-70 სმ სიგრძისაა. ფოთლები ხაზურია, ღარისებრი. ყვავილები შეკრებილია მოგრძო მტევნისებრ ყვავილელებად. ყვავილსაფრის ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, თავბლაგვი, თეთრი. ნაყოფი კვერცხისებრ-სამწახნაგოვანია, წიბოებიანი; თესლი მობრტყოა, შავი, კვერცხისებრი. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. სმელთაშუაზღვეთურ-ატლანტური სახეობაა, მეზოფიტი. სინათლის მოყვარული, იზრდება ნახევრად დაჩრდილულ ადგილებშიც. ძირითადი ადგილსამყოფელია მდელოები, ტყის პირები, ტყის ფანჯრები, ბუჩქნარები, ნათესები. ფართო ფრავმენტი წარმოდგენილი იყო ბალის ქვედა მონაკვეთში, მუხნარში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში ჩირქოვანი სიმსივნეებისა და მუწუკების მოსაშუშებლად.

Scilla siberica Haw. – ცისთვალა.

პოლიკარპული ბოლქვოვანი მცენარეა, ეფემეროიდული გეოფიტი. საყვავილე ისარი 10-20 სმ სიმაღლისაა, წახნაგოვანი; ფოთოლი 2-4, მოყვანილობით ფართო ხაზური, ზევით გაფართოებული. ყვავილები ერთეულია, თავდაღუნული, ლაჟვარდოვანი ან მუქი ცისფერი, მუქი შუა ზოლით. ნაყოფი სფერული კოლოფია ყვ. III; ნაყ. VI. პონტურ-კავკასიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ტყეებსა და ბუჩქებში, გვხვდება წავკისის ხევის გაყოლებასზე. ბოლქვები ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება როგორც ტკივილგამაყუჩებელი, ამოსახველებელი, კუჭისგამხსნელი საშუალება. ყვავილები დეკორატიულია.

Fam. Hypericaceae A.L. Juss. – ოჯ. კრაზანასებრნი

Hypericum hirsutum L. – ხეშეშბეწვა კრაზანა.

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორია, 40-80 სმ სიმაღლის. ფოთლები მჯდომარე ან მოკლეყუნწიანია, მოგრძო კვერცხისებრი ფორმის. ყვავილები ფარჩხატ საგველადაა შეკრებილი, თანაყვავილები ლანცეტა ფორმისაა, გვირგვინის ფურცლები მკრთალი ყვითელია. ნაყოფი წვრილი კოლოფია. თესლი ვიწრო ცილინდრული ფორმისაა, ზედაპირზე ჯაგრისებრი გამონაზარდით. ყვ. VII; ნაყ. VIII. ევრაზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ტყის მონაკვეთებზე, ტყისპირებზე, მდელოებზე. გვხვდება იშვიათად. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება გაციებისა და ხუთვის საწინააღმდეგოდ.

Hypericum perforatum L. – კრაზანა.

მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა, 20-25 სმ სიმაღლის სწორმდგომი ღეროთი. ფოთლები მჯდომარეა, ოვალური, მოგრძო ხაზური. ყვავილები შეკრებილია ფარისებრ საგველა ყვავილელებად, თანაყვავილები ლანცეტა მახვილწვერიანია, გვირგვინის ფურცლები კაშკაშა ყვითელი, მოგრძო ან მოგრძო ელიფსური. ნაყოფი მოგრძო ან ფართო კვერცხისებრი ფორმის კოლოფია, ყავისფერი. თესლი წვრილია, ცილინდრული, ყავისფერი, ფიჭისებრი ზედაპირით. ყვ. VI, ნაყ. VIII. ევრაზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში, ბალახოვან ფერდობებზე. გვხვდება ხშირად და მცირე ჯგუფების სახით. გამოიყენება ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში, ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო და შემკვრელი მოქმედებით.

Fam. Illecebraceae – ოჯ. ილეცერბასებრნი

Herniaria hirsuta L. – ხეშეშბეწვა ქაფუნა.

ერთწლოვანი ბალახოვანი, თეთრი გრძელი გაფარჩხული ბეწვით შებუსული მცენარეა, 3-10 სმ სიმაღლის, ძირიდანვე დატოტვილი და გართხმული ღეროთი. ფოთლები ვიწრო ელიფსურია, თანაფოთლები კვერცხისებრ ლანცეტა. ყვავილები პატარა ზომისაა, ფოთლის იღლიებში კონებად შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები ვიწროა, ძაფისებრი. ნაყოფი ერთთესლიანი, გაუხსნელი კოლოფია. ყვ. IV; ნაყ. VIII. ევრაზიური სახეობაა, ქსერომეზოფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე და დასარეველიანებულ ადგილებში. მეცნიერულ მედიცინაში ბალახის

ნახარში გამოიყენება შარდმდენ საშუალებად, ასევე შარდის ბუშტის, ქრონიკული კატარის, ვენერიული სენის სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში იხმარება თიაქარისა და სიყვითლის საწინააღმდეგოდ.

Herniaria incana Lam. – ქაფუნა.

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-20 სმ სიგრძისაა, ძირიდანვე დატოტვილი, გართხმული, ძირგახევებული, სქლად შებუსული მოთეთრო წვრილი ბეწვით. ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, ვიწრო ელიფსური. თანაფოთლები კვერცხისებრია. ყვავილები პატარა ზომისაა, შეკრებილია ფოთლების იღლიებში ან ტოტების ბოლოებში ჯგუფ-ჯგუფად, გვირგვინის ფურცლები თითქმის განუვითარებელია, ძაფისებრი. ნაყოფი გაუხსნელი კოლოფია. ყვ. V; ნაყ. VIII. ევრაზიური სახეობაა, ქსერომეზოფიტი. იზრდება ღორღიან ფერდობებზე და დასარეკლიანებულ ადგილებში.

Scleranthus polycarpus L. – წიაპა

ერთწლოვანი პატარა ზომის ბალახოვანი მცენარეა. ღერო 3-8 (10) სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი, მარტოული ან რამდენიმე, აღმავალი ხუჭუჭბეწვიანი. ფოთლები ხახურ-სადგისისებრია. ყვავილები პატარა ზომისაა, ფოთლების იღლიებში კუმს კონებად შეკრებილი, გვირგვინი არა აქვს. ნაყოფი ერთთესლიანი გაუხსნელი კოლოფია. ყვ. V; ნაყ. VI (IX). ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, მეზოქსეროფიტი. იზრდება მშრალ ადგილებში.

Fam. Iridaceae Lindl. – ოჯ. ზამბახისებრნი

Crocus adamii J. Gay – ადამის ზაფრანა, კროკო.

ადრე გაზაფხულზე მოყვავილე, მრავალწლოვანი ტუბერ-ბოლქვოვანი მცენარეა, მიწისზედა ღერო განუვითარებელია. ფოთოლი რიცხვით 3-4, ხახურია, შეკეცილი კიდეებით, ყვავილთან ერთად ვითარდება. ყვავილსაფარი მკრთალი სოსანია, ღურჯი-იისფერი, ლილისფერი, იშვიათად თეთრი, ხახაში ოქროსფერ ყვითელი. ნაყოფი მოგრძო, ძირისა და ბოლოსაკენ წაწვეტებული კოლოფია. ყვ. II; ნაყ. IV. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, მეზოფიტი.

იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებსა და ტყის პირებზე. გვხვდება იშვიათად.

Crocus speciosus Bieb. – სოსანი ზაფრანა, კროკო.

მრავალწლოვანი ბალახოვანი ტუბერ-ბოლქვოვანი მცენარეა. ფოთლები ხაზურია, გადაღუნული კიდეებით, ვითარდება დაყვავილების შემდეგ და მომავალ გაზაფხულზე მნიშვნელოვან სიდიდეს აღწევს. ყვავილი დიდი ზომისაა, 4-6 სმ სიგრძის, ყვავილსაფრის ფოთლები ლილისფერია, სიგრძივი სამი მეწამული ფერის ზოლით და თეთრი შიშველი ხახით. ნაყოფი მოგრძო კოლოფია; თესლი მონაცრისფრო-ყავისფერია, დანაოჭებული. ყვ. VIII-IX; ნაყ. X. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ღია ბალახოვან ფერდობებზე, ტყის პირებზე, ბუჩქნარებს შორის, გვხვდება იშვიათად. დეკორატიული და სამკურნალოა.

Iris caucasica Hoffm. – კავკასიური ზამბახი.

მრავალწლოვანი ბალახოვანი ტუბერ-ბოლქვოვანი (ძირში თითისტარისებრი ფესვებით), მცენარეა. ფოთლები ბრტყელია, ნამგალივით მოღუნული და ძალიან ვიწრო თეთრი არშიით შემოვლებული. ყვავილები მკრთალი ყვითელია ან მღვრიე გოგირდისფერ ყვითელი, რიცხვით ორი, იშვიათად მეტი ან თითო, ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები აღმამდგომია, თავდახრილი. ნაყოფი ფართო ელიფსური, ბლაგვი კოლოფია. თესლი მოყვითალო-ყავისფერია, ფართო-ოვალური, დანაოჭებული. ყვ. III-IV; ნაყ. V. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ღორღიან ბალახოვან ფერდობებზე. გვხვდება იშვიათად.

Iris iberica Hoffm. – ქართული ზამბახი.

მრავალწლოვანი ბალახოვანი მოკლე ფესურიანი მცენარეა. ფოთლები ლეგაა, ნამგალივით მოღუნული. ყვავილსაფრის შიგნითა ფოთლები თეთრია ან ოდნავ მოციისფრო, მკრთალი სოსანი ძარღვებით დაქსელილი, ზევით აღმართული, მომრგვალო ფორმის, კიდეტალდიანი; გარეთა ფოთლები მომრგვალოა, ქვევით დახრილი, ჩაზნექილი, მკრთალ ყვითელ ფონზე ხშირი მღვრიე წაბლისფერი ზოლებით დაქსელილი, შუაში დიდი სამკუთხა-კვერცხისებრი კაშკაშა ლილისფერი ან იისფერი, მუქი

ხავერდოვანი ლაქით და ძირისკენ მოკლე ბეწვით მოფენილი. ნაყოფი მოგრძო, ექვსწახნაგოვანი კოლოფია. თესლი მომრგვალო ან მომრგვალო-მსხლისებრი, მუქი ყავისფერი, დანაოჭებული, მოთეთრო ან მკრთალი ყვითელი დანამატი. ყვ. IV; ნაყ. V. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ენდემია, ქსეროფიტი. უადრესად დეკორატიული, სილამაზით გამორჩეული მცენარე. ჩვენს მიერ ბოტანიკურ ბაღში ქართული ზამბახის მცირერიცხოვანი პოპულაცია აღირიცხა გასული საუკუნის 70-იან წლებში, თაბორის ქედის ქვედა მონაკვეთზე, ბალახოვან ფერდობზე. ამჟამად, საგანგებო ძიების მიუხედავად მის კვლას ვერ მივაგენით, თუმცა დაფიქსირდა ბუნებრივ მცენარეულობაში, კლდოვან მონაკვეთზე მოზარდი ამ სახეობის მცირე ფრაგმენტი, რომლის ინტროდუქცია განახორციელა გასული ს-ის 80-იან წლებში ბაღის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა მამია ლორიამ.

***Iris pumila* L. – ქონდარა ზამბახი.**

მრავალწლოვანი მხოხავ ფესურიანი მცენარეა. საყვავილე ღერო 10-15 სმ-ია. ყველა ფოთოლი ფესვთანურია, ლევა, ხაზურ-ლანცეტა ან ხმლისებრი. ყვავილსაფარი ყვითელია, გოგირდისფერი, სოსანი ან მოთეთრო, მისი გარეთა ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრია, შიგნიდან შუა სივრძეზე ბანჯგვლიანი ზოლი აქვთ ჩაველებული. ნაყოფი სამწახნაგოვანი, წაწვეტებული, თითქმის მჯდომარე კოლოფია. ყვ. III; ნაყ. IV. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ქსერომეზოფიტი. იზრდება მშრალ, ფერდობებსა და გორაკებზე. დაფიქსირდა ბაღის ორ მონაკვეთზე მცირერიცხოვანი ჯგუფების სახით. მაღალდეკორატიული მცენარეა. ხალხურ მედიცინაში იხმარება ცოფიანი ძაღლების ნაკბენის საწინააღმდეგოდ.

***Iris reticulata* Bieb. – მინდვრის ზამბახი.**

მრავალწლოვანი ბალახოვანი ტუბერ-ბოლქოვანი მცენარეა. ფოთლები ოთხწახნაგოვანია, წაწვეტებული, მაქსიმალურ ზომას ყვავილობის შემდგომ პერიოდში აღწევს. ყვავილი ერთია, ყვავილსაფარი იისფერია, მოწითალო-იისფერი, იშვიათად ცისფერი ან მოთეთრო, გარეთა ფოთლების შუა ყვითელი ზოლი მუქი წინწკლებითაა აქა-იქ მოფენილი. ნაყოფი მოგრძო კოლოფია, ორივე ბოლოსკენ შევიწროებული. თესლი მურა

ფერისაა, მსხვილი თეთრი დანამატი. ყვ. II-III; ნაყ. V. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, ერთეული ინდივიდების სახით.

Fam. Juncaceae – ოჯ. ჭილისებრნი

Juncus articulatus L. – დანაწევრებული ჭილი

მრავალწლოვანი ფესურიანი, ბალახოვანი, მორუხო-მწვანე მცენარეა, 10-40 სმ სიმაღლის, ცილინდრული, ცოტად თუ ბევრად გვერდებიტკეცილი, ქვედა ნაწილში უფირფიტო ვაგინებით შემოსხვიული ღეროთი. ფოთლები შიშველია, ცილინდრული ან მობრტყო ფირფიტებით, რომლებიც სიგანეზე დატიხრულია. ყვავილები ტოტებზე ცალ-ცალკეა განლაგებული და ყოველი მათგანის ძირში პატარა თანაყვავილებაა განვითარებული, შავი ან მუქი წაბლისფერია, შეკრებილია 6-10 თავაკიან, ქოლგისებრ-საგველასებრ, მრავალტოტიან ყვავილედად, თავაკები მუქი-ყავისფერია. ნაყოფი სამწახნაგოვანი, კვერცხისებრი კოლოფია. თესლი მრავალია, წვრილი. ყვ. VI; ნაყ. VII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებზე წავკისისწყლის ხეობაში.

Juncus inflexus L. – ჭილი.

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ღია მწვანე მცენარეა ჰორიზონტალური ფესურით. ღერო 30-80 (120-მდე) სმ სიმაღლისაა. ფოთლები შიშველია, ღია ვაგინიანი. ყვავილეთი საგველასებრია; ყვავილსაფრის ფოთლები ლანცეტაა, თავწაწვეტებული, შიგნითა ფოთლები გარეთაზე მოკლეა, თანაყვავილები ფართო-კვერცხისებრი, მახვილი ან წაწვეტებულია. კოლოფი კვერცხისებრ-ოვალურია, მოკლე ნისკარტად შევიწროებული, ღია და მუქი ყავისფერი, პრიალა. ყვ. V; ნაყ. IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ტენიან, უპირატესად თიხნარ ადგილებში მცირე ჯგუფების სახით.

Fam. Lamiaceae (Labiatae) – ოჯ. ტუჩოსანნი

Ajuga chia Schreb. – პირწმინდა

მრავალწლოვანი მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, 7-25 სმ სიმაღლის, ძირიდანვე დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ღრმადლა სამად გაყოფილი, ყველაზე ქვედა ფოთლები მთლიანია, ხაზური ფორმის. ყვავილი ყვითელია, ორყვავილიან რგოლებად შეკრებილი, გვირგვინი გარედან ბუსუსიანია, შიგნიდან

წითელხოლებიანი. ნაყოფი ჯამშია ჩამალული და მომწიფებისას ოთხ პატარა, დანაოჭებულ კაკლად იშლება. ყვ. V; ნაყ. VI. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, მეზოქსეროფიტი. იზრდება წავკისის ხეობაში, მდინარისპირა ვერდობებზე, აღირიცხა ორი მცირერიცხოვანი პოპულაცია.

Ajuga genevensis L. – ლაჟვარდოვანი პირწმინდა.

მრავალწლოვანი მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, 10-40 (50) სმ სიმაღლის ღეროთი. ფესვთანური ფოთლები მოგრძო ნიჩბისებრია ან უკუკვერცხისებრი, ღეროსეული - მოგრძო ან მოგრძო ელიფსური, მოკლეყუნწიანი ან მჯდომარე. ყვავილები მჯდომარეა, 4-5 (8) - ყვავილიან ჩხროებად შეკრული, გვირგვინი ცისფერია, იშვიათად თეთრი ან ვარდისფერი. კაკლუჭები მომრგვალოა, ბადისებრნაოჭიანი. ყვ. IV; ნაყ. XI. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ტყის მეზოფილური მცენარე. იზრდება წავკისის ხევის გაყოლებზე, ბუჩქნარებში. ხალხურ მედიცინაში ფოთლები გამოიყენება სისხლიანი ნახველის, ტუბერკულოზის, სისხლიანი ფაღარათის დროს.

Ajuga reptans L. – მხოხავი პირწმინდა.

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, ხასიათდება მიწისზედა მხოხავი ყლორტებით; ღერო მარტივია, 15-35 (40) სმ სიმაღლის. ფოთლები დიდი ზომისაა, კვერცხისებრი ან უკუკვერცხისებრი, შორიშორს მრგვლად დაკბილული; ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, ღეროსეული ქვედა ფოთლები მცირერიცხოვანია. ყვავილები 6-8 ყვავილიან ჩხროებადაა შეკრებილი; გვირგვინი ცისფერია, ლურჯი, ზოგჯერ თეთრი ან ვარდისფერი, კაკლუჭები მომრგვალოა ან უკუკვერცხისებრი, ბადისებრ ნაოჭიანი.

ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ტყის მეზოფილური მცენარე. იზრდება ტენიან მდელოებზე, ბუჩქნარებში წავკისის ხევის გასწვრივ. ბალახი რეკომენდებულია კუჭის მოქმედების და ნივთიერებათა ცვლის გამაუმჯობესებელ საშუალებად, იხმარება ნაღვლის ბუშტში ქვიშის არსებობისას.

Ballota nigra L. – ძაღლის პიტნა, ჯინჯრისგერა.

მრავალწლოვანი უსიამოვნო სუნის, მოკლე და მხოხავ ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 50-120 სმ-მდე სიმაღლისაა, დატოტვილი ან იშვიათად დაუტოტავი, ნორჩობაში მწვანე, მოგვიანებით მოწითალო ან მოყავისფრო-იისფერი. ფოთლები კვერცხისებრია, ბასრხერხებილა ან ორმაგად დაკბილული კიდით, მახვილწვერიანი, წაკვეთილი ან ოდნავ გულისებრი ძირით, ორივე მხარეზე მენხერი და მიტკეცილი ბეწვით. ყვავილები პატარა ზომისაა, გვირგვინი მოვარდისფრო-იისფერი, უფრო იშვიათად თეთრი. კაკლუჭები უკუკვერცხისებრია, წვრილად დაწინწკლული. ყვ. VI; ნაყ. IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, გზადმოყოლილი მცენარე, მეზოფიტი. იზრდება როგორც სარეველა გზის პირებზე, ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში. ხალხურ მედიცინაში მწვანე ფოთლები გამოიყენება იპოქონდრიისა და ისტერიკის წინააღმდეგ; გარეგანად – აბაზანების სახით, სახსრების ტეხვის დროს.

Eremostachys iberica Vis. – ერემოსტახისი

მრავალწლოვანი ფუნჯაფესვიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 60-100 სმ-მდე სიგრძისაა, მძლავრი, მარტივი ან დატოტვილი, აბლაბუდისებრ-ქეჩისებრ შებუსული. ფოთლები ფრთისებრია, დაყოფილია მოგრძო ლანცეტა ან თითქმის ხაზურ სეგმენტებად; ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ზედა – მჯდომარე. ყვავილები მჯდომარეა, 8–10-ყვავილიან ჩხროებად შეკრებილი, თანაყვავილები სხვადასხვა ფორმისაა, ლანცეტა ან ხაზურ სადგისისებრი; გვირგვინი მომწვანო-მოყვითალოა. კაკლუჭები მოკლეა და ხშირბეწვიანი. ყვ. IV-V; ნაყ. VI. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიურ-ანატოლიური სახეობაა, მეზოქსეროფიტი. იზრდება ფერდობებზე, ბუჩქნარებს შორის.

Galeopsis bifida Boenn. – ორადგაყოფილი თავცეცხლა.

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-45 (60 სმ) სიმაღლისაა, მარტივი ან დატოტვილი, მუხლებს ქვემოთ გამსხვილებული, ხეშეში ჯაგრისებრი ბეწვით მოფენილი. ფოთლები კვერცხისებრი ან ლანცეტა ფორმისაა, მომრგვალებული ან სოლისებრი ძირით, კიდეებზე მრგვალკბილა-ხერხისებრი, მახვილწვერიანი, ყუნწებიანი, ორივე მხარეზე

მიტეცილი ბეწვით მოფენილი. ყვავილები მჯდომარეა, თანაყვავილაკებიანი, შეკრებილია 6-10 ყვავილიან ჩხროებად, რომლებიც კენწრული ფოთლების იდლიებშია მოთავსებული; გვირგვინი მეწამული ან სოსანია, იშვიათად მოთეთრო. კაკლუჭები უკუკვერცხისებრ-სამწახნაგოვანია, მუქი ნაცრისფერი. ყვ. VI; ნაყ. VIII. ევრაზიური სახეობაა, ტყის მეზოფილური მცენარე. იზრდება ტყის პირებსა და ბუჩქნარებში.

Galeopsis ladanum L. – თავცეცხლა.

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 50 (60) სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, ხშირად მოწითალო ფერის. ფოთლები ვიწრო კვერცხისებრია, ღანცეტა ან ხაზურ-ღანცეტა, დაშორიშორებულ მრგვალხერხებილა. ჩხროები 6–10-ყვავილიანია; თანაყვავილაკები ღანცეტა ან ხაზურ-ღანცეტა, სადგისისებრ წაწვეტებული. გვირგვინი ხასიათდება მეწამული ფერის გადანალუნით და მოთეთრო ფერის მილით. კაკლუჭები მოგრძო უკუკვერცხისებრია, ორწახნაგოვანი, წვრილი ჯირკვლოვანი ზედაპირით. ყვ. VI; ნაყ. VII. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში და რუდერალურ ადგილებში. ხალხურ მდიცინაში ფოთლები გამოიყენება ჭლექისა და ფილტვების (კატარის) ანთებისას.

Glechoma hederacea L. – ოშოშა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 60 სმ-მდე სიგრძისაა, დატოტვილი, მხოხავი, მუხლებში დაფესვიანებული, მრავალი წამოწეული ან სწორმდგომი ყლორტებით. ფოთლები მომრგვალო თირკმლისებრია, კიდეებზე მსხვილ მრგვალებილა, ზედა მხარეზე მუქი მწვანე, ქვედაზე – უფრო ღია ფერის, მოწითალო იისფერი. ყვავილები შეკრებილია 3–4-ერთად შუათანა და ზედა ფოთლების იდლიებში განწყობილ ჩხროებისებრ ყვავილეებად; გვირგვინი მოცისფრო-იისფერია. კაკლუჭები ღია მურა ფერისაა. ყვ. III-IV; ნაყ. VI-VII. ევრაზიური სახეობაა, ტყის მეზოფილური მცენარე. იზრდება ტენიან ადგილებში, ტყის პირებზე, მდელოებზე, წავკისის ხევის გაყოლებზე. მცენარის მიწისზედა ნაწილი (ბალახი) რეკომენდებულია სასუნთქი გზების დაავადებების (ბრონქიტი), ფილტვების ანთების, თირკმელკენჭოვანი, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის

დაავადებების დროს, აგრეთვე როგორც მადისმომგვრელი საშუალება.

Hyssopus angustifolius Bieb. – უსუბი, ზენტეხი.

მრავალწლოვანი, მხოხავ ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. დერო მრავალია, ძირგახევებული, 20-40 სმ სიმაღლის, მარტივი ან მცირეოდენ დატოტვილი, სწორმდგომი ან წამოწეული. ფოთლები მჯდომარეა, ვიწრო ხაზური, მეტწილად კიდევადაკეცილი, დაწინწკლულ-ჯირკელოვანი, ქვედა მხარეზე კარგად გამოსახული შუა ძარღვით. ყვავილები შეკრებილია თანაყვავილების იღლიებში 2-6-ყვავილიან ჩხროებად, რომლებიც თავის მხრივ ქმნის წაგრძელებულ, ცალმხრივ თავთავისებრ, კენწრულ ყვავილედს; თანაყვავილები ვიწრო ხაზურია, გვირგვინი ღურჯია ან მოღურჯო-სოსანი. კაუჭები მოგრძო კვერცხისებრია, მუქი ყავისფერი, შიშველი. ყვ. VII; ნაყ. X. ირანული სახეობაა, ჰემიქსეროფილური, ლიტოფილური მცენარე. იზრდება ნაშაღებზე, ქვიან ადგილებზე. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნადაა შემცირებული. ეთერზეთოვანია, მოყვავილე ტოტები ხასიათდება ამოსახველებელი, ანტიკატარული მოქმედებით. უსუბის ზეთი რეკომენდებულია სასუნთქი გზების, ქრონიკული კატარისა და ასთმის საწინააღმდეგოდ.

Lamium album L. – ჯინჯრის დედა.

მრავალწლოვანი, მხოხავფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. დერო 30-80 სმ სიმაღლისაა, სწორი, მარტივი, ნაკლებად დატოტვილი. ფოთლები კვერცხისებრია, გრძლად წაწვეტებული, კიდებზე უხეშად ხერხებილა, კაშკაშა მწვანე ფერის. ყვავილები მჯდომარეა, 8-9-ურთიერთდაშორიშორებულ ჩხროებადაა ზედა ფოთლების იღლიებში განწყობილი; თანაყვავილები პატარა ზომისაა, გვირგვინი მოყვითალო ან მოჭუჭყისფრო თეთრი. კაკლუჭები მოგრძო კვერცხისებრია, თითქმის სამწახნაგოვანი, მუქი რუხი ფერის, ზედაპირი დაფარულია თეთრი, მეჭუჭყისებრი ცხიმოვანი გამონახარდით. ყვ. IV; ნაყ. X. ევრაზიური სახეობაა, ტყის მეზოფილური მცენარე. იზრდება დაჩრდილულ ადგილებში, მდინარის სანაპიროებზე, ჩამონაშაღებზე, ბუნქებს შორის, წარმოდგენილია ფართო ფრაგმენტების სახით. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება სასუნთქი გზების კატარის, შარდის

ბუშტის სპაზმის, გაძნელებული შარდვის, ანემიის, ბუასილის, ბრონქების ასთმისა და კანის დასკდომისას.

Lamium amplexicaule L. – ვახოსბორა

ერთ ან ორწლოვანი, ფუნჯა ფესვიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 4-10-20 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე ცოტად თუ ბევრად დატოტვილი, იშვიათად მარტოული, გაფარჩხული წამოწეული ტოტებით. ზედა ფოთლები თირკმლისებრია, მჯდომარე და ღერომხვევი, ნაპირებზე მრგვლად და ღრმად დაკბილული; ქვედა ფოთლები მომრგვალო-გულისებრია, ყუნწიანი. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან თავაკისებრ ჩხროებად; თანაყვავილები ლანცეტისებრ-სადგისისებრია. გვირგვინი ხორცისფერ-წითელი ან ვარდისფერი. კაკლუჭები უკუკვერცხისებრია, ღია რუხი ან მურა ფერის, დიდი თეთრი მეჭეჭისებრი მოხატულობით. ყვ. IV-V; ნაყ. VI. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებში, გვხვდება ხშირად. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Lamium purpureum L. – ბებრის კონკა

ერთ ან ორწლოვანი, ფუნჯა ფესვიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-30 (70) სმ სიმაღლისაა, მწოლარე ან წამოწეული, დატოტვილი. ზედა და ქვედა ფოთლები კვერცხისებრ-გულისებრია ან მომრგვალო, კიდემრგვალებილია, ქვედა მათგანი გრძელყუნწიანი. ყვავილები მჯდომარეა, 6-10 შეკრებილია თავაკისებრ მჭიდრო ჩხროებად. გვირგვინი მეწამული, ვარდისფერი ან იშვიათად თეთრია. კაკლუჭები კვერცხისებრ-ტეტრაედრული, შიშველი, რუხი ფერის, გლუვი ან ძალიან წვრილმეჭეჭებიანი. ყვ. IV; ნაყ. VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ბუნქნარებში, ფერდობებზე, გზის პირებზე, როგორც სარეველა რუდერალურ ადგილებში. თაფლოვანია.

Leonurus quinquelobatus Gilib. – შავბალახა

მრავალწლოვანი, მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 2 მ-მდე სიმაღლისაა, ხშირად მოწითალო-იისფერი. ყველა ფოთოლი ყუნწიანია, თათისებრ დაკვეთილი, ორივე მხრიდან შებუსული. ყვავილი პატარა ზომისაა, მჯდომარე, ფოთლების

იღლიებში მრავალყვავილიან რგოლებად შეკრებილი, მოკლეყუნწიანი; გვირგვინი ვარდისფერია ან ვარდისფერ-იისფერი. კაკლუჭები გლუვია. ყვ. VII; ნაყ. VIII. ჩრდ. აღმ. ანატოლიური სახეობაა. მეზოქსეროფიტი. იზრდება ბუჩქნარებში, რუდერალურ ადგილებში მცირე ჯგუფების სახით. გამოიყენება ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში, კლინიკურად დამტკიცებულია მცენარის მიწისზედა ნაწილების ნევროზის, კრუნჩხვის საწინააღმდეგო და დამამშვიდებელი მოქმედება.

Lycopus europaeus L. – ლიკოპუსი

მრავალწლოვანი, ბალახოვანი, შიშველი ან მოკლებეწვიანი მცენარეა გრძელი დატოტვილი ფესურით. რელიქტური სახეობაა. ღერო 20-100 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი ან დატოტვილი. ფოთლები მოგრძო ელიფსური ან ელიფსურ-ლანცეტაა, მთლიანი, კიდეხერხებილა, ძირისკენ სოლისებრ შევიწროებული. გვირგვინი თეთრი ან მოყვითალო-თეთრია, მეწამულწინწკლებიანი. კაკლუჭები სამწახნაგოვანია, ძირისკენ შევიწროებული. ყვ. VII-IX; ნაყ. VIII- XI. ევრაზიური სახეობაა, მეზოფილური. იზრდება ტენიან და დაჭაობებულ ადგილებში, მდინარის ნაპირებზე. ხალხურ მედიცინაში ფოთლები გამოიყენება ციებ-ცხელებისა და საშვილოსნოდან სისხლდენისას.

Marrubium catariifolium Desr. – ფოლორცის ბალახი

ერთწლოვანი, ფუნჯაფესვიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორმდგომია, დატოტვილი. ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებრია, კიდემრგვალებილა, ძირში სოლისებრი, ყუნწიანი, ქვემოდან მონაცრისფრო ბეწვით მოფენილი. ყვავილები პატარა ზომისაა, ხშირ რგოლებად შეკრებილი, გვირგვინი თეთრია, უფრო იშვიათად ვარდისფერი. კაკლუჭები მოგრძოა, თითქმის სამწახნაგოვანი. ყვ. V; ნაყ. VIII. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, მეზოქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში.

Marrubium vulgare L. – ჩვეულებრივი ფოლორცის ბალახი

მრავალწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მომრგვალო კვერცხისებრია, ძირში სოლისებრი, კიდემრგვალებილა, ზემოდან მწვანე, ქვემოდან თეთრი ქეჩისებრი. ყვავილი პატარაა, ხშირ რგოლებად შეკრებილი. გვირგვინი

თეთრია. ნაყოფი მოგრძო, სამწახნაგოვანი კაკალია. ყვ. V; ნაყ. VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-აზიური სახეობაა, მეზოქსეროფილური. იზრდება მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში. გამოიყენება როგორც ამოსახველებელი საშუალება სასუნთქი გზების ანთების, მწვავე და ქრონიკული ბრონქიტის, ყვიანახველის დროს. რეკომენდებულია ღრძილისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებებისას, კუჭისა და ნაწლავების სამკურნალოდ.

Melissa officinalis L. – ბარამბო

მრავალწლოვანი გრძელფესურიანი, მოკლებეწვიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი. ფოთლები კვერცხისებრია, მოკლე სოლისებრი ფუძით, კიდეზე მრგვალხერხებილა, ყუნწიანი. ყვავილები 3-5 (ზოგჯერ უფრო მეტი) ერთადაა ნახევარჩხრობად შეკრებილი; თანაყვავილები მოკლეყუნწიანია, გვირგვინი თეთრია ან მოვარდისფრო. კაკლუჭები ყავისფერია. მცენარე ღიმონის სურნელით ხასიათდება. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ტყის, მეზოფიტი. იზრდება ტყის პირებზე, ტყისპირა მდელოებზე, ბუჩქნარებში და რუდერალურ ადგილებში. ბოტანიკურ ბაღში მისი ფართო ფრავმენტი კედრნარში იყო წარმოდგენილი, სადღეისოდ სრულადაა განადგურებული. წავკისის ხეობაში გვხვდება ერთეული ინდივიდების სახით. ეთერზეთოვანი, თაფლოვანი და სამკურნალო მცენარეა. ბალახი რეკომენდებულია ნერვიული სისტემის, შაკიკის, უძილობის, მტკივნეული მენსტრუაციის და კანის დაავადებებისას.

Mentha aquatica L. – ტენცო

მრავალწლოვანი, წვრილფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ინვითარებს მიწისქვეშა და წყლის, აგრეთვე მიწისზედა შეფოთილ ყლორტებს, ხასიათდება ძლიერი არომატული სურნელით. ღერო 20-25 (100) სმ სიმაღლისაა, მარტივი ან დატოტვილი. ღეროსეული ფოთლები კვერცხისებრიდან ელიფსურამდე ფორმისაა, მომრგვალო გულისებრი, ზოგჯერ სოლისებრი ძირით, ხერხებილა, ოდნავ პრიალა. ყვავილები შეკრებილია კენწრულ, სფერულ ან ოვალურ ყვავილედად. გვირგვინი კაშკაშა ღია იისფერი ან ღილისფერია, წითელი ან თეთრი. კაკლუჭები კვერცხისებრია, ღია ყავისფერი. ყვ. VI; ნაყ.

X. ევროპულ- ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ჰიდრომეზოფიტი. იზრდება წავკისისწყლის ნაპირებზე, დაჭაობებულ ადგილებში. ეთერზეთოვანი მცენარეა. ხალხურ მედიცინაში ცივ წყალზე დაყენებულ ბალახის ნაყენს იყენებენ სოკოთი მოწამვლისა და გველის ნაკბენის სამკურნალოდ.

Mentha longifolia (L.) Huds. – ტყის პიტნა

მრავალწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, ინვითარებს მიწისქვეშა ამონაყარს. ღერო 30-150 სმ სიმაღლისაა, სწორი, მარტივი ან დატოტვილი, რბილი ბეწვით მოფენილი. ფოთლები მჯდომარეა, მოგრძო-ლანცეტა, ხერხებილა, ქვემოდან ხშირი ბეწვის გამო მოთეთრო, ზემოდან უფრო მკრთალი. ყვავილები შეკრებილია კენწრულ ცილინდრულ ან კონუსურ ყვავილედად, რომლებიც თავის მხრივ ზოგჯერ საგველასნაირადაა თავმოყრილი. თანაყვავილები ხაზურია, ყვავილებს რამდენჯერმე აღემატება; გვირგვინი მოვარდისფრო-სოსანია. კაკლუჭები კვერცხისებრია, ბეწვიანი. მცენარე არომატული სურნელით ხასიათდება. ყვ. VII, ნაყ. IX. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ნესტიან მდელოებზე, ბუჩქნარებში ტყის პირებზე. თაფლოვანი მცენარეა.

Nepeta cataria L. – კატაპიტნა

მრავალწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 125 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი. ფოთლები სამკუთხა კვერცხისებრია, ყუნწიანი, კიდელაკბილული, ზემოდან მწვანე, ქვემოდან – ღეროიანად მონაცრისფრო, პრიალა, წერტილოვანი ჯირკვლებით თხლად მოფენილი. ყვავილები შეკრებილია საგველანაირ ყვავილედად, ჩხროები მრავალყვავილიანია. გვირგვინი თეთრია. კაკლუჭები ფართო ელიფსურია, გლუვი. ყვ. VI; ნაყ. VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-აღმ. ანატოლიურ-ირანული სახეობაა, ტყის მეზოფილური მცენარე. იზრდება წავკისის ხევის გაყოლებზე ერთეული ინდივიდების სახით. ეთერზეთოვანი და სამკურნალო მცენარეა, ხასიათდება აღმგზნები, ანტისპაზმური, ოფლმდენი მოქმედებით.

Nepeta mussini Spreng. – ქარაბენძი

მრავალწლოვანი, მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-40 სმ-მდე სიმაღლისაა, მრავალი, წამოწეული ან

მწოლარე, მარტივი ან დატოტვილი. ფოთლები კვერცხისებრია, თითქმის მრგვალებილა, ფუძეგულისებრი, მოკლეყუნწიანი. ყვავილები შეკრებილია მეჩხერ, რგოლებდაშორიშორებულ საგველასებრ ყვავილედად, გვირგვინი ცისფერია. კაკლუჭები ფართო ელიფსურია, ზედაპირზე გამოსატული ბორცვებით. ყვ. IV; ნაყ. VIII. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ქსეროფილური მცენარე. იზრდება ღორღიან და ქვიან ადგილებზე, გზის პირებზე, გვხვდება ხშირად.

Origanum vulgare L. – თავშავა

მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა ირიბი ფესურით. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, მცირეოდენ შორიშორს დაკბილული, მოკლეყუნწიანი. ყვავილები ფარისებრ ყვავილედაა შეკრებილი, თანაყვავილები კვერცხისებრ-ელიფსურია, მჯდომარე; გვირგვინი მოწითალო-ვარდისფერია, ზოგჯერ ჭუჭყისფერ თეთრი. კაკლუჭები მოგრძო კვერცხისებრია, გლუვი, მურა ფერის. ყვ. VI; ნაყ. IX. ევრაზიური სახეობაა, მეზოქსეროფიტი. იზრდება ბაღის ზედა მონაკვეთზე, მდელოებზე, ბუჩქნარებს შორის, მცირე რაოდენობით. ეთერზეთოვანი და სამკურნალო მცენარეა. ხასიათდება გამაუმტკივნეული, დამამშვიდებელი, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით.

Phlomis pungens Willd. – ჯინჯარა

მრავალწლოვანი, მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი ან გაფარჩხულდატოტვილი. ქვედა ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, ნაპირებზე მრგვალებილა, გრძელყუნწიანი, ღეროსეული ფოთლები ლანცეტაა, მრგვალი და მახვილი კბილებით, მოკლეყუნწიანი, ყველა მათგანი ქვემოდან მოთეთროა. ყვავილები ფოთლების იდლებში რგოლებადაა განლაგებული, ყვავილთა რგოლები 3-10 ყვავილიანია, დაშორიშორებული; გვირგვინი მოწითალო იისფერი ან ლილისფერია. კაკლუჭები მომრგვალოა, შიშველი. ყვ. V; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ადგილებში, ბუჩქნარებში, ერთეული ინდივიდების სახით. ხალხურ მედიცინაში იხმარება შემკვრელ საშუალებად.

Phlomis tuberosa L. – ტუბერიანი ჯინჯარა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ტუბერისებ გამსხვილებული თასმისებრი ფესვებით. ღერო 50-100 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი ან დატოტვილი. ქვედა ფოთლები სამკუთხა-გულისებრია, კიდემრგვალკბილა, გრძელყუნწიანი; ღეროსეული – კვერცხისებრ-ლანცეტაა, ძირში გულისებრი, მოკლეყუნწიანი. ყვავილები მრავალყვავილიან ჩხროებადაა შეკრებილი. გვირგვინი მოვარდისფრო - სოსანია. კაკლუჭები წვერზე ბეწვიანია. ყვ. V; ნაყ. VII. ევრაზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე. ბუნქნარებს შორის, ერთეული ინდივიდების სახით. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ხასიათდება ნალველმდენი, ანთების საწინააღმდეგო, შემკერელი და დამამშვიდებელი მოქმედებით.

Prunella vulgaris L. – გობისცხვირა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, გრძელი მხოხავი ფესურით; ღერო (4) 8-40 (50) სმ სიმაღლისაა, წამოწეული ან სწორმდგომი. ფოთლები კვერცხისებრი ან მოგრძო კვერცხისებრია. ყვავილები შეკრებილია თავთავისებრ ყვავილედებად; თანაყვავილები სიფრიფანაა, ფართო კვეცხისებრი, მეწამული ფერის, თითქმის მოშავო-იისფრამდე. გვირგვინი იისფერია, ზოგჯერ თეთრი. კაკლუჭები კვერცხისებრია ან ელიფსური, გლუვი, პრიალა. ყვ. V; ნაყ. IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ტყის პირებზე და მდინარის ნაპირებზე, გვხვდება ხშირად, პატარა ჯგუფების სახით. თაფლოვანი მცენარეა. ხალხურ მედიცინაში ჩაის სახით გამოიყენება მკერდისა და ყელის ტკივილისას ასევე, კუჭის აშლილობის დროს.

Salvia nemorosa L. – მუხნარის საღბი

მრავალწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული. ფოთლები თითქმის ყველა ღეროსეულია, მოგრძო ლანცეტა, ნაპირებზე უთანაბროკბილებიანი. ყვავილები ფოთლების იდლებში რგოლებადაა შეკრებილი, რომლებიც თავის მხრივ მტევნის მსგავს ყვავილედებადაა თავმოყრილი. გვირგვინი მოღურჯო-იისფერია, იშვიათად ვარდისფერი ან თეთრი. კაკლუჭები კვერცხისებრი ფორმისაა, მუქი მურა ფერის. ყვ. VI; ნაყ. VII.

ევრაზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება ბუჩქნარებში, მშრალ მდელოებზე, ტყისპირებზე.

Salvia sclarea L. – ხარისვარდა

ორწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, ხასიათდება ფისისებრ-ინასებრი სურნელით. ღერო სწორმდგომია, 30-110 სმ სიმაღლის. განვითარების პირველ წელს მცენარეს უნვითარდება ფესვთანური, როზეტისეული ფოთლები, მეორე წელს მხოლოდ ღეროსეული; ფოთლები დიდი ზომისაა, კვერცხისებრი, დაჭმუჭნული, ორჯერ დაკბილული. ყვავილები 4-6 ყვავილიან ჩხროებადაა შეკრებილი, რომლებიც თავმოყრილია მტევნისებრ ყვავილეებად; გვირგვინი სოსანი ან ვარდისფერია. კაკლუჭები კვერცხისებრია, ბლაგვად სამწახნაგოვანი, წაბლისფერი ან უფრო მუქი. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ადგილებში, ბოტანიკურ ბაღში დაფიქსირდა ერთეული ინდივიდები. ეთერზეთოვანი, დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა. ხასიათდება ანტისპაზმური და ანტიკატარალური მოქმედებით.

Salvia verbascifolia Bieb. – საღბი

მრავალწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან მხოლოდ ზევით დატოტვილი. ფოთლები კვერცხისებრია ან მოგრძო-კვერცხისებრი, დანაოჭებული, ამოღრღნილ-დაკბილული, ქვემოდან თეთრი ქეჩისებრი, ქვედა ფოთლები ყუნწიანია. ყვავილები 4-6 ყვავილიან დაშორიშორებულ ჩხროებადაა შეკრებილი. გვირგვინის ზედა ტუჩი მოთეთროა, ქვედა ტუჩი მკრთალი ყვითელი. ყვ. VI; ნაყ. VII. მცირე აზიურ-აღმ.ანატოლიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე.

Salvia verticillata L. – დაჯირა

მრავალწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 (80) სმ სიმაღლისაა, დატოტვილი. ღეროსეული ქვედა ფოთლები დიდი ზომისაა, სამკუთხა-კვერცხისებრი, ღრმა გულისებრი ძირით; ზედა ფოთლები კვერცხისებრია და მოკლეყუნწიანი. მთელი მცენარე მოკლე ბეწვითაა მოფენილი. ყვავილიანი ჩხროები შეკრებილია ფარჩხა, მტევნისებრ, ზოგჯერ საგველასებრ ყვავილეებად. გვირგვინი კაშკაშა იისფერი.

ნაყოფი კვერცხისებრი კაკლუჭაა. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში შარდშეუკავლებლობის შემთხვევაში.

Salvia viridis L. – მწვანე საღბი

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 20-40 (50) სმ სიმაღლისაა, სწორი, მარტივი ან დატოტვილი. ფოთლები კვერცხისებრ ელიფსურია, მრგვალებილა, ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ზედა – მჯდომარე. მთელი მცენარე შებუსულია. ყვავილები ფოთლების იდლიებში რგოლებადაა შეკრებილი, ჩხროში 6 ყვავილია, რომლებიც თავმოყრილია თავთავისებრ ყვავილელებად. გვირგვინი ვარდისფერი ან იისფერი. კაკლუჭები მოგრძო კვერცხისებრია, პრიალა, ღია ყავისფერი. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე.

Scutellaria orientalis L. – აღმოსავლური მუზარადა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-25 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, დატოტვილი, ჩვეულებრივ დაკლაკნილი, გაფარჩხული, ძირში ხშირად გახევებული, ოდნავ ხუჭუჭა ბეწვით მოფენილი. ფოთლები პატარა ზომისაა, კვერცხისებრი, ძირთან წაკვეთილი ან ოდნავ სოლისებრი, ნაპირები ცოტად თუ ბევრად ღრმად მრგვლად დაკბილული, ყუნწიანი, ქვემოდან მოთეთრო. ყვავილები ღეროს წვერზეა ჯგუფებად შეკრებილი და სხვადასხვა მხარესაა მიმართული; გვირგვინი ღია ყვითელი ფერისაა. კაკლუჭები მჭიდრო მიტკეცილი ბეწვითაა მოფენილი. ყვ. VII; ნაყ. VIII. მცირე აზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება კვიან ფერდობებზე. გვხვდება ხშირად მცირე ჯგუფების სახით. დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა. ხალხურ მედიცინაში ბალახის ნახარში ქერის ფქვილთან ნარევში პლასტირების სახით იხმარება სიმსივნეების საწინააღმდეგოდ.

Sideritis montana L. – საყვითლო

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან დატოტვილი. ფოთლები მოგრძო

ლანცეტაა, ძირისკენ მოკლე ყუნწად შევიწროებული, შორიშორს დაკბილული. ყვავილები პატარა ზომისაა, რგოლებად შეკრებილი, რგოლებში 6 ყვავილია; გვირგვინი ჯამზე მოკლეა და ყვითელი, დაყვავილების შემდეგ მღვრიე ყავისფერი ხდება. კაკლუჭები წვრილი ბორცვებითაა მოფენილი. ყვ. V; ნაყ. VI; ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებზე, გვხვდება ხშირად როგორც სარეველა ნათესარებში.

Stachys annua (L.) L. – ერთწლოვანი დედაფუტკარა

ერთწლოვანი, უფრო იშვიათად ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან დატოტვილი. ფოთლები ყუნწიანია, მრგვალებილა, ქვედა მათგანი მოგრძო-კვერცხისებრია, ზედა – მოგრძო ლანცეტა, მკრთალი მწვანე. ყვავილები შეკრებილია 4-6 ყვავილიან რგოლებად (ნახევრადჩხროებად). გვირგვინი მოთეთროა. კაკლუჭები უკუკვერცხისებრია, მუქი მურა. ყვ. V; ნაყ. VII. დასავლეთაზიური, ფართო არეალის სახეობაა. იზრდება როგორც სარეველა ნათესარებში, რუდერალურ ადგილებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში კატარისა და მუნის სამკურნალოდ, ჭრილობების შესახორცებლად.

Stachys atherocalyx C. Koch – დედაფუტკარა

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 80 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორი ან წამოწეული, მეტწილად დატოტვილი. ფოთლები ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა, შორიშორს ხერხისებრ დაკბილული, ქვედა მათგანი მოკლეყუნწიანია, ზედა – მჯღომარე. ყვავილთა რგოლები (ნახევრადჩხროები) 6-8-ყვავილიანია, ურთიერთდაშორებული. თანაყვავილები პატარა ზომისაა, ჯაგრისებრი, მოთეთრო. გვირგვინი მოთეთროა. კაკლუჭები უკუკვერცხისებრია, მუქი მურა, წვრილად დაწერტილი. ყვ. V; ნაყ. VIII. ირანულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ბალახოვან, ღორღიან ფერდობებზე. თავლოვანი, ეთერზეთოვანი მცენარეა.

Stachys cretica L. – მოთეთრო დედაფუტკარა

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი და მარტივი. ფოთლები ვიწრო

ელიფსურია ან მოგრძო-ლანცეტა, ძირისკენ ყუნწად შევიწროებული, მრგვალებილა. ყვავილთა რგოლები (ნახევრადჩხროები) დაშორიშორებულია, გვირგვინი მოვარდისფრო-იასამნისფერია. კაკლუჭა ფართო უკუკვერცხისებრია, მურა, წვრილად დაწინწკლული. ყვ. V; ნაყ. VII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ქვიან ადგილებში.

Stachys iberica Bieb. – ქართული დედაფუტკარა

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, მრავალი, წამოწეული, დატოტვილი. ღეროსეული ფოთლები ელიფსური ან უკუღანცეტაა. ყვავილთა რგოლები (ნახევრადჩხროები) დაშორიშორებულია, 6-8 (იშვიათად 10) ყვავილიანი. გვირგვინი იისფერ-მეწამულია. კაკლუჭები უკუკვერცხისებრი ან მომრგვალო უკუკვერცხისებრია, მუქი მურა, წვრილად დაწერტლილი. ყვ. V; ნაყ. VII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიურ-კავკასიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება ერთეული ინდივიდების სახით მშრალ ბალახოვან და ქვიან ფერდობებზე.

Stachys lavandulifolia Vahl. – ლავანდისფოთოლა დედაფუტკარა.

მრავალწლოვანი მხოხავ ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-20 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, მარტივი და შეფოთლილი. ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა და ძირისკენ ყუნწად შევიწროებული, მწოლარე ხშირი ვარსკვლავისებრი ბეწვის გამო მოთეთრო-მომწვანო. ყვავილთა რგოლები (ნახევრადჩხროები) 4-6 ყვავილიანია, თანაყვავილები პატარა ზომისაა. გვირგვინი მოწითალო იისფერია. კაკლუჭა ფართო უკუკვერცხისებრია, მურა, წვრილად დაწინწკლული, თითქმის გლუვი. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება ქვიან და კლდოვან ადგილებში. დეკორატიულია.

Stachys sylvatica L. – ყვანხალა

მრავალწლოვანი მხოხავ ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 90 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი, ზემო ნახევარში დატოტვილი. ფოთლები დიდი ზომისაა, კვერცხისებრი მოყვანილობის და გულისებრი ძირით, მრგვალებილა.

თანაყვავილები პატარა ზომისაა, გვირგვინი მუქი წითელია. კაკლუჭები მომრგვალო უკუკვერცხისებრია, შავი, წვრილად დაწინწკლული. ყვ. V-VI; ნაყ. VII. ევრაზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ტყის მონაკვეთებში. თაფლოვანი, საღებავი და სამკურნალო მცენარეა. ხასიათდება შარდმდენი და სასაქმებელი მოქმედებით.

Teucrium nuchense C.Koch – ჭარელა

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. დერო 10-30 სმ სიმაღლისაა, ძირში გახევებული. ფოთლები კვერცხისებრი ან მოგრძო კვერცხისებრია, ღრმად დაკბილული, ძირში სოლისებრი და მოკლე ყუნწში გადასული. ფოთლების იღლიებში 2-6 ყვავილია განლაგებული და მტევნის მსგავს ყვავილედადაა შეკრებილი, გვირგვინი მეწამული. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. კავკასიის ენდემია, ჰემიქსეროფიტი. იზრდება ქვიან და მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში. თაფლოვანი, დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა. სურნელოვანი ფოთლები ხალხურ მედიცინაში გამოიყენება წყალმანკის, სურავანდის, სისხლიანი ნახველისა და ჭკლების დროს.

Teucrium orientale L. – აღმოსავლური ჭარელა

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. დერო 10-50 სმ სიმაღლისაა, მარტივი და სწორმდგომი. ფოთლები ფართო კვერცხისებრია, ერთმაგ ან ორმაგ ფრთისებრ დაყოფილი, თითოეული ნაკვთი ხაზურია. ყვავილები ნახევარქოლგებადაა შეკრებილი და საგველანაირ ყვავილედს ქმნის. თანაყვავილები პატარა ზომისაა, გვირგვინი ცისფერი ან მოლურჯო-ისფერია. კაკლუჭები შიშველია, ბადისებრ-დანაოჭებული, მოფენილია წვრილი გამჭვირვალე მარცლოვანი ჯირკვლებით. ყვ. VI; ნაყ. VIII. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე წავეკისის ხეში.

Teucrium polium L. – კუტი ბალახი

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. დერო 10-30 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, ძირში გახევებული, ფოთლებიანად ხშირი ბეწვისაგან მონაცრისფრო ქეჩისებრი. ფოთლები მჯდომარეა, მოგრძო ან უკულანცეცა. ყვავილების რგოლები

თავაკისებრ ყვავილედანაა განლაგებული და თავის მხრივ პატარა ზომის საგველასებრ ყვავილედად შეკრებილი. გვირგვინი თეთრია. ყვ. VI; ნაყ. VIII. ევრაზიური სახეობაა, ჰემიქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ხრიოკ ადგილებში, ნახსატებში. ხალხურ მედიცინაში ბალახის ნაყენი გამოიყენება ქალური დაავადებებისა და კუჭის მოქმედების აღმზნებ საშუალებად.

Thymus tiflisiensis Klok. & Shost. – თბილისური ბეკონდარა

მრავალწლოვანი მხოხავფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ხასიათდება სწორი ან წამოწეული 9-15 სმ სიგრძის ძლიერ გახევებული სანაყოფე ტოტებითა და მრავალი უნაყოფო მწოლარე ყლორტებით. ფოთლები მოკლეყუნწიანია, მკვრივი, ხეშეში, მოგრძო ელიფსური. ყვავილები ყუნწიანია, წყვეტილ თავაკისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი, თანაყვავილები პატარა ზომისაა, გვირგვინი მკრთალი სოსანია. კაკლუჭები სფერულია. ყვ. V; ნაყ. VII. საქართველოს ენდემია, ჰემიქსეროფიტი. იზრდება კლდოვან და ქვიან ადგილებში. არომატულ-სანელებელი მცენარეა.

Ziziphora capitata L. – თავაკისებრი ურცი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-25 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი, სწორმდგომი და შებუსული. ღეროსეული ფოთლები ფართო-ღანცეტა ან ხაზურ-ღანცეტაა, მახვილი, კიდეწამწამებიანი. ყვავილები შეკრებილია თავაკისებრ ყვავილედად. გვირგვინი მოწითალო-იისფერია. კაკლუჭები კვერცხისებრია, მუქი ყავისფერი. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII. ბალყანურ-აზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე. სანელებელ-არომატული მცენარეა.

Ziziphora serphyllaceae Bieb. – ურცი

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, მრავალი, დატოტვილი, გაფარჩხული ან წამოწეული, ძირგახევებული. ღეროსეული ფოთლები ვიწრო ღანცეტაა, შიშველი ან მოკლებუსუსიანი, წერტილოვანი ჯირკვლებით მოფენილი. ყვავილები პატარა ზომისაა, ღეროს წვერზე სფერულ ან ოვალურ ყვავილედად შეკრებილი. გვირგვინი მოცისფრო-იისფერია. კაკლუჭები ცილინდრული ფორმისაა, მუქი ყავისფერი, სამწახნაგოვანი. ყვ. VI; ნაყ. VIII. მცირე აზიურ-აღმ.

ანატოლიური სახეობაა. იზრდება ქვიან და კლდოვან ადგილებში, მშრალ ფერდობებზე. სანელებელ-არომატული მცენარეა.

Fam. Liliaceae Juss. – ოჯ. შროშანისებრნი

Fritillaria caucasica Adams – კავკასიური ღვინა

მრავალწლოვანი ბოლქვოვანი ეფემეროიდული გეოფიტია. ღერო 10- 30 სმ სიმაღლისაა, ფოთოლი სამი ან ოთხია, ღევა, მორიგეობით განლაგებული, ქვედა ფოთოლი ფართო-ოვალურია, დანარჩენი – ლანცეტა ან ვიწრო-ლანცეტა. ყვავილი ერთია, ყვავილსაფარი ვიწროხაზურია, იისფერ-ღვინისფერი. ნაყოფი მსხლისებრია, მოგრძო ოვალური. მთელი მცენარე მოფენილია სანთლისებრი ნაფიფქით, რაც ადვილად სცილდება. ყვ. IV. ნაყ. V. მცირე აზიურ-კავკასიურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებსა და ბუჩქნარებში, გვხვდება იშვიათად, ერთეული ინდივიდების სახით. დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა. კავკასიის ხალხურ მედიცინაში იყენებენ სისხლნაკლებობის, ტუბერკულოზის, გაციების სამკურნალოდ. ბოლქვების ექსტრაქტი დამთრგუნველად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

Gagea chlorantha (Bieb.) Schult. & Schult. fil – მწვანე ჩიტისთავა

მრავალწლოვანი ბოლქვოვანი ეფემეროიდული გეოფიტია. ღერო 4-10 სმ სიმაღლისაა მორიგეობით განლაგებული სადგისისებრი ან ვიწრო-ხაზური ფოთლებით. ყვავილი რიცხვით 1-5, არაერთდროულად მოყვავილე, ყვავილსაფრის ფოთლები შიგნიდან მოოქროსფერო-ყვითელია, გარედან-მღვრიე მწვანე, თავბლაგვი. კოლოფი სამწახნაგოვანია, ცილინდრული; თესლი ბრტყელია, სამკუთხა ფორმის. ყვ. III; ნაყ. IV. ხმელთაშუაზღვეთურ-წინააზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ღია და ღორღიან ფერდობებზე, ხრიოკ ადგილებში.

გვარ *Gagea*-ს სახეობების ბოლქვები ხალხურ მედიცინაში გამოიყენება წყალმანკის, სიყვითლის, ასთმის დროს. გარეგანად - ჩირქტროვების მოსაშუშებლად.

Gagea commutata C.Koch – ცვალებადი ჩიტისთავა

მრავალწლოვანი ბოლქვოვანი ეფემეროიდული გეოფიტია. ბოლქვიდან ვითარდება ძაფისებრი თეთრი სტოლონები ტუბერის მსგავსი გამსხვილებებით დაბოლოებული. საყვავილე ღერო 4-

20 სმ სიმაღლისაა, მისი ქვემო ნაწილი ბოლქვის გამხმარი უხეშო ქერქების მოკლე ყელითაა შემოხვეული (ყვავილობის დასაწყისში ზოგჯერ შემოკლებულია და ყვავილები თითქოს პირდაპირ ბოლქვიდან ამოდის). ძირის ფოთოლი ჩვეულებრივ 2, ღარისებრია, უხეშო. ყვავილედის ძირში განვითარებული ფოთლები სხვადასხვა სიგრძისაა, ხაზური ან ხაზურ-ღანცეცა. ყვავილსაფრის ფოთლები შიგნიდან ყვითელია, გარედან მწვანე, მათგან შიგნითა ფოთლები ფართო ყვითელი არშიითაა შემოვლებული. კოლოფი სამწახნაგოვანია, თესლი ბრტყელი, სამკუთხა. ყვ. III-IV; ნაყ. IV-V. მცირე აზიურ-ირანულ-კავკასიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე და ბუნქნარებში.

Gagea dubia Terr – საეჭვო ჩიტისთავა

მრავალწლოვანი ბოლქვოვანი ეფემეროიდული გეოფიტია. ღერო 8-15 სმ სიმაღლისაა, შებუსული. ძირის ფოთოლი 2, ვიწრო-ხაზური, ზემოდან ღარიანი, ქვემოდან ქედიანი, სიგრძით ყვავილედზე ბევრად გრძელი. ყვავილელი არაერთდროულად მოყვავილე 3-18 ყვავილიანია, ყვავილის ყუნწები შებუსულია; ყვავილსაფრის ფოთლები ყვითელია, წვერში კიდევამოკვეთილი. ნაყოფი სამნაკვთა კოლოფია, განივ ჭრილში სამქიმიანია. ყვ. III; ნაყ. IV. ყირიმულ-მცირე აზიურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე და ნათესებში.

Gagea taurica Stev. – ყირიმული ჩიტისთავა

მრავალწლოვანი ბოლქვოვანი ეფემეროიდული გეოფიტია. ღერო 12-25 სმ სიმაღლისაა. ძირის ფოთოლი 1, მოწითალო-მოვარდისფროა, ვიწრო ხაზური, ზემოდან ღარიანი. ყვავილელი 1-2 (3) ყვავილიანი; ყვავილსაფრის ფოთლები შიგნით ყვითელია, გარედან მონაცრისფრო-მწვანე და კიდებებზე ყვითელი არშიით შემოვლებული. ნაყოფი სამწახნაგოვანი კოლოფია, თესლი ბრტყელია, სამკუთხა ფორმის. ყვ. III; ნაყ. IV. ყირიმულ-კავკასიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე.

Gagea tenuifolia (Boiss.) Fomin – წვრილფოთოლა ჩიტისთავა

მრავალწლოვანი ბოლქვოვანი ეფემეროიდული გეოფიტია. ღერო და ძირის ფოთოლი მეტ-ნაკლები სიმაღლის ბადისებრ-ბოჭკოვანი ქერქლის ყელში ზის. ძირის ფოთოლი 1, ვიწრო ხაზური, არ

არის დადარული, მოღუნულია, ყვავილედზე ბევრად გრძელი; ყვავილედის ძირში არსებული ფოთლები ძალიან ვიწროა, მათი ქვედა ნახევარი წამწამებითაა შემოსილი. ყვავილელი 2-5 ყვავილიანია, ყვავილსაფრის ფოთლები შიგნიდან კაშკაშა ყვითელია, გარედან მწვანე, კიდევ ვიწრო ყვითელი არშით. ყვ. III; ნაყ. IV. სმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში და ბალახოვან ფერდობებზე.

Fam. Limoniaceae – ლჯ. შოროქანისებრნი

Acantholimon lepturoides (Jaub. & Spach) Boiss. – ზღარბა

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ბალიშების შემქმნელი, დაბალი ტანის მცენარეა. ფოთლები ხაზურ-სადგისისებრია, ხეშეში, წვერში მახვილი და მხვლეტავი, მონაცრისფრო-მწვანე. საყვავილე ღერძი მარტივია ან 1 გვერდითი ტოტით 12-20 სმ სიმაღლის, ძლიერ დაკლაკნილი. ყვავილები აქტინომორფულია, შეკრებილია დაშორიშორებულ თავთავისებრ ყვავილედებად; გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია. ნაყოფი თხელკედლიანი თესლურაა, უხსნადი. ყვ. V; ნაყ. VII. მცირე აზიურ-კავკასიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ თიხნარ ფერდობებზე, გვხვდება იშვიათად.

Limonium meyeri (Boiss.) O. Kuntze – შოროქანი, მლაშე ცოცხი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, წვრილი, სწორმდგომი, ზემოთ დატოტვილი, მღვრიე ყავისფერი ქერქლებით მოფენილი. ფოთლები ფესვთანურია, როზეტად შეკრებილი, სქელია, ტყავისებრი, ფორმით კვერცხისებრიდან ფართო ელიფსურამდე და წაგრძელებულ უკუკვერცხისებრამდე. ყვავილები ტოტებზე ცალგვერდა თავთავებადაა (2-3-4) განლაგებული, რაც თავის მხრივ ფართოდ გაშლილ და გაფარჩხულ საგველასებრ ყვავილედებადაა შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები მკრთალი იისფერია. ნაყოფი თესლურაა. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა. აღირიცხა ბადის ქვედა მონაკვეთზე, გზის პირებზე ერთეული ეგზემპლარების სახით.

Fam. Linaceae – ოჯ. სელისებრნი

Linum austriacum L. – ავსტრიული სელი

მრავალწლოვანი შიშველი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-60 სმ სიმაღლისაა, მრგვალი, ძირიდან დატოტვილი. ყვავილები შეკრულია მრავალყვავილიან ყვავილედებად. გვირგვინის ფურცლები მომრგვალო უკუკვერცხისებრია, კაშკაშა ცისფერი, ფრჩხილთან მოყვითალო. ნაყოფი შებრტყელებული, სფერული კოლოფია, თესლი მოგრძო კვერცხისებრია, ბრტყელი, ღია ყავისფერი, ოდნავ პრიალა. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, მეზოქსეროფიტი. იზრდება მდელოებზე, მშრალ გორაკებზე, გვხვდება ხშირად.

Linum nudiflorum L. – შიშველყვავილა სელი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-55 სმ სიმაღლისაა, წახნაგოვანი, მარტოული ან რამდენიმე, ზედა ნაწილში დატოტვილი. ქვედა ფოთლები ნიჩბისებრიდან მოგრძო ნიჩბისებრ ფორმამდე, ზედა – ლანცეტისებრიდან ფართო ხაზურამდე, წაწვეტებული, კიდეებზე ძლიერ ხორკლიანი, ძირში ორივე მხარეზე თითო ყავისფერი ჯირკვალაა განვითარებული. ყვავილები ოქროსფერ-ყვითელი ფერისაა, თითქმის მჯდომარე, თავმოყრილია მცირეყვავილიან ფარჩხატ ყვავილედებად. ნაყოფი კვერცხისებრ-სფერული კოლოფია, თესლი შებრტყელებულია. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, მეზოქსეროფიტი. იზრდება მშრალ, ღია ადგილებში, გზის პირებზე.

Linum tenuifolium L. – წვრილფოთოლა სელი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-45 სმ სიმაღლისაა, მრავალი, გახეხებული, ძირიდან ამოსული, წვრილი, სწორი, ზედა ნაწილში გაფარჩხული ტოტებით. ფოთლები მრავალია, ვიწრო ხაზური, ერთძარღვიანი, კიდეებზე ძლიერ ხორკლიანი. ყვავილები ფარჩხატ საგველასებრ ხეულებადან განლაგებული. გვირგვინის ფურცლები მოვარდისფრო-მოყვითალო ფერისაა, უკუკვერცხისებრი. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია. თესლი ელიფსურია, ბრტყელი, გლუვი, ღია ყავისფერი, პრიალა. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-

ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება ღორღიან ადგილებში, ქვიან ფერდობებსა და გორაკებზე.

Fam. Lythraceae – ოჯ. ცოცხმაგარასებრნი

***Lythrum salicaria* L. – ცოცხმაგარა**

მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, ცოტად თუ ბევრად შებუსული. ღერო 30-200 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი. ფოთლები ჯვარედინად მოპირისპირეა ან სამ-სამი, ოთხ-ოთხი ჩხროესებრადაა განწყობილი, კვერცხისებრიდან ვიწრო ლანცეტამდე მოყვანილობის, ძირთან მომრგვალებული ან გულისებრი. გვირგვინის ფურცლები მეწამულია. ნაყოფი ორბუდიანი ოვალური კოლოფია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ევრაზიური სახეობაა, წყალ-ჭაობის; იზრდება წავეკისსწყლის ნაპირებზე. თაფლოვანი და სამკურნალო მცენარეა. ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი და სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედებით.

Fam. Malvaceae – ოჯ. ბალბისებრნი

***Alcea rugosa* Alef. – ყვითელი ტუხტი**

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 2 მ-მდე სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი, შებუსული ხშირი, გაფარჩხული, ვარსკვლავისებრი ბეწვით. ქვედა ფოთლები თათისებრია (5-7-ნაკვთიანი), კიდევებზე მრგვალებილა, გრძელყუნწიანი, შუა ფოთლები ხშირად ფირფიტის ნახევრამდეა დანაკეთული, ზედა – მცირე ზომისაა, ხეშეში, ორივე მხრეზე ვარსკვლავისებრი ბეწვით შებუსული. თანაყვავილები 3-4-ნაკვთიანი. ყვავილები 1 ან 2-2 გრძელ შეფოთლილ მტევნებადაა შეკრებილი. გვირგვინი გოგირდისფერ-ყვითელია. ნაყოფი მომწიფებისას მრავალ პატარა მერიკარპიუმად იშლება, თითოეული მათგანი ზურგის მხარეზე ღრმადარიანია, ხოლო ნაპირებზე ფრთაჩავლებული. თესლი თირკმლისებრია, რუხი, ზურგზე ღარიანი. ყვ. VI; ნაყ. IX. ევროპულ-კავკასიურ-აღმ. ანატოლიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში. დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა; კავკასიის ხალხურ მედიცინაში გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით.

***Althaea hirsuta* L. – ტუბი**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. დერო 25-50 სმ სიგრძისაა, სწორმდგომი, მარტივი ან ძირიდანვე დატოტვილი, გრძელი უხეში, მარტივი ბეწვებისგან ხეშეშხაოიანია. ფოთლები გრძელყუნწიანია, ქვედა ფოთლები გულისებრ-თირკმლისებრია, შუა-თათისებრ- განკვეთილი, სოლო ზედა ფოთლები მეტწილად სამადაა გაყოფილი, დაკბილულ ვიწრო ნაკეთებად. გვირგვინის ფურცლები ცისფერია. ნაყოფი შედგება 12-18 შიშველი, ვიწრო მერიკარპიუმისაგან, რომელსაც ზურგზე შესამჩნევი სიგრძის ხაზი აქვს, გვერდზე კი რადიალური ნაოჭები. თესლი სადაა, შიშველი, მუქი მურა ფერის. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ქვიან ადგილებში, ბუჩქნარებში, თიხნარ ვერდობებზე, როგორც სარეველა ნათესებში.

***Lavatera thuringiaca* L. – ქატმი**

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა. დერო 50-150 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი, ნაცრისფერ-ქეჩისებრი შებუსვით. ფოთლები გრძელყუნწიანია, გულისებრი, ქვედა – დიდი ზომისაა, 5-ნაკეთიანი, ზედა – 3-ნაკეთიანი, უფრო პატარა ზომის, კიდებზე მრგვალებილა, ქვედა მხარეზე ვარსკლავისებრი შებუსვით. ყვავილები დიდი ზომისაა, გრძელყუნწიანი, ფოთლების იდლიებში თითო-თითოდ განლაგებული, იშვიათად კენწრულ მტევნად შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები მეტწილად ვარდისფერია იშვიათად თეთრი. ნაყოფი მომწიფებისას 20-23 პატარა ნაყოფად იშლება. თესლი თირკმლისებრია, გლუვი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VI-IX. ბორეალური, ევრაზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში, იშვიათია. დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა. ხალხურ მედიცინაში ფესვების ნახარში გამოიყენება როგორც დამარბილებელი და დამამშვიდებელი საშუალება, სასუნთქი გზების კატარის, ხველებისა და ხრინწიანობის დროს.

***Malva neglecta* Wallr. – შეუმჩნეველი ბალბა**

ერთ-ორ ან მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. დერო 10-40 სმ სიმაღლისაა, გართხმული ან წამოწეული, მრავლად დატოტვილი, ცოტად თუ ბევრად ხშირი

ვარსკვლავისებრი ბეწვით შემოსილი. ფოთლები გრძელყუნწიანია, თირკმლისებრი ან გულისებრი ძირით, ოდნავ შესამჩნევი 5-7-ნაკვეთიანი, ნაკვეთები მომრგვალებულია, მრგვალებილა. ყვავილები რამდენიმეა შეკრებილი (2-4) ერთად, ილლიურ, გრძელ, რამდენადმე უთანაბრო ზომის ყუნწებზე. კვერცხისებრი ფორმის გვირგვინის ფურცლები მკრთალი სოსანია. თესლი მოშავო-მურა ფერისაა, თირკმლისებრი, თითქმის გლუვი. ყვ. VI-IX; ნაყ. VII-IX. ევრაზიური სახეობაა, გზადმოყოლილი, ქსეროფიტი. იზრდება რუდერალურ ადგილებში. სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება ფოთლები და ყვავილები როგორც დამარბილებელი და შემომგარსავი საშუალება.

Malva sylvestris L. – ტყის ბალბა

ორ, იშვიათად ერთი ან მრავალწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-100 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, სწორმდგომი. ფოთლები გრძელყუნწიანია, მომრგვალო-თირკმლისებრი, ძირი გულისებრია, 5-7 მრგვალებილა ნაკვეთებით. ყვავილები ილლიურია, 2-5 ერთად განწყობილია ღეროს ზედა ნაწილში, უთანაბრო ზომის, დაყვავილების შემდეგ აშვერილი ყვავილის ყუნწებით. გვირგვინი იისფერია, ხშირად მუქძარღვიანი, დიდი ზომის. თესლი თირკმლისებრია, მოშაო ფერის, ოდნავ დაწერტლილი. ყვ. VI; ნაყ. X. დასავლეთ ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ბუჩქნარებში, როგორც სარეველა რუდერალურ ადგილებში, მდელოებზე. საკვები და საკურნალო მცენარეა. გამოიყენება ანთებითი პროცესების საწინააღმდეგოდ.

Fam. Onagraceae – ოჯ. თხაწართხალისებრნი

Epilobium hirsutum L. – წყალნაწყენი

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო მაღალია, 1,5 მ სიგრძის, სწორი, დატოტვილი, ზეადმართული ტოტებით, გაფარჩხული გრძელი ბეწვებით მოფენილი. ფოთლები მჯდომარეა, ძირში ღერომხვევი, შუათანა ჩამოზრდილია ყუნწზე, წვერზე მოკლედ წაწვეტებული, მოგრძო ან ვიწრო ლანცეტა, იშვიათად კვერცხისებრი ან უკუკვერცხისებრი, ბლაგვწვერიანი. ყვავილები მეწამული ფერისაა, დიდი ზომის, გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია ნაყოფი მოგრძო,

ოთხწახნაგოვანი, მრავალტესლიანი კოლოფია. თესლი მურა ფერისაა, უკუკვერცხისებრი, თესლის ზედაპირი სქლად მოფენილია მოგრძო დვრილებით, მისი ქოჩორი თეთრია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ევრაზიური სახეობაა, ჰიდროფიტი. იზრდება ტენიან ადგილებში, წავეკის ხეობაში. ფესვები და ფოთლები ხასიათდება დამარბილებელი, შემომგარსავი და ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით.

Fam. Orchideaceae – ოჯ. ჯადგარისებრნი

Anacamptis pyramidalis (L.) Rich. – ანაკამპტისი

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ტუბერიანი მცენარეა. ტუბერი მოგრძო-მომრგვალო ფორმისაა. ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა, სწორი, შეფოთლილი. ფოთლები მწვანეა, ღერომხვევი, ქვედა – დიდი ზომისაა, მახვილი, ხაზური, იშვიათად მობლაგვო; ზედა ფოთლები პატარაა, ხაზურ-ლანცეტა, მახვილი. ყვავილენი მოკლეა, კონუსური, მოგრძო ან კვერცხისებრი, თანაყვავილები ფოთლის მსგავსია, მწვანე ან შეფერილი, ლანცეტა ფორმის. ყვავილები მეწამულია, ვარდისფერი, იშვიათად თეთრი. ნაყოფი ცილინდრული კოლოფი. ყვ. V-VII. ნაყ. VI-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ტყის, მეზოფიტი. იშვიათია. აღირიცხა ხეობის ზედა მონაკვეთზე, ბუჩქნარში ერთეული ინდივიდები.

Gymnadenia conopsea (L.) R.Br. – გიმნადენია

მრავალწლოვანი თათისებრ დაყოფილი ტუბერიანი, 15-60 სმ სიმაღლის მცენარეა. ღერო შეფოთლილია, ძირში მურა ფერის ვაგინით; ფოთლები ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა, ზევით თანდათანობით დაპატარავებული. ყვავილენი მრავალყვავილიანი თავთავი ან თავაკია. თანაყვავილები ბალახოვანია, მოგრძო ლანცეტა ან კვერცხისებრ-ლანცეტა, ყვავილების სიგრძის ან უფრო გრძელი. ყვავილი პატარაა, სურნელოვანი, ლილისფერ-მეწამული შეფერილობის. ყვ. VI-VII. ნაყ. VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ტყის, მეზოფიტი. იზრდება მდელოებზე, იშვიათია; დაფიქსირდა ბაღის ზედა მონაკვეთზე ერთეული ინდივიდების სახით. თავლოვანი, დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა. ხასიათდება დამარბილებელი და შემომგარსავი მოქმედებით; გამოიყენება ნერვული დაავადებებისას.

Orchis mascula (L.) L. – მამრობითი ჯადღარი

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ტუბერიანი მცენარეა. ტუბერი ფართო ოვალურია ან თითქმის სფერული. საყვავილე ღერძის ქვედა ნაწილი და ფოთლები მუქი მეწამული ფერის წინწკლებითაა მოფენილი. ფოთლები ღეროს ძირშია შეჯგუფებული, ფართო ლანცეტა ან ელიფსური. ყვავილი წითელია ან მკრთალი სოსანი, შეკრებილია ცილინდრულ, მრავალყვავილიან ყვავილელებად. ყვ. V-VI. ნაყ. VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ტყის, მეზოფიტი. იშვიათია, დაფიქსირდა ბაღის ზედა მონაკვეთზე ბუჩქნარებში ერთეული ინდივიდების სახით. გამოიყენება ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში. ფრიად დეკორატიულია.

Orchis morio L. [O. morio L. subsp. picta (Loesel.) K.Richt.] – დანაწევრებული ჯადღარი

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ტუბერიანი მცენარეა. ტუბერი კვერცხისებრია ან ელიფსური. ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, ძირში 5-7 ვიწრო-ხაზური ან მომრგვალო კვერცხისებრი ფოთლია განვითარებული. ღერო ყვავილედამდე დაფარულია ფოთლის მსგავსი წაწვეტებული 3-5 ვაგინით. ყვავილელი ცილინდრულია, მეჩხერი; თანაყვავილები ლანცეტა ან ფართო-ლანცეტაა. ყვავილები კაშკაშა მეწამულ-იისფერია. ყვ. V-VI; ნაყ. VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ტყის, მეზოფიტი. იშვიათია. დაფიქსირდა ბაღის ზედა მონაკვეთზე ბუჩქნარებში ერთეული ინდივიდების სახით.

Orchis purpurea Huds. – მეწამული ჯადღარი

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ტუბერიანი მცენარეა. ტუბერი მოგრძო კვერცხისებრია ან მოგრძო. ღერო 35-80 სმ სიმაღლისაა. ფოთლები რიცხვით 4-6, ფართო-ოვალურია, პრილა, თავმოყრილია ღეროს ძირში. ყვავილელი გრძელი და მეჩხერია. ყვავილები მუქი წითელი ან კაშკაშა იისფერია, ხშირად დაწინწკლული. ყვ. V-VI. ნაყ. VII. იშვიათია, აღირიცხა ხეობის ზედა მონაკვეთზე, ბუჩქნარებში ერთეული ინდივიდების სახით.

Orchis ustulata L. – ჯადღარი

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ტუბერიანი მცენარეა. ტუბერი კვერცხისებრია ან თითქმის სფერული. ღერო 15-30 სმ

სიმაღლისაა, შეფოთლილი. ფოთლები ღეგაა, მოგრძო ლანცეტა, ძირისკენ შევიწროებული და პატარა წვეტით დაბოლოებული. ყვავილედ იშვიათად და მრავალყვავილიანია, ცილინდრული. ყვავილები პატარა ზომისაა, ვარდისფერი. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა, ტყის, მეზოფიტი. იშვიათია, აღირიცხა წავკისისწყლის ხეობის ზედა მონაკვეთზე, ბუჩქნარში ერთეული ინდივიდების სახით.

Fam. Orobanchaceae – ოჯ. კელაპტარასებრნი

Diphelypaea coccinea (Bieb.) Nicolson (Phelipaea coccinea (Bieb.) Poir. – პირიმზე

მრავალწლოვანი პარაზიტი მცენარეა, ცოტად თუ ბევრად ხშირი, მუქი წითური ფერის ჯირკვლოვანი შებუსვით. ღერო 30 (50) სმ სიმაღლისაა, მრგვალი, თანაბრად კერქლებით შეფოთლილი; კერქლები მოგრძო კვერცხისებრია, ბლაგვწვერიანი, ნახევრად ღერომხვევი. გვირგვინი გარედან ყვითელი ფერისაა, მისი გადანაღვნი კაშკაშა წითელი ფერის, ორკბილიანი, გადაშლილი, ბლაგვწვერიანი; ხახაში ქვედა ტუჩს 2 შავი ფერის ლაქა აქვას, რომელიც მიღში გრძელდება. ნაყოფი კოლოფია, კვერცხისებრი ფორმის, იხსნება ორი საგდულით. თესლი მრავალია, წვრილი, ბადისებრი ზედაპირით. ყვ. IV; ნაყ. VII. ყირიმულ- წინა აზიურ-ირანული სახეობაა. პარაზიტობს გვარ Psephellus-ისა და Centaurea-ს სახეობათა ფესვებზე, აღირიცხა ბოტანიკური ბაღის მცენარეთა კონსერვაციის განყოფილების საკოლექციო ნაკვეთზე ერთეული ინდივიდები.

Orobanche aegyptiaca Pers. – ეგვიპტური კელაპტარა

მრავალწლოვანი პარაზიტი მცენარეა. ღერო 15-50 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, ძირში ცოტად თუ ბევრად გამსხვილებული, ხშირი ბოჭკოებით, ჯირკვლოვანი ბეწვებით შემოსილი, არამრავალი ლანცეტა ფორმის კერქლებით. ყვავილედ მრავალყვავილიანია, ცილინდრული, უფრო იშვიათად პირამიდული. გვირგვინი დიდი ზომისაა, ძაბრისებრ გაფართოებული, გარედან ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი, ცისფერი, მოცისფრო ან ლილისფერი, ძირში მოთეთრო. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია, იხსნება ორი საგდულით. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. აღირიცხა ძაღლყურძენისებრთა ოჯახის წარმომადგენლების ფესვებზე.

Orobanche caesia Reichenb. – ცისფერი კელაპტარა

მრავალწლოვანი პარაზიტი მცენარეა. ღერო 10-35 სმ სიმაღლისაა, ძირში ცოტად თუ ბევრად გამსხვილებული, უხვი ბოჭკოებით, მარტივი, ზოლებიანი, მოფენილია თეთრი, ოდნავ მატყლისებრი ბეწვებით; შეფოთლილია მკრთალი ყვითელი ფერის, ან ზედა ნაწილში ტყვიისფერი, ხშირი ქერქლებით. ყვავილენი თავაკისებრია, კვერცხისებრი ან მოკლე ცილინდრული, მრავალი და ხშირყვავილიანი. გვირგვინი ცისფერი, მოღურჯო ან მკრთალი იისფერია, ცოტად თუ ბევრად ხშირი ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი. ნაყოფი მოკლე, მრავალთესლიანი კოლოფია, წვერზე პატარა ნისკარტით. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ევრაზიური სახეობაა. პარაზიტობს აბზინდის სახეობების ფესვებზე.

Orobanche gracilis Smith. – მოხდენილი კელაპტარა

მრავალწლოვანი პარაზიტი მცენარეა. ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, მოწითალო-ყავისფერი. ყვავილენი მოკლე ცილინდრული ან კვერცხისებრია. გვირგვინი ღია ყავისფერი, ნახი მეწამული ფერის ელფერით. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია, ორი საგდულით იხსნება. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებსა და ქვიან ფერდობებზე. პარაზიტობს პარკოსანთა ოჯახის სხვადასხვა წარმომადგენელზე, უპირატესად გვარ Cytisus - ის, Coronilla, Dorycnium, Genista -ს სახეობების ფესვებზე.

Orobanche lutea Baumg. – ყვითელი კელაპტარა

მრავალწლოვანი პარაზიტი 20-60 სიმაღლის მცენარეა. ღეროს ძირში გამსხვილებულია, ყვითელი, მურა ან მეწამული ფერის, გამშრალი, ზოლებიანი. ყვავილენი ცილინდრული მრავალფეროვანი. ყვავილები ირიბადაა ზევით მიმართული, თანაყვავილები ქერქლისებრია. გვირგვინი გახუნებული მურა ფერისაა ან მოწითალო. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია, იხსნება ორი საგდულით. ყვ. V-VII. ნაყ. VI-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, ქვიან ფერდობებზე, ველებსა და მინდვრებში. პარაზიტობს პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენლების ფესვებზე.

Orobanche owerinii (G. Beck) G.Beck. – ოვერინის კელაპტარა

ორ ან მრავალწლოვანი პარაზიტი მცენარეა. ღერო 15-70 სმ სიმაღლისაა, სქელი, ქერქლები ვიწრო ლანცეტაა, თავწაწვეტებული. თავთავი ცილინდრულია, ყვაილები დაშორიშორებულია; გვირგვინი სოსანი ფერისაა, იშვიათად მეწამული, ქვემოთ ზოგჯერ მოყვითალო ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია, იხსნება ორი საგდულთ. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX. აღმ. ანატოლიური სახეობაა. პარაზიტობს სუროზე, პარკოსნებზე.

Orobanche purpurea Jacq. – მეწამული კელაპტარა

მრავალწლოვანი პარაზიტი მცენარეა. ღერო 15-60 სმ სიმაღლისაა, მარტივი, სქელი, ქერქლებიანად ჯირკვლოვანი ბუსუსით მოფენილი, მუქი წითელი ან რუხი. ქერქლები ვიწრო ლანცეტაა. ყვაილენი ცილინდრულია, მრავალყვაილიანი. თანაყვაილები ლანცეტა ფორმისაა, ვიწრო თანაყვაილაკებთან ერთად ჯამზეა მიზრდილი. გვირგვინი ძირში გამობერილია, ქვედა ნაწილში მოთეთრო-მოყვითალო ფერისაა, გადანაღუნი ლილისფერი ან იისფერია. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია, იხსნება ორი საგდულთ. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა. პარაზიტობს რთულყვაილოვანთა ოჯახის წარმომადგენლებზე.

Fam. Oxalidaceae – ოჯ. მუაველასებრნი

Oxalis corniculata L. – მუაველა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 8-25 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, ზოგჯერ გართხმული, გრძელტოტებიანი. ფოთლები მორიგეობითა, სამფოთოლაკიანი, ფოთოლაკები უკუბუდისებრია, მათი სიგანე სიგრძეს აღემატება, ღრმადაა ამოკვეთილი, სქლად ან თხლად შებუსული. საყვაილე ღერო 1-2-3 ყვაილიანია; გვირგვინის ფურცლები ღია ყვითელია. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია. თესლი კვერცხისებრია, გარდიგარდმო ღარებიანი, მურა ან ყავისფერი. ყვ. IV- IX; ნაყ. VII-IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, მდინარის ნაპირებზე, მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ციკების, ნაღვლის ბუშტის დაავადებისას, აგრეთვე როგორც შარდმდენი და კუჭის გამამაგრებელი საშუალება.

Fam. Papaveraceae – ოჯ. ყაყაჩოსებრნი

Chelidonium majus L. – ქრისტესისხლა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, ღარებიანი, სწორი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები შიშველია, ჩანგისებრ ფრთისებრ დაკვეთილი, 5-7 ოვალური ან კვერცხისებრი მრგვალებილა ნაკვეთიანი სეგმენტებით. საყვავილე ღერო 10 სმ სიგრძისაა, ვითარდება ღეროს ზედა ფოთლების იღლიებიდან. ყვავილები 3-8, შეკრებილია კენწრულ ქოლგისებრ ყვავილედად. გვირგვინის ფურცლები კაშკაშა ყვითელია, მოგრძო უკუკვერცხისებრი. ნაყოფი ჭოტისებრი კოლოფია. თესვები შავია, მოყვითალო თეთრი დანამატით. ყვ. IV-IX; ნაყ. VI-X. ევრაზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება უპირატესად დაჩრდილულ ადგილებში, ბუჩქნარებში, მდინარის ნაპირებზე, დანაგვიანებულ ადგილებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში; ხასიათდება ნაღველმდენი მოქმედებით. მიიღება სტენოკარდიის ჰიპერტენზიის დროს, კუჭის კიბოზე მოქმედებს გამაყუჩებლად, წარმატებით გამოიყენება ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებებისას.

Glaucium corniculatum (L.) J. Rudolph – ყაყაჩურა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა, ჩვეულებრივ გაფარჩხულ დატოტვილი. ფოთლები ღრმად ფრთისებრ დანაკუთლია უთანაბრო მოგრძო ბასრხერხებილა სეგმენტებად, ფესვთანური ფოთლები ყუნწებიანია, ღეროსეული - მჯდომარე. ყვავილები მარტოულია, განწყობილია გრძელ საყვავილე ღერძზე. გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრი ან მომრგვალებულია, ღვინისფერ-წითელი, ძირთან მოშავო-იისფერი ღაქით. ნაყოფი გრძელი ჭოტისებრ ორბუდიანი, ბურბუშელისებრი, სწორი ან ოდნავ მოხრილი კოლოფია, რომელიც ორი საგდულით იხსნება. თესლი დიდი ზომისაა, ბადისებრ-ფიჭისებრი ზედაპირით. ყვ. IV-VIII; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე და ნათესარებში. მცენარის ყველა ნაწილი ხასიათდება შარდმდენი მოქმედებით.

Glaucium grandiflorum Boiss. & Huet. – დიდყვავილა ყაყაჩურა

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-50 სმ სიმაღლისაა,

მსხვილი, დატოტვილი, ფოთლებიანად ხშირი და მოკლე ბეწვით მოფენილი. ფოთლები ფრთისებრ დაკვეთილია, უკუკვერცხისებრი, ფესვთანური ფოთლები მოკლეყუნწიანია, ზედა – მჯდომარე-გვირგვინის ფურცლები მომრგვალებულია, მოწითალო-ნარინჯისფერი, ძირთან მოშავო-იისფერი ლაქით. ნაყოფი სწორი, ზემოთკენ აშვერილი 10-12 სმ სიგრძის ჭოტაკისებრი კოლოფია. ყვ. IV-VIII; ნაყ. VI-IX. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა, ქსეროფიტი. დაფიქსირდა წავკისის ხევში, მშრალ ქვიან ფერდობზე ერთეული ინდივიდების სახით.

Glaucium flavum Crantz. – ყვითელი ყაყაჩურა

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, შიშველი. ფოთლების მსგავსად ლეგა შეფერილობის. ფოთლები ჩანვისებრ-ფრთისებრ დაკვეთილია; ფესვთანური ფოთლები ურთიერთმიახლოებული ნაკვეთებითაა, რომლებიც ერთმანეთს ფარავს, უხვადაა შებუსული დაკლანკილი თეთრი ბეწვებით, ყუნწში შევიწროებულია, ზედა ფოთლები ღერომხვევია. ყვავილები მარტოულია, გვირგვინის ფურცლები ყვითელია. ნაყოფი ჭოტისებრი, გრძელყუნწიანი კოლოფია, მოფენილია წვრილი თეთრი წვეტიანი ბორცვებით. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ქსერომეზოფიტია, ჰელიოფიტი. ევროპულ-სამელთაშუაზღვეთური სახეობაა. დაფიქსირდა წავკისის ხევში. დეკორატიულია.

Papaver arenarium Bieb. – ქვიშარის ყაყაჩო

ერთწლოვანი ეფემერული ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-25 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი. ფოთლები ორმაგ ფრთისებრ განკვეთილია ვიწრო ხაზურ ნაკვეთებად. ყვავილები მარტოულია, დიდი ზომის, გვირგვინის ფურცლები კაშკაშა წითელი ან ღვინისფერ-წითელია, ძირთან დიდი შავი ლაქით. ნაყოფი შიშველი, მოგრძო გურზასებრი ან მოგრძო უკუკვერცხისებრი კოლოფია, დისკო ბრტყელია, 7-9-სხივიანი. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. კავკასიურ-მც. აზიური სახეობაა. იზრდება თიხნარ და ქვიან ადგილებში, მშრალ ფერდობებზე, ასევე ნათესებში.

Papaver commutatum Fisch. & C. A. Mey. – ცვალებადი ყაყაჩო

ერთწლოვანი ეფემერული ბალახოვანი მცენარეა. ღერო 50 სმ-მდე

სიმაღლისაა, დატოტვილი, ცოტად თუ ბევრად გართხმული, მეჩხერად მოფენილი ჯაგრისებრი ბეწვებით. ფოთლები ფრთისებრგანკვეთილია, ლევა, შიშველი. ყვავილები მარტოულია, გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია, კაშკაშა წითელია, შუაში ან ფუძის ზემოთ შავი ლაქით. ნაყოფი შიშველი, მომრგვალებულ უკუკვერცხისებრი კოლოფია; დისკო 5–10-სხივიანია, ბრტყელი ან ოდნავ ამოხნექილი. ყვ. IV; ნაყ. V. კავკასიურ-მცირე აზიურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ნათესებში, ბუჩქნარებში.

Papaver dubium L. – საეჭვო ყაყაჩო

ერთწლოვანი ეფემერული ბალახოვანი მცენარეა. დერო 30-60სმ სიმაღლისაა, სწორი. ფოთლები ფრთისებრდაკვეთილი ან ფრთისებრ დანაკეთულია, მათი სეგმენტები კვერცხისებრია, ფართო, კიდემთლიანი ან კიდედაკბილული, კბილები ჯაგრით ბოლოვდება. გვირგვინის ფურცლები წითელია, უფრო იშვიათად ვარდისფერი ან თეთრი, ძირში შავი ლაქით ან ულაქო. ნაყოფი ცილინდრული ან გურზისებრ-ცილინდრული, წიბოებიანი, ძირთან შევიწროებული, ლევა, უყუნწო კოლოფია; მომწიფებული კოლოფის დისკო ბრტყელია, თხელი, 4-11 სხივიანი. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე და რუდერალურ ადგილებში.

Papaver hybridum L. – ჰიბრიდული ყაყაჩო

ერთწლოვანი ეფემერული ბალახოვანი მცენარეა. დერო 10-40 სმ სიმაღლისაა, უხვად შეფოთილი, დატოტვილი, წიბოებიანი და ბეწვით მოფენილი. ფოთლები რბილი ჯაგრითაა მოფენილი, მათგან ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ორმაგ ან სამმაგ ფრთისებრ დაკვეთილი, ზედა – მჯდომარეა, მოგრძო სეგმენტებად ფრთისებრ დაკვეთილი ყვავილის ყუნწები საკმაოდ მსხვილია. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერი ან ღვინისფერ-წითელია, ძირში შავი ლაქით. კოლოფი ოვალურია, ძირში ვიწროქამრიანი, ხეშეში აფშეკილი ბეწვით მოფენილი, დისკო ოდნავ ამოხნექილია, კოლოფზე ვიწრო. ყვ. IV; ნაყ. VI. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ნათესებში, იშვიათია.

Papaver macrostomum Boiss. & Huet – ყანის ყაყაჩო

ერთწლოვანი ევემერული ბალახოვანი მცენარეა. ღერო 25-60 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, მეჩხერ რბილ ჯაგრისებრ ბეწვებიანი. ფოთლები ფრთისებრია დაკვეთილი, შიშველი; ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, მათი სეგმენტები ლანცეტაა, დაკბილული და ჯაგრით დაბოლოებული. გვირგვინის ფურცლები თითქმის თირკმლისებრია, კაშკაშა წითელი ფერის, შუაში ან უფრო ქვემოთ დიდი შავი ლაქით. კოლოფი შიშველია, ლევა, უკუკვერცხისებრი ან მოგრძო გურზისებრი; დისკო სხივების ბოლოებით ნაყოფის კედლებზეა ჩამოსული, მომწიფებისას ხუფივით სძვრება ნაყოფს. ყვ. VI; ნაყ. VII. მცირე აზიური-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ნახსატებსა და ნათესებში.

Papaver rhoeas L. – თვითთესია ყაყაჩო

ერთწლოვანი ევემერული ბალახოვანი მცენარეა. ღერო 25-60 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, მეტწილად მეჩხერ რბილ ჯაგრისებრ ბეწვებიანი. ფოთლები ფრთისებრ განკვეთილია, მომწვანო-ლევა, კიდემთლიანი ან ბასრი მეჩხერი კბილებით, მოგრძო ლანცეტა, კენწრული სეგმენტი ჯაგრისით ბოლოვდება. გვირგვინის ფურცლები მეწამულია, იშვიათად ვარდისფერი, ძირთან დიდი ზომის სოლისებრი შავი ლაქით. კოლოფი მომრგვალო-უკუკვერცხისებრია, დისკო ბრტყელი. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. ევროპულ-სამელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში. ამრავლებენ როგორც დეკორატიულ მცენარეს. ყვავილები ხასიათდება დამამშვიდებელი მოქმედებით.

Fam. Peganaceae – ოჯ. მარიამსაკმელასებრნი

Peganum harmala L. – მარიამსაკმელა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-65 სმ სიმაღლისაა, მრავალი, ძლიერ დატოტვილი, გაფარჩხული, სწორი ან წამოწეული. ფოთლები განკვეთილია ხაზური ფორმის წაწვეტებულ ნაკვეთად; თანაფოთლები პატარაა, სადგისისებრი. ყვავილები 1-3, ტოტების კენწერობზეა განწყობილი. გვირგვინის ფურცლები მოგრძოა, მკრთალი ყვითელი ან კაშკაშა ყვითელი ფერის. ნაყოფი სფერული, ოდნავ თავჩაღუნული, მრავალთესლიანი კოლოფია. თესლი სამწახნაგოვანი ან

პირამიდულია, ბორცვებიანი, ოდნავ პრიალა. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, ქსეროფიტი. იზრდება მშრალ ფერდობებზე. დეკორატიული და უძველესი სამკურნალო მცენარეა. თესლი ხასიათდება შარდმდენი და ჭიისმდენი მოქმედებით. გამოიყენება როგორც ძილისმომპყვრელი საშუალება.

Fam. Phytolaccaceae – ოჯ. ჭიაფერასებრნი

Phytolacca americana L. – ჭიაფერა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 1-2 მ სიმაღლისაა, შიშველი, მეტწილად მოწითალო, სწორმდგომი. ფოთლები დიდი ზომისაა, მოკლეყუნწიანი, კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-ლანცეტა. ყვავილები პატრა ზომისაა, მოკლეყუნწიანი და მოგრძო მტკვნად შეკრებილი. ყვავილსაფრის ფოთლები თეთრია, თავმომრგვალებული. ნაყოფი სფერული, 10-წიბოიანი მოშაო-იისფერი წვნიანი კენკრაა. თესლი თირკმლისებრია, შავი, პრიალა. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. გზადმოყოლილია ჩრ. ამერიკიდან. ბოტ. ბაღში დაფიქსირდა რუდერალურ ადგილებში. მცენარის ყველა ნაწილი ხასიათდება სასაქმებელი მოქმედებით, ხოლო ფესვები ანტირევმატიულია. იხმარება ათაშანვისა და სურავანდის საწინააღმდეგოდ.

Fam. Plantaginaceae Juss. – ოჯ. მრავალბარდვასებრნი

Plantago lanceolata L. – ლანცეტა მრავალბარდვა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. საყვავილე ღერო 10-30 სმ-მდე სიმაღლისაა, სიგრძეზე ვიწროლარებიანი, წამოწეული ან სწორმდგომი. ფოთლები ფესვთანურ როზეტებადაა შეკრებილი, ელიფსურ-ლანცეტა, ლანცეტა ან თითქმის საზურ-ლანცეტაა, 3-5 (7) - ძარღვიანი, ორივე ბოლოზე თანდათან შევიწროებული, მეტ-ნაკლებად მახვილწვერიანი. ყვავილები შეკრებილია ხშირ, მოგრძო კვერცხისებრ, ცილინდრულ ან კონუსურ თავთავებად. გვირგვინი შიშველია, მოყვითალო, მოთეთრო ან მოყავისფრო, კვერცხისებრ ლანცეტა. ნაყოფი კვერცხისებრი ან მოგრძო ელიფსური, თითქმის მოშაო ფერის, ცალ მხარეზე გამობერილი, მეორეზე სიგრძივ ღარიანი კოლოფია. ყვ. IV-VI; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება მდელოებსა და ტყის პირა მონაკვეთებზე, გზის პირებზე, ნახსატებში.

გამოიყენება ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში, სასუნთქი გზების დაავადებებისა და გაციების დროს, ჭრილობების შესახორცებლად.

Plantago major L. - დიდი მრავალბარღვა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. საყვავილე ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან ოდნავ წამოწეული. ფოთლები დიდი ზომისაა, ძარღვიანი. თავთავები ვიწრო ცილინდრულია. ყვავილები ყვავილედის მთელ სიგრძეზეა დაშორიშორებული. გვირგვინი მომურო ფერისაა, შიშველი, კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-ლანცეტა. კოლოფი კვერცხისებრ-კონუსური ან კვერცხისებრია, იშვიათად სფერული. თესლი წვრილია, დაკუთხული და დანაოჭებული. ყვ. V-VI; ნაყ. VIII. ევრაზიური სახეობაა. მეზოფიტი. იზრდება გზის პირებზე, ტენიან ადგილებში, ნაუბრებში. გამოიყენება ოფიცინალურ და ხალხურ მედიცინაში. ხასიათდება სისხლდენის შემაჩერებელი, ამოსახველებელი, პიპოტონური და წყლულების საწინააღმდეგო მოქმედებით.

Plantago media L. – საშუალო მრავალბარღვა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ირიბი ფესურით. საყვავილე ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, დადარული, სწორმდგომი ან ძირში წამოწეული. ფოთლები ფესვთანურ როზეტებადაა შეკრებილი, მოყვანილობით ფართო-ელიფსური ან მოგრძო-ელიფსურია, იშვიათად კვერცხისებრ-ლანცეტა. თავთავები ცილინდრულია, მჭიდრო. თანაყვავილები კვერცხისებრი ან მოგრძო-კვერცხისებრია. გვირგვინი შიშველი, მოთეთრო ან მოკვერცხლისფერო-თეთრია. კოლოფი კვერცხისებრია, მრავალ თესლიანი. თესლები შავია, ელიფსური, ცალ მხარეზე გამობერილი. ყვ. V-VI; ნაყ. VII-IX. ევრაზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება წავკისის ხეობაში, წყლის პირებზე. ხალხურ მედიცინაში ფოთლები გამოიყენება ჭრილობების, წყლულების, დაჟეჟილობების, ნატკენებისა და ყურის ანთების დროს.

Fam. Plumbaginaceae – ოჯ. ტყვიაბალახისებრნი

Plumbago europaea L. – ტყვიაბალახა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო

30-60 სმ სიმაღლისაა, სწორი, ძირშივე დატოტვილი, იშვიათად მარტივი. ფოთლები მომწვანო-ლეგა ფერისაა, ქვედა მათვანი ყუნწიანია, შუა და ზედა – მჯდომარე, ღერომხვევი, ძირში ბიბილოებიანი, მოგრძო ან ლანცეტა ფორმის, ნაპირებზე ჯირკვლებიანი. ყვავილები ტოტების კენწეროებზეა თავთავისებრ ან თითქმის მტეენისებრ ყვავილედებად შეკრებილი. თანაყვავილები მოგრძოა, ბალახოვანი, შიშველი ან ჯირკვლებით მოფენილი. გვირგვინი იისფერ-ვარდისფერია. ყვ. VII; ნაყ. IX. ევრაზიური სახეობაა, ქსეროფიტი. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კბილის ტკივილის, მუნისა და თავის ქცის საწინააღმდეგოდ.

Fam. Poaceae (Gramineae) – ოჯ. მარცვლოვანი

***Aegilops cylindrica* Host. – ცილინდრული ეგილოფსი**

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი, წვრილი, სწორი ან მუხლებით წამოწეული. ფოთლები ბრტყელია, ვიწრო, ხაზური, ორივე მხრიდან ხაოიანი, ზოგჯერ ბეწვიანი ან შიშველი.

ყვავილელი ცილინდრული თავთავია, 6-11-თავთუნიანი; თავთუნის კილებს აქვთ ერთი ფხა, რომელიც თავთავზეა მიკედლილი. ყვ. V-VI; ნაყ. VII-IX. იზრდება მშრალ ფერდობებზე, სიღნარ ადგილებში და როგორც სარეველა ნათესებში.

***Aegilops triuncialis* L. - ეგილოფსი**

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი, მუხლებით წამოწეული, ცოტად თუ ბევრად წვრილი. ფოთლები მოფენილია გრძელი, დაშორიშორებული ბეწვით. თავთავი მოგრძოა, ზევითკენ თანდათანობით შევიწროებული; თავთუნის კილი სამფხიანია. ყვ. V-VI; ნაყ. VII-IX. ევროპულ-სამელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მშრალ ადგილებში, აგრეთვე გვხვდება როგორც სარეველა.

***Agropyron cristatum* (L.) Beauv. – კაპუეტა**

მრავალწლოვანი ბეწვით მოფენილი ბალახოვანი მცენარეა, ინვითარებს პატარა კორდს. ღერო 80 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორი ან წამოწეული, თავთავის ქვეშ შებუსული. ფოთლები

ბრტყელია, მეტწილად კიდებდახეული, ჯაგრისებრი. თავთავი კვერცხისებრი ან მოგრძოა, გაბრტყელებული; თავთუნები 3–10-ყვავილიანია, თავთუნის კილი ერთი ფხით ბოლოვდება. ყვ. V-VII; ნაყ. VIII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალსა და ქვიან ადგილებში, გვხვდება ხშირად.

Agropyron repens (L.) Beauv. – მხოხავი ჭანგა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, გრძელი მხოხავი ფესურებით, მწვანე ან ლეგა. ღერო 40-120 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე წამოწეული. ფოთლები ბრტყელია, ზოგჯერ კიდელაკბილული, ზემოდან ჩვეულებრივ ხაოიანი. თავთავი სწორია, თავთუნები 5-7 ყვავილიანია; თავთუნის კილები მოკლე ფხის მსგავსი წვეტიან ან მოკლე ფხით არის დაბოლოებული, ან წაწვეტილი. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. გზადმოყოლილია (ამერიკა). იზრდება ღორღიან ფერდობებზე, მშრალ მდელოებზე, ნასვენ მიწებზე, როგორც სარეველა.

Agrostis alba L. – თეთრი ნამიკრეფია

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-150 სმ სიმაღლისაა. ფოთლები ბრტყელია, ზემოდან ოდნავ ხაოიანი. ყვავილები საგველასებრ ყვავილედებადაა შეკრებილი; თავთუნები ერთ ყვავილიანია, პატარა ზომის, მწვანე ან იისფერი; თავთუნის კილები მახვილია, გლუვი, მარტო ქედი აქვთ ხაოიანი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევროპული სახეობაა. იზრდება ნესტიან ადგილებში.

Agrostis verticillata Vill. – ნამიკრეფია

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა, მუხლებით წამოწეული. ფოთლები ბრტყელია, ხეშეში და ხაოიანი. ყვავილედის საგველასა, ხასიათდება მოკლე და რგოლურად განლაგებული ტოტებით. თავთუნები განლაგებულია ტოტების ძირიდანვე; თავთუნის კილები მახვილია, ქედზე წამწამებიანი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევროპული სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებში.

Alopecurus myosuroides Huds. – ვენახის მელაკულა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, წარმოქმნის კორდს.

ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი, სწორი ან მუხლებით წამოწეული, ზედა ნაწილში ხაოიანი. ფოთლები ვიწრო-ღანცეცაა, მწვანე, იშვიათად ლეგა, ზემოდან – ხაოიანი, ქვემოდან – თითქმის სრულიად გლუვი. ყვავილელი ვიწრო-ცილინდრულია, წვერისაკენ შევიწროებული; თავთუნები მოგრძო-ელიფსური, ღია მწვანე, ან ცოტად თუ ბევრად იისფერი. ყვ. V-VI; ნაყ. VII-IX. გზადმოყოლილია (ჩრდ. ამერიკა). იზრდება ტენიან მდელოებზე, მდინარის ნაპირებზე, ბუჩქნარებში. ხშირად როგორც სარეველა.

Avena fatua L. – უგემური შვრიუკა

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 8-120 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული, შიშველი. ფოთლების ფირფიტა ფუძის ახლოს კიდევამწამებიანია; ქვედა ფოთლების ვაგინები შებუსულია. ყვავილელი ფარჩხატი ან შეკუმშული საგველაა, თავთუნებში ყველა ყვავილი ფხიანია. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ნათესებში და რუდერალურ ადგილებში როგორც სარეველა. ნორჩობაში საქონლის საკვებს წარმოადგენს.

Avena ludoviciana Durieu – შვრიუკა

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 50-100 სმ სიმაღლისაა, თავდაპირველად მწოლარეა, შემდეგ წამოწეული ან თითქმის სწორი. ყვავილელი წაგრძელებულია, მრავალთავთუნიანი, გაშლილი ან თითქმის ცალგვერდა; თავთუნები 2-3- ყვავილიანია. ყვ. IV-VI; ნაყ. VII-VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ქვიან ადგილებში, ღორღიან ფერდობებზე, როგორც სარეველა. გვხვდება ხშირად.

Avena sativa L. – ჩვეულებრივი შვრია

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 60-100 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი. ფოთლები შიშველია. ყვავილელი გაშლილი საგველაა, ზოგჯერ ცალგვერდა; თავთუნები 2-3- ყვავილიანია, თავთუნში არც ერთი ყვავილი არაა დანაწევრებული. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. გვხვდება კულტურაში ყველა ქვეყანაში, ზოგჯერ როგორც სარეველა.

Avenastrum pratense (L.) Jessen. – მდელოს შერიაანა

მრავალწლოვანი მცირეკორდიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული, შიშველი, გლუვი ან საგველას ქვეშ ხაოიანი. ფოთლების ფირფიტა ვიწრო ხაზურია, ლეგა-მწვანე, ცოტად თუ ბევრად ხეშეში, ხასიათდება ხრტილოვანი და ბასრხაოიანი კიდეებით. ყვაილედი ვიწრო საგველაა, მტეენისებრ შეკუმშული, ცოტად თუ ბევრად სწორმდგომი. თავთუნები ხაზურია ან ელიფსურ-ლანცეტა, უმეტესად 3-5-ყვაილიანი, ხასიათდება მოკლე გაფართოებული ყუნწებით. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მშრალ ადგილებში, ბუჩქნარებში.

Bothriochloa ischaemum (L.) Keng – ურო

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ინვითარებს ცოტად თუ ბევრად დიდი ზომის კორდს. ღერო 10-80 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, შიშველი ან მუხლების ქვეშ შებუსული. ფოთლები ვიწრო ხაზურია, წაწვეტილი, მონაცრისფრო-მწვანე ან ლეგა, ჩვეულებრივ ხეშეში. ყვაილედი 2-10-თავთავის მსგავს ტოტისაგანაა შემდგარი და ღეროს წვერზე ჯგუფად შეკრებილი; თავთუნები მოგრძო-ხაზურია ან ლანცეტა, მომწვანო-იისფერი. ყვ. VII-VIII; ნაყ. IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვიანსა და ბალახოვან ფერდობებზე, ვაკე ადგილებში.

Brachypodium pinnatum (L.) Beauv. – ბერსელა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა წვრილი მხოხავი ფესურით. ღერო 5-120 სმ სიმაღლისაა, მუხლები ბეწვიანი და ხაოიანია. ფოთლები ბრტყელია, ღია ან მორუხო-მწვანე, ორივე მხრიდან ხაოიანი, ზემოდან წვრილი ბეწვით მკრთალად მოფენილი. თავთუნები მრავალყვაილიანია, ყვაილედი უფრო ხშირად სწორია ან ოდნავ მოღუნული. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, მშრალ ბალახოვან ფერდობებზე. გვხვდება ხშირად.

Brachypodium sylvaticum (Hunds.) Beauv. – ტყის ბერსელა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, წვრილი მხოხავი ფესურით; ინვითარებს კორდს. ღერო სუსტია, 60-120 სმ სიმაღლის, მუხლთშორისები შიშველია ან ბეწვებიანი. ფოთლები

მუქი მწვანეა, თხელი, ბრტყელი, ორივე მხრიდან ხაოიანი, ზემოდან - აგრეთვე წვრილი ბეწვით მოფენილი. ყვავილედ უფრო ხშირად თავდაღუნულია, 3-10-თავთუნიანი; თავთუნები 6-11-ყვავილიანია. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში.

Briza media (L.) – ცახცახა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა, ინვითარებს ფაშარ კორდს. ღერო 20-80 სმ სიმაღლისაა, შიშველი და გლუვი. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, წაწვეტილი; ღეროს ძირში განვითარებული ფოთლები გრძელია, ღეროსეული - მოკლე. საგველა ყვავილედ ჯერ შეკუმშულია, შემდეგ კი იშლება, მისი ტოტები გრძელია, ბეწვის მსგავსი და ხაოიანი. თავთუნები დაღუნულია, იისფერი, მოოქროსფრო-ყვითელი ან მოთეთრო-მწვანე, 5-9-ყვავილიანი. ყვ. V-VII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში.

Bromus arvensis L. – ყანის შვრიელა

ერთწლოვანი ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა. ფოთლები ხაზურია, ვაგინიანად რბილი ბუსუსით მოფენილი. ყვავილედ ფარჩხატი საგველაა, 5-10-თავთუნიანი; თავთუნები ვიწროლანცეტაა, 6-10-ყვავილიანი, მომწვანო იისფერი ან მომწვანო. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, მდელოებზე და გზის პირებზე, როგორც სარეველა.

Bromus commutatus Schrad. – ცვალებადი შვრიელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა. ფოთლები ხაზურია. ყვავილედ ფარჩხატი, ჯერ სწორი, შემდეგ ოდნავ დახრილი საგველაა, ხასიათდება გრძელი, ხაოიანი ტოტებით; თავთუნები მოგრძო-ლანცეტაა, 5-10-ყვავილიანი, შიშველი. ყვ. V-VII; ნაყ. VII-IX. ევროპული სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში, როგორც სარეველა.

Bromus japonicus Thunb. – იაპონური შვრიელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 50-80 სმ სიმაღლისაა. ფოთოლი ხაზურია და შებუსული. ყვავილედ

გაშლილი საგველაა, მისი ტოტები დაყვავილების შემდეგ დახრილია; თავთუნები 6–12-ყვავილიანია, მოყვანილობით ლანცეტა. ყვ. IV-VII; ნაყ. VI-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, როგორც სარეველა.

Bromus squarrosus L. – შვრიელა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა. ფოთოლი ხაზურია, ბეწვებიანი. ყვავილედის საკმაოდ დიდი, გრძელტოტებიანი და ცალ გვერდზე დახრილი საგველაა; თავთუნები მოგრძო ლანცეტაა, შიშველი, 8-20-ყვავილიანი. ყვ. VI-VII; ნაყ. VI-VIII. იზრდება მშრალ, ქვიან ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, აგრეთვე როგორც სარეველა.

Catabrosa aquatica (L) Beauv. – კატაბროზა

მრავალწლოვანი ბალახოვანი გრძელ ფესურიანი მცენარეა. ღერო 15-50 სმ სიმაღლისაა, ძირში მწოლარეა, ფესვგადგმული, შემდეგ მუხლებით წამოწეული ან ძირმოღუნული. ფოთლები ბრტყელია, შიშველი, ერთბაშად ბოლოწაწვეტილი ან ოდნავ ბლაგვი. ყვავილედის საგველაა, დაყვავილებისას გაშლილი, მისი ტოტები ჯგუფადაა შეკრებილი, უფრო ხშირად ზევით აღმართული; თავთუნები 2–3-ყვავილიანია, ზოგჯერ 1-ყვავილიანი. ყვ. V-VII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვითური სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებში.

Colpodium versicolor (Stev.) Schmalh. – კოლპოდუმი

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, შიშველი, ძირში ბოლქვის მსგავსად გამსხვილებული და ირგვლივ ძველი ფოთლების ვაგინებით შემოხვეული. ფოთლები მოკლეა, ვიწრო-ხაზური, თითქმის ჯაგრისებრი, სიგრძეზე დაკეცილი ან ბრტყელი. ყვავილედის მოკლე პირამიდული საგველაა, თავთუნები წვრილია, მომწვანო-იისფერი ან იისფერი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-X. კავკასიური სახეობაა. იზრდება ღია ღორღიან ადგილებსა და კლდეებზე.

Cynodon dactylon (L.) Pers. – გლერტა, კლერტა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, გრძელი, მსოხავი ფესურით. ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, შიშველი,

ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები მოგრძოა ან ხაზურ-ლანცეტა, ხეშეში, იშვიათად რბილი, ლეგა-მწვანე ან თითქმის მწვანე. ყვავილელი შედგება 3-7 თავთავის მსგავსი ტოტისაგან, რომელნიც ქოლგის სხივების მსგავსად დეროს წვერზეა შეკრებილი; თავთუნები კვერცხისებრია, წვრილი, 1-ყვავილიანი, მჯდომარე, ყვავილელის ტოტების ცალ მხარეზე ორ მწკრივად განლაგებული. ყვ. V-VII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, გზის პირებზე და რუდერალურ ადგილებში, როგორც სარეველა მცენარე.

***Dactylis glomerata* L. – სათითურა**

მრავალწლოვანი, ბალახოვანი მოკლევსურებიანი მცენარეა, ინვითარებს ცოტად თუ ბევრად მკვრივ ან ფაშარ კორდს. დერო 40-100 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან მუხლებით წამოწეული, შიშველი. ფოთლების ფირფიტა ბრტყელია, გრძელი, ხაოიანი ან თითქმის გლუვი. ყვავილელი შეკუმშულია ან ქვედა ტოტები უფრო გრძელი აქვს და ცოტად თუ ბევრად გაშლილი. თავთუნები მოგრძოა ან მოგრძო კვერცხისებრი, მომწვანო ან იისფრად შეფერილი, 3-5-ყვავილიანი. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-X. გზადმოყოლილი (ჩრდ. ამერიკა) სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში. საუკეთესო საკვები ბალახია.

***Digitaria ischaemum* (Schreb.) Muehl. – მწვერფეხა**

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. დერო 10-50 სმ სიმაღლისაა, ხშირად ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლის ფირფიტა ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა, ძირში ზოგჯერ ბეწვით შემოსილი. ყვავილელი საგველაა, შედგება დეროს წვერზე ჯგუფად შეკრებილი 2-6 თავთავის მსგავსი ტოტისაგან; თავთუნები მომრგვალო-ლანცეტაა. ყვ. VII-IX; ნაყ. IX-X. ევრაზიური სახეობაა. იზრდება დამუშავებულ ნაკვეთებზე, სარეველა მცენარის სახით, ტენიან ადგილებში.

***Echinaria capitata* (L.) Desf. – ეხინარია**

ერთწლოვანი ბალახოვანი მოკლევსურიანი მცენარეა. დერო 5-30 სმ სიმაღლისაა, ერთია ან ბუჩქურად ამოსული. ფოთლები

სახურია, კიდევხაოიანი, უმთავრესად ღეროს ძირში თავმოყრილი. ყვავილელი სფერულია, თავთუნები 2–3-ყვავილიანია, გვერდებიმტკეცილი. ყვ. IV-VI; ნაყ. VII-IX. ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მშრალ, ხრიოკ ადგილებში, გზის პირებსა და ბუჩქნარებში.

Echinochloa crusgalli (L) Beauv – ბურჩხა

ერთწლოვანი ბალახოვანი მოკლევფესურიანი მცენარეა. ღერო 10-100 სმ სიმაღლისაა, სწორი ან მუხლებით წამოწეული, ერთი ან რამდენიმე, ძირიდანვე დატოტვილი, ცოტად თუ ბევრად მსხვილი. ფოთლები ფართო-სახურია, ზემოდან და კიდებზე ხაოიანი. ყვავილელი შედგება თავთავისმსგავსი ტოტებისაგან, რომლებზედაც თითქმის მჯდომარე თავთუნებია განლაგებული; თავთუნები 1-ყვავილიანია, კვერცხისებრ-ელიფსური, ხშირად იისფერი. ყვ. VII-IX; ნაყ. IX-X. ვერაზიური სახეობაა. იზრდება როგორც სარეველა ტენიან ადგილებში.

Eragrostis minor Host. – მომცრო ტეფი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ხშირი ფუნჯა ფესვით. ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე რამდენიმეა ერთად ამოსული, დატოტვილია, მუხლებით წამოწეული. ფოთლები ბრტყელია, ლანცეტა, ზემოდან ხაოიანი, ძარღვებზე მეჭეჭისებრი ჯირკვლებით მოფენილი. ყვავილელი ცოტად თუ ბევრად შეკუმშული საგველაა, მისი ტოტები მოსქელოა, ხაოიანი, თითო ან წყვილ-წყვილად თითქმის ჰორიზონტალურად განლაგებული. თავთუნები ვიწროა, სახური ან სახურ-ლანცეტა, მუქი მოიისფრო-მწვანე. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. გზადმოყოლილია (ჩრდ. ამერიკა). იზრდება რიყნარებზე, აგრეთვე როგორც სარეველა გზის პირებზე.

Eragrostis pilosa (L.) Beauv. – ტეფი

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 5-30 სმ სიმაღლისაა, უფრო ხშირად მუხლებით წამოწეული, ძირიდანვე დაბუჩქულ-დატოტვილი, შიშველი. ფოთლები ბრტყელია, სახურ-ლანცეტა, ხეშეში, კიდებზე ბასრხაოიანი. ყვავილელი ფართო პირამიდული საგველაა, გადაშლილი, მისი ტოტები ოღნავ დაკლაკნილია, ზევით აღმართული და ხაოიანი.

თავთუნები 5–10-ყვავილიანია, მოგრძო-ხაზური, მუქი იისფერი. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-X. გზადმოყოლილია (ჩრდ. ამერიკა). იზრდება სილნარ, ზოგჯერ ტენიან ადგილებში, როგორც სარეველა.

***Festuca pratensis* Huds. – მდელის წივანა**

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მოკლე-მხოხავი ფესურით, ინვითარებს ფაშარ კორდს. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, იშვიათად სწორი, გლუვი. ფოთლები ვიწრო-ხაზურია. ყვავილენი მცირეთავთუნიანი ცალგვერდა საგველაა, ყვავილობამდე და ყვავილობის შემდეგ შეკუმშული, მისი ტოტები მოკლეა, თითქმის გლუვი, ყველაზე ქვედა ტოტი 1–3-თავთუნიანია. თავთუნები მოგრძო-ლანცეტაა, მწვანე ან იისფერი. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-X. ვროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მდელიებზე, ბალახოვან ფერდობებზე, ზოგჯერ ბუჩქნარებში.

***Festuca rubra* L. – წითელი წივანა**

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, გრძელი, მხოხავი დატოტვილი ფესურებით, ინვითარებს ფაშარ კორდს. ღერო 20-70 სმ სიმაღლისაა, უფრო ხშირად ძირიდან წამოწეული, იშვიათად სწორი, შიშველი, გლუვი. ყვავილენი შეკუმშული საგველაა, მისი ტოტები წვრილია და თითო-თითოდ ან წყვილ-წყვილად განლაგებულნი; თავთუნები ხაზურ-ლანცეტაა, მოწითალო-მოიისფრო, იშვიათად მწვანე, 4–7-ყვავილიანი. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-X. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ტენიან მდელიებზე, ბუჩქნარებში.

***Festuca rupicola* Heuff. [*F. sulcata* (Hack.) Nym. p.p.] – ველის წივანა, ქუჩი**

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა, ინვითარებს მჭიდრო კორდს. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, უფრო ხშირ. ად გლუვი ან ოდნავ ხაოიანი. ფოთლები მონაცისფრო-მწვანეა, სიგრძეზე კიდებდახვეული, ჯაგრისებრი, ხშირად დაკლაკნილი, ხაოიანი, სიგრძეზე ორი ღრმა ღარი ჩასდევს. ყვავილენი ვიწრო-ხაზური საგველაა, თავთუნები 4-6-ყვავილიანია. ყვ. V-VI; ნაყ. VII-IX. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ბალახოვან ფერდობებსა და კლდოვან ადგილებში. გვხვდება ხშირად.

Gaudinopsis macra (Bieb.) Eig. – გაუდინოპსისი

ერთწლოვანი ბალახოვანი მსოხავფესურიანი მცენარეა. ღერო 10-35 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან ოდნავ დატოტვილი. ფოთლები ჯაგრისებრია, კიდებდახვეული, ზედა მხარეზე ხაოიან წამწამებიანი. ყვავილელი ხშირი, თითქმის თავთავისებრი მტევანია. თავთუნები მოგრძო ხაზურია, მრავალყვავილიანი. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VIII. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ, ხრიოკ ფერდობებზე.

Glyceria fluitans (L.) R.Br. – წყლის მანანა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მსოხავფესურიანი მცენარეა. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, მუხლებით წამოწეული. ფოთლები სქელი და ბრტყელია, ხასიათდება გვერდებშიტკეცილი ვაგინებით. ყვავილელი საგველაა, მისი ქვედა ტოტები ჯგუფადაა განლაგებული, აქედან ყველაზე მოკლე ტოტი ერთთავთუნიანია, თავთუნები მრავალყვავილიანია. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-X. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებში.

Hordeum bulbosum L. – ბოლქვიანი ქერი

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა, ინვითარებს მჭიდრო კორდს. ღერო 50-150 სმ სიმაღლისაა, ძირში ბოლქვის მსგავსად გამსხვილებული. ფოთლები ხაზურია, ოდნავ ხაოიანი, ზედა მხრიდან ზოგჯერ ბეწვებით თხლად მოფენილი. ყვავილელი ხაზური თავთავია, ოდნავ დახრილი, მტვრევადი ღერძით. თავთუნები ერთყვავილიანია, იშვიათად 2-3-ყვავილიანი. ხმელთაშუაზღვეთურ-ირანული სახეობაა. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. იზრდება ბალახებში, ბუჩქნარებში, ღია მშრალ ფერდობებზე.

Hordeum leporinum Link. – თავის ყანა

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, მრავალი, ცოტად თუ ბევრად მუხლებით წამოწეული, შიშველი. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, შიშველი ან ზედა მხრიდან ოდნავ ბეწვიანი. ყვავილელი ფართო-ხაზური თავთავია; თავთუნები ღია მწვანეა, სხედან სამ-სამად. ყვ. IV-VII; ნაყ. VII-IX. ხმელთაშუაზღვეთურ-ირანული სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში როგორც სარეველა.

Koeleria kristata (L.) Pers. (K. gracilis Pers) – კეწეწურა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ინვითარებს მკვრივ კორდს. ღერო 20-40 სმ სიმაღლისაა, წვრილი, შიშველი ან ყვავილედის ქვედა ნაწილში ცოტად თუ ბევრად შებუსული, უმთავრესად ქვედა ნახევარში – შეფოთილი. ფოთლები ვიწროა, სიგრძეზე კიდებდახვეული, იშვიათად ბრტყელი, შიშველი ან წამწამებიანი, ლევა. ყვავილელი მოგრძო-ცილინდრულია, ზოგჯერ ოდნავ პირამიდული, უფრო ხშირად ფარჩხატი, დანაკეთული; თავთუნები შიშველია, ხაზურ-ღანცეცა, 2-3-ყვავილიანი, მკრთალი ან მოიისფრო. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ბალახოვან ფერდობებზე, კვიან ადგილებში. გვხვდება ხშირად.

Lolium arvense With. (L. speciosum Bieb.) – უფხო ღვარძლი

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 40-80 სმ სიმაღლისაა, მომსხო, თავთავის ქვეშ ხაოიანი. ფოთლები ბრტყელია, ზემოდან ხაოიანი. ყვავილელი თავთავია, რომელზეც თავთუნები ორ მოპირისპირე მწკრივად სხედან; თავთუნები 4-12-ყვავილიანია. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-მც. აზიური სახეობაა. იზრდება როგორც სარეველა ნათესებში.

Lolium persicum Boiss.et Hoh. – სპარსული ღვარძლი

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 20-100 სმ სიმაღლისაა, ერთია ან რამდენიმე, თავთავის ქვეშ მცირეოდენ ხაოიანი. ფოთლები ბრტყელია, ორივე მხრიდან ხაოიანი. ყვავილელი თავთავია, თავთუნები 3-8-ყვავილიანი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ირანული სახეობაა, მეტად აბეზარი სარეველა. იზრდება მშრალ ადგილებში, ნათესებში.

Lolium rigidum Gaudin – ნამკალა

ერთ ან ზოგჯერ მრავალწლოვანი, ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 15-50 (80) სმ სიმაღლისაა, რამდენიმეა, იშვიათად ერთი, მუხლებით წამოწეული, თავთავის ქვეშ ხაოიანი, იშვიათად გლუვი. ფოთლები ბრტყელია, ზემოდან ხაოიანი, ხოლო ქვემოდან გლუვი. ყვავილელი სწორი თავთავია, იშვიათად მოღუნული. თავთუნები 4-10-ყვავილიანია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ევროპულ-ირანული სახეობაა. იზრდება ბალახოვან და რუდერალურ ადგილებში, გზის პირებზე.

Lolium temulentum L. - ჩვეულებრივი ღვარძლი, მათრობელა

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 40-80 სმ სიმაღლისაა, თავთავის ქვეშ ბასრხაოიანი, მოშავო-მურა მუხლებით. ფოთლები ბრტყელია, ზემოდან ხაოიანი. ყვავილელი თავთავია; თავთუნები 5-10-ყვავილიანია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VI-IX. ევროპული სახეობაა, აბეზარი სარეველაა ხორბლოვან მცენარეთა ნათესებში.

Melica picta C.Koch. – მოხატული მელიკა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მოკლე ფესურებით. ინვითარებს პატარა ფაშარ კორდს. ღერო 30-40 (50) სმ სიმაღლისაა, წვრილი. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, წაწვეტილი, ვაგინიანად ოდნავ ხაოიანი. ყვავილელი ცალგვერდა ფარჩხატი საგველაა, მისი ტოტები მოკლეა, მოკლებუსუსიანი და ერთ ან იშვიათად ორთავთუნიანი. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ტყის პირებსა და ბუჩქნარებში.

Melica transilvanica Schur. – მელიკა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ინვითარებს ფაშარ კორდს. ღერო 30-60 (90) სმ სიმაღლისაა, სწორი. ფოთლები ვიწრო ხაზურია, ჯერ ბრტყელია, შემდეგ კიდებდახვეული, ხაოიანი. ყვავილელი ცილინდრული საგველაა, მრავალთავთუნიანი, მისი ტოტები მოკლე ბუსუსითაა მოფენილი; თავთუნები 1-ყვავილიანია, მოთეთრო ან იისფერი ელფერის, უფრო იშვიათად ოქროსფერი. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ხრიოკ და ქვიან ადგილებში.

Milium vernale Bieb. – მილიუმი

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 20-70 სმ სიმაღლისაა, ერთია ან მრავალი, სწორმდგომი, წვრილი. ფოთლები ხაზურია, შიშველი და გლუვი. ყვავილელი ფარჩხატი საგველაა; თავთუნები კვერცხისებრია, მომწვანო ფერის ან იისფერი. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ბუჩქებსა და ტყის პირებში.

Paspalum paspaloides (Michx.) Scribn. (P. digitalia Poir.) – ლაკარტია
მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, გრძელი მიწისქვეშა მხოხავი ყლორტებით. ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა, მუხლებით წამოწეული, შიშველი. ფოთლები მოყვანილობით ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა, წაწვეტილი, ბრტყელი, შიშველი ან გრძელი ბეწვით მოფენილი. ყვავილენი კენწრულია, შედგება ორთითას მსგავსად აშვერილი ორი ტოტისაგან; თავთუნები ელიფსურია, თავში წაწვეტილი. ყვ. VIII-X; ნაყ. IX-XI. გზადმოყოლილია. იზრდება როგორც სარეველა.

Phleum paniculatum Huds. – საგველასებრი ტიშთელა
ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ფაშარი კორდით. ღერო 10-60 სმ სიმაღლისაა, ერთია ან რამდენიმე. ფოთლები ფართო-ხაზურია ან ხაზურ-ლანცეტა, ზემოდან ხაოიანი. ყვავილენი კუმსია, თავთავის მსგავსი ვიწრო-ცილინდრული, ზოგჯერ წაგრძელებული, წვერისკენ შევიწროებული, თავისუფალი ტოტებით ხასიათდება; თავთუნები მოყვანილობით სამკუთხასოლისებრია, ერთყვავილიანი. ყვ. IV-VII; ნაყ. V-VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ მდელოებსა და განათებულ ფერდობებზე.

Phleum phleoides (L.) Karst. – ტიშთელა
მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, წარმოქმნის ფაშარ კორდს, ზოგჯერ მოკლე ყლორტებით. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, აღმავალი, შიშველი. ფოთლები ბრტყელია, მონაცრისფრო, კიდეხაოიანი. ყვავილენი თავთავისებრი, ხშირთავთუნიანი, ვიწრო-ცილინდრული საგველაა. თავთუნები ერთყვავილიანია, მოგრძო. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მშრალ მდელოებსა და ბუჩქნარებში.

Phragmites communis (L.) Trin – ლელი
მრავალწლოვანი მცენარეა, გრძელი მხოხავი, მიწისქვეშა, ზოგჯერ მიწისზედა ყლორტებით. ღერო 0,8-4 მ სიმაღლისაა, სწორი. ფოთლები ხეშეშია, მკრთალი მწვანე, მოყვანილობით ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა. ყვავილენი დიდი ზომის, გაშლილი პირამიდული, ტოტებხაოიანი საგველაა. თავთუნები 3-7

ყვავილიანია, მუქი იისფერი ან მოყავისფრო. ყვ. VII-X; ნაყ. VIII-XI. კოსმოპოლიტური მცენარეა. იზრდება წავკისის ხევში, მდინარის ნაპირებზე.

Poa angustifolia L. – თივაქასრა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა, ხასიათდება მხოხავი ყლორტებით, ინვითარებს ფაშარ კორდს. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, სწორი ან ძირში წამოწეული. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, ბრტყელი ან კიდებდახვეული, ლევა, უფრო ხშირად შიშველი. ყვავილენი მოგრძო ან ოვალური საგველაა; თავთუნები კვერცხისებრია, 2-4-ყვავილიანი, მწვანე ან ოდნავ იისფერი. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევროპული სახეობაა. იზრდება მშრალ მდელოებზე, ბუჩქნარებში. გვხვდება ხშირად.

Poa annua L. – ერთწლოვანი თივაქასრა

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 5-15 სმ სიმაღლისაა, უფრო ხშირად დაბუჩქული, წამოწეული, გლუვი, ოდნავ გვერდებშიტკეცილი. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, რბილი, გლუვი, ზოგჯერ სიგანეზე დანაოჭებული, უმთავრესად თავმოყრილია ღეროს ძირში. ყვავილენი პირამიდული საგველაა, გლუვი ტოტებით; თავთუნები 2-3- ყვავილიანია, მკრთალი მწვანე ან ოდნავ იისფერი. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ბორეალური სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებში, გზის პირებზე.

Poa bulbosa L. – ბოლქვიანი თივაქასრა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა, ინვითარებს პატარა კორდს. ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა, ძირში ბოლქვის მსგავსად გამსხვილებული, სწორი და გლუვი. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, ჩვეულებრივ სიგრძეზე კიდებდახვეული, შიშველი, მოკლე, უმთავრესად ღეროს ძირშია თავმოყრილი. ყვავილენი მოგრძო ან მოგრძო-ოვალური საგველაა; თავთუნები 2-4-ყვავილიანია, მწვანე ან იისფერი, ხშირად ყვავილების ნაცვლად უნვითარდება ჩეკია მწვანე კვირტები, რომლებიც წარმოადგენს თავთუნის მეტამორფოზულ ზედა ნაწილს. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VIII. ევროპულ-ცენტრ. აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე, ქვიან ადგილებში.

Poa pratensis L. – მდელოს თივაქასრა

მრავალწლოვანი ბალახოვანი, მიწისქვეშა მხოხავფლორტებიანი მცენარეა, ინვითარებს ფაშარ კორდს. ღერო 20-90 სმ სიმაღლისაა, სწორი ან ძირში წამოწეული, მრავალი, იშვიათად 1-3, გლუვი. ფოთლები ხაზურია, ბრტყელი, გლუვი. ყვავილელი პირამიდული საგველაა, ხასიათდება მრავალი თავთუნით და ხაოიანი ტოტებით; თავთუნები კვერცხისებრია, მომწვანო ან ოღნავ იისფერი. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ვეროპული სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ტყის პირებზე, იშვიათად როგორც სარეველა ნათესებში.

Poa trivialis L. – ჩვეულებრივი თივაქასრა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მიწისქვეშა მოკლე ფლორტებით, წარმოქმნის მცირე კორდს. ღერო 25-100 სმ სიმაღლისაა, წვრილი, სწორი, იშვიათად წამოწეული, ყვავილის ქვეშ თითქმის ყოველთვის ხაოიანი. ფოთლები ბრტყელია, ზემოდან ხაოიანი, ქვემოდან – პრიალა. ყვავილელი კვერცხისებრი, მოგრძო-კვერცხისებრი ან პირამიდული, ფარჩხატი საგველაა; თავთუნები 2-5-ყვავილიანია. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ვერაზიური სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებში, ბუჩქნარებში.

Setaria verticillata (L.) Beauv. - ძურწა

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 15-60 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან მუხლებით წამოწეული, შიშველი, ყვავილელის ქვეშ ხაოიანი. ფოთოლი ბრტყელია, მწვანე, ხაზურ-ლანცეტა, კიდეზე ხაოიანი. ყვავილელი ვიწრო-ცილინდრული, უფრო ხშირად ქვემოთ წვეტილი საგველაა. თავთუნები ელიფსურია ან ოვალური. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ვეროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში როგორც სარეველა მცენარე.

Setaria viridis (L.) Beauv. – მწვანე ძურწა

ერთწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 5-100 სმ სიმაღლისაა, წვრილი, მუხლებით წამოწეული, იშვიათად სწორი, უფრო ხშირად ძირიდანვე დატოტვილი, შიშველი. ფოთლები ბრტყელია, მწვანე, ხაზურ-ლანცეტა, წაწვეტილი, კიდები და ზედაპირი ხაოიანი. ყვავილელი თავთავის მსგავსი

ცილინდრული, იშვიათად ოვალური, სწორი საგველაა. თავთუნები ოვალურია ან ელიფსური, მწვანე ან იისფერი. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ქვიან ფერდობებზე.

Sorghum halepense (L.) Pers. – შალაფა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მსხვილ ფესურიანი სარეველა მცენარეა. ღერო 2 მ-მდე სიმაღლისაა, მსხვილი, სწორი, შიშველი. ფოთლები ბრტყელია, ფართო-ხაზური, წაწვეტილი, შიშველი, ხასიათდება მსხვილი შუა ძარღვით, კიდეებზე მახვილი, ხაოიანი. ყვავილედ დიდი ზომის, გაშლილი საგველაა, დაკლაკნილი და ჯგუფად განლაგებული ტოტებით. ორსქესიანი თავთუნები იისფერ-მწვანე, მოყვითალო-მურა ან ყვითელია. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება სტეპებში, მშრალ, ქვიან ფერდობებზე.

Stipa capillata L. – წურწუმა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა, ინვითარებს მჭიდრო კორდს. ღერო 20-70 სმ სიმაღლისაა. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, უფრო ხშირად ჯაგრის მსგავსად კიდეებდახვეული, გლუვი ან მცირეოდენ ხაოიანი. ყვავილედი ვიწრო, შეკუმშული, მრავალთავთუნიანი საგველაა. ყვ. VII-IX; ნაყ. VIII-X. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება სტეპებში, მშრალ, ქვიან ფერდობებზე.

Stipa pulcherrima C. Koch – ვაციწვერა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ინვითარებს ფაშარ კორდს. ღერო 40-100 სმ სიმაღლისაა, შიშველი. ფოთლები ბრტყელია, მონაცრისფრო-მწვანე ან ღვია-მწვანე, ხშირად სიგრძეზე კიდეებდახვეული, მისი ძარღვები და ვაგინები ბასრ-ხაოიანია, ზოგჯერ გლუვი. ყვავილედი ვიწრო, შეკუმშული საგველაა; თავთუნები 1-ყვავილიანია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება სტეპებში, მშრალსა და ქვიან ფერდობებზე, ზოგჯერ ბუჩქნარებში.

Trachynia distachya (L.) Link – ტრახინია

ერთწლოვანი ბალახოვანი წვრილფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 5-25 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან ძირიდანვე დატოტვილი და მუხლმოსრილი. ფოთლები მოკლეა, ხაზურ-ლანცეტა, კიდეწამწამებიანი. ყვავილედ თავთავის მსგავსია, 1-6-თავთავიანი; თავთუნები 6-15-ყვავილიანია. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალსა და კლდოვან ადგილებში.

Tragus racemosus (L.) All. – ტრაგუსი

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, წარმოქმნის კორდებს. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, რამდენადმე გართხმული, ხშირად ქვედა მუხლებით ფესვგამდგარი, ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები ლეგაა, ხეშეში, ხაზურ-ლანცეტა, მახვილწვერიანი, მცირეოდენ გაფარჩხული, კიდებზე ხეშეში ბეწვით მოფენილი. ყვავილედ თავთავის მსგავსი საგველაა, შეკუმშული, მისი ტოტები მოკლეა, დაღარული და ბეწვიანი; თავთუნები ლანცეტაა, შეკრებილია ჯგუფ-ჯგუფად, თითო ჯგუფში 3-4-თავთუნია. ყვ. VI-IX; ნაყ. VII-X. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება სტეპებში, ღორღიან და რუდერალურ ადგილებში.

Trisetum rigidum (Bieb) Roem. & Schult. – ოქროშერია

მრავალწლოვანი ბალახოვანი წვრილფესურიანი მცენარეა. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, წვრილი, შიშველი, ზოგჯერ მუხლებზე ან მის ქვეშ ბუსუსით შემოსილი. ფოთლები ლეგა და ხეშეშია, მოყვანილობით ხაზური ან ლანცეტა-ხაზური, გრძლად წაწვეტილი. ყვავილედ მოვერცხლისფრო საგველაა; თავთუნები 2-3-ყვავილიანია. ყვ. V-VII; ნაყ. VI-IX. კავკასიურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე.

Vulpia ciliata (Danth.) Dumort. – წამწამებიანი ვულფია

ერთწლოვანი ბალახოვანი წვრილფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 5-30 სმ სიმაღლისაა, წვრილი, ხშირად მუხლებით წამოწეული. ფოთლები ვიწროა, სიგრძეზე კიდებდახვეული და ბოლოწაწვეტილი. ყვავილედ ფარჩხატი, თავთავის მსგავსი, მოგრძო, ცალგვერდა, უფრო ხშირად თავდახრილი საგველაა. თავთუნები 4-6-ყვავილიანია, მოკლეყუნწიანი, იისფრად

შეფერილი. ყვ. IV-V; ნაყ. V-VII. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ადგილებში, ბალახოვან მცენარეულობასა და ბუჩქნარებში, ხშირად როგორც რუდერალური მცენარე.

Vulpia myuros (L.) C. C. Gmel. – ვულფია

ერთწლოვანი ბალახოვანი წვრილფუნჯაფესვიანი მცენარეა. ღერო 20-40 სმ სიმაღლისაა, სწორი ან წამოწეული. ფოთლები ჯაგრისებრია, სიგრძეზე კიდებდახვეული, წაწვეტილი. ყვავილენი ვიწრო, ცალგვერდა, თავდახრილი საგველაა; თავთუნები 4-5-ყვავილიანია, გამსხვილებული. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. კავკასიურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება კლდეებსა და გორაკებზე, ბუჩქნარებში, ხშირად როგორც სარეველა ნათესებში.

Fam. Polygalaceae – ოჯ. წიწინაურისებრნი

Polygala transcaucasica Tamamsch. – წიწინაური

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა უხვად შეფოთილი ღეროთი. ფოთლები ხაზურ-ღანცეტაა. ყვავილენი კენწრულია, მტევნისებრი, ფარჩხატი, მრავალყვავილიანი, გვირგვინი მეწამულ-იისფერია ან მოთეთრო. თესლი მოგრძო-კვერცხისებრია თეთრი ბეწვით შებუსული. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. კავკასიურ-ჩრდ. ანატოლიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ღია ფერდობებზე და ბუჩქნარებში, გვხვდება იშვიათად.

Fam. Polygonaceae – ოჯ. მატიტელასებრნი

Polygonum alpestre C.A. Mey. – ალპური მატიტელა

მრავალწლოვანი ბალახოვანი გახევებულფესურიანი მცენარეა. ღერო მრავალია, 8-30 სმ სიგრძისაა, მწოლარე, ზოგჯერ წამოწეული, უხვად შეფოთილი, მოკლე მუხლთაშორისებრიანი. ფოთლები მოყვანილობით ოვალურია ან მოგრძო-ღანცეტა. ყავისფერი ყვავილები ჯგუფ-ჯგუფადაა განლაგებული ფოთლების იდლებში. წითელი ან ვარდისფერი, ზოგჯერ მოთეთრო ნაყოფი უსწორო სამწახნაგოვანი, თანდათანობით წაწვეტებული თესლურაა. ყვ. IV-VIII; ნაყ. V-IX. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა. დაფიქსირდა ბალის ზედა მიდამოებში, მშრალ ქვიან ადგილებში.

Polygonum argyrocoleon Steud. ex G. Kunze – ვერცხლისებრი მატიტელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი, დადარული, სწორი ან წამოწეული. ფოთლები ლანცეტა ფორმისაა. ყვავილები წვრილყუნწიანია, ტოტებზე 1-3 ერთადაა განლაგებული; ყვავილსაფარი კაშკაშა ვარდისფერია, უფრო იშვიათად თეთრი ან ორივე ფერის ერთ მცენარეზე. ნაყოფი მუქი წაბლისფერი, სამწახნაგოვანი თესლურაა. ყვ. VII-IX; ნაყ. VIII-X. კავკასიურ-აღმ. ანატოლიური სახეობაა. იზრდება გზის პირებზე, ნათესებში.

Polygonum aviculare L. – ჩვეულებრივი მატიტელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვით. ღერო 10-14 სმ სიგრძისაა, წამოწეული ან გართხმული. ფოთლები სხვადასხვა ზომისაა, ოვალურიდან დაწეებული ხახურამდე, ბლაგვწვერიანი ან ოღნავ წაწვეტებული. ყვავილები პატარა ზომისაა და ფოთლების იდლიებშია 2-5 ერთად განლაგებული. ყვავილსაფარი მომწვანოა, კიდეებზე თეთრი ან ვარდისფერი. ნაყოფი სამწახნაგოვანი, პატარა ზომის, წერტილებით დაფარული. თესლურაა. ყვ. VI-X; ნაყ. VII-X. ევრაზიური სახეობაა, თითქმის კოსმოპოლიტური ამ ფარგლებში. იზრდება დანაგვიანებულ ადგილებში, ვერდობებზე და გზისპირებზე. გვხვდება სშირად.

Polygonum convolvulus L. – ყანის ჭლექი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვით. ღერო 10-100 სმ სიგრძისაა, ხვიარა, ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები სამკუთხა კვერცხისებრია, თანდათანობით წაწვეტებული, ძირში გულისებრი. ყვავილები შეკრებილია 3-6 მეჩხერ კენწრულ მტევნებად. ნაყოფი სამწახნაგოვანი, შავი მქრქალი ან ოღნავ პრიალა, სიგრძეზე წერტილოვანი თესლურაა. ყვ. V-X; ნაყ. VI-X. გზადმოყოლილია ჩრდ. ამერიკიდან. აბეზარა სარეველა მცენარეა, იზრდება ნათესებსა და ნახსატებში, ნაგვიან ადგილებში.

Polygonum dumetorum L. – ღობისძირა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 50-30 სმ სიგრძისაა, ხვიარა, დატოტვილი. ფოთლები სამკუთხა კვერცხისებრია, ძირში გულისებრი, გრძელყუნწიანი. ყვავილები შეკრებილია მეჩხერ, კენწრულ მტევნებად. ყვავილსაფარი ნახევრამდე ხუთნაკეთიანია, მომწვანო, შიგნიდან მოთეთრო. ნაყოფი სამწახნაგოვანია, შავი პრიალა, გლუვი, უფრო იშვიათად წვრილწერტილოვანი თესლურაა. ყვ. V-X; ნაყ. VI-X. ევრაზიური სახეობაა, იზრდება ბუჩქნარებში, რიყეზე, მდინარის ნაპირებზე.

Polygonum hydropiper L. – წალიკა, წყლის ინა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 35-70 სმ სიმაღლისაა, წამოწეული. ფოთლები თხელია, ღანცეტა, ბოლოებშივეწროებული. მტევნები მოკლეა, წვრილყუნწიანი, მეჩხერ საგველა ყვავილედად შეკრებილი. ყვავილსაფარი მწვანეა ან წითელი, გარედან წერტილოვანი ყვითელი ჯირკვლებით მოფენილი. ნაყოფი სამწახნაგოვანია, შავი ან მუქი ყავისფერი, წვრილწერტილოვანი, მქრქალი თესლურაა. ყვ. VII-XI; ნაყ. VIII-XI. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მდინარის ნაპირებსა და ტენიან ადგილებში. გამოიყენება მედიცინაში.

Polygonum nodosum Pers. – კვანძებიანი მატიტელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო 30-100 სმ სიგრძისაა, უფრო ხშირად გამსხვილებული მუხლებით ხასიათდება, სწორია ან წამოწეული, მარტივი ან ოდნავ დატოტვილი. ფოთლები ღანცეტა ან მოგრძო ოვალური, იშვიათად კვერცხისებრი და წვერისკენ წაწვეტებული. ყვავილსაფარი მოთეთროა ან ვარდისფერი. ნაყოფი ორივე მხარეზე ჩაზნექილი, მუქი ყავისფერი, პრიალა თესლურაა. ყვ. VI-X; ნაყ. VII-X. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა; იზრდება მდინარის პირებსა და ტენიან ადგილებში.

Polygonum persicaria L. – ბოსტნის წალიკა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა

სისტემით. ღერო 20-80 სმ სიმაღლისაა, სწორი, იშვიათად წამოწეული და დატოტვილი. ფოთლები ღანცეცბა ან ხაზურ-ღანცეცბა. მტკვნები მჭიდროა, ცილინდრული, სწორი; ყვავილსაფარი უჯირკვლოა, ვარდისფერი ან მოთეთრო, ისევე როგორც ყვავილის ყუნწი. ნაყოფი ყავისფერი ან შავი, პრიალა თესლურაა. ყვ. VI-XI; ნაყ. VII-XI. გზადმოყოლილია ჩრდ. ამერიკიდან. იზრდება მდინარის პირებზე, ტენიან, ნაგვიან ადგილებში. გამოიყენება როგორც ეკონომიკური მნიშვნელობის მცენარე; ფესვებიდან მიიღება ყვითელი საღებავი. ხასიათდება შარდმდენი მოქმედებით.

Rumex acetosa L. – მჟაუნა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვებიანი მცენარეა. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, მარტივი, ხშირად დაღარული, მოწითალო. ფოთლები შუბისებრი ან ისრისებრია, მახვილი ბიბილოებით, ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ზედა – მჯდომარე. ორსახლიანი მცენარეა. ყვავილები მოწითალო ან მწვანეა, წვეროსეულ საგველა ყვავილელებად შეკრებილი. ნაყოფი მუქი მურა, სამწახნაგოვანი თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ტყის პირებზე, მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, კლდე-ნაშალებზე. ფოთლები მჟავე გემოთი გამოირჩევა. ნედლი ფოთლებიდან ამზადებენ მწვანე მჟავე წვნიანებს, კისელს, უმატებენ საღებავსა და სხვ. ამრავლებენ როგორც ფოთლოვან ბოსტნეულს

Rumex acetosella L. – მომჟავე მჟაუნა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მთავარდერძა ფესვი გრძელია და წვრილი. ღერო 7-30 სმ სიმაღლისაა, რამდენიმე, სწორი ან აღმავალი, ხშირად მოწითალო ფერის. ფესვთანური და ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, შუბისებრი, ზედა ფოთლები მჯდომარეა, ხაზური, მთლიანი ყვავილელი ვიწრო საგველაა, უფოთლო, ყვავილსაფრის შიგნითა ფოთლები კვერცხისებრია ან ელიფსური. ნაყოფი სამწახნაგოვანი, შიშველი, პრიალა, ყავისფერი თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა, მეზოფიტი; იზრდება ბაღის ზედა მონაკვეთზე, ნატყეპარ მდელოებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Rumex conglomeratus Murr. – დოლოშმაგა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ფესვი თითისტარისებრია. დერო 40-100 სმ სიმაღლისაა, დადარული, მეტწილად გაფარჩხულ-დატოტვილი. ფოთლები მოკლექუნწიანია, ქვედა – მოგრძო კვერცხისებრია, ძირში მომრგვალო ან ოდნავ გულისებრი, ბლაგვი ან მახვილწვერიანი. ყვავილეთი დიდი ზომისაა, საგველასებრი, თითქმის კენწერომდეა შეფოთილი, ყვავილები შეკრებილია ჩხრობად, ყვავილსაფარი შეფერილია, ყველა შიგნითა ფოთოლზე მოგრძო ან ოვალური მეტეჭი ზის. ნაყოფი ბასრწახნაგოვანი, მუქი ყავისფერი, პრიალა თესლურაა. ყვ. VI-IX; ნაყ. VII-X. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, იზრდება ტენიან ადგილებში, წყლის პირებზე.

Rumex crispus L. – ჩვეულებრივი (ხუჭუჭა) დოლო

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ფესვი მსხვილია, თითისტარისებრი, თითქმის გახევებული. დერო 30-80 სმ სიმაღლისაა, დადარული, შიშველი ან მოკლე ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი, მწვანე ან ყავისფერ-ტალახისფერ მოწითალო. ფესვთანური და ქვედა ფოთლები ლანცეტა ან მოგრძო ლანცეტაა, ძირისკენ შევიწროებული, მახვილწვერიანი, კიდეებზე ხუჭუჭა-ტალღოვანი; ზედა ფოთლები უფრო პატარა ზომისაა და უფრო ვიწრო ხაზური. ყვავილეთი გრძელია, შეკუმშული, ვიწრო საგველასებრი, ზევით აშვერილი დერძზე მიტკეცილი ტოტებით; ყვავილსაფრის შიგნითა ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებრია, კიდეშლიანი, ბადეძარღვიანი, მწვანე, უფრო გვიან მუქი მურა შეფერილობის ხდება, უმეჭეჭოა. ნაყოფი მახვილსამწახნაგოვანია, მუქი ყავისფერი, პრიალა თესლურაა. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა, იზრდება ტენიან მდელოებზე, მდინარის ნაპირებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Rumex scutatus L. – ლახტარა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ლევა ფერის მცენარეა, მხოხავი ყლორტებით; ფესვი თითისტარისებრია, გახევებული, დატოტვილი; დერო 30-50 სმ სიმაღლისაა, ძირში დატოტვილი, წამოწეული, მტკრევადი. ფოთლები მომრგვალოა, სამკუთხა-კვერცხისებრი, ძირში შუბისებრი, მეტწილად ვერტიკალურად

მიმართული. ყვავილელი მტევნისებრია, ფარჩხატი, მცირე ყვავილიანი; ყვავილსაფურის შიგნითა ფოთლები მომრგვალოა, ძირში გულისებრი, მოწითალო მეწამული ფერის, სიფრიფანა, მთლიანი, უმეჭუჭო. ნაყოფი ბასრწახნაგოვანი, წაბლისფერი, პრიალა თესლურაა. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მც. აზიური სახეობაა, იზრდება მდელოებზე, მშრალ ფერდობებზე, კლდეებსა და ღორღიან ადგილებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Rumex tuberosus L. – ტუბერიანი დოღომყავა

მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა. ფესვი თითისტარისებრ-გამსხვილებულია, 1 სმ-მდე სიმაღლის. ღერო 60-100 სმ სიმაღლისაა, სწორი, დადარული, შიშველი ან საწოვრებით მოფენილი. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, მოგრძოკვერცხისებრი ან წაგრძელებული, ძირში ისრისებრი, მახვილი ნაკეთებით; ღეროსეული ფოთლები უფრო ვიწროა, თითქმის მჯდომარე, ყველა ფოთოლი კიდეებზე ტალღოვანია, ოდნავ ხორცოვანი. ყვავილელი ხშირყვავილიანია, საგველასებრი, მჭიდრო, დატოტვილი, ზემოთ აღმართული ტოტებით; ყვავილსაფურის ფოთლები სიფრიფანაა, მომწვანო-თეთრი. ნაყოფი ბასრი სამწახნაგოვანი, მუქი წაბლისფერი, პრიალა თესლურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება კლდის ნაპრალებსა და ბალახოვან ფერდობებზე. გამოიყენება საკვებად.

Fam. Polypodiaceae – ნამდვილი გვიმრები

Polypodium vulgare L. – კილამურა, კლდის ძირტკბილა

მრავალწლოვანი 10-40 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა მხოხავი ფესურით. ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, ერთჯერად ფრთისებრი; მისი სეგმენტები კიდემთლიანია ან ოდნავ ხერხებილა; მათი ყუნწი ფირფიტის სიგრძისაა ან უფრო მოკლე, ძირში სახსრიანი. სპორანგიუმები ფოთლის ქვედა მხარეზეა შუა ძარღვის გასწვრივ ორ მწკრივად ჯგუფებად ანუ სორუსებად განლაგებული. სორუსები მომრგვალოა, მოოქროსფრო, უსაბურვლო. ევროპული სახეობაა. იზრდება დაჩრდილულ ადგილებში, კლდეებზე, ბუჩქებში.

Fam. Portulacaceae – ოჯ. დანდურისებრნი

Portulaca oleracea L. – დანდური

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ხორცოვანია, ძირიდანვე დატოტვილი, ზოგჯერ მარტივი, მიწაზე გართხმული, იშვიათად წამოწეული, მკრთალი-მწვანე ან მოწითალო. ფოთლები მორიგეობითია, მჯდომარე, სქელი, ბრტყელი, მოგრძო, ძირში სოლივით შევიწროებული, თავში ბლაგვი. ყვავილი თითო ან რამდენიმე ერთად ფოთლების იდლებში და ტოტებშუაა განლაგებული. გვირგვინი ყვითელია. ნაყოფი მრავალთესლიანი მომრგვალო ან კვერცხისებრი კოლოფია. თესლი ძალიან წვრილია, შავი კონცენტრიულად განწყობილი ბორცვებით მოფენილი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ნათესებში, რუდერალურ ადგილებსა და გზის პირებზე. შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს გამოიყენება საჭმელად ფხალის სახით.

Fam. Primulaceae – ოჯ. ფურისულასებრნი

Anagallis arvensis L. – ყანის საპონელა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა წვრილი ფესვთა სისტემით. ღერო 5-20 სმ სიმაღლისაა, ოთხწახნაგოვანი, ვიწროფრთიანი, გართხმული ან წამოწეული, თითქმის სწორმდგომი, ხშირად ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები მჯდომარეა, კვერცხისებრი ან ფართო ელიფსური, წვერში მობლაგვო, ქვემოდან ხშირად შავი წერტილოვანი ჯირკვლებით დაწინწკლული. ყვავილები მარტოულია, ფოთლის უბეში განლაგებული. გვირგვინი კაშკაშა მონარინჯისფრო-წითელია, ხახაში სისხლივით წითელი. ნაყოფი სფერული კოლოფია, იხსნება თითქმის ორ ნახევარსფერულ ნაწილად. თესლები კვერცხისებრია, სამწახნაგოვანი, წვრილბორცვიანი ზედაპირით, მუქი ყავისფერი.

ყვ. IV-VII; ნაყ. V-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, რუდერალურ ადგილებზე, როგორც სარეველა ნათესებში.

Anagallis foemina Mill. – ცისფერი საპონელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა წვრილი მთავარღერძა ფესვით. ღერო 5-20 სმ სიმაღლისაა, ოთხწახნაგოვანი, გართხმული, წამოწეული ან თითქმის სწორმდგომი, მეტწილად

ძირიდანვე დატოვებული. ფოთლები მჯდომარეა, მოპირისპირე, ლანცეტა ან მოგრძო-კვერცხისებრი, თავში წაწვეტებული. ყვავილები მარტოულია, ფოთლის უბეში განლაგებული; გვირგვინი ცისფერია, ბორბლისებრი. ნაყოფი სფერული კოლოფია, ჯამზე მოკლე, იხსნება განივი ხუფით. თესლები კვერცხისებრია, სამწახნაგოვანი, მუქი ყავიფერი. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, მშრალ ფერდობებზე, ნათესებში როგორც სარეველა.

Androsace elongata L. – ტაცუნა

ერთწლოვანი ბალახოვანი, ბეწვით შემოსილი მცენარეა, წვრილი მთავარდერძა ფესვით. საყვავილე ღერძი ერთი ან მრავალია, 2-5 სმ სიმაღლის, ყვავილის ყუნწებიანად ვარსკვლავა-ბეწვით მოფენილი. ფოთლები პატარა ზომისაა, ლანცეტა ან მოგრძო ლანცეტა, ძირში შევიწროებული, კიდემთლიანი ან ზედა ნაწილში რამდენიმე ბლაგვი კბილით. ყვავილები საყვავილე ღერძის წვერზეა ფარხსატ (2-8) ქოლგისებრ ყვავილედად შეკრებილი; თანაყვავილები ლანცეტა ან მოგრძო ლანცეტა, მახვილწვერიანი; გვირგვინი თეთრია, ხახაყვითელი. ნაყოფი მოკლე კოლოფია, მრავალი თესლით. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ევრაზიური სახეობაა, იზრდება ქვიან ადგილებში, მდელოებზე, ნათესებში როგორც სარეველა.

Androsace maxima L. – დიდი ტაცუნა

ერთწლოვანი ბალახოვანი, ბეწვით შემოსილი მცენარეა, წვრილი მთავარდერძა ფესვით. ფოთლები კვერცხისებრია, ძირში შევიწროებული, კიდედაკბილული ან კიდემთლიანი, მჯდომარე. საყვავილე ღერძი 2-10 სმ სიმაღლისაა, მუქი წითელი ფერის ყუნწიანი ჯირკვლებით მოფენილი. თანაყვავილები ფართო ლანცეტაა, ძირში შეზრდილი, ბლაგვწვერიანი, კიდემთლიანი. გვირგვინი ჯამზე მოკლეა, თეთრი ან ვარდისფერი, კიდემთლიანი. ნაყოფი მოკლე კოლოფია, იხსნება 5 საგღულად. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, იზრდება ქვიან და მშრალ ფერდობებზე, ნაშალებზე.

Cyclamen vernum Sweet. – ყოჩივარდა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა შებრტყელებულ-

სფერული ტუბერით. ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, გრძელყუნწიანია, კვერცხისებრ-გულისებრი ან ფართო სამკუთხა კვერცხისებრი, წვერზე მოკლედ შევიწროებული, იშვიათად მომრგვალო, ზედა მხარეზე - შიშველი, ვერცხლისფერი ლაქებით, ქვედაზე - იისფერმეწამული, მოკლე მურა ფერის ბეწვით შებუსული. ყვავილი მარტოულია, გრძელყუნწიანი, აყვავების წინ მოღუნული, ხოლო შემდეგ სპირალურად დახვეული. გვირგვინი მეწამულ-იისფერია, ძირში მუქი იისფერი ლაქით, ხახაში – თეთრი. ნაყოფი სფერული კოლოფია, მომწიფებისას 5-8 საგდულად იხსნება. თესლი მუქი ყავისფერია, დაკუთხული. ყვ. II-III; ნაყ. V-VI. მცირე აზიური სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება დაჩრდილულ ადგილებში, ბუჩქნარებში. დეკორატიულია. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Lysimachia verticillaris Spreng. – ხახეთესლა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 15-20 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, ზედა ნაწილში დატოტვილი, ხუჭუჭა ჯირკვლოვანი ბეწვით შებუსული. ფოთლები ყუნწიანია, ელიფსური, კვერცხისებრი ან მოგრძო კვერცხისებრი, ძირმომრგვალებული, 3-4 ერთად რგოლურადაა განლაგებული. ყვავილები ფოთლების იღლიებში რგოლებადაა შეკრებილი; გვირგვინის ნაკეთები ღიმონისფერ-მოყვითალოა, კვერცხისებრი. ნაყოფი სფერული, მრავალთესლიანი კოლოფია. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-VIII. კაკვასიურ-ყირიმული სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებში წაკვისის ხევის გაყოლებზე.

Primula macrocalyx Bunge – დიდჯამა ფურისულა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ფოთლები ფესვის ყელთან როზეტადაა შეკრებილი, დანაოჭებულია, კვერცხისებრი, ძირში ზოგჯერ გულისებრი, ბლავგწვერიანი, კიდევებზე მრგვალებილა ან ამოკვეთილ-მრგვალებილა, ძირისკენ ერთბაშად ან თანდათანობით შევიწროებული და ფრთიან ყუნწად გადასული, ნაყოფობისას მატულობს ზომებში. ფოთლები, საყვავილე ღერძი და ყვავილის ყუნწები დანაწევრებული ბეწვითაა შემოსილი. საყვავილე ღერძი ყვავილობისას ფოთლებზე გრძელია, წვერზე მრავალყვავილიანი ქოლგისებრი ყვავილედით; გვირგვინი ოქროსფერ-ყვითელია (გამშრალი მწვანე). ნაყოფი მოკლე, მრავალთესლიანი კოლოფია. ყვ. IV-VII; ნაყ. V-

VIII. კავკასიურ- მც. აზიური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ხეებში, ბუჩქნარებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Samolus valerandi L. – სამოლუსი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ჩვეულებრივ შიშველი ან აქა-იქ გაფანტული ბეწვით შემოსილი. ღერო 5-50 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი ან ზედა ნაწილში მცირეოდენ დატოტვილი. ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, უკუკვერცხისებრი ან მოგრძო ნიჩბისებრი ფორმისაა, ბლაგვი ან მოკლედ წაწვეტებული, ძირში შევიწროებული, კიდემთლიანი; ფესვთანური ფოთლები ყუნწიანია, როზეტისეული. ყვავილები წაგრძელებულ კენწრულ ან იღლიურ, მტევნისებრ ან საგველასებრ ყვავილედაა შეკრებილი. გვირგვინი თეთრია. ნაყოფი სფერული კოლოფია. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ტენიან და ჭაობიან ადგილებში წავკისის ხეის გაყოლებზე.

Fam. Ranunculaceae – ოჯ. ბაიასებრნი

Adonis aestivalis L. – გაზაფხულის ცხვირისატეხელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, წვრილფეხვიანი. ღერო 20-30 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან დატოტვილი, შიშველი ან ქვედა ნაწილში შებუსული. ფოთოლი ღია მწვანე ფერისაა ორ ან სამმაგ განკვეთილი ხაზურ ნაკვეთად. ყვავილი აგურისფერ წითელია. ჯამის ფოთლები გვირგვინზეა მიკრული, შიშველია ან ქვემო ნაწილში შებუსული. ნაყოფი მომრგვალო ან კვერცხისებრი, ზემოთ ნისკარტით დაბოლოებული, ფიჭისებრ-ნაოჭიანი თესლურაა. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-ირანული სახეობაა. იზრდება ღია მშრალ ფერდობებზე, ნათესებში.

Ficaria ledebourii Grossh. & Schischk. – ჩაწყობილა-ბაია

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მცირე რაოდენობის ვიწრო, გრძელი და მრავალი გამსხვილებული ფესვით. საყვავილე ღერო ერთი ან მეტია; ფოთოლი გულისებრ-კვერცხისებრია, კიდემთლიანი ან ოდნავ მრგვალებილა. ყვავილები მარტოულია, ყვავილსაფარი 3-ფოთლიანია, მოთეთრო-მოყვითალო ან ოდნავ მომწვანო-თეთრი; სანექტრეები, რომლებიც გვირგვინის ფურცლების შთაბეჭდილებას ახდენს, ყვითელია, პრიალა.

ნაყოფი შედგება მრავალი მომრგვალო ან ელიფსური თესლურისაგან, რომლებიც მომწიფებისას ადვილად სცვივა. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. კავკასიის ენდემია. იზრდება ტყის პირებსა და ბუჩქნარებში. დეკორატიულია.

Ranunculus illyricus L. – ანდრია პაპა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ტუბერისებრი გამსხვილებული ფესვებით. მთელი მცენარე ხშირი, რბილი მატყლისებრი ბეწვის გამო მოვერცხლისფრო-თეთრია. ღერო 13-45 სმ სიმაღლისაა, სწორი. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ღრმადაა თათისებრ გაყოფილი. ყვავილი 2-3,4 სმ დიამეტრისაა, გვირგვინის ფურცლები ოქროსფერ-ყვითელია. თესლურა ყვავილსაჯდომზეა მიზრდილი. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა, იზრდება მშრალ ფერდობებზე და ბუჩქნარებში.

Ranunculus meyerianus Rupr. – მეიერის ბაია

მრავალწლოვანი ბალახოვანი მსხვილ ფესურიანი მცენარეა. ღერო 25-80 სმ სიმაღლისაა, სწორი, დატოტვილი, ხშირი, გრძელი წითური ბეწვით შემოსილი; ფოთოლი ღრმადაა სამად გაყოფილი ან განკვეთილი ფართო რომბისებრ ან ფართო ღანცეცისებრ მჯდომარე სეგმენტებად და ნაკვეთებად; ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, დანარჩენი მოკლეყუნწიანი, ზედა – მჯდომარე. ყვავილი დიდი ზომისაა, ყვავილსაჯდომი ბეწვიანია. ყვავილსაფარი ყვითელია. ნაყოფი კვერცხისებრ მოგრძოა ან კვერცხისებრი თესლურაა, შებრტყელებული, კიდეზე დაღარული არშით. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევროპული სახეობაა. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში, მდელოებზე.

Ranunculus oxyspermus Willd. – მწვავეთესლიანი ბაია

მრავალწლოვანი თეთრი ბეწვით შებუსული ბალახოვანი მცენარეა, ტუბერისებრ გამსხვილებული ფესვით; ღერო 12-40 სმ სიმაღლისაა, სწორი, ძლიერ დატოტვილი; ხშირად ღეროს ძირში განვითარებულია მიწისზედა ძაფისებრი ყლორტები, რომლებიც ფესვიანდება. ფესვთანური ფოთლები კვერცხისებრია, ძირში სოლისებრი ან თითქმის გულისებრი, სამადაა დანაკვეთული თითქმის რომბისებრ, ბლაგვ ნაკვეთებად; ღეროსეული ზედა

ფოთლები მოკლეყუნწიანი, ან მჯდომარეა, ლანცეტისებრი ან ხაზურ-ლანცეტა. ყვავილი 2-3 სმ დიამეტრისაა, გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია, ყვითელი. ნაყოფები მოგრძო კვერცხისებრ მჭიდრო თავაკისებრადაა შეკრებილი. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში.

Ranunculus repens L. – ნახურა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, დამოკლებული ფესურითა და თასმისებრი ფესვებით. ღერო 15-70 სმ სიგრძისაა, გართხმულია ან წამოწეული, ძირში გრძელი, მხოხავი მიწისზედა ყლორტებით, რომლებიც ზოგჯერ ფესვიანდება. ფოთოლი რთულია, სამად ან ორმაგ-სამადაა ფრთისებრ განკვეთილი ყუნწიან სეგმენტებად. გვირგვინის ფურცლები ოქროსფერ-ყვითელია. ნაყოფი მომრგვალო კვერცხისებრი, გვერდებშებრტყელებული თესლურაა. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება წავეკისისწყლის ხეობაში, ტენიან ადგილებში და მდინარის ნაპირებზე.

Thalictrum buschianum Kem.-Nath. – მახარა

მრავალწლოვანი ბალახოვანი, მოკლე ფესურიანი მცენარეა. ღერო 25-150 სმ სიმაღლისაა, ცილინდრული, სწორი, იშვიათად ოდნავ დაკლავილი, თანაბრად შეფოთილი. ფოთოლი მუქი მწვანეა, ორმაგფრთისებრი, ხასიათდება დიდი ზომის მომგვალო, ან მომრგვალო კვერცხისებრი, კიდეზე დაკბილული გლუვი ფოთოლაკებით. ყვავილი პატარა ზომისაა, მრავალი, შეკრებილია თავდაკიდებულ, ფართო პირამიდულ საგველასებრ ყვავილელებად; გვირგვინის ფურცლები მომწვანო-მოწითალოა, კიდეზე მოთეთრო სიფრიფანა. ნაყოფი კვერცხისებრი ან ელიფსური, ორივე მხარეს შევიწროებული თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. კავკასიური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში.

Fam. Resedaceae – ოჯ. რეზედისებრნი

Reseda lutea L. – ყანის რეზედა

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-80 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული, დატოტვილი, ხაოიანი;

ფოთლები ფრთისებრია 3-5 სეგმენტად დაყოფილი, რომელთაგან თითოეული სეგმენტი თავის მხრივ ორად ან სამადაა დაყოფილი. ყვავილები მრავალია, შეკრებილია თითქმის პირამიდულ ფარჩხატ მტკვნებად; გვირგვინი მკრთალი ყვითელია. ნაყოფი ერთბუდიანი კოლოფია, მოყვანილობით მოგრძო-ოვალური, სამწახნაგოვანი; თესვები უკუკვერცხისებრ-თირკმლისებრია, შავი, პრიალა. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. გზადმოყოლილი მცენარეა ჩრდ. ამერიკიდან. იზრდება მშრალ ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებში, გვხვდება საკმაოდ ხშირად.

Fam. Rosaceae – ოჯ. ვარდისებრნი

***Agrimonia eupatoria* L. – ბირკავა**

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა დატოტვილი ფესურით. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, მარტივი, სწორმდგომი, მოფენილია აბურბენული, ნაწილობრივ ხუჭუჭა ბეწვით; ფოთლები რთულია, წყვეტილ-კენტურთისებრი და შედგება წვრილი შუალედური ფოთოლაკებისაგან. ყვავილები შეკრებილია მოგრძო თავთავის მსგავს მტკვნებად. გვირგვინის ფურცლები კვერცხისებრ-ლანცეტაა, ყვითელი ფერის. ნაყოფი ერთთესლიანია. ყვ. V-IX; ნაყ. VI-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, გზის პირებზე, ბალახოვან ფერდობებზე.

***Duchesnea indica* (Andr.) Focke (*Fragaria indica* Andr.) – გველის მარწყვი**

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, გრძელი, მხოხავი, მუხლებში დაფესვიანებული, გაფარჩხულბეწვიანი ყლორტებით. ღერო 30-100 სმ-მდე სიგრძისაა, ძაფისებრი, მხოხავი ან მუხლებში დაფესვიანებული. ფესვთაური ფოთლები გრძელყუნწიანია, ღეროსეული – უფრო მოკლეყუნწიანი, სამფოთოლაკიანი; ფოთოლაკები სოლისებრ-უკუკვერცხისებრია, კიდევებზე მრგვალებილია, ორივე მხარეზე გაფარჩხულბეწვიანი. ყვავილები მარტოულია, განწყობილია ღეროსეული ფოთლების იდლიებში, გვირგვინის ფურცლები ყვითელია, ჯამის ფოთლების ტოლი ან ოდნავ მასზე გრძელი. ყვავილსაჯდომი ნახევარსფერულია ან კონუსური, შიშველი, მშრალი, ნაყოფობისას დიდდება, ხდება ხორცოვანი და წითლდება. ნაყოფი მოგრძოკვერცხისებრია, მუქი წითელი. ყვ. V-X; ნაყ. VI-X. გზადმოყოლილია ჩრდ. ამერიკიდან.

იზრდება გზის პირებზე. აშენებენ როგორც დეკორატიულ, ნიადაგმფარავ მცენარეს.

Filipendula vulgaris Moench – ქაფურა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, თითისტარისებრი ან გორგლისებრ გამსხვილებული ფესვებით. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი ან ზედა ნაწილში ოდნავ დატოტვილი. ფოთლები ფესვის ყელთანაა თავმოყრილი, მრავალრიცხოვანია, მოგრძო ლანცეტისებრი, წყვეტილ-ფრთისებრი, ფრთისებრდაკვეთილი ან ჩაჭრილდაკბილული გვერდითი ფოთოლაკებით. ყვავილები პატარა ზომისაა, შეკრებილია ფარისებრ-საგველასებრ ყვავილედეზად; გვირგვინის ფურცლები თეთრი, მკრთალი ყვითელი ან მოწითალოა. ნაყოფი თესლურების კრებულს წარმოადგენს; ცალკეული თესლურა ერთთესლიანია, სწორი, ჯვარით მოფენილი. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ევროპული სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Fragaria vesca L. – ტყის მარწყვი

მრავალწლოვანი ბალახოვანი, მხოხავი, ფესვმოძიდე პწკალებიანი მცენარეა. ღერო 5-20 სმ სიგრძისაა, სწორი ან წამოწეული, ქვედა ფოთლებზე მცირეოდენ გრძელი. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, სამფოთოლაკიანი; ყველა ფოთოლაკი ზედა მხარეზე – გაბნეულ მიტკეცილებწვიანია, ქვედაზე – აბრეშუმისებრი, მიტკეცილი ბეწვებით. ყვავილები ფარისებრ ყვავილედეზადაა შეკრებილი, გვირგვინის ფურცლები თეთრია. ყვავილსაჯდომი ამოხნეკილია, განაყოფიერების შემდეგ ხორცოვანი, წვნიანი ხდება და ქმნის კაშკაშა წითელი ფერის რთულ ნაყოფს, რომლის ზედაპირზე მრავალი თესლურაა განლაგებული და ცოტად თუ ბევრად რბილობშია ჩამჯდარი. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებს შორის, ტყის პირებსა და ბალახოვან ფერდობებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Fragaria viridis Duch. – მწვანე მარწყვი

მრავალწლოვანი ბალახოვანი ირიბფესურიანი მცენარეა. ღერო 5-20 სმ-მდე სიმაღლისაა, ფოთლების ტოლი ან ოდნავ აღემატება

მათ. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, სამფოთოლაკიანი, მათგან კენწრული ფოთოლაკი კვერცხისებრია ან უკუკვერცხისებრი, ყველა მათგანი ზედა მხარეზე მწვანეა, პრიალა, მიტკეცილებეწვიანი, ქვედაზე – პრიალა და მორუხოა ხშირი, აბრეშუმისებრი ბეწვების გამო. ყვავილები დიდი ზომისაა, შეკრებილია ფარისებრ ფარჩხატ, მცირეყვავილიან ყვავილედებად; გვირგვინის ფურცლები მოყვითალო-მოთეთროა. ნაყოფი სფერულია ან უკუკვერცხისებრი, ძირთან შევიწროებული, მოყვითალო-თეთრი, წვერზე მოწითალო, ვარდისფერი ან ღია წითელი, რბილობში ოდნავ ჩამაღული. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. ევროპული სახეობაა. იზრდება მდ. წავკისისწყლის ხეობაში, ბუჩქნარებში, იშვიათად მდელოებზე.

Geum urbanum L. – ნიგეზისძირა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მსხვილფესურიანი მცენარეა. ღერო 20-70 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, ჩანგისებრ-ფრთისებრი ან წყვეტილ-ფრთისებრი, უთანაბროდ და მსხვილად დაკბილული; ღეროსეული ფოთლები მოკლეყუნწიანია, ელიფსურ ან რომბულ მახვილწვერიან ნაკეთად სამად გაყოფილი. ყვავილები წვრილყუნწიანია, საშუალო ზომის, თითო-თითოდ განლაგებული ან ფარისებრ ყვავილედად შეკრებილი, გვირგვინის ფურცლები ღია ყვითელი ან მოწითალო ფერისაა, უკუკვერცხისებრი. ნაყოფი მოგრძო-კვერცხისებრი, გაფარჩხული ჯაგრით მოფენილი თესლურაა. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, გზების გაყოლებზე.

Potentilla adenophylla Boiss. & Hohen. – ჯირკვლოვანფოთლა მარწყვა-ბალახო

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მრავალთავიანი ფესურითა და მოკლე მჭიდროდ განწყობილი ყლორტებით. ღერო და ყუნწები მოფენილია გრძელი ბეწვებით და წვრილი ჯირკვლებით; საყვავილე ღერო 5-15 სმ სიგრძისაა, წვრილი, წამოწეული. ფესვთანური ფოთლები 5-7(9)-ფოთოლაკიანია, უკუკვერცხისებრი, მხოლოდ ზედა ნაწილშია მობლაგვოკბილებიანი. ყვავილები ყვითელია, დატოტვილ, ფაშარ ყვავილედად შეკრებილი. ნაყოფი გლუვი თესლურაა. ყვ. IV-VI;

ნაყ. V-VII. მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ქვიან და მშრალ ბალახოვან ფერდობებზე.

Potentilla argentea L. – ვერცხლისებრი მარწყვა-ბალახი

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო ცენტრალურია, 40 სმ-მდე სიმაღლის, რკალისებრ წამოწეული ან სწორი, ზედა ნაწილში დატოტვილი, უხვად შეფოთლილი, შებუსული. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები 5-7-ფოთოლაკიანია, უკუკვერცხისებრიდან-უკუღანცეტამდე, ყუნწიანი; ფოთოლაკები ზედა მხარეზე შიშველია ან გაფანტულბეწვიანი, ქვემოდან თეთრი ქეჩისებრი. ყვავილი მრავალია, შეკრებილია ფარისებრ-საგველა, ფაშარ ყვავილედად. გვირგვინის ფურცლები მკრთალი ყვითელია. ნაყოფი სიგრძეზე დანაოჭებული თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. გზადმოყოლილია ჩრდ. ამერიკიდან. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში და გორაკებზე.

Potentilla erecta (L.) Rauschel – სწორმდგომი მარწყვა-ბალახი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ტუბერისებრ გამსხვილებული ფესურით. ღერო 10-30 სმ სიგრძისაა, წვრილი, მრავალი, წამოწეული ან მწოლარე, ზედა ნახევარში ორკაპისებრ დატოტვილი. ქვედა ფოთლები სამფოთოლაკიანია ან ზოგჯერ ხუთფოთოლაკიანი, გრძელყუნწიანი, ადრე ხმება; ღეროსეული ფოთლები ყოველთვის სამფოთოლაკიანია, მჯდომარე; ფოთოლაკები პატარა ზომისაა, მოგრძო უკუკვერცხისებრი, სოლისებრი კიდემთლიანი ძირით, დანარჩენ ნაწილში ხერხებილა, ხშირმიტკეცილებეწვიანი. ყვავილები ყვითელია, წვრილგრძელყუნწიანი, მარტოული; განსხვავებით მარწყვა-ბალახის სხვა სახეობებისაგან, ჯამის ფოთოლი და გვირგვინის ფურცელი ოთხწევრიანია. ნაყოფი დანაოჭებული თესლურაა, სუსტად გამოსახული ქედით. ყვ. VI-IX; ნაყ. VII-X. ბორეალური სახეობაა. იზრდება ტყის პირებზე, ველობებზე.

Potentilla recta L. – პირდაპირი მარწყვა-ბალახი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გახვეებული ფესურით. ღერო 70 სმ-მდე სიგრძისაა, ცენტრალურია, სწორმდგომი ან წამოწეული, ზედა ნაწილში ორკაპისებრ დატოტვილი, გრძელი გაფარხული ბეწვითა და მოკლე ჯაგრით მოფენილი.

ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები ხუთ ან შვიდ ფოთოლაკიანია, ფოთოლაკები მოგრძო კვერცხისებრიდან-ხაზურ-ლანცეტამდეა. ყვავილი მრავალია, საკმარისად მსხვილი, შეკრებილია ფარისებრ-საგველა ყვავილედებად. გვირგვინის ფურცლები ყვითელია. ნაყოფი თესლურაა, ფრთიანი ქედით. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მშრალ ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში.

Potentilla reptans L. – მხოხავი მარწვეა-ბალახი

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ხშირბეწვიანი, მსხვილფესურიანი მცენარეა. ღერო მხოხავია, სიგრძით 30-100 სმ, მუხლებში დაფესვიანებული. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, 5-7-ფოთოლაკიანი, რომლებიც მჯდომარეა, უკუკვერცხისებრი, ნაპირებზე მსხვილი, მომრგვალებული კბილებით. ყვავილები მარტოულია, გრძელყუნწიანი, ილლიური; გვირგვინი ოქროსფერ-ყვითელია. ნაყოფი გლუვი, წვრილი თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებში, მდელოებზე, ბალახოვან ფერდობებზე.

Potentilla supina L. – მწოლარე მარწვეა-ბალახი

ერთ, ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი, ზოგჯერ მოზამთრე მცენარეა; ღერო 40 სმ-მდე სიგრძისაა, მეტწილად მწოლარე, იშვიათად წამოწეული, ძირიდანვე გაფარჩხულდატოტვილი, რბილი ბეწვით მოფენილი. ღეროსეული ქვედა და ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, ფრთისებრი, შედგება 2-7 წყვილი ფოთოლაკისაგან; ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია. ყვავილები ყვითელია, მარტოული, ილლიური, შეკრებილია საგველა-ფარისებრ ყვავილედებად. ნაყოფი დანაოჭებული თესლურაა, მუცლის მხარეზე კორპისებრი, კონუსური გამონაზარდით. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებში.

Poterium polygamum Waldst. & Kit. – ურაშა

მრავალწლოვანი ბალახოვანი გახევებულფესურიანი მცენარეა. ღერო 30-60 (80) სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი. ფოთლების უმეტესობა ფესვის ყელთანაა თავმოყრილი, კენტფრთისებრია, ფოთოლაკები მოკლეყუნწიანია, ელიფსური ან კვერცხისებრი, ძირში ოდნავ გულისებრი, კიდეზე

მსხვილხერსებილა. ყვავილები პატარა ზომისაა, მომწვანო, გრძელყუნწიან თავაკებად მჭიდროდ შეკრებილი. ნაყოფი 2-თესლიანია, ოთხწახნაგოვან-კვერცხისებრი, მოყვითალო-ყავისფერი ან მურა ფერის. ყვ. V-IX; ნაყ. VI-X. ევროპულ-მც. აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვა-ლორდიან ფერდობებზე, მდელოებზე, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში.

Fam. Rubiaceae – ოჯ. ენდროსებრნი

***Asperula arvensis* L. – ყანის ჩიტისთვალა**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვით. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან ძირიდანვე დატოტვილი, 4-წახნაგოვანი. ქვედა ფოთლები ოთხ-ოთხია ჩხროდ განწყობილი, ვიწრო უკუკვერცხისებრი ფორმისაა, ადრე ჭკნება; დანარჩენი ფოთლები 6-8 ერთად ჩხროდ შეკრებილი, ლანცეტა ან ხაზური ფორმისაა. ყვავილები კონებადაა შეკრებილი თავაკისებრ ყვავილელებად. გვირგვინი მოვარდისფრო-იასამნისფერია. ნაყოფი თითქმის სფერულია. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ნათესებში, გვხვდება რუდეარალურ ადგილებში.

***Asperula glomerata* (Bieb.) Griseb. (*Crucianella glomerata* Bieb.) – გორგლისებრი ჩიტისთვალა**

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მთავარდერძა ფესვით. ღერო 10-20 (30) სმ სიმაღლისაა, მრავალი, სქლად შებუსული გაფარჩხული ბეწვით, ფოთლები ჩხროებადაა შეკრებილი, ვიწრო-ხაზური ფორმისაა, კიდეგადახვეული, ბასრხაოიანი და ღევა. ყვავილები შეკრებილია თავაკისებრ ან თითქმის მჯდომარე კონებად ღეროს კენწეროებსა და ზედა ფოთლების იდლებში, ქმნის ვიწრო ყვავილედს. გვირგვინი მომწვანო-ყვითელია. ნაყოფი წაგრძელებულ-ელიფსურია, შიშველი, თეთრი ხაზებით. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, კლდეებზე.

***Asperula orientalis* Boiss.& Hohen. (*Asperula azurea* Jaub. & Sp.) – აღმოსავლური ჩიტისთვალა**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, ოთხწახნაგოვანი, ქვედა ნაწილში წვრილხორკლიანი შებუსვით,

დატოტვილი. ქვედა ფოთლები ვიწრო უკუკვერცხისებრი ფორმისაა, 2-4 ერთად ჩხროდ შეკრებილი, მალე ჭკნება. დანარჩენი ფოთლები ღანცეცაა, უფრო იშვიათად ხაზური, 6-8 ერთად ჩხროდ შეკრებილი. ყვავილები კონებადაა შეკრებილი ღეროს კენწეროზე თავაკისებრ ყვავილედად. გვირგვინი კაშკაშა ცისფერია, გარედან ხავერდისებრ შებუსული წვრილი ბეწვით. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. მცირე აზიურ-ირანული სახეობაა. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ტყის პირებზე, ქვიან ადგილებში.

***Asperula prostrata* (Adam.) C.Koch. - განფენილი ჩიტისთვალა**

მრავალწლოვანი ბალახოვანი მსხვილ ფესურიანი მცენარეა. ღერო 20-40 სმ სიმაღლისაა, მრავალი, წამოწეული, ზოგჯერ ძირში გართხმული, ოდნავ დატოტვილი, წვრილი ბეწვით შებუსული. ფოთლები ვიწრო ღანცეცა, ვიწრო ელიფსური, ხაზური ან ვიწრო ხაზური ფორმისაა, ექვს-ექვსია ჩხრობად განლაგებული. ყვავილები შეკრებილია მცირეყვავილიან კონებად, რომელიც ვიწრო პირამიდულ-საგველასებრ ყვავილეებს ქმნის. თანაყვავილები კვერცხისებრია. გვირგვინი მომწვანო-ყვითელი ფერისაა. ნაყოფი წაგრძელებულია, მარცვლოვანი. ყვ. VI-VIII. ნაყ. VII-IX. მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ქვიან ადგილებში, კლდეთა ნაპრალებში, ჩამონახვავებზე.

***Asperula rivalis* Sibth. in Smith (= *Asperula aparine* Bieb.) – ნაკადულის ჩიტისთვალა**

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 60-150 სმ სიგრძისაა, ბლაუჭა, მწოლარე ან მცოცავი, 4-წახნაგოვანი, წიბოებზე ქიცვისებრი ბეწვით შებუსული. ფოთლები 6-8 ჩხროდაა შეკრებილი, ვიწრო უკუკვერცხისებრი ან ღანცეცა ფორმისაა, ორივე მხარეზე წვრილი ხორკლიანი შებუსვით. ყვავილები შეკრებილია ფაშარ კენწრულ და იღლიურ ნახევარქოლგებად; გვირგვინი თეთრია, ზარისებრი. ნაყოფი ოვალური ფორმისაა, შიშველი, წვრილმარცვლოვანი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, წავკისის ხევის გაყოლებზე.

Crucianella angustifolia L. – კრუციანელა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-35 სმ სიმაღლისაა. ფოთლები ჩხროებადაა განწყობილი, ქვედა მათგანი ოთხ-ოთხია, ხაზურ-ლანცეტა ფორმის, დანარჩენი ექვს-ექვსია, ხაზური, წვეტიანი, წვრილი და ბასრხორკლებიანი. ყვავილები შეკრებილია ვიწრო თავთავისებრ ყვავილედად; თანაყვავილები და თანაყვავილაკები ლანცეტა ან ვიწრო ლანცეტა. გვირგვინი მოყვითალო ფერისაა. ნაყოფი მოგრძო უკუკვერცხისებრია, გარედან წვრილმარცვლოვანი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. სმელთაშუაზღვეთურ-მც. აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე.

Galium album Mill. (G. erectum Huds.) – თეთრი ენდრონიკა

მრავალწლოვანი ბალახოვანი, გრძელფესურიანი მცენარეა. ღერო 60-100 სმ სიმაღლისაა, ოთხწახნაგოვანი, ზედა ნაწილში დატოტვილი, შიშველი. ფოთლები ვიწრო ლანცეტა ფორმისაა, ძირთან შევიწროებული, მახვილწვეტიანი, ჩხროდაა შეკრებილი 6-8 ერთად. ყვავილები შეკრებილია ფართო საგველასებრ ან ვიწრო, თითქმის ცილინდრულ ყვავილედად; გვირგვინი თეთრია, ზოგჯერ ოდნავ მომწვანო. ყვ. VI-IX; ნაყ. VI-IX; ევროპულ-მც. აზიური სახეობაა. იზრდება წავკისის ხევის გაყოლებზე, ბალახოვან ფერდობებზე, კლდენაშაღლებზე.

Galium grusinum Traut. – ქართული ენდრონიკა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, მრავალი, ძირში გახევებული, წვეპლისებრი, წვრილი ბეწვით სქლად შებუსული. ფოთლები ვიწრო ხაზური ფორმისაა, მახვილწვერიანი, სქლად და წვრილად შებუსული, შეკრებილია ჩხროდ 6-8 ერთად; ქვედა ფოთლების ილიებიდან ვითარდება დამოკლებული ვეგეტატიური ყლორტები, პატარა ზომის მჭიდროდ მიახლოებული ფოთლებით. ყვავილები შეკრებილია ნახევარქოლგებად, რომლებიც თავის მხრივ ღეროს წვერზეა ვიწრო, გრძელ საგველასებრ ყვავილედად თავმოყრილი. გვირგვინი თეთრია. ნაყოფი ტყუპია, გლუვი, მომწიფებისას 2 მშრალ, პატარა ნაყოფად იშლება. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. მც. აზიურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე.

Galium tenuissimum Bieb. – წვრილი ენდრონიკა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-30 (50) სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, წვრილი, ნაზი, ძირიდანვე გაფარჩხულ-დატოტვილი, 4-წახნაგოვანი, წიბოებზე ხორკლებიანი. ფოთლები მოყვანილობით ხაზურ-ლანცეტაა, შეკრებილია 6-8 ერთად ჩხროებად. ნახევარქოლგები ფოთლებზე ბევრად გრძელია, მქსხერი, გაფარჩხულ-დატოტვილი. გვირგვინი მოთეთროა ან მომწვანო-მოყვითალო. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ყირიმულ-მც. აზიური სახეობაა, იზრდება ქვიან და ღორღიან ადგილებში.

Galium verticillatum Danth. – ენდრონიკა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-25 სმ სიმაღლისაა, ძალიან წვრილი, დაუტოტავი ან სუსტად დატოტვილი, 4-წახნაგოვანი, ხორკლიანი. ფოთლები მოყვანილობით ვიწრო ლანცეტა ან ლანცეტაა, მახვილწვერიანი, წვრილი ხორკლიანი შებუსვით, შეკრებილია 4-6 ერთად ჩხროდ, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებულია; სულ ზედა ფოთლები ზოგჯერ წყვილ-წყვილადაა განვითარებული. ყვავილები თითქმის მჯდომარეა, ფოთლების იღლიებში 2-6-ყვავილიან რგოლებად განლაგებული. გვირგვინი მოყვითალოა. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-სამელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, გვხვდება ხშირად.

Galium verum L. – მინდვრისნემსა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-60 (100) სმ სიმაღლისაა, სწორი, მარტივი, სიგრძეზე წიბოებიანი, წვრილად შებუსული. ფოთლები ვიწრო-ხაზურია, თავწაწვეტებული, კიდებგადაკეცილი, ქვემოდან მონაცრისფროდ შებუსული, ჩხროებადაა შეკრებილი 8-10 (12) ერთად. ყვავილები მოგრძო საგველასებრ ყვავილედადაა შეკრებილი; გვირგვინი კაშკაშა ყვითელია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ველოებზე, მშრალ ფერდობებზე. გვხვდება ხშირად.

Rubia tinctorium L. – ენდრო

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მხოხავი, დატოტვილი ფესურით. ღერო 2-3 მ სიგრძისაა, მხოხავი, რამდენადმე

დატოტვილი, 4-წახნაგოვანი, ეკლისებრ-ხორკლებიანი. ფოთლები ლანცეტა ან ფართო ელიფსურია, ძირისკენ ყუნწად შევიწროებული, 4-6 ერთად ჩსროებად განწყობილი. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან ნახევარქოლგებად. გვირგვინი ფართო ძაბრისებრია, მოყვითალო-მომწვანო. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურ-მც. აზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, ფერდობებზე, წააკისის ხევის გაყოლებახე.

Fam. Rutaceae – ოჯ. ტეგანისებრნი

Dictamnus caucasicus (Fisch. & C. A. Mey) Grossh. – იფნურა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ჰორიზონტალური ან ირიბი ფესურით. ღერო 40-90 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, ოდნავ დაღარული, მოკლე ხეუჭი ბეწვით და შავი ჯირკვლებით მოფენილი. ფოთლები კენტფრთისებრია, 5-8 წყვილი გვერდითი ფოთოლაკით, რომლებიც მჯდომარეა, ლანცეტა ან ელიფსურ-ლანცეტა, წვრილ-ხერხებილა, საერთო ყუნწზე მოპირისპირედ ან მორიგეობით განლაგებული, გამჭვირვალე წერტილებით მოფენილი. ყვავილი გრძელ, კენწრულ მტეგნადაა შეკრებილი, გვირგვინის ფურცლები მოვარდისფრო-იისფერია (მოიასამნისფერო). ნაყოფი კოლოფია, მოკლეყუნწიანი, ხშირჯირკვლიანი, მომწიფებისას 5 ნაწილად იშლება; თესლი მომრგვალო-მსხლისებრია, შავი, პრიალა. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. კავკასიურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ქვიან და კლდოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, გვხვდება იშვიათად, ერთეული ინდივიდების სახით.

Ruta graveolens L. – ტეგანი

ნახევრად ბუჩქია, 50-100 სმ-მდე სიმაღლის. ღერო სწორმდგომია, დატოტვილი, ძირში გამერქნებული. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო-კვერცხისებრი, ორმაგ ან სამმაგფრთისებრგანკვეთილი, მოკლეყუნწიანი (ზედა მჯდომარე), ხორცოვანი, მოციხფრო-მწვანე. ყვავილი წვრილია, მომწვანო-ყვითელი, ხუთფურცლიანი, შეკრებილია ფარისებრ საგველა ყვავილედებად. ნაყოფი სფერული, ოთხბუდიანი კოლოფია. თესლი მურაა, წვრილი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში და ყირიმში.

კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში. ბოტანიკურ ბაღში აღირიცხა სამკურნალო მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე ინდივიდი (გაველურებულის სახით). ოფიცინალურ მედიცინაში გამოიყენება უძილობის, ნევროზებისა და თავის ტკივილების საწინააღმდეგოდ.

Fam. Santalaceae – ოჯ. სანტალასებრნი

***Thesium arvense* Horvatovszky (= *T. ramosum* Haune) – თეზიუმი**

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, შუა ნაწილიდან დატოტვილი, დაღარული, ხაოიანი. ფოთოლი ხაზურია, თავწაწვეტებული, კიდებზე ხაოიანი. ყვავილები მტევნისებრია, ძირში დატოტვილი, ყუნწიანი, მათ ძირში სამი თანაყვავილია განვითარებული, გვერდითი თანაყვავილი ყვავილის ტოლია, შუა კი მასზე 2-4-ჯერ გრძელი; ყვავილსაფარი 5-ნაკვითანია, გარედან მწვანე და შიგნიდან თეთრი. ნაყოფი ელიფსური კაკალია, მოკლეყუნწიანი ან თითქმის მჯდომარე. ყვ. IV-VIII; ნაყ. VI-IX. ევროპული სახეობაა. იზრდება კორდიან ალგილებში.

Fam. Saxifragaceae – ოჯ. ფსიჯასებრნი

***Saxifraga tridactylites* L. – ფსიჯა**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სქლად ჯირკვლოვანი ბეწვით შებუსული. ღერო 5-15 სმ სიმაღლისაა, სწორი ან დაკლაკნილი. ფესვთანური ფოთლები სოლისებრია, სამნაკვითანი; ღეროსეული – 3-5 ნაკვითანია, ზოგჯერ მთლიანი. ყვავილები მრავალია, გრძელ და ჯირკვლოვან ყუნწებზეა განლაგებული. გვირგვინის ფურცლები თეთრია. ნაყოფი 2-ბუდინი, მრავალთესლიანი კოლოფია. თესლი წვრილია. ყვ. III-IV; ნაყ. V. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, კლდეებზე, ბუჩქნარებში.

Fam. Scrophulariaceae – ოჯ. შავწამალასებრნი

***Celsia orientalis* L. – აღმოსავლური ცელზია**

ორწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 20-70 სმ-მდე სიმაღლისაა, შებუსული, უფრო ხშირად მარტივი ან ზედა ნაწილში დატოტვილი, ხშირფოთლიანი. ფოთლები ყუნწიანია, მოგრძო ოვალური ფორმის; ქვედა ღეროსეული ფოთლები

ფრთისებგანკვეთილი და ხერხებილია, ღეროსეული – მჯდომარეა, მოგრძო ან კვერცხისებრი ფორმის. ყვავილები ყუნწიანია, თანაყვავილების იღლიებშია განლაგებული და გრძელ მენხერ მტევნად შეკრებილი. გვირგვინი ყვითელია ან მკრთალი ყვითელი. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ყირიმულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მშრალ, თიხნარ, ქვიან ეკოტოპებზე, ბუჩქნარებში. გვხვდება წაკისის ხეის გაყოლებზე.

Lathraea squamaria L. – ჩაწყობილა

მრავალწლოვანი პარაზიტი, უქლოროფილო მცენარეა გრძელი, დატოტვილი ფესურით. მიწისზედა ნაწილები (5) 15-30 სმ სიმაღლისაა, მოწითალო თეთრი ფერის. საყვავილე ღერო ძირში არც ისე მრავალია, შემოსილია თხელი ქერქლებით. ყვავილები ყუნწიანია, ორტუჩა, ღეროს წვერზე ცალმხრივი მტევნის მსგავსად შეკრებილი; გვირგვინი მოთეთრო- ვარდისფერია, გვირგვინის ზედა ტუჩი მეწამულ-წითელი ფერისაა. ნაყოფი მომრგვალო, ერთბუდიანი, ორსაგდულიანი კოლოფია. თესლი მრავალია, მომრგვალო, მურა ფერის. ყვ. IV; ნაყ. V. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება დაჩრდილულ ფოთლოვან ტყეებში. პარაზიტობს სხვადასხვა ხის ფესვებზე. აღირიცხა სანერგის მიდამოებში.

Linaria genistifolia (L.) Mill. (Linaria iberica Kem.-Nath.) – ხელიჭა

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 50-100 სმ სიმაღლისაა, შიშველი, სწორმდგომი, მარტივი ან ზედა ნაწილში დატოტვილი. მთავარ ღეროზე განვითარებული ფოთლები ფართო კვერცხისებრ-ლანცეტა ფორმისაა, ტყავისებრი, მახვილწვერიანი, დანარჩენი ფოთლები ლანცეტაა. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან ფარჩხატ მტევნებად ან საგველასებრ ყვავილეებად; გვირგვინი გოგირდისფერ-ყვითელია. ნაყოფი სფერული, შიშველი კოლოფია. თესლები სამწახნაგოვანია, შავი, ბადისებრ-დანაოჭებული. ყვ. V-XI; ნაყ. VI-XI. ევრაზიური მცენარეა. იზრდება მშრალ კლდოვან ეკოტოპებზე, ბუჩქნარებში, გზის პირებზე, ბალახოვან ფერდობებზე.

Linaria simplex (Willd.) DC. – მარტივი სელიტა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-40 სმ სიგრძისაა, წვრილი, სწორი, მარტივი ან ძირიდანვე დატოტვილი. ფოთლები ხაზურია, უფრო ხშირად ჩხროებად განწყობილი. ყვავილები შეკრებილია თავაკისებრ ყვავილელებად. თანაყვავილები, ყვავილის ყუნწი და ჯამი ჯირკვლოვანი ბეწვითაა შებუსული. გვირგვინი ყვითელია. ნაყოფი სფერული კოლოფია; თესლები დისკოსებრია, ფართო, სიფრიფანა არშიით შემოვლებული. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ კლდოვან ფერდობებზე, კლდეებზე, მდელოებზე, ბუჩქნარებში.

Linaria vulgaris Mill. – ჩვეულებრივი სელიტა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მოკლე ფესურიანი მცენარეა. ღერო 30-60 (90) სმ სიმაღლისაა, სწორი, მარტივი ან დატოტვილი, უხვად შეფოთილი, შიშველი. ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, გადაკეცილი კიდეებით, მომწვანო-ლეგა შეფერილობის. ყვავილები მოკლეყუნწიანია, მრავალყვავილიან, მცირეოდენ ჯირკვლოვან მტევნებად შეკრებილი. თანაყვავილები ლანცეტა ფორმისაა, შიშველი; გვირგვინი მკრთალი ყვითელია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში. შედარებით ფართოდაა წარმოდგენილი წავკისის ხევის გაყოლებაზე.

Scrophularia divaricata Ledeb. (S. georgica Benth.) – გაფარჩხული შავწამალა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 60-100 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი, ოთხწახნაგოვანი, შეფოთილი, უმთავრესად იისფერი, რბილ-ჯირკვლოვან-ბანჯგვლიანი შებუსით. ფოთლები თხელია, დიდი ზომის, გულისებრ-კვერცხისებრი, თავწაწვეტებული ან თავებლაგვი, კიდეებზე მრგვალებიანი, ორმაგ მრგვალ-ხერხებილა ან ორმაგ ამოკვეთილ-კბილებიანი, გრძელი ხუჭუჭბეწვიანი ყუნწით. ყვავილები შეკრებილია ილიურ, გაფარჩხულ 2-5 ან მრავალყვავილიან ნახევარქოლგებად. გვირგვინი მურა-მწვანე ფერისაა. კოლოფი შიშველია, თესლი ელიფსური. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. ევროპული სახეობაა. იზრდება ტყის მონაკვეთებში, გვხვდება იშვიათად.

Scrophularia rupestris Bieb. ex Willd. (S. saxatilis Bieb. ex Ledeb.) – კლდის შავწამალა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ძლიერ გახევებული ფესურით. ღერო 10-30 (50) სმ სიმაღლისაა, რამდენიმეა, წამოწეული, მურა ან მუქი იისფერ-მოწითალო ფერის, ძირში უფოთლო, ძალიან მოკლე მოთეთრო ჯირკვლოვანი და მარტივი ბეწვით მოფენილი. ფოთლები მოგრძო ან კვერცხისებრია, ხერხისებრიდეგანკვეთილი. ყვავილები მოკლე ყუნწიანია, პატარა ლანცეტა თანაყვავილების იღლიაშია განლაგებული და ვიწრო საგველებად თავმოყრილი. გვირგვინი მოყვითალოა, ზედა ტუჩი კი მუქი წითელი ფერისაა ან ვარდისფერი. ნაყოფი სფერულ-კვერცხისებრი, წვეტიანი კოლოფია. ყვ. VI-VIII. ნაყ. VII-IX. იზრდება კლდეებზე წავკისის ხევის გაყოლებაზე.

Scrophularia variegata Bieb. – ჭრელი შავწამალა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გახევებული ფესურით. ღერო 10-30 (50) სმ სიმაღლისაა, მრავალრიცხოვანი, მარტივი ან დატოტვილი, ძირგახევებული, ტოტები მტვრევადია, მოწითალო ფერის, მოკლე ჯირკვლოვანი თეთრი ან მურა ბეწვით მოფენილი. ფოთოლი მოგრძოა, ღრმად ფრთისებრ დაყოფილი ან განკვეთილი, ლანცეტა ან ხაზურ ლანცეტა ნაკვეთით, ამოკვეთილკბილებიანი ან განკვეთილ-ხერხებილა. ყვავილენი მოგრძო, ვიწრო იღლიური მტევანია, 1-3(5) ყვავილიანი ფარჩხატი ნახევარქოლგებით. გვირგვინი მოყვითალოა მუქი წითელი ზედა ტუჩით. ნაყოფი სფერული კოლოფია, შიშველი, წვეტიანი. თესლი ელიფსურია, ყავისფერი. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-IX. ყირიმულ-ირანული სახეობაა. იზრდება კლდეებზე, წავკისის ხევის გაყოლებაზე.

Verbascum formosum Fisch. ex Schrank. – მშვენიერი ქერიფქლა

ორწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 25-70 სმ სიმაღლისაა, სწორი ან ზედა ნაწილში დატოტვილი, ნაცრისფერ-ქებისებრი ბეწვით მოფენილი. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ძირმომრგვალებული ან ფუძე გულისებრი, კვერცხისებრი ან მოგრძო კერცხისებრი ფორმის, უთანაბროდ ამოღრღნილ-დაკბილული; შუა და ზედა ფოთლები მჯდომარეა; ყველა ფოთოლი ზედა მხარეზე

მონაცრისფრო-მწვანე მოკლებანჯგვლიანია, ქვედა მხარეზე ნაცრისფერ ქეჩისებრ ბეწვიანი. ყვავილები მჯდომარეა, ხშირად თითქმის მარტოული, ხშირ თავთავისებრ, ქეჩისებრ შებუსულ ყვავილედად შეკრებილი, ნაყოფობის დროს დაშორიშორებულია, ფარჩხატი. გვირგვინი ყვითელია, ხახის გარშემო იისფერი. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია, ხშირი შებუსვით. ყვ. V; ნაყ. VI-VII. კავკასიის ენდემია. იზრდება მშრალ, ხრიოკ ადგილებში.

Verbascum gossypinum Bieb. – ბამბისქულასებრი ქერიფქლა

ორწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 40-100 სმ სიმაღლისაა, მარტივი, იშვიათად დატოტვილი, სწორი, წახნაგოვანი ან ცილინდრული, მონაცრისფრო-მოყვითალო ბანჯგვლიანი ბეწვით შემოსილი. ფოთლები მოგრძო ლანცეტაა ან უკუკვერცხისებრი, ძირის ფოთლები ძირისკენ მოკლე, ფრთიან ყუნწადაა გადასული, ქვედა – მჯდომარეა და ოდნავ ბილილოებიანი, შუა და ზედა ფოთლები ღეროზეა ჩამოზრდილი, ორივე მხარეზე თეთრი-მონაცრისფრო ხშირი ბეწვით ბამბის ქულების მსგავსად შებუსული. ყვავილთა ჯგუფები 2-3 ყვავილიანია, მეჩხერ თავთავისებრ ყვავილედად შეკრებილი. გვირგვინი ყვითელია. ნაყოფი ცილინდრული კოლოფია, ხშირი ბანჯგვლიან-ვარსკვლავისებრი ბეწვით. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. კავკასიურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ, კლდოვან ვერდობებზე.

Verbascum phlomoides L. – ქერიფქლა

ორწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა, ღერო 0,6-2 მ-მდე სიმაღლისაა, სწორი, მარტივი ან მცირეოდენ დატოტვილი, ფოთლებიანად და ყვავილედანად მოთეთრო ან მოყვითალო ქეჩისებრ შებუსული. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, დიდი ზომის, მოგრძო-ელიფსური, კიდეებზე მსხვილ ბლაგემრგვალკბილაა, ძირთან გულისებრი; ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა, ღერომხვევი, კვერცხისებრი და თავწაწვეტებული. ყვავილები მჯდომარეა ან მოკლეყუნწიანი, 2-9 ერთად თავთავისებრ, ძირში წყვეტილ ყვავილედად შეკრებილი, მოთეთრო-ქეჩისებრი შებუსვით; გვირგვინი ყვითელია, გამჭვირვალე ჯირკვლებით დაწინწკლული, გარედან ვარსკვლავისებრი ბანჯგვლით შებუსული. ნაყოფი ბლაგვი,

ელიფსური კოლოფია, მოკლედ წაწვეტებული წვეტი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-კავკასიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, წავკისის ხევის გაყოლებაზე.

Verbascum phoeniceum L. – იისფერი ქერიფქლა

ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 35-100 სმ სიმაღლისაა, სწორი, მარტივი, იშვიათად ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლების უმეტესობა ფესვის ყელთანაა შეკრებილი, მოყვანილობით რომბული ან თითქმის გულისებრია, კიდეებზე კბილებდაშორიშორებული, ბლაგვად დაკბილული, ქვემოდან შებუსული; ღეროსეული ფოთლები დაკნინებულია, ორივე მხრიდან ჯირკვლოვანი, ღერომხვევი. ყვავილები გრძელ, მეჩხერ, მარტივ მტვენებადაა შეკრებილი. თანაყვავილები ლანცეტაა, მახვილწვერიანი ან თითქმის ხაზური. გვირგვინი მუქი სოსანია, უფრო იშვიათად მოწითალო, მომჟრო ან მოთეთრო ფერის. ნაყოფი კვერცხისებრი, მოკლენისკარტიანი, შიშველი ან ჯირკვლებით შებუსული კოლოფია. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-მც. აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, წავკისის ხევის გაყოლებაზე.

Verbascum thapsus L. – ქერიფქლა

ორწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, მარტივი, შეფოთლილი, ფოთლებიანად მოყვითალო-მატყლისებრი შებუსვით. ფესვთანური ფოთლები მოკლეყუნწიანია, მოგრძო, კიდეშთლიანი; ღეროსეული ფოთლები ჩამოზრდილია ღეროს მუხლთშორისებზე. ყვავილთა ჯგუფები 4-7-ყვავილიანია, გრძელ, შეკუმშულ თავთავისებრ, ძირში ზოგჯერ წვეტილ ყვავილედად შეკრებილი. გვირგვინი ყვითელია, გამჭირვალე ჯირკვლებით დაწინწკლული, გარედან ხშირი ბუსუსით მოფენილი. ნაყოფი ხშირბეწვიანი, ელიფსური ან უკუკვერცხისებრი ფორმის კოლოფია. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, მდელოებსა და მდინარის პირებზე.

Veronica anagallis-aquatica L. – ჩაღანდრო

მრავალწლოვანი ბალახოვანი მხოხავ ფესურიანი მცენარეა, შიშველი ან ოდნავ შებუსული. ღერო 15-50 (80) სმ-მდე

სიმაღლისაა, სწორი ან წამოწეული, ღრუიანი, შეფოთილი. ფოთლები მჯდომარეა, თითქმის ღერომხვევი, ფართო ან მოგრძოდანცეცბა, კიდეებზე ოდნავ ხერხებილა ან კიდეშთიანი; ქვედა ფოთლები კვერცხისებრია ან კვერცხისებრ-ლანცეცბა, ძირში შევიწროებული. ყვავილები მრავალია, შეკრებილია მოპირისპირე, ფარნხატ ილღიურ მტევნებად. გვირგვინი მკრთალი ცისფერია ან მოვარდისფრო-იისფერი. ნაყოფი მომრგვალო ან ელიფსური ფორმის, ოდნავ თავამოკვეთილი, შიშველი კოლოფია. თესლი კვერცხისებრია, ცოტათი შებრტყელებული. ყვ. IV-IX; ნაყ. V-X. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებში, წყლის პირებზე, გვხვდება წავკისის ხევის ნაპირებზე.

Veronica arvensis L. – ყანის ჩადანდრი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-15 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან მეტწილად ძირიდანვე დატოტვილი, წვრილი, სწორი, ხშირად მწოლარე გართხმული ან წამოწეული, ბანჯგვლიან-ჯირკვლოვანი შებუსვით. ფოთლები მოპირისპირეა ან მორიგეობითი, მთლიანი, გულისებრ-კვერცხისებრი, კიდეშრგვალკბილა, ქვედა – მოკლეყუნწიანია, ზედა – მჯდომარე და თანდათანობით თანაყვავილებად გადასული. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან, კენწრულ მტევნებად. გვირგვინი მკრთალი ცისფერია. ნაყოფი შებრტყელებული, უკუკვერცხისებრი, ძირთან თითქმის სოლისებრი, ჯირკვლოვანბეწვიანი კოლოფია. თესლი კვერცხისებრი ფორმისაა, მოყვითალო, გლუვი ან ოდნავ განივნაოტებიანი. ყვ. V-VI; ნაყ. VI-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ადგილებში, ბუჩქნარებში. გვხვდება წავკისის ხევის გაყოლებზე.

Veronica filiformis Smith – ძაფისებრი ჩადანდრი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი ან მოკლე ხუჭუჭა ბეწვით. ღერო 10-30 სმ-მდე სიგრძისაა, მრავალი, წვრილი, დატოტვილი, გართხმული ან წამოწეული, დაფესვიანებული ტოტებით. ფოთლები კვერცხისებრია ან მომრგვალებლი, პატარა ზომის, ბლაგვი, ძირთან ოდნავ გულისებრი, მრგვალკბილა კიდეებით. ყვავილები მარტოულია, ღეროსეული ზედა ფოთლების ილღიებში განწყობილი. გვირგვინი ცისფერია ან მოთეთრო. ნაყოფი მომრგვალო-უკუკვერცხისებრი,

შებრტყელებული კოლოფია, წვერზე ღრმად მახვილ ან სწორკუთხიანი ამონაკვეთით. თესლი ელიფსურია ან მოგრძო, ბრტყელი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX. ყირიმულ-ირანული სახეობაა. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ზოგჯერ როგორც სარეველა.

Veronica hederifolia L. - სურსფოთოლა ჩაღანდრი

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ჯირკვლოვანი გაფანტული ბეწვით მოფენილი. ღერო 8-30 (60) სმ სიგრძისაა, სუსტი, მწოლარე ან აღმაავალი, ზოგჯერ დაფესვიანებული გრძელი გვერდითი ყლორტებით. ფოთლები 3-5-ნაკეთიანი, გულისებრი ან მოგრძო-კვერცხისებრი, კიდეებზე მსხვილმრგვალებილა, გრძელყუნწიანი. ყვავილები მარტოულია, განლაგებულია თითო-თითოდ ფოთლების იღლიებში. გვირგვინი ღია ცისფერია, იისფერი, მოვარდისფრო ან თეთრი. ნაყოფი სფერული კოლოფია; თესლი ელიფსურია, ნავისებრი, ნაოჭებიანი. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ევრაზიური სახეობაა. იზრდება დაჩრდილულ, რუდერალურ ადგილებში.

Veronica multifida L. (V. arceuthobia Woronow) – მრავლადგაყოფილი ჩაღანდრი

მრავალწლოვანი ბალახოვანი, მოკლე ფესურიანი, მწვანე ან მონაცისფრო, შიშველი ან ხუჭუჭბეწვიანი მცენარეა. ღერო მრავალია, 10-30 (40) სმ სიმაღლის, დატოტვილი, გართხმული ან წამოწეული, ძირგახევებული. ფოთლები მჯდომარეა, ერთმაგ ან ორმაგ- ფრთისებრგანკვეთილი ძალიან ვიწრო, ხაზურ, მთლიან ან განკვეთილ, ბრტყელ ან კიდგადაკეცილ ნაკვეთებად. ყვავილები ხშირ მტკეწებადაა შეკრებილი, განწყობილია ზედა ფოთლების იღლიებში მოპირისპირედ; გვირგვინი ცისფერია, ზოგჯერ მოვარდისფრო. იისფერი. ნაყოფი მობრტყო, შიშველი კოლოფია; თესლი ბრტყელადაა ამოხნეკილი. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე.

Veronica peduncularis Bieb. – ყვავილიანი ჩაღანდრი

მრავალწლოვანი ბალახოვანი მოკლეფესურიანი მცენარეა. ღერო მრავალია, 15-30 სმ სიმაღლის, წამოწეული ან გართხმული, ჩვეულებრივ თანაბრად შებუსული, ბოლოვდება მოკლებეწვიანი შეფოთილი ყლორტებით. ფოთლები მოკლეყუნწიანია,

კვერცხისებრი ან ელიფსური, ზედა – მომრგვალებულია, კიდეებზე ხერხისებრ ღრმად დაკბილული. ყვავილედ მრავალყვავილიანი, იღლიური, ფარჩხატი მტკვანია, მოპირისპირე კენწრული ფოთლების იღლიებში განწყობილი; გვირგვინი მოთეთროა, ხახაში მოწითალო ზოლებით ან ცისფერი. ნაყოფი გვერდებშებრტყელებული, ძირში წაკვეთილი ან მომრგვალებული კოლოფია; თესლი დიდი ზომისაა, მოყავისფრო შეფერილობის. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. მც. აზიური სახეობაა. იზრდება ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, წაგვისის ხევის გაყოლებაზე.

Veronica polita Fries. – ჭიკარტი

ერთწლოვანი ბალახოვანი, მოკლე ფესურიანი მცენარეა. ღერო 10-25 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორმდგომი, წამოწეული ან გართხმული, დატოტვილი, ძირთან აღმავალი დაფესვიანებული ყლორტებით, ხშირშეფოთილი. ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებრია ან კვერცხისებრი, 3-5-ნაკვითიანი, ყუნწიანი. ყვავილები მარტოულია, განწყობილი ზედა ფოთლების იღლიებში. გვირგვინი ცისფერია, უფრო იშვიათად თეთრი. ნაყოფი ბუდეებგამოპერილი კოლოფია, ვიწრო ამონაკვეთით. თესლი პატარა ზომისაა, მრგვალი ან ნავისებრი. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებსა და რუდერალურ ადგილებში.

Veronica verna L. – გაზაფხულის ჩაღანდრი

ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი, მოკლე ფესურიანი მცენარეა, ჯირკვლოვანი ბეწვით შემოსილი. ღერო 5-15 (30) სმ სიმაღლისაა, მარტივი ან მეტწილად ძირიდანვე დატოტვილი, უხვად შეფოთილი. ქვედა ფოთლები მოკლეყუნწიანია, კვერცხისებრი, მრგვალებილი ან თითქმის კდემთლიანი, ადრე ცვივა; ღეროსეული შუათანა ფოთლები ძირთან სოლისებრია, ფრთისებრ 5-7-ნაკვითიანი. ყვავილები შეკრებილია ხშირ კენწრულ მტკვნებად და განწყობილია ზედა ფოთლების (თანაყვავილების) იღლიებში. გვირგვინი ცისფერია, ლურჯი ზოლებით ან მოვარდისფრო-ცისფერი. ნაყოფი უკუგულისებრი, ძირისკენ სოლისებრი, ფართოდ ამოკვეთილი კოლოფია. თესლი კვერცხისებრი ან მომრგვალოა, ბრტყლად ამობურცული, მოყვითალო. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში.

Fam. Solanaceae – ოჯ. ძაღლყურძენასებრნი

***Datura stramonium* L. – ლემა**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-120 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, შიშველი, ორთითასებრ დატოტვილი. ფოთლები დიდი ზომისაა, ყუნწიანი, მოყვანილობით კვერცხისებრი, კიდემოკვეთილ-დაკბილული, ძირში სოლისებრი, წაწვეტებული, ძარღვების გაყოლებაზე ყუნწიანად რბილი ბუსუსით მოფენილი. ყვავილები მარტოულია, განწყობილია ღეროს ორთითასებრ განშტოებებში; გვირგვინი თეთრია, ძაბრისებრი, ნაოჭიანი. ნაყოფი კვერცხისებრი ან თითქმის სფერული, ეკლებით მოფენილი კოლოფია, მომწიფებისას 4 საგდულად იხსნება; თესლი თირკმლისებრია, შავი ფერის. ყვ. VI-X; ნაყ. VII-X. ევრაზიური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში. მთელი მცენარე შხამიანია, გამოიყენება სამკურნალოდ.

***Hyoscyamus niger* L. – ლენტოფა**

ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-80 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი, ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი. ფოთლები რბილია, მოყვანილობით კვერცხისებრი ან მოგრძო, უთანაბროდ ამოკვეთილ-დაკბილული, ზედა მათგანი მჯდომარეა და ღერომხვევი, ძირის ფოთლები კი მოკლეყუნწიანია და ფესვთანურ როზეტს ქმნის. ყვავილები მჯდომარეა, ხვეულ ყვავილედად შეკრებილი. ჯამი ყვავილობისას ზარისებრია, ნაყოფობის დროს გადიდებული, გამაგრებული და ქოთნის მოყვანილობის ხდება; გვირგვინი მღვრიე ყვითელი ფერისაა, სოსანი ძარღვებით დაქსევილი. ნაყოფი ორბუდიანი, მრავალთესლიანი კოლოფია, ჯამში ჩამაღული, მომწიფებისას ხუფით იხსნება. თესლი ყვითელი ფერისაა, ფიჭისებრი ზედაპირით. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, გზის პირებზე. მთელი მცენარე შხამიანია, გამოიყენება სამკურნალოდ.

***Physalis alkekengi* L. – ონტკოფა**

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ივითარებს მხოხავ, გახევებულ მიწისქვეშა ყლორტებს. ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები ყუნწიანია, კვერცხისებრი ფორმის, თავწაწვეტებული, ოდნავ

კიდემოკვეთილ-დაკბილული, თითქმის კიდემთლიანი. ყვავილები მარტოულია, ყუნწიანი, ილღიური. ნაყოფობისას ძლიერ დიდდება, კაშკაშა წითელი ფერისაა, გვირგვინი ბორბლისებრია, ხუთკუთხა, თეთრია; ჯამი ხუნთნაკვითანია, ყვავილობის დროს ზარისებრი, ნაყოფობისას კი სფერული ბუშტივითაა გაბერილი და კაშკაშა წითელი ხდება. ნაყოფი მრგვალი, პრიალა, ნარინჯისფერი, 2-ბუდიანი კენკრაა. ყვ. V-IX. ნაყ. VII-X. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, ტენიან და დაჩრდილულ ადგილებში, წაგვისის ხევის გაყოლებაზე.

Solanum nigrum L. – შავი ძაღლყურძენა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-70 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი, წიბოებიანი, მოფენილია გაფანტული მიტკეცილი ბეწვით ან შიშველია; ფოთლები სქელია, კვერცხისებრი ფორმის, ან თითქმის სამკუთხა, ამოკვეთილ-დაკბილული ან კიდემთლიანი. ყვავილები პატარა ზომისაა; გვირგვინი 5-ნაკვითანია, ბორბლისებრი, თეთრი ან ღია სოსანი ფერის. ნაყოფი კენკრაა, პრიალა, სფერული, უფრო ხშირად შავი, იშვიათად ყვითელი ან მომწვანო. თესლი არასწორი ოვალური ფორმისაა, შებრტყელებული, ფიჭისებრი ზედაპირით. ყვ. VI-X; ნაყ. VIII-X. ევრაზიური სახეობაა. სარეველა და რუდერალური მცენარე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

Solanum persicum Willd. ex Roem. & Schult – სპარსული ძაღლყურძენა

ძლიერ დატოტვილი ნახევრად ბუჩქია, ძირში გახევებული. ღერო 1-3 მ სიმაღლისაა, მხოხავი. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, ბოლოწაწვეტებული, თითქმის კიდემთლიანი. ყვავილები ქოლგის მსგავს საგველადაა შეკრებილი; გვირგვინი სოსანია. ნაყოფი კვერცხისებრი, წითელი ფერის კენკრაა. თესლი თირკმლისებრია. ყვ. VI-X; ნაყ. VII-X. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებში, ბუჩქნარებში, წაგვისის ხევის გაყოლებაზე.

Fam. Typhaceae – ოჯ. ლაქაშისებრნი

Typha angustifolia L. (T. pontica Klok. fil. & A.Krasnova) – ვიწროფოთოლა ლაქაში

მრავალწლოვანი მცენარეა გრძელი, გამსხვილებული მხოხავი ფესურით. ღერო 1-1,8 მ სიმაღლისაა. ფოთლები ხაზურია,

ნახევრადცილინდრული, ქვედა მხარე ამოზნექილი, ზედა – ბრტყელი ან ღარისებრი. ყვავილები პატარა ზომისაა, უყვავილსაფრო, ერთსქესიანი და ერთსახლიანი, დეროს წვერზე ორ თავთავად შეკრებილი; ქვემო თავთავი მდებრობითია, მოგრძო-ცილინდრული, წაბლისფერი ან მღვრიე წაბლისფერი. თანაყვავილაკები მურა ფერისაა, ძირში ძაფისებრი, წვერში თავგაფართოებული. ნაყოფი კაკალია, სიფრიფანა ან უფრო სქელ პერიკარპიუმში ჩამჯდარი. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-X. ევრაზიური სახეობაა. იზრდება წავკისის ხევში, წყლის პირებზე.

Typha latifolia – ლაქაში

მრავალწლოვანი მცენარეა გრძელი, გამსხვილებული მხოხავი ფესურით. დერო 1-3 მ სიმაღლისაა, მსხვილი. ფოთლები ფართო ხაზურია, მოცისფრო-მწვანე და ხშირად დეროზე გრძელი. მტვრიანებიანი და ბუტკოებიანი ტარო ყვავილედები ერთმანეთს ეხება, იშვიათად ოდნავაა დაშორებული, ზომით ტოლია ან მტვრიანებიანი ყვავილელი ცოტათი მოკლეა. ნაყოფი კვერცხისებრი კაკალია, თეთრი ფერის და თეთრივე ბეწვით მოფენილი. ყვ. VI-XIII; ნაყ. VII-X. ევრაზიური სახეობაა. იზრდება წყლის პირებზე, დაჭაობებულ ადგილებში. ეკონომიკური მნიშვნელობის მცენარეა. გამოიყენება საკვებად, სასილოსედ, სახამებლის მისაღებად, ცელულოზის მოსაპოვებლად და სამკურნალოდ.

Fam. Urticaceae – ოჯ. ჯინჯრისებრნი

Parietaria judaica Strand. – კედლისპირა

მრავალწლოვანი ბალახოვანი წვრილფესურიანი მცენარეა. დერო 10-15 სმ სიმაღლისაა, მრავალი, სწორმდგომი ან წამოწეული, დატოტვილი, ძირში გახევებული. ფოთლები მოყვანილობით კვერცხისებრია ან ლანცეტისებრი, პატარა ზომის, ხეშეში, თითქმის ტყავისებრი, შებუსული და ხშირი მეჭეჭებით დაფარული. ყვავილები ორსქესიანია, ჯგუფ-ჯგუფად განლაგებული; ყვავილელი გორგლისებრია, მრავალყვავილიანი, დამოკლებული ტოტებით. ყვავილსაფარი სიფრიფანაა, მილისებრზარისებრი, თეთრი. ნაყოფი მუქი მწვანე კაკალია. ყვ. VI-IX. ნაყ. VII-IX. ხმელთაშუაზღვეთურ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ღორღიან, კლდოვან, ქვიან ადგილებში, კლდის ნაპრალებში.

Urtica dioica L. – ჯინჯარი

მრავალწლოვანი ბალახოვანი, ფესურებიანი მცენარეა. ღერო 60-150 სმ სიმაღლისაა, წახნაგოვანი, მარტივი ან მცირეოდენ დატოტვილი, უხვად შემოსილი ხეშეში მსუსხავი ბეწვებით. ფოთლები დიდი ზომისაა, მოგრძო-კვერცხისებრი, გულისებრი ძირითა და წაწვეტებული ბოლოთი, კიდეზე მსხვილებილა ხერხისებრი. ყვავილები თეთრია, ჯგუფ-ჯგუფადაა შეკრებილი და თავის მხრივ ფოთლების იღლიებში რამდენიმე თავთავის მსგავს ყვავილედაა თავმოყრილი. ნაყოფი მომრგვალო-ელიფსური კაკალია. ყვ. VI-IX; ნაყ. VIII-X. ევროპულ-მც. აზიური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, უმთავრესად წავკისის ხეობის მონაკვეთზე. გამოიყენება საკვებად და სამკურნალოდ.

Fam. Valerianaceae – ოჯ. კატაბალახსებრი

Centranthus longiflorus Stev. – კლდის იასამანი

მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 35-80 სმ სიმაღლისაა, მრავალი, შიშველი, ღევა, გვერდითი მოკლე ტოტებით, რომლებიც ღეროსეული შუა ფოთლების იღლიებიდან გამოდის. ფოთლები მთლიანია, ლანცეტა-ხაზური ფორმის, ბლაგვწვერიანი, ძირისკენ შევიწროებული, კიდე მთლიანი. ღერო და ფოთლები ჩვეულებრივ ღევა ფერის ნაფიფქითაა დაფარული. ყვავილები ღეროს წვერზე და დაკნინებული ფოთლების იღლიებშია ნახევარქოლგებად შეკრებილი და გრძელ წყვეტილ საგველად თავმოყრილი. გვირგვინი კაშკაშა ვარდისფერია. ნაყოფი მოკლე, შიშველი, ან ოდნავ შებუსული თესლურაა. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. მც. აზიური სახეობაა. იზრდება კლდეებზე და ჩამონახვავებზე, ბოტანიკურ ბაღში ქმნის ფართო ფრაგმენტებს.

Valeriana officinalis L. – სამკურნალო კატაბალახა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, გამსხვილებული მოკლე ფესურითა და თასმისებრი ფუნჯა ფესვებით, მიწისქვეშა და ზოგჯერ მიწისზედა ყლორტებით, რომელთა ბოლოებზე შვილეული მცენარეები ვითარდება. ღერო 60-150 სმ სიმაღლისაა, მარტოული, ღრუ, ძირში დაღარული, ხშირად მოწითალო-იისფერი. ფოთლები ფრთისებრ-განკვეთილია, შიშველი ან შებუსული, თითოეული სეგმენტი ვიწრო კვერცხისებრია,

ლანცეტა ან ხაზური, ხერხისებრ შორიშორს დაკბილული. ყვავილელი დიდი ზომისაა, გაფარჩხული, ფარისებრ-საგველასებრი. ყვავილები მოვარდისფრო-თეთრია. ნაყოფი შებუსული თესლურაა. ყვ. V-VII; ნაყ. VII-VIII. ევრაზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, დაჩრდილულ ფერდობებზე. გამოიყენება ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში.

Fam. Verbenaceae – ოჯ. ცოცხანასებრნი

Verbena officinalis L. – ცოცხანა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მოკლეფესურიანი მცენარეა. ღერო 30-70 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, 4-წახნაგოვანი. ფოთლები კვერცხისებრია ან კვერცხისებრ-მოგრძო, ფრთისებრჩაჭრილი, მსხვილბლაგვკბილა, ორივე მხარეზე მიტკეცილებუწვებიანი. ყვავილები პატარა ზომისაა, მრავალი, შეკრებილია წვრილ, ფარჩხატ ილლიურ თავთავებში, საგველა ყვავილედებად. გვირგვინი მკრთალი სოსანი ან მონაცისფრო-ლილისფერია, ზოგჯერ თითქმის თეთრი. ნაყოფი მშრალია, იშლება 4-კაკლუჭად, რომლებიც მოგრძოხაზურია, სიგრძივნაოჭიანი, მურა ან ღია ყავისფერი. ყვ. VI-XI; ნაყ. VII-XI. ევრაზიური სახეობაა. იზრდება რუდერალურ ადგილებში, გზის პირებზე, ტყისპირა მდელოებზე.

Fam. Violaceae – ოჯ. იისებრნი

Viola alba Bess. (V. scotophylla Jord.) – თეთრი ია

მრავალწლოვანი უღერო ბალახოვანი მცენარეა, ხასიათდება როგორც მიწისხედა, ისე მიწისქვეშა მხოხავი ყლორტებით. ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, მუქი მწვანეა, ოვალურ-გულისებრი, კიდედაკბილული, წვრილი ბეწვით მოფენილი. ყვავილები ფოთლების ილლიებში თითო-თითოდაა განლაგებული; გვირგვინის ფურცლები თეთრია ან ღია იისფერი. ნაყოფი სფერული კოლოფია, მრავალი წვრილი თესლით. ყვ. III-IV; ნაყ. V. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ტყეებში, ნატყვევარ ფერდობებზე, ბუჩქნარებში.

Viola ambigua Waldst. et Kit. – საეჭვო ია

მრავალწლოვანი ბალახოვანი, მოკლე ფესურიანი მცენარეა. ფოთლები როზეტადაა შეკრებილი; გაზაფხულის ფოთლები სამკუთხა კვერცხისებრია, ზაფხულის მოგრძო-ოვალური,

გაბნეული ბეწვით მოფენილი, კიდებზე მრგვალებილა, წვერზე წაწვეტებული. ყვავილები სურნლოვანია, გვირგვინის ფურცლები მუქი იისფერი. ნაყოფი სფერული, შებუსული კოლოფია. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ევროპული სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე.

***Viola arvensis* Murr. – ყანის ია**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. დერო 10-30 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, სუსტად შებუსული; ქვედა ფოთლები მომრგვალო-ნიჩბისებრია, შუა ფოთლები კვერცხისებრი ან ელიფსური, ზედა – მჯდომარეა, ლანცეტა ფორმის; ყველა ფოთოლი ქვედა მხარეზე შებუსულია; ყვავილები 0,8-1,5 სმ სიგრძისაა, არ არის სურნელოვანი. გვირგვინის ფურცლები ყვითელია ან მოთეთრო, იშვიათად ცისფერი. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში.

***Viola hirta* L. (*V. tomasiana* Song. p.p.) – მოკლე ხეშეშფოთლიანი ია**

მრავალწლოვანი ბალახოვანი, მოკლეფესურიანი მცენარეა 6-10 სმ სიმაღლის. გაზაფხულის ფოთლები ღია მწვანე ფერისაა, მთლიანად შებუსული, მოგრძო-ოვალური ან კვერცხისებრი ფორმის, ძირში ღრმად გულისებრი, კიდებზე მრგვალებილა, წვერზე წაწვეტებული, როხეტად შეკრებილი; ზაფხულის ფოთლები გრძელყუნწიანია, ფართო კვერცხისებრი, კიდებზე ხერხისებრ-მრგვალებილა, შებუსული. ყვავილები სურნელოვანი არ არის; გვირგვინის ფურცლები ღია იისფერია. ნაყოფი სფერული კოლოფია. ყვ. III-IV; ნაყ. IV-V. ევროპული სახეობაა. იზრდება მშრალ ფერდობებზე.

***Viola kitaibeliana* Schult. – ჩიტის ია**

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 5-12 სმ სიმაღლის. დერო სწორია, დატოტვილი, წვრილი ბეწვით შებუსული. დეროსეული ქვედა ფოთლები მომრგვალო ნიჩბისებრია, ან თითქმის მომრგვალო, სუსტად მრგვალებილებიანი, ყუნწები ფირფიტაზე გრძელია; შუა და ზედა ფოთლები კვერცხისებრია, მრგვალებილებიანი ან ხერხისებრ დაკბილული, წაწვეტებული ან ბლავვი. ყვავილები არ არის სურნელოვანი, გვირგვინის ფურცლები მოთეთროა ან ყვითელი, ზოგჯერ გვირგვინის ზედა

ფურცლები ცისფერია. ნაყოფი მომრგვალო კვერცხისებრი კოლოფია, შიშველი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება მდელოებზე, მშრალ ფერდობებზე.

***Viola mandshurica* W. Beck. – მანჯურიის ია**

მრავალწლოვანი ბალახოვანი, მოკლევსურიანი, უღერო მცენარეა. ფოთლები გრძელყუნწიანია, მოგრძო სამკუთხა ფორმის, კიდეებზე დაშორიშორებული მრგვალკბილებიანი, წვერზე წაწვეტებული, ნაყოფობისას თითქმის ისრისებრი, შებუსული, ლანცეტა ფორმის, ყავისფერი თანაფოთლებით. ყვავილები არ არის სურნელოვანი; გვირგვინის ფურცლები იისფერია. ნაყოფი ელიფსური, შიშველი კოლოფია. ყვ. IX-X; ნაყ. IX-X. აღმოსავლურ აზიური მცენარეა, ჩაის პლანტაციების გზად მოყოლილი სარეველა; აღირიცხა ბოტანიკური ბაღის ქვედა მონაკვეთზე, გავლურებულია.

***Viola odorata* L. – სურნელოვანი ია**

მრავალწლოვანი ბალახოვანი, მოკლე ფესურიანი, უღერო მცენარეა. ივითარებს მხოხავ ყლორტებს, რომლებიც ბოლოში ფესვიანდება. ფოთლები ფესვთანურია, მომრგვალო ან ფართო კვერცხისებრი, ძირში გულისებრი, კიდეზე ხერხისებრ მრგვალკბილა, მოფენილია მოკლე გაბნეული ბეწვით. თანაფოთლები ფართო კვერცხისებრია ან ლანცეტა, მოკლე ჯირკვლოვან-ფოჩებიანი. ყვავილები სურნელოვანია, გვირგვინის ფურცლები მუქი იისფერი. ნაყოფი სფერული, შებუსული კოლოფია. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებს შორის, დანრდილულ ფერდობებზე. დეკორატიული მცენარეა. გამოიყენება პარფიუმერიაში იის ზეთისა და სუნამოების სახით.

***Viola reichenbachiana* Jord. ex Boreau (*V. silvestris* Lam.) – ტყის ია**

მრავალწლოვანი ბალახოვანი, მოკლევსურიანი მცენარეა. ღერო 15-20 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, უხეში. ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, ოვალურგულისებრია, კიდეებზე მრგვალკბილა; ღეროსეული ფოთლები კვერცხისებრია, ძირში გულისებრი, კიდეებზე მრგვალკბილა, წაწვეტებული; თანაფოთლები ვიწრო

ლანცეტაა, ფოხებიანი. ყვავილები არ არის სურნელოვანი; გვირგვინის ფურცლები იისფერია. ნაყოფი მოგრძო კვერცხისებრი, შიშველი კოლოფია. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI. ევროპულ-მცირე აზიური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, ნატყევარ ადგილებში. გვხვდება საკმაოდ ხშირად.

Viola suavis Bieb. – საამური ია

მრავალწლოვანი ბალახოვანი უღერო მცენარეა. ფესურა მსხვილია, აღმავალი, ივითარებს მხოლოდ მიწისქვეშა ყლორტებს. ადრე გაზაფხულის ფოთლები მომრგვალო-თირკმლისებრია ან გულისებრი, შიშველი, უფრო გვიანი ფოთლები მოგრძო-ოვალურია, ძირში ღრმა გულისებრი ბლაგვწვერიანი, კიდეზე ხერხისებრ-მრგვალებილა, ღია მწვანე ფერის, გრძელყუნწიანი. თანაფოთლები ლანცეტაა, გრძელფოხებიან-ჯირკველოვან წამწამებიანი. ყვავილები სურნელოვანია, გვირგვინის ფურცლები ღია ცისფერია, ხახაში თეთრი. ნაყოფი მომრგვალო, შებუსული კოლოფია. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII. ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთური სახეობაა. იზრდება ბუჩქნარებს შორის. აშენებენ ბაღებში.

Fam. Zygophyllaceae – ზჯ. ორყურასებრნი

Tribulus terrestris L. – კუროს თავი, ტატაშა

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გაფარჩხული ბეწვით მოფენილი, მწვანე ან ნაცრისფერ-მწვანე. ფესვი წვრილია, სწორი. ღერო 10-60 სმ სიგრძისაა, გართხმული, დატოტვილი. ფოთლები წყვილფრთისებრია, ჩვეულებრივ შედგება 6-7 წყვილი მოგრძო, შებუსული ფოთოლაკისაგან. ყვავილები მარტოულია, იღლიური, პატარა ზომის, ყვითელი ფერის. ნაყოფი შედგება ვარსკვლავისებრ განწყობილი ხუთი კაკლუჭისაგან, თითოეული მათგანი თავში ოთხი მსხვილი ეკლით ხასიათდება, მათ შორის მრავალი პატარა ეკალია განვითარებული. თესლი კვერცხისებრია. ყვ. V-VIII-IX; ნაყ. VI-X. ხმელთაშუაზღვეთურ-აზიური სახეობაა. იზრდება გზის პირებზე, მშრალ და რუდერალურ ადგილებში.

Zygophyllum fabago L. – ორყურა

მრავალწლოვანი ბალახოვანი მსხვილფესურიანი მცენარეა. ღერო 40-80 სმ სიმაღლისაა, სწორი, გაფარჩხულტოტებიანი,

ფოთლებიანად შიშველი და ხშირად პრიალა, ნორჩობისას ვარსკვლავებეჭვით მოფენილი. ფოთოლი შედგება 1 წყვილი ხორცოვანი, 1-1,5 სმ სიგრძის ვიწროფრთებიან ყუნწებზე მოპირდაპირედ განწყობილი ფოთოლაკისაგან, თითოეული მათგანი ფართოა, უკუკვერცხისებრი, არათანაბარგვერდებიანი, წვერზე მომრგვალებული. ყვაველები მარტოულია, ილღიური; გვირგვინის ფურცლები მოთეთრო ყვითელი ფერისაა, ძირში მტვრიანის ძაფებთან და დანამატებთან ერთად ნარინჯისფერი. ნაყოფი 4-5-წახნაგოვანი, მრავალთესლიანი, თავდაკიდებული. კოლოფია თესლი ოვალურია, კვერცხისებრი ან მოგრძო, ზოგჯერ დაკუთხული და შეჭყლეტილი, ფოროვანნაოჭებიანი. ყვ. V-IX; ნაყ. VI-X. ხმელთაშუაზღვეთურ-ირანული სახეობაა. იზრდება მშრალ, თიხნარ ადგილებში, გზის პირებზე, როგორც სარეველა.

მცენარეთა მრავალფეროვნების დაცვის აუცილებლობაზე

XX საუკუნის ბოლოს საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია ადამიანის გარშემო არსებული ცოცხალი არსებების მრავალფეროვნების ხარისხიან და რაოდენობრივ შემცირებას. გარემომცველი სამყაროს მდგომარეობაზე არსებული შეშფოთებიდან წარმოიქმნა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემა.

ისევე როგორც მთელი მსოფლიოს, საქართველოს ბიომრავალფეროვნებაც უკიდურესი საფრთხის წინაშე იმყოფება. ადგილი აქვს ცოცხალი ორგანიზმების გარემოს დეგრადირებას, სახეობათა რიცხოვნების კლებასა და ეკოლოგიური პროცესების რღვევას, რასაც ბიომრავალფეროვნების განადგურებისაკენ მივყავართ.

1994 წელს საქართველომ მოახდინა “ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ” კონვენციის რატიფიცირება და ამგვარად იკისრა პასუხისმგებლობა შეინარჩუნოს ქვეყნის ბიომრავალფეროვნება, დაიწყოს ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენება, უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნებისგან მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილება. სწორედ კონვენციის მოთხოვნათა შესრულების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საქართველოს მთავრობის მიერ 2005 წ. “საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედების გეგმის” დამტკიცება.

სტრატეგიიდან გამომდინარე, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი ფლორის იმ სასარგებლო, ეკონომიკური მნიშვნელობის (სამკურნალო, საკვები, დეკორატიული, ეთერზეთოვანი, სამღებრო, ინსექტიციდური და სხვ.) მცენარეთა გენოფონდის დაცვას, რომელთაც პირველ რიგში ემუქრებათ განადგურების საშიშროება.

ბიომრავალფეროვნების დაცვის ძირითად მიმართულებად მიჩნეულია მათი კონსერვაცია. მითითებულია, რომ *in situ* (ბუნებრივი) კონსერვაცია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საუკეთესო გზაა, ხოლო *ex situ* (ხელოვნური) კონსერვაცია შეიძლება ერთადერთი გზა იყოს კრიტიკული საფრთხის წინაშე და გადაშენების პირას მყოფი სახეობების გადასარჩენად. აქვე მითითებულია, რომ ბიომრავალფეროვნების დაკარგვა შეიძლება

თავიდან იქნეს აცილებული მხოლოდ *in situ* და *ex situ* კონსერვაციის ღონისძიებების სინქრონიზების შედეგად. ამის აუცილებლობა ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ მრავალი სახეობა და ჰაბიტატი დღეისათვის იმდენად სავალალო მდგომარეობაშია, რომ სტატუსის გაუმჯობესება მხოლოდ სპეციფიკური კონსერვაციული ქმედებებით იქნება შესაძლებელი. საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ბუნებრივად მოზარდი მცენარეების მიმართ გამოიყენება აღნიშნული ორივე მიმართულება. პრაქტიკაში ორივე მეთოდი განიხილება როგორც ურთიერთშემავსები.

მცენარეთა მრავალფეროვნების კულტურაში შენარჩუნების მეთოდებს შორის გამოყოფენ ოთხ ძირითადს: 1. იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი სახეობების გენოფონდის შენარჩუნება; 2. მცენარეთა რეპროდუქციისა და კვლავწარმოების ხერხების შემუშავება; 3. გენეტიკურ ბანკებში იშვიათი და გადაშენებადი მცენარეების სახეობების შენარჩუნება; 4. მცენარეთა იშვიათი სახეობების რეინტროდუქცია (რეპატრიაცია). მცენარეთა შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი მათი ინტროდუქციაა. მცენარეთა შემადგენლობის აღდგენა მათი ბუნებრივი არეალის ტერიტორიებზე შეიძლება განხორციელდეს საკმაოდ მსხვილი ინტროდუქციურებული პოპულაციების საფუძველზე. ინტროდუქცია ბუნების დაცვით მიმართულებას იძენს ანთროპოგენური სტრესის ქვეშ მყოფი ფლორისა და მცენარეულობის ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემასთან დაკავშირებით. მისი მნიშვნელობა განისაზღვრება იშვიათი სახეობების კულტურაში შენარჩუნების შესაძლებლობებით. ამ ფონდების მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწყისი მასალის სახით შემდგომ ინტროდუქციულ მუშაობაში, რარიტეტების კულტურული პოპულაციების შექმნის დროს, აგრეთვე რეინტროდუქციის მიზნით (ბიძინაშვილი, 2012).

საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში, მისი არსებობის მანძილზე აქტიური ინტროდუქციული მუშაობის შედეგად, შეგროვილია ბუნებრივი და კულტურული ფლორის მცენარეთა მდიდარი კოლექციები, რომლებიც წარმოადგენს ეროვნული მნიშვნელობის ძვირფას საგანძურს. საკოლექციო ფონდების შექმნა ყოველთვის წარმოადგენდა ბაღის პრიორიტეტულ

ამოცანას მისი საქმიანობის ყველა ეტაპზე, ორგანიზაციის პერიოდიდან დაწყებული დღემდე. მოცულობისა და მრავალფეროვნების მიხედვით თბილისის ბოტანიკურ ბაღში წარმოდგენილია კავკასიისა და სხვა რეგიონების ფლორის 3500-ზე მეტი სახეობა და შიდა სახეობრივი ტაქსონი, მათ შორისაა იშვიათი და სამკურნალო მცენარეების უნიკალური კოლექციები, რასაც ემატება კულტურული, დეკორატიული, ღია და დახურული გრუნტის მცენარეების მდიდარი კოლექციები. ხოლო ბაღის ტერიტორიაზე ბუნებრივად მოზარდი მცენარეების სახეობრივი შემადგენლობა 700 სახეობას აღემატება.

ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი ფლორის იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების სტატუსის გაუმჯობესება სპეციფიკური, კერძოდ: *in situ* (ბუნებრივი) და *ex situ* (ხელოვნური) კონსერვაციული ქმედებებითაა შესაძლებელი.

ლ. ასიეშვილი, რ. ბიძინაშვილი,
ნ. ერაძე, მ. სირაძე, ნ. ცხადაძე

**საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი ფლორა
(ბალახოვანი მცენარეები)
რეზიუმე**

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი (2011 წლამდე – თბილისის ბოტანიკური ბაღი) მდებარეობს თბილისის უძველეს ნაწილში, სოლოლაკისა და თაბორის ქედებს შორის, მდ. წავკისისწყლის ხეობის ქვემო ნაწილში (ღვლევახევი), აღმოსავლეთ საქართველოს ნახევრად არიდული ნათელი ტყეებისა და შედარებით მეზოფილური მუხნარ-ჯაგრცხილნარი ტყეების ზონებში. ბაღის ტერიტორიის 58% ბუნებრივი ლანდშაფტებია, რომლებიც გამოირჩევა მცენარეთა მრავალფეროვნებით (ჭურჭლოვანი მცენარეების სახეობათა რაოდენობა 700-ს აღწევს). ბაღის ტერიტორიაზე შემორჩენილია სტეპის (ვაციწვერიანი, უროიანი, წივანიანი) მცენარეულობის ფრაგმენტები, შიბლიაკის ტიპის ბუჩქნარები, კლდე-ნაშაღლორდიანი ეკოტოპების ფლოროცენოკომპლექსები. მრავალფეროვანია მდინარისპირა მცენარეული თანასახოვადობებიც.

ბაღის ლანდშაფტების განსაკუთრებულობას განაპირობებს რელიეფი (სხვადასხვა ექსპოზიციის როგორც ციცაბო ფერდობები, ასევე ნაკლებად დამრეცი ადგილები, გაფაკებები და ტერასები; ამას თან ერთვის ცალკეული ადგილების ნაირგვარობა ვერტიკალური მიმართულებით. ბაღის ყველაზე დაბალი წერტილი – აბანოთუბანთან ზ. დ. 417 მ-ია, ყველაზე მაღალი თაბორის ქედზე, სოფ. შინდისთან – 714 მ.), მიკროკლიმატური პირობები და მცენარეულობის სახეობრივი მრავალფეროვნება, რომელიც ორი ძირითადი ჯგუფითაა წარმოდგენილი: საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან (ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, ჩრდილო ამერიკიდან, ჩინეთი-იაპონიიდან, კიმალაის მთებიდან, ციმბირიდან და სხვ.) ინტროდუცირებული მცენარეებით (ბაღის კოლექციები), რომელთა რაოდენობა 3500 სახეობასა და შიდასახეობრივ ტაქსონს აღწევს და ადგილობრივი, აქ ბუნებრივად მოზარდი სახეობებით.

ბალის ფიტოცენოზებში ათეული წლების განმავლობაში გაიზარდა ინვაზიური მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების ექსპანსია, რასაც მოჰყვა ბუნებრივად მოზარდი სახეობების რიცხოვრივი შემცირება და ზოგიერთი მათგანის გადაშენება. აქედან გამომდინარე, შეცვლილია მცენარეული საფარი, მისი ფლორისტული სტრუქტურა განსხვავდება წარსულში არსებული ბუნებრივად მოზარდი ბალახოვანი სახეობების შემადგენლობისაგან. განსაკუთრებული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა დეკორატიული და სამკურნალო მნიშვნელობით გამორჩეული ოჯახების (Aspleniaceae, Alliaceae, Hyacinthaceae, Iridaceae, Liliaceae, Orchidaceae, Polygonaceae და სხვ.) სახეობათა მრავალფეროვნება; ამ მცენარეთა რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული, ბევრი მათგანი იშვიათია და გაქრობის საფრთხის წინაშე დგას.

2006-2010 წწ. თბილისის ბოტანიკური ბალის ბუნებრივი ბალახოვანი მცენარეების გამოკვლევის შედეგად დადგენილია მათი სახეობრივი შემადგენლობა, სასიცოცხლო ფორმები, მნიშვნელობა, ხოროტიპი, ფენოფაზები (ყვავილობა, ნაყოფმსხმოიარობა), ჰაბიტატი და, შესაძლებლობის ფარგლებში, პოპულაციების რიცხოვნობა.

გამოვლენილია იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები, რაც საშუალებას იძლევა დამუშავდეს მათი *in situ* და *ex situ* კონსერვაციის სტრატეგია და მოიძებნოს კულტურაში შეტანის გზები.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბალის ტერიტორიაზე ბუნებრივად მოზარდი ბალახოვანი მცენარეები წარმოდგენილია 74 ბოტანიკური ოჯახით, 311 გვართა და 624 სახეობით; მათგან: ერთწლოვანია 208 სახეობა, ორწლოვანი – 61; მრავალწლოვანია 355 სახეობა. მათ შორის, საქართველოს ენდემია 5 სახეობა: *Cerastium argenteum*, *Euphorbia boissieriana*, *Petasites georgicus*, *Onobrychis kachetica*, *Thymus tiflisiensis*;

კავკასიის ენდემია 19 სახეობა: *Dianthus subulosus*, *Gypsophyla stevenii*, *Iris iberica*, *Isatis iberica*, *Jurinea blanda*, *Lotus caucasicus*, *Nonea setosa*, *Onobrychis radiata*, *Seseli grandivittatum*, *Pimpinella aromatica*, *Symphytum caucasicum*, *Taraxacum grossheimi*, *T. praticola*, *Tragopogon serotinus*, *T. tuberosus*, *Teucrium nuchense*, *Thalictrum buschianum*, *Thymus coriifolius*, *Verbascum formosum*.

სახეობრივი შემადგენლობით ყველაზე მრავალრიცხოვანია ოჯახები: **Asteraceae (81 სახეობა), Poaceae (59), Lamiaceae (43), Apiaceae (33), Brassicaceae (30), Fabaceae (27), Caryophyllaceae (24), Scrophulariaceae (22), Boraginaceae (19), Chenopodiaceae (14), Polygonaceae (14), Rosaceae (13), Rubiaceae (12).**

თითო-ორი სახეობით გამოირჩევა ოჯახები: **Apocynaceae, Asparagaceae, Aspleniaceae, Balsaminaceae, Cannabaceae, Capparaceae, Convolvulaceae, Fumariaceae, Hypericaceae, Lythraceae, Malvaceae, Onagraceae, Primulaceae, Resedaceae, Solanaceae, Urticaceae, Verbenaceae** და სხვ.

ბოტანიკურ ბაღში მრავალი სახეობა წარმოდგენილია მცირერიცხოვანი ჯგუფების ან ერთეული ინდივიდების სახით. ასეთებია: *Ajuga chia, Asplenium trichomanes, A. septentrionale, Adiantum capillus-veneris, Adonis aestivalis, Anchusa italica, Allium albidum, A. globosum, Artemisia absinthium, Arctium lappa, Aster ibericus, Asparagus officinalis, A. verticillatus, Ceterach officinarum, Conium maculatum, Crocus adamii, C. speciosus, Corydalis angustifolia, Cynoglossum officinale, Datura stramonium, Dianthus orientalis, Dictamnus caucasicus, Echium rubrum, E. vulgare, Glaucium corniculatum, Glechoma hederacea, Hyosciamus niger, Helichrysum rubicundum, Iris caucasica, I. reticulata, I. iberica, I. pumila, Inula helenium, Nepeta cataria, Ononis arvensis, Polygala transcaucasica, Polypodium vulgare, Pimpinella aromatica, Seseli grandivittatum, Tamus communis, Verbascum phoeniceum* და სხვ.

გაფანტულად და მცირერიცხოვანი პოპულაციების სახით გვხვდება: *Agrimonia eupatoria, Brunella vulgaris, Briza media, Calystegia silvatica, Coronilla varia, Crambe juncea, Dipsacus laciniatus, Eryngium caeruleum, Equisetum arvense, Filipendula vulgaris, Gypsophila elegans, Hypericum perforatum, Leonurus quinquelobatus, Linaria vulgaris, Malva sylvestris, Merendera trygina, Nonea flavescens, Onopordum acanthium, Parietaria judaica, Physalis alkekengi, Poterium polygamum, Rubia tinctorum, Rumex crispus, Scrophularia divaricata, Stachys silvatica, Salvia verticillata, Solanum nigrum, S. persicum, Symphytum caucasicum, Teucrium bushiaum, Thalictrum foetidum, Tribulus terrestris, Urtica dioica, Verbascum formosum, Zygophyllum fabago* და სხვ.

მაღალი შეხვედრილობით და რიცხოვნებით გამოირჩევა 70-მდე სახეობის მცენარე, მათ შორის: *Alcea rugosa*, *Artemisia vulgaris*, *Achillea setacea*, *Allium atroviolaceum*, *Capsella bursa-pastoris*, *Chenopodium album*, *Cirsium arvense*, *C. hybridum*, *Cichorium intybus*, *Centranthus longiflorus*, *Chelidonium majus*, *Convolvulus arvensis*, *Daucus carota*, *Isatis iberica*, *Erigeron canadensis*, *Echinops spaerocephalus*, *Euphorbia boissiriana*, *E. helioscopia*, *Falcaria vulgaris*, *Fumaria officinalis*, *Galium album*, *Geranium robertianum*, *Geum urbanum*, *Lactuca sativa*, *Lamium album*, *Lycopsis orientalis*, *Lepidium campestre*, *Muscari szovitsianum*, *Myosotis arvensis*, *Medicago caerulea*, *Melilotus officinalis*, *Melandrium boissieri*, *Holosteum glutinosum*, *Peganum harmala*, *Plantago major*, *P. lanceolata*, *Potentilla argentea*, *P. reptans*, *Polygonum hidropiper*, *Rumex acetosa*, *Rapistrum rugosum*, *Reseda lutea*, *Senecio vernalis*, *Silene italica*, *Sisymbrium officinale*, *Stipa capillata*, *Sedum caucasicum*, *S. album*, *S. oppositifolium*, *Scutellaria orientalis*, *Sideritis montana*, *Taraxacum vulgare*, *Thymus tiflisiensis*, *Tragopogon graminifolius*, *Verbascum thapsus*, *Viola kitaibeliana*, *V. odorata*, *V. reichenbachiana*, *Valeriana officinalis* და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოტანიკურ ბაღში გავრცელებულ ბალახოვან მცენარეებს შორის მრავალი ფართოდ გამოიყენება ოფიცინალურ და ტრადიციულ მედიცინაში: *Alliaria petiolata*, *Anchusa italica*, *Agrimonia eupatoria*, *Allium albidum*, *Asparagus officinalis*, *Achillea biebersteinii*, *A. setacea*, *Artemisia absinthium*, *Arctium lappa*, *Bidens tripartita*, *Brassica campestris*, *Bryonia dioica*, *Capsella bursa-pastoris*, *Conium maculatum*, *Cannabis ruderalis*, *Capparis spinosa*, *Chenopodium album*, *Calystegia sepium*, *Cichorium intybus*, *Cynoglossum officinale*, *Datura stramonium*, *Dictamnus caucasicus*, *Echium rubrum*, *E. vulgare*, *Echinops sphaerocephalus*, *Equisetum arvense*, *Euphorbia boissiriana*, *E. helioscopia*, *Eupatorium cannabinum*, *Epilobium hirsutum*, *Fumaria officinalis*, *Glechoma hederaceae*, *Glycyrriza glabra*, *Heracleum antasiaticum*, *Helichrisum rubicundum*, *Hyosciamus niger*, *Hypericum perforatum*, *Inula helenium*, *Lamium album*, *Leonurus quinquelobatus*, *Lythrum salicaria*, *Melilotus officinalis*, *Mentha aquatica*, *M. longifolia*, *Nasturtium officinale*, *Onopordum acanthium*, *Origanum vulgare*, *Petasites georgicus*, *Pimpinella aromatica*, *Plantago major*, *P. lanceolata*, *Peganum harmala*, *Pyrethrum parthenifolium*, *Solidago virgaurea*, *Stachys sylvatica*, *Taraxacum officinale*, *Tussilago farfara*, *Urtica dioica*, *Vinca herbacea*, *Xanthium spinosum*, *Ziziphora serpillacea* და სხვ.

ბევრი სახეობა გამოიყენება საკვებად, მხალისა და საღაათების სახით: *Anthriscus nemorosa*, *Asparagus officinalis*, *Alliaria petiolata*, *Allium paradoxum*, *Pastinaca sativa*, *Cichorium intybus*, *Capsella bursa-pastoris*, *Capparis spinosa*, *Chenopodium album*, *Falcaria vulgaris*, *Malva sylvestris*, *Melandrium boissieri*, *Sinapis arvensis*, *Sylene italica*, *Sysimbrium officinalis*, *Tragopogon graminifolius*, *Taraxacum officinale*, *Urtica dioica*, *Rumex crispus*, *R. acetosa* და სხვ.

დეკორატიულობით გამოირჩევა: *Acantholimon lepturoides*, *Asparagus officinalis*, *A. verticillatus*, *Anchusa italica*, *Asplenium trichomanes*, *A. septentrionale*, *Achillea biebersteinii*, *Artemisia absinthium*, *Bellis perennis*, *Centaurea depressa*, *Cephalaria media*, *Coronilla varia*, *Crocus adamii*, *C. speciosus*, *Doronicum orientale*, *Echium rubrum*, *E. vulgare*, *Fritillaria caucasica*, *Hyssopus angustifolius*, *Origanum vulgare*, *Gypsophila elegans*, *Iris caucasica*, *I. reticulata*, *I. iberica*, *I. pumila*, *Inula aspera*, *I. helenium*, *I. vulgaris*, *Leucanthemum vulgare*, *Lotus causicus*, *Merendera trygina*, *Muscari causicum*, *M. szovitsianum*, *Myosotis arvensis*, *Pyrethrum sericeum*, *Ranunculus repens*, *Solidago virgaurea*, *Silene italica*, *S.iberica*, *Scabiosa columbaria*, *Scilla siberica*, *Scutellaria orientalis* და სხვ.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი ფლორის ბალახოვანი მცენარეების დაცვის ერთ-ერთი გზა კრიტიკული საფრთხის წინაშე მდგომი და გადაშენების პირას მისული სახეობების *in situ* და *ex situ* კონსერვაციაა.

L. Asieshvili, R. Bidzinashvili,
N. Eradze, M. Siradze, N. Tskhadadze

**Natural Flora of National Botanical Garden of Georgia
(Herbaceous Plants)**

Summary

National Botanical Garden of Georgia (Tbilisi Botanical Garden until 2011) is located in the oldest part of capital Tbilisi between Sololaki and Tabori ridges, in the lower part of r. Tsavkistskali canyon (Leghvtakhevi), in the zone of semiarid light forests of East Georgia and relatively mesophilous oak and oriental hornbeam forests. Approximately 58% of the garden area are occupied by natural landscapes, which support high plant diversity (number of vascular plants is up to 700). Fragments of steppe vegetation (dominated by feathergrass, beardgrass, fescue), shibliak type shrubbery, florocenocomplexes of rock-scrub ecotopes still survive in the garden. Riparian plant communities are also diverse.

Special character of the garden landscapes is mainly due to terrain (steep and gentle slopes of different exposures, relatively small flat areas and terraces supplemented by relief diversity in the vertical profile. The lowest point of the lower part of the garden adjacent to Abanotubani is at the altitude of 417 m above the sea level while the highest is located on Tabori ridge in the vicinity of village Shindisi – 714 m asl), microclimatic conditions and plant diversity. The latter is represented by two major groups: plants introduced from different regions of Georgia and world (the Mediterranean, North America, China-Japan, Himalayas, Siberia, etc.) – garden collections comprising 3,500 species / infraspecific taxa and native species naturally occurring in the garden.

Over the decades invasive woody and herbaceous plants have become established in the garden phytocenoses, which has resulted in decrease in the number of naturally growing species and disappearance of some of them. Consequently, vegetation cover has been modified; its floristic structure differs from the composition of the naturally occurring herbaceous plants observed in the past. Species diversity of the families with high medicinal or ornamental value (**Aspleniaceae**, **Alliaceae**, **Hyacinthaceae**, **Iridaceae**, **Liliaceae**, **Orchidaceae**, **Polygonaceae**, etc.) is under particularly high threat; abundance of these plants has decreased substantially with many of them becoming rare and endangered.

Based on the survey of herbaceous plants growing naturally in Tbilisi Botanical Garden conducted in 2006-2010, the following has been determined: species composition, life forms, importance, chorotype, phenophases (flowering, fructification), habitat and population size, if possible.

Rare and endangered species have been identified, which allows development of their *in situ* and *ex situ* conservation strategies and methods of introduction into cultivation.

At present the herbaceous plants of the National Botanical Garden of Georgia are represented by 74 botanical families, 311 genera and 624 species. Among them 208 species are annuals, 61 – biennials, 355 – perennials. 5 species are endemics of Georgia: *Cerastium argenteum*, *Euphorbia boissieriana*, *Petasites georgicus*, *Onobrychis kachetica*, *Thymus tiflisiensis*; 19 species are Caucasian endemics such as: *Dianthus subulosus*, *Gypsophyla stevenii*, *Iris iberica*, *Isatis iberica*, *Iurinea blanda*, *Lotus caucasicus*, *Nonea setosa*, *Onobrychis radiata*, *Seseli grandivittatum*, *Pimpinella aromatica*, *Symphytum caucasicum*, *Taraxacum grossheimi*, *T. praticola*, *Tragopogon serotinus*, *T. tuberosus*, *Teucrium nuchense*, *Thalictrum buschianum*, *Thymus coriifolius*, *Verbascum formosum*.

The following families are represented by the highest species number: Asteraceae (81 species), Poaceae (59), Lamiaceae (43), Apiaceae (33), Brassicaceae (30), Fabaceae (27), Caryophyllaceae (24), Scrophulariaceae (22), Boraginaceae (19), Chenopodiaceae (14), Polygonaceae (14), Rosaceae (13), Rubiaceae (12).

Some families are represented by only one or two species; these are as follows: Cannabaceae, Convolvulaceae, Hypericaceae, Lythraceae, Malvaceae, Onagraceae, Primulaceae, Resedaceae, Solanaceae, Urticaceae, Verbenaceae, etc.

Many species occur in small groups or as solitary individuals in the garden; these are: *Ajuga chia*, *Asplenium trichomanes*, *A. septentrionale*, *Adiantum capillus-veneris*, *Adonis aestivalis*, *Anchusa italica*, *Allium albidum*, *A. globosum*, *Artemisia absinthium*, *Arctium lappa*, *Aster ibericus*, *Asparagus officinalis*, *A. verticillatus*, *Dictamnus caucasicus*, *Crocus adamii*, *C. speciosus*, *Corydalis angustifolia*, *Iris caucasica*, *I. reticulata*, *I. iberica*, *Glaucium corniculatum*, *Nepeta cataria*, *Glechoma hederacea*, *Polypodium vulgare*, *Tamus communis*, *Inula helenium*, *Cynoglossum officinale*, *Conium maculatum*, *Datura stramonium*, *Dianthus orientalis*, *Echium rubrum*, *E. vulgare*, *Hyosciamus niger*, *Pimpinella aromatica*, *Seseli grandivittatum*, *Ceterach officinarum*, *Helichrysum rubicundum*, *Inula*

helenium, *Glaucium corniculatum*, *Ononis arvensis*, *Polygala transcaucasica*, *Verbascum phoeniceum*, etc.

The following species have patchy distribution or occur in small groups: *Agrimonia eupatoria*, *Brunella vulgaris*, *Briza media*, *Calystegia silvatica*, *Coronilla varia*, *Crambe juncea*, *Dictamnus caucasicus*, *Dipsacus laciniatus*, *Eryngium caeruleum*, *Equisetum arvense*, *Filipendula vulgaris*, *Hypericum perforatum*, *Nonea flavescens*, *Gypsophila elegans*, *Leonurus quinquelobatus*, *Linaria vulgaris*, *Malva sylvestris*, *Merendera trygina*, *Onopordum acanthium*, *Parietaria judaica*, *Physalis alkekengi*, *Poterium polygamum*, *Rubia tinctorum*, *Rumex crispus*, *Scrophularia divaricata*, *Stachys silvatica*, *Salvia verticillata*, *Solanum nigrum*, *S. persicum*, *Symphytum caucasicum*, *Teucrium nuchense*, *Thalictrum foetidum*, *Tribulus terrestris*, *Urtica dioica*, *Verbascum formosum*, *Zygophyllum fabago*, etc.

Up to 70 species are characterized by high frequency and abundance; these species are: *Alcea rugosa*, *Artemisia vulgaris*, *Achillea setacea*, *Allium atroviolaceum*, *Capsella bursa-pastoris*, *Chenopodium album*, *Cirsium arvense*, *C. hybridum*, *Cichorium intybus*, *Centranthus longiflorus*, *Chelidonium majus*, *Convolvulus arvensis*, *Daucus carota*, *Isatis iberica*, *Erigeron canadensis*, *Echinops sphaerocephalus*, *Euphorbia boissieriana*, *E. helioscopia*, *Falcaria vulgaris*, *Fumaria officinalis*, *Galium album*, *Geranium robertianum*, *Geum urbanum*, *Lactuca sativa*, *Lamium album*, *Lycopsis orientalis*, *Lepidium campestre*, *Muscari szovitsianum*, *Myosotis arvensis*, *Medicago caerulea*, *Melilotus officinalis*, *Melandrium boissieri*, *Holosteum glutinosum*, *Peganum harmala*, *Plantago major*, *P. lanceolata*, *Potentilla argentea*, *P.reptans*, *Polygonum hydropiper*, *Rumex acetosa*, *Rapistrum rugosum*, *Reseda lutea*, *Senecio vernalis*, *Silene italica*, *Sisymbrium officinale*, *Stipa capillata*, *Sedum caucasicum*, *S. album*, *S. oppositifolium*, *Scutellaria orientalis*, *Sideritis montana*, *Taraxacum vulgare*, *Thymus tiflisiensis*, *Tragopogon graminifolius*, *Verbascum thapsus*, *Viola kitaibeliana*, *V.odorata*, *V. reichenbachiana*, *Valeriana officinalis*, etc.

Many of the plant species naturally occurring in the botanical garden are widely used in officinal and traditional medicine, e.g.: *Alliaria petiolata*, *Anchusa italica*, *Agrimonia eupatoria*, *Allium albidum*, *Asparagus officinalis*, *Achillea biebersteinii*, *A. setacea*, *Artemisia absinthium*, *Arctium lappa*, *Bidens tripartita*, *Brassica campestris*, *Bryonia dioica*, *Capsella bursa-pastoris*, *Conium maculatum*, *Cannabis ruderalis*, *Capparis herbacea*, *Chenopodium album*, *Calystegia sepium*, *Cichorium intybus*, *Cynoglossum officinale*, *Datura stramonium*, *Dictamnus caucasicus*, *Echium rubrum*, *E.*

vulgare, *Echinops sphaerocephalus*, *Equisetum arvense*, *Euphorbia boisseriana*, *E. helioscopia*, *Eupatorium cannabinum*, *Epilobium hirsutum*, *Fumaria officinalis*, *Glechoma hederaceae*, *Glycyrryza glabra*, *Heracleum antasiaticum*, *Helichrisum rubicundum*, *Hyosciamus niger*, *Hypericum perforatum*, *Inula helenium*, *Lamium album*, *Leonurus quinquelobatus*, *Lythrum salicaria*, *Melilotus officinalis*, *Mentha aquatica*, *M. longifolia*, *Nasturtium officinale*, *Onopordum acanthium*, *Origanum vulgare*, *Petasites georgicus*, *Pimpinella aromatica*, *Plantago major*, *P.lanceolata*, *Peganum harmala*, *Pyrethrum parthenifolium*, *Solidago virgaurea*, *Stachis silvatica*, *Taraxacum officinale*, *Tussilago farfara*, *Urtica dioica*, *Vinca herbacea*, *Xanthium spinosum*, *Ziziphora serpillacea*, etc.

A number of species are used for food in the form of traditional 'Mkhali' and salads: *Anthriscus nemorosa*, *Asparagus officinalis*, *Alliaria petiolata*, *Allium paradoxum*, *Pastinaca sativa*, *Cichorium intybus*, *Capsella bursa-pastoris*, *Capparis spinosa*, *Chenopodium album*, *Falcaria vulgaris*, *Malva sylvestris*, *Melandrium boissieri*, *Sinapis arvensis*, *Sylene italica*, *Sysimbrium officinalis*, *Tragopogon graminifolius*, *Taraxacum officinale*, *Urtica dioica*, *Rumex crispis*, *R. acetosa*, etc.

The following species have high ornamental value: *Acantholimon lepturoides*, *Asparagus officinalis*, *A. verticillatus*, *Anchusa italica*, *Asplenium trichomanes*, *A. septentrionale*, *Achillea biebersteinii*, *Artemisia absinthium*, *Bellis perennis*, *Centaurea depressa*, *Cephalaria media*, *Coronilla varia*, *Crocus adamii*, *C. speciosus*, *Doronicum orientale*, *Echium rubrum*, *E. vulgare*, *Fritillaria caucasica*, *Hyssopus angustifolius*, *Origanum vulgare*, *Gypsophila elegans*, *Iris caucasica*, *I. reticulata*, *I. iberica*, *I. pumila*, *Inula aspera*, *I. helenium*, *I. vulgaris*, *Leucanthemum vulgare*, *Lotus caucasicus*, *Merendera trygina*, *Muscari caucasicum*, *M. szovitsianum*, *Myosotis arvensis*, *Pyrethrum sericeum*, *Ranunculus repens*, *Solidago virgaurea*, *Silene italica*, *S.iberica*, *Scabiosa columbaria*, *Scilla siberica*, *Scutellaria orientalis*, etc.

In situ and *ex situ* conservation of endangered and vulnerable species is the only method to ensure adequate protection of herbaceous species of the natural flora of the National Botanical Garden of Georgia.

**Естественная флора Национального ботанического сада Грузии
(Травянистые растения)
Резюме**

Национальный ботанический сад Грузии (до 2011 г. – Тбилисский ботанический сад) находится в исторической части Тбилиси между хребтами Сололаки и Табори, в нижней части ущелья р. Цавкисисцкали (Легвтахеви), в зоне полуаридных светлых и сравнительно мезофильных дубово-грабинниковых лесов. Приблизительно 58% территории сада составляют естественные ландшафты, которые отличаются разнообразием растений (количество сосудистых растений насчитывает 700 видов). На территории сада сохранились фрагменты степной растительности (с доминированием ковыля, бородача, овсяницы), кустарники типа шибляка, флороценокомплексы скально-щебнисто-осыпных экотопов. Пойменная растительность также отличается значительным разнообразием.

Особенность ландшафтов ботанического сада обусловлена рельефом (склоны разных экспозиций как большого, так и малого уклона, равнинные места и террасы, многообразие отдельных участков в вертикальном направлении; самая нижняя точка нижней части сада находится у Абанотубани на высоте 417 м. от уровня моря; наивысшая точка находится на Таборском хребте, у села Шиндиси – 714 м.), микроклиматическими условиями и видовым разнообразием растительности, представленной двумя основными группами: растениями, интродуцированными из разных регионов Грузии и мира (Средиземноморье, Северная Америка, Китай, Япония, Гималаи, Сибирь и пр.), число которых составляет 3500 видов и внутривидовых таксонов (коллекции сада) и многообразием естественно растущих местных растений.

В течении десятилетий в фитоценозах сада укоренились и внедрились инвазивные древесные и травянистые растения, что привело к снижению количества естественно растущих и исчезновению некоторых видов. Соответственно, изменился растительный покров, его флористическая структура отличается от состава растений естественно растущих на территории сада в прошлом. Под особенной угрозой оказалось многообразие видов семейств отличающихся декоративным и

лекарственным значением (**Aspleniaceae, Alliaceae, Hyacinthaceae, Iridaceae, Liliaceae, Orchidaceae, Polygonaceae** и т.д.); количество этих растений существенно уменьшилось, многие виды стали редкими и оказались под угрозой исчезновения.

В результате изучения естественно растущих травянистых растений, проведенных в Тбилисском ботаническом саду в 2006-2010 гг., определены видовой состав, жизненные формы, значение, хоротип, фенофазы (цветение, плодоношение), места распространения и, по возможности, размер популяций.

Выявлены редкие виды и виды, находящиеся под угрозой исчезновения, что позволяет разработать стратегии *in situ* и *ex situ* консервации этих растений и методы внесения в культуру.

По сегодняшнему состоянию, травянистые растения, естественно произрастающие на территории Национального Ботанического сада Грузии, представлены 74 ботаническими семействами, 311 родами и 624 видами. Из них однолетними травянистыми растениями являются 208 вида, двухлетними - 61, многолетними – 355. Среди них эндемиками Грузии являются 5 видов: *Cerastium argenteum, Euphorbia boissieriana, Petasites georgicus, Onobrychis kachetica, Thymus tiflisiensis*; эндемиками Кавказа – 19 видов: *Dianthus subulosus, Gypsophyla stevenii, Iris iberica, Isatis iberica, Iurinea blanda, Lotus caucasicus, Nonea setosa, Onobrychis radiata, Seseli grandivittatum, Pimpinella aromatica, Symphytum caucasicum, Taraxacum grossheimi, T. praticola, Tragopogon serotinus, T. tuberosus, Teucrium nuchense, Thalictrum buschianum, Thymus coriifolius, Verbascum formosum*.

Наибольшим количеством видов представлены семейства: **Asteraceae (81 видов), Poaceae (59), Lamiaceae (43), Apiaceae (33), Brassicaceae (30), Fabaceae (27), Caryophyllaceae (24), Scrophulariaceae (22), Boraginaceae (19), Chenopodiaceae (14), Polygonaceae (14), Rosaceae (13), Rubiaceae (12)**.

Следующие семейства представлены всего одним-двумя видами: **Arocynaceae, Asparagaceae, Aspleniaceae, Balsaminaceae, Cannabaceae, Capparaceae, Convolvulaceae, Fumariaceae, Hypericaceae, Lythraceae, Malvaceae, Onagraceae, Primulaceae, Resedaceae, Solanaceae, Urticaceae, Verbenaceae** и др.

В ботаническом саду многие виды представлены малочисленными группами или в качестве единичных индивидов. В частности: *Ajuga chia, Asplenium trichomanes, A. septentrionale, Adiantum capillus-veneris, Adonis aestivalis, Anchusa italica, Allium*

albidum, *A. globosum*, *Artemisia absinthium*, *Arctium lappa*, *Aster ibericus*, *Asparagus officinalis*, *A. verticillatus*, *Ceterach officinarum*, *Conium maculatum*, *Crocus adamii*, *C. speciosus*, *Corydalis angustifolia*, *Cynoglossum officinale*, *Datura stramonium*, *Dianthus orientalis*, *Dictamnus caucasicus*, *Echium rubrum*, *E. vulgare*, *Glaucium corniculatum*, *Glechoma hederacea*, *Hyosциamus niger*, *Helichrysum plinthocalyx*, *Iris caucasica*, *I. reticulata*, *I. iberica*, *I. pumila*, *Inula helenium*, *Nepeta cataria*, *Ononis arvensis*, *Polygala transcaucasica*, *Polypodium vulgare*, *Pimpinella aromatica*, *Seseli grandivittatum*, *Tamus communis*, *Verbascum phoeniceum* и др.

Рассеянно, в виде малочисленных групп встречаются: *Agrimonia eupatoria*, *Brunella vulgaris*, *Briza media*, *Calystegia silvatica*, *Coronilla varia*, *Crambe juncea*, *Dipsacus laciniatus*, *Eryngium coeruleum*, *Equisetum arvense*, *Filipendula vulgaris*, *Gypsophila elegans*, *Hypericum perforatum*, *Leonurus quinquelobatus*, *Linaria vulgaris*, *Malva sylvestris*, *Merendera trygina*, *Nonea flavescens*, *Onopordum acanthium*, *Parietaria judaica*, *Physalis alkekengi*, *Poterium polygamum*, *Rubia tinctorum*, *Rumex crispus*, *Scrophularia divaricata*, *Stachys silvatica*, *Salvia verticillata*, *Solanum nigrum*, *S. persicum*, *Symphytum caucasicum*, *Teucrium nuchense*, *Thalictrum foetidum*, *Tribulus terrestris*, *Urtica dioica*, *Verbascum formosum*, *Zygophyllum fabago* и пр.

Наибольшим количеством и частой встречаемостью выделяются до 70 видов растений, среди которых следует отметить: *Alcea rugosa*, *Artemisia vulgaris*, *Achillea setacea*, *Allium atroviolaceum*, *Capsella bursa-pastoris*, *Chenopodium album*, *Cirsium arvense*, *C. hybridum*, *Cichorium intybus*, *Centranthus longiflorus*, *Chelidonium majus*, *Convolvulus arvensis*, *Daucus carota*, *Isatis iberica*, *Erigeron canadensis*, *Echinops spaerocephalus*, *Euphorbia boissieriana*, *E. helioscopia*, *Falcaria vulgaris*, *Fumaria officinalis*, *Galium album*, *Geranium robertianum*, *Geum urbanum*, *Lactuca sativa*, *Lamium album*, *Lycopsis orientalis*, *Lepidium campestre*, *Muscari szovitsianum*, *Myosotis arvensis*, *Medicago caerulea*, *Melilotus officinalis*, *Melandrium boissieri*, *Holosteum glutinosum*, *Peganum harmala*, *Plantago major*, *P. lanceolata*, *Potentilla argentea*, *P. reptans*, *Polygonum hidropiper*, *Rumex acetosa*, *Rapistrum rugosum*, *Reseda lutea*, *Senecio vernalis*, *Silene italica*, *Sisymbrium officinale*, *Stipa capillata*, *Sedum caucasicum*, *S. album*, *S. oppositifolium*, *Scutellaria orientalis*, *Sideritis montana*, *Taraxacum vulgare*, *Thymus tiflisiensis*, *Tragopogon graminifolius*, *Verbascum thapsus*, *Viola kitaibeliana*, *V. odorata*, *V. reichenbachiana*, *Valeriana officinalis* и пр.

Здесь же следует отметить, что среди травянистых растений, распространенных в Ботаническом саду, многие широко используются в официальной и традиционной медицине. В частности: *Alliaria petiolata*, *Anchusa italica*, *Agrimonia eupatoria*, *Allium albidum*, *Asparagus officinalis*, *Achillea biebersteinii*, *A. setacea*, *Artemisia absinthium*, *Arctium lappa*, *Bidens tripartita*, *Brassica campestris*, *Bryonia dioica*, *Capsella bursa-pastoris*, *Conium maculatum*, *Cannabis ruderalis*, *Capparis herbacea*, *Chenopodium album*, *Calystegia sepium*, *Cichorium intybus*, *Cynoglossum officinale*, *Datura stramonium*, *Dictamnus caucasicus*, *Echium rubrum*, *E. vulgare*, *Echinops sphaerocephalus*, *Equisetum arvense*, *Euphorbia boisseriana*, *E. helioscopia*, *Eupatorium cannabinum*, *Epilobium hirsutum*, *Fumaria officinalis*, *Glechoma hederaceae*, *Glycyrrhiza glabra*, *Heracleum antasiaticum*, *Helichrisum rubicundum*, *Hyosciamus niger*, *Hypericum perforatum*, *Inula helenium*, *Lamium album*, *Leonurus quinquelobatus*, *Lythrum salicaria*, *Melilotus officinalis*, *Mentha aquatica*, *M. longifolia*, *Nasturtium officinale*, *Onopordum acanthium*, *Origanum vulgare*, *Petasites georgicus*, *Pimpinella aromatica*, *Plantago major*, *P.lanceolata*, *Peganum harmala*, *Pyrethrum parthenifolium*, *Solidago virgaurea*, *Stachis silvatica*, *Taraxacum officinale*, *Tussilago farfara*, *Urtica dioica*, *Vinca herbacea*, *Xanthium spinosum*, *Ziziphora serpillacea* и пр.

Многие виды используются в пищевых целях в виде 'мхали' и салатов: *Anthriscus nemorosa*, *Asparagus officinalis*, *Alliaria petiolata*, *Allium paradoxum*, *Pastinaca sativa*, *Cichorium intybus*, *Capsella bursa-pastoris*, *Capparis spinosa*, *Chenopodium album*, *Falcaria vulgaris*, *Malva sylvestris*, *Melandrium boissieri*, *Sinapis arvensis*, *Sylene italica*, *Sysimbrium officinalis*, *Tragopogon graminifolius*, *Taraxacum officinale*, *Urtica dioica*, *Rumex crispis*, *R. acetosa* и пр.

Декоративностью отличаются следующие виды: *Acantholimon lepturoides*, *Asparagus officinalis*, *A. verticillatus*, *Anchusa italica*, *Asplenium trichomanes*, *A. septentrionale*, *Achillea biebersteinii*, *Artemisia absinthium*, *Bellis perennis*, *Centaurea depressa*, *Cephalaria media*, *Coronilla varia*, *Crocus adamii*, *C. speciosus*, *Doronicum orientale*, *Echium rubrum*, *E. vulgare*, *Fritillaria caucasica*, *Hyssopus angustifolius*, *Origanum vulgare*, *Gypsophila elegans*, *Iris caucasica*, *I. reticulata*, *I. iberica*, *I. pumila*, *Inula aspera*, *I. helenium*, *I. vulgaris*, *Leucanthemum vulgare*, *Lotus caucasicus*, *Merendera trygina*, *Muscari caucasicum*, *M. szovitsianum*, *Myosotis arvensis*, *Pyrethrum sericeum*, *Ranunculus repens*, *Solidago virgaurea*, *Silene italica*, *S.iberica*, *Scabiosa columbaria*, *Scilla siberica*, *Scutellaria orientalis* и пр.

В заключение следует отметить, что *in situ* и *ex situ* консервация видов растений, находящихся под критической угрозой или на грани исчезновения, является единственным методом охраны травянистых растений естественной флоры Национального ботанического сада Грузии.

ოჯახების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი
List of Families

Adiantaceae	- 51
Alismataceae	- 51
Alliaceae	- 51
Amaranthaceae	- 54
Apiaceae (Umbelliferae)	- 56
Apocynaceae	- 66
Asparagaceae	- 67
Aspleniaceae	- 68
Asteraceae (Compositae)	- 69
Balsaminaceae	- 99
Boraginaceae	- 100
Brassicaceae (Cruciferae)	- 105
Cactaceae	- 114
Campanulaceae	- 115
Cannabaceae	- 116
Capparaceae	- 117
Caryophyllaceae	- 117
Chenopodiaceae	- 126
Cistaceae	- 133
Colchicaceae	- 134
Convolvulaceae	- 134
Crassulaceae	- 136
Cucurbitaceae	- 138
Cuscutaceae	- 139
Cyperaceae	- 140
Dioscoreaceae	- 143
Dipsacaceae	- 143
Equisetaceae	- 146
Euphorbiaceae	- 146
Fabaceae (Leguminosae)	- 150
Fumariaceae	- 168
Geraniaceae	- 169
Helleboraceae	- 171
Hyacinthaceae	- 172
Hypericaceae	- 174
Illecebraceae	- 174

Iridaceae - 175
Juncaceae - 178
Lamiaceae (Labiatae) -178
Liliaceae - 195
Limoniaceae - 197
Linaceae - 198
Lythraceae - 199
Malvaceae - 199
Onagraceae - 201
Orchidaceae - 202
Orobanchaceae - 204
Oxalidaceae - 206
Papaveraceae - 207
Peganaceae - 210
Phytolaccaceae - 211
Plantaginaceae - 211
Plumbaginaceae - 212
Poaceae (Gramineae) - 213
Polygalaceae - 230
Polygonaceae – 230
Polypodiaceae - 235
Portulacaceae - 236
Primulaceae - 236
Ranunculaceae - 239
Resedaceae - 241
Rosaceae - 242
Rubiaceae - 247
Rutaceae - 251
Santalaceae - 252
Saxifragaceae - 252
Scrophulariaceae - 252
Solanaceae - 261
Typhaceae - 262
Urticaceae - 263
Valerianaceae - 264
Verbenaceae - 265
Violaceae - 265
Zygophyllaceae - 268

მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი
List of Species

- Adiantum capillus-veneris* L. - 51
Adonis aestivalis L. - 239
Acalypha australis L. - 146
Acantholimon lepturoides (Jaub. & Spach) Boiss. - 197
Achillea biebersteinii Afan. - 69
A.neilreichii Kerner - 70
A.setaceae Waldst. & Kit. - 70
Aegilops cylindrica Host. - 213
Ae. triuncialis L. - 213
Aegonichon purpureocaeruleum (L.) Holub. - 100
Agrimonia eupatoria L. - 242
Agropyron cristatum (L.) Beauv. - 213
A.repens (L.) Beauv. - 214
Agrostis alba L. - 214
A.verticillata Vill. - 214
Ajuga chia Schreb. - 178
A.genevensis L. - 179
A.reptans L. - 179
Alcea rugosa Alef. - 199
Alisma plantago-aquatica L. - 51
Alliaria petiolata (Bieb.) Cavara & Grande - 105
Allium albidum Fisch. ex Bieb. - 51
A.atroviolaceum Boiss. - 52
A.globosum Bieb. ex Redoute - 52
A.moschatum L. - 52
A.paradoxum (Bieb.) G. Don. fil. - 53
A.pseudoflavum Vved. - 53
A.rotundum L. - 53
A.rupestre Stev. - 53
Alopecurus myosuroides Huds. - 214
Althaea hirsuta L. - 200
Alyssum desertorum Stapf - 105
A.murale Waldst. & Kit. - 105
A.tortuosum Waldst. & Kit. ex Willd. - 106
Amaranthus albus L. - 54
A.blitoides S. Wats. - 54

A.deflexus L. - 54
A.hybridus L. - 55
A.lividus L. - 55
A.retroflexus L. - 56
Ambrosia artemisiifolia L. - 70
Anacamptis pyramidalis (L.) Rich. - 202
Anagallis arvensis L. - 236
A.foemina Mill. - 236
Anethum graveolens L. - 56
Anchusa italica Retz. - 100
Androsace elongata L. - 237
A.maxima L. - 237
Anthemis altissima L. - 71
A.cotula L. - 71
A.dumetorum Sosn. - 71
Anthriscus longirostris Bertol. - 56
A.nemorosa (Bieb.) Spreng. - 56
Apium graveolens L. - 57
Arctium lappa L. - 72
Artemisia absinthium L. - 72
A.annua L - 73
A.caucasica Willd. - 73
A.incana (L.) Druce - 74
A.lerchiana L. - 74
A.marschalliana Spreng. - 73
A.scoparia Waldst. & Kit. - 74
A.vulgaris L. - 75
Arenaria serpyllifolia L. - 117
Asparagus officinalis L. - 67
A.verticillatus L. - 67
Asperugo procumbens L. - 100
Asperula arvensis L. - 247
A.glomerata (Bieb.) Griseb. - 247
A.orientalis Boiss. & Hohen - 247
A.prostrata (Adams) C. Koch - 248
A.rivalis Sibth. in Smith - 248
Asplenium septentrionale (L.) Hoffm. - 67
A.trichomanes L. - 68
A.ruta-muraria L. - 68

Aster ibericus Stev. - 75
Astrodaucus orientalis (L.) Drude - 57
Atriplex aucheri Moq. - 126
A.nitens Schkuhr. - 126
A.patula L. - 127
A.tatarica L. - 127
Avena fatua L. - 215
A.ludoviciana Durieu - 215
A.sativa L. - 215
Avenastrum pratense (L.) Jessen. - 216
Ballota nigra L. - 180
Bellis perennis L. - 76
Bidens tripartita L. - 76
Bifora radians Bieb. - 58
Bothriochloa ischaemum (L.) Keng - 216
Brachypodium pinnatum (L.) Beauv. - 216
B.sylvaticum (Huds.) Beauv. - 216
Brassica campestris L. - 106
B.elongata Ehrh. - 106
Briza media L. - 217
Bromus arvensis L. - 217
B.commutatus Schrad. - 217
B.japonicus Thunb. - 217
B.squarrosus L. - 218
Bryonia dioica Jacq. - 138
Bufonia tenuifolia L. - 118
Bupleurum affine Sadl. - 58
B.exaltatum Bieb. - 58
B. gerardii All. - 58
B.rotundifolium L. - 59
Calepina irregularis (Asso) Thell. - 107
Callicephalus nitens (Bieb.) C. A. Mey. - 76
Calystegia sepium (L.) R. Br. - 135
C.sylvatica (Kit.) Griseb. - 135
Camelina microcarpa Andrz. - 107
Campanula alliariifolia Willd. - 115
C.hohenackeri Fisch. & C. A. Mey. - 115
C.latifolia L. - 116
C.rapunculoides L. - 116

Cannabis ruderalis Janisch. - 116
Capparis spinosa L. - 117
Capsella bursa-pastoris (L.) Medik. - 107
Cardaria draba (L.) Desv. - 108
C.propinqua (Fisch. et C.A.Mey.) N. Busch. - 108
Carduus acanthoides L. - 77
C.hamulosus Erhr. - 77
C.nutans L. - 77
C.onopordioides Fisch. ex Bieb. - 78
Carex digitata L. - 140
C.diluta Bieb. - 141
C.hirta L. - 141
C.polyphylla Kar. & Kir. - 141
C.stenophylla Waheenb. - 142
Carthamus lanatus L. - 78
Catabrosa aquatica (L.) Beauv. - 218
Caucalis platycarpos L. - 59
Celsia orientalis L. - 252
Centaurea depressa Bieb. - 78
C.diffusa Lam. - 79
C.iberica Trev. ex Spreng. - 79
C.ovina Pall. ex Willd. - 79
C.reflexa Lam. - 80
C.solstitialis L. - 80
Centranthus longiflorus Stev. - 264
Cephalaria media Litv. - 143
Cerastium argenteum Bieb. - 118
C.glomeratum Thuill. - 118
C.ruderale Bieb. - 119
C.tauricum Spreng. - 119
Ceterach officinarum Willd. - 69
Chelidonium majus L. - 207
Chenopodium album L. - 128
Ch.botrys L. - 128
Ch.glaucum L. - 129
Ch.hybridum L. - 129
Ch.rubrum L. - 129
Ch.sosnowskyi Kapell. - 130
Ch.urbicum L. - 130

Chrozophora hierosolymitana Spreng. - 147
Cichorium intybus L. - 80
Cirsium arvense (L.) Scop. - 81
C.incanum (S.G. Gmel) Fisch. - 81
Colpodium versicolor (Stev.) Schmalh. 218
Conium maculatum L. - 59
Conringia orientalis (L.) Dumort. - 108
Conyza canadensis (L.) Crong. - 82
Consolida divaricata (Ledeb.) Schroding. - 171
C.orientalis (J.Gay) Schroding. - 172
Convolvulus arvensis L. - 134
C.cantabrica L. - 134
C.lineatus L. - 135
Coriandrum sativum L. - 60
Coronilla orientalis Mill. - 150
C.varia L. - 150
Corydalis angustifolia (Bieb.) DC. - 168
Crambe juncea Bieb. - 108
Crocus adamii J. Gay - 175
C.speciosus Bieb. - 176
Crucianella angustifolia L. 249
Cuscuta approximata Bab. (C. cupulata Egelm.) - 139
C.epithymum (L.) L. - 139
C.europaea L. - 139
C.lupuliformis Krock. 140
C.monogyna Vahl - 140
Cyclamen vernum Sweet - 237
Cynodon dactylon (L.) Pers. - 218
Cynoglossum officinale L. - 100
Cyperus fuscus L. - 142
Daucus carota L. - 60
Dactylis glomerata L. - 219
Datura stramonium L. - 261
Diphelypaea coccinea (Bieb) Nilson- 204
Descurainia sophia (L.) Webb ex Prantl - 109
Dianthus orientalis Adams - 119
D.subulosus Freyn & Conrath. - 120
Dictamnus caucasicus (Fisch. & C. A. May) Grossh. - 251
Digitaria ischaemum (Schreb.) Muehl. - 219

Dipsacus laciniatus L. - 144
D. strigosus Willd. ex Roem. & Schult. - 144
Doronicum orientale Hoffm. -82
Duchesnea indica (Andr.) Focke - 242
Ecballium elaterium (L.) A.Rich. - 138
Echinaria capitata (L.) Desf. - 219
Echinochloa crusgalli (L.) Beauv - 220
Echium rubrum Jacq. - 101
E.vulgare L - 101
Echynops sphaerocephalus L. - 82
Epilobium hirsutum L. - 201
Equisetum arvense L. - 146
E. ramosissimum Desf. - 146
Eragrostis minor Host. - 220
E.pilosa (L.) Beauv. - 220
Eremostachys iberica Vis. - 180
Eryngium caeruleum Bieb. - 60
E.campestre L. - 61
Erodium cicutarium (L.) L' Her. - 169
E.ciconium (L.) L' Her. - 169
Erophila-praecox (Stev.) DC. - 109
E.verna (L.) Chevall. - 109
Erysimum leptophyllum (Bieb.) Andrz. - 109
Eupatorium cannabinum L. - 83
Euphorbia boissieriana (Woronow) Prokh. - 147
E.helioscopia L. - 148
E.humifusa Schlecht. - 148
E.iberica Boiss. - 148
E.maculata L. - 149
E.segueriana Neck. - 149
Falcaria vulgaris Bernh. - 61
Festuca pratensis Huds. - 221
F.rubra L. - 221
F.rupicola Heuff - 221
Ficaria ledebourii Grossh. & Schischk. - 239
Filago arvensis L. - 83
F.eriocephala Guss. - 83
Filipendula vulgaris Moench - 243
Foeniculum vulgare Mill. - 61

Fragaria vesca L. - 243
F. viridis Duch. - 243
Fritillaria caucasica Adams - 195
Fumaria officinalis L. - 168
F.schleicheri Soy.- Willem. - 168
Gagea chlorantha (Bieb.) Schult. & Schult fil. - 195
G.commutata C. Koch - 195
G.dubia Terr. - 196
G.taurica Stev. - 196
G.tenuifolia (Boiss.) Fomin - 196
Galatella dracunculoides (Lam.) Ness - 84
Galeopsis bifida Boenn. - 180
G.ladanum L. - 181
Galium album Mill. - 249
G.grusinum Trautv. - 249
G.tenuissimum Bieb. - 250
G.verticillatum Danth. - 250
G.verum L. - 250
Gaudinopsis macra (Stev.) Eig. - 222
Geranium columbinum L. - 169
G.dissectum L. - 170
G.lucidum L. - 170
G.pusillum L. - 170
G.robertianum L. - 171
G.rotundifolium L. - 171
Geum urbanum L. - 144
Glaucium corniculatum (L.) J. Rudolph - 207
G.grandiflorum Boiss. & Huet. - 207
G.flavum Crantz. - 208
Glechoma hederacea L. - 181
Glyceria fluitans (L.) R. Br. - 222
Gymnadenia conopsea (L.) R. Br. - 202
Gypsophila bicolor (Freyn et Sint) Grossh. - 120
G. elegans Bieb. - 121
G. stevenii Fisch. ex Schrank - 121
Helianthemum nummularium (L.) Mill. - 133
H.salicifolium (L.) Mill. - 133
Helichrysum rubicundum (C. Koch) Bornm. - 84
Heliotropium ellipticum Ledeb. - 101

Heracleum antasiaticum Manden. - 62
Herniaria hirsuta L. - 174
H.incana Lam. - 175
Hieracium umbellatum L. - 84
Holosteum glutinosum (Bieb.) Fisch. & C.A.Mey. - 121
H.marginatum Fisch. & C.A.Mey. - 122
H.umbellatum L. - 122
Hordeum bulbosum L. - 222
H.leporinum Link - 222
Hyosciamus niger L. - 261
Hypericum hirsutum L. - 174
H.perforatum L. - 174
Hyssopus angustifolius Bieb. - 182
Impatiens noli-tangere L. - 99
Inula aspera Poir. (I. cordata auct) - 85
I.conyza DC. - 85
I.helenium L. - 85
Iris caucasica Hoffm. - 176
I.iberica Hoffm. - 176
I.pumila L. - 177
I.reticulata Bieb. - 177
Isatis iberica Stev. - 110
I.subradiata Rupr. - 110
Juncus articulatus L. - 178
J.inflexus L. - 178
Jurinea blanda (Bieb.) C.A. Mey - 86
Kochia prostrata (L.).Schrad. - 131
K.scoparia (L.) Schrad. - 131
Koeleria cristata (L.) Pers. - 223
Lactuca saligna L. - 86
L.serriola L. - 86
Lamium album L. - 182
L.amplexicaule L. - 183
L.purpureum L. - 183
Lappula barbata (Bieb) Guerke - 102
L.patula (Lehm). Menyharth - 102
Lapsana communis L. - 87
L.grandiflora Bieb. - 87
Lathraea squamaria L. - 253

Lathyrus aphaca L. - 150
Laser trilobum (L.) Borkh. - 62
Lavatera thuringiaca L. - 200
Leontodon asperrimus (Willd.) Ball. - 87
Leonurus quinquelobatus Gilib. - 183
Lepidium campestre (L.) R.Br. - 110
Leucanthemum vulgare Lam. - 88
Limonium meyeri (Boiss.) O. Kuntze. - 197
Linaria genistifolia (L.) Mill. - 253
L.simplex (Willd.) DC. - 254
L.vulgaris L. - 254
Linum austriacum L. - 198
L.nudiflorum L. - 198
L.tenuifolium L. - 198
Lithospermum arvensis L. - 102
L. officinale L. - 102
Lolium arvense With. - 223
L. persicum Boiss. & Hohen. - 223
L. rigidum Gaudin - 223
L. temulentum L. - 224
Lotus caucasicus Kuprian ex Juz. - 151
L. corniculatus L. - 151
Lycopsis orientalis L. - 103
Lycopus europaeus L. - 184
Lysimachia verticillaris Spreng. - 238
Lythrum salicaria L. - 199
Malabaila dasyantha (C.Koch) Grossh. - 63
Malva neglecta Wallr. - 200
M.sylvestris L. - 201
Marrubium catariifolium Desr. - 184
M.vulgare L. - 184
Medicago caerulea Less. ex Ledeb. - 152
M.hemicycla Grossh. - 152
M.lupulina L. - 152
M.minima (L.) Bartalini - 153
M.orbicularis (L.) Bartalini - 153
M.polychroa Grossh. - 154
M.rigidula (L.) All. - 154
Melandrium boissieri Schischk. - 122

Melica picta C. Koch. - 224
M. transsilvanica Schur. - 224
Melilotus albus Medik. - 154
M. neapolitanus Ten. - 155
M. officinalis (L.) Pall. - 155
Melissa officinalis L. - 185
Mentha aquatica L. - 185
M. longifolia (L.) Huds. - 186
Merendera trigyna (Stev. ex Adams) Stapf - 134
Milium vernale Bieb. - 224
Muscari caucasicum (Griseb.) Baker - 172
M. szovitsianum Baker - 172
Myagrum perfoliatum L. - 111
Myosotis arvensis (L.) Hill. - 103
Nasturtium officinale R. Br. - 111
Nepeta cataria L. - 186
N. mussinii Spreng. - 186
Neslia paniculata (L.) Desv. - 111
Noaea mucronata (Forssk.) Aschers & Schweinf. - 131
Nonea lutea (Desr) DC. - 103
N. rosea (Bieb.) Link. - 103
N. setosa (Lehm.) Roem. & Schult. - 103
Onobrychis cyri Grossh. - 156
O. iberica Grossh. - 156
O. kachetica Boiss. & Buhse - 156
O. radiata (Desf.) Bieb. - 157
Ononis pusilla L. - 157
Onopordum acanthium L. - 88
Onosma microcarpa Stev. ex DC. - 104
O. tenuiflora Willd. - 104
Opuntia humifusa Raf. - 114
O. phaeacantha Engelm. - 115
Orchis mascula (L.) L. - 203
O. morio L. - 203
O. purpurea Huds. - 203
O. ustulata L. - 203
Origanum vulgare L. - 187
Ornithogalum ponticum Zahar. - 173
Orobanche aegyptiaca Pers. - 204

O.caesia Rechenb. - 205
O.gracilis Smith. - 205
O. lutea Baumg. - 205
O. owerinii (G. Beck.) G. Beck. - 206
O. purpurea Jacq. - 206
Oxalis corniculata L. - 206
Oxytropis pallasii Pers. - 157
Papaver arenarium Bieb. - 208
P.commutatum Fisch. & C. A. Mey. - 208
P.dubium L. - 209
P.hybridum L. - 209
P.macrostomum Boiss. & Huet - 210
P.rhoeas L. - 210
Parietaria judaica L. - 263
Paspalum paspaloides (Michx) Scribn. - 225
Pastinaca sativa L. - 63
Peganum harmala L. - 210
Petasites georgicus Manden. - 89
Petrorhagia saxifraga (L.) Link. - 123
Petroselinum crispum (Mill.) A.W. Hill. - 63
Phleum paniculatum Huds. - 225
Ph. phleoides (L.) Karst. - 225
Phlomis pungens Willd. - 187
P. tuberosa L. - 188
Phragmites communis (L.) Trin - 225
Physalis alkekengi L. - 261
Physocaulis nodosus (L.) Koch - 64
Phytolacca americana L. - 211
Picris strigosa Bieb. - 89
Pimpinella affinis Ledeb. - 64
P. aromatica Bieb. - 64
P. tripartita Kalen - 64
Pisum elatius Bieb. - 158
Plantago lanceolata L. - 211
P. major L. - 212
P. media L. - 212
Plumbago europaea L. - 212
Poa angustifolia L. - 226
P. annua L. - 226

P. bulbosa L. - 226
P. pratensis L. - 227
P. trivialis L. - 227
Podospermum canum (C. A. Mey.) Hoffm. - 89
P.laciniatum (L.) DC. - 90
Polygala transcaucasica Tamamsch - 230
Polygonum alpestre C.A.Mey - 230
P. argyrocoleon Steud. ex G. Kunze - 231
P. aviculare L. - 231
P. convolvulus L. - 231
P. dumetorum L. - 232
P. hydropiper L. - 232
P. nodosum Pers. - 232
P. persicaria L. - 232
Polypodium vulgare L. - 235
Portulaca oleracea L. - 236
Potentilla adenophylla Boiss. & Hohen. - 244
P. argentea L. - 245
P. erecta (L.) Rauschel - 245
P. recta L. - 245
P. reptans L. - 246
P. supina L. - 246
Poterium polygamum Waldst. & Kit. - 246
Primula macrocalyx Bunge - 238
Prunella vulgaris L. - 188
Pterocephalus plumosus (L.) Coult. - 144
Pulicaria dysenterica (L.) Bernh. - 90
Pycneus flavescens (L.) Beauv. ex Reichenb. - 142
P. flavidus (Retz.)T. Coyama - 142
Pyrethrum corymbosum (L.) Scop. - 90
P. parthenifolium Willd. - 91
P.sericeum (Adams) Bieb. - 91
Ranunculus illyricus L. - 240
R.meyerianus Rupr. - 240
R.oxyspermus Willd. - 240
R.repens L. - 241
Rapistrum rugosum (L.) All. - 112
Reichardia glauca Matthews - 91
Reseda lutea L. - 241

Rubia tinctorum L. - 250
Rumex acetosa L. - 233
R. acetosella L. - 233
R.conglomeratus Murr. - 234
R. crispus L. - 234
R. scutatus L. - 234
R. tuberosus L. - 235
Ruta graveolens L. - 251
Salsola dendroides Pall. - 132
S.iberica (Sonnen & Pau) Botsch. - 132
Salvia nemorosa L. - 188
S.sclarea L. - 189
S.verbascifolia Bieb. - 189
S. verticillata L. - 189
S. viridis L. - 190
Samolus valerandi L. - 239
Saxifraga tridactylites L. - 252
Scabiosa columbaria L. - 145
S. micrantha Desf. - 145
S. rotata Bieb. - 145
Scandicium stelatum (Soll.) Thell. - 65
Scandix iberica Bieb. - 65
Scilla siberica Haw. - 173
Scleranthus polycarpus L. - 175
Scrophularia divaricata Ledeb - 254
S. rupestris Bieb. ex Willd. - 255
S. variegata Bieb. - 255
Scutellaria orientalis L. - 190
Sedum acre L. - 136
S. album L. - 136
S. caucasicum (Grossh.) Boriss. - 136
S. pallidum Bieb. - 137
Sempervivum transcaucasicum Muirhead - 137
Senecio vernalis Waldst. & Kit. - 92
S. vulgaris L. - 92
Seseli grandivittatum (Somm. & Levier) Schischk. - 65
Setaria verticillata (L.) Beauv. - 227
S. viridis (L.) Beauv - 227
Sideritis montana L. - 190

Sigesbeckia orientalis L. - 92
Silene conica L. – 123
S. cyri Schischk. - 123
S. iberica Bieb. - 124
S.italica (L.) Pers. - 124
S. solenantha Trautv. - 124
S. spergulifolia (Willd.) Bieb. - 125
Silybum marianum (L.) Gaertn. - 93
Sinapis arvensis L. - 112
Sisymbrium irio L. - 112
S. loeselii L. - 113
S. officinale (L.) Scop. - 113
Solanum nigrum L. -262
S. persicum Willd. ex Roem. & Schult. - 262
Solidago virgaurea L. - 93
Sonchus asper (L.) Hill. - 94
S. oleraceus L. - 94
Sorghum halepense (L.) Pers. - 228
Stachys annua (L.) L. - 191
S. atherocalyx C. Koch - 191
S. cretica L. - 191
S. iberica Bieb. - 192
S. lavanduliaefolia Vahl. - 192
S. sylvatica L. - 192
Stellaria media (L.) Vill. - 125
Sterigmostemum tomentosum (Willd) Bieb. - 113
Stipa capillata L. - 228
S. pulcherrima C. Koch - 228
Symphytum caucasicum Bieb. - 104
Tamus communis L. - 143
Taraxacum grossheimii Schischk. - 94
T.officinale Wigg. - 94
T.praticola Schischk. - 95
T.serotinum (Waldst. & Kit.) Poir. - 95
Telephium orientale Boiss. - 126
Teucrium nuchense C. Koch - 193
T.orientale L. - 193
T.polium L. - 193
Thalictrum buschianum Kem.-Nath. - 241

Thesium arvense Horvatovszky - 252
Thlaspi arvense L. - 114
Th. perfoliatum L. - 114
Thymus tiflisiensis Klok. & Shost. - 194
Tordylium maximum L. - 66
Torilis japonica (Houtt) DC. - 65
Trachynia distachya (L.) Link - 229
Tragopogon coloratus C. A. Mey - 96
T.graminifolius DC. - 96
T.pusillus Bieb. - 96
T.serotinus Sosn. - 96
T.tuberosus C. Koch - 97
Tragus racemosus (L.) All. - 229
Tribulus terrestris L. - 268
Trifolium ambiguum Bieb. - 158
T.arvense L. - 159
T. bonanni Presl. - 159
T. campestre Schreb. in Sturm - 159
T. diffusum Ehrh. - 160
T. medium L. - 160
T. phleoides Pourr. - 160
T. pratense L. - 161
T. repens L. - 161
T. scabrum L. - 161
Trigonella monspeliaca L. - 162
T. orthoceras Kar. & Kir. - 162
T. spicata Sibth. & Smith - 162
Trisetum rigidum (Bieb.) Roem & Schult. - 229
Tussilago farfara L. - 97
Typha angustifolia L. - 262
T. latifolia L. - 263
Urtica dioica L. - 264
Valeriana officinalis L. - 264
Verbascum formosum Fisch. ex Schrank - 255
V.gossypinum Bieb. - 256
V.phlomoides L. - 256
V.phoeniceum L. - 257
V.thapsus L. - 257
Verbena officinalis L. - 265

Veronica anagallis – *aquatica* L. - 257
V. arvensis L. - 258
V. filiformis Smith. - 258
V. hederifolia L. - 259
V. multifida L. - 259
V. peduncularis Bieb. - 259
V. polita Fries. - 260
V. verna L. - 260
Vicia angustifolia Reichard - 163
V. cinerea Bieb. - 163
V. ervilia (L.) Willd. - 164
V. grandiflora Scop. - 164
V. hirsuta (L.) S. F. Gray. - 164
V. narbonensis L. - 165
V. pannonica Crantz. - 165
V. peregrina L. - 166
V. sativa L. - 166
V. truncatula Fisch. ex Bieb. - 166
V. variabilis Freyn & Sint. - 167
V. villosa Roth. - 167
Vinca herbacea Waldst. & Kit. - 66
Viola alba Bess. - 265
V. ambigua Waldst. & Kit. - 265
V. arvensis Murr. - 266
V. hirta L. - 266
V. kitaibeliana Schult. - 266
V. mandschurica W. Beck. - 267
V. odorata L. - 267
V. reichenbachiana Jord. ex Boreau - 267
V. suavis Bieb. - 268
Vulpia ciliata (Danth.) Dumort - 229
V. myuros (L.) C. C. Gmel. - 230
Xanthium spinosum L. - 98
X. strumarium L. - 98
Xeranthemum squarrosum Boiss. - 99
Ziziphora capitata L. - 194
Z. serpyllaceae Bieb. - 194
Zosima orientalis Hoffm. - 66
Zygophyllum fabago L. - 268

აბრეშუმასებრნი -	139
ადიანთასებრნი -	51
ასტრასებრნი (რთულყვავილოვანნი) -	69
ბაიასებრნი -	239
ბალბისებრნი -	199
გოგრისებრნი -	138
გოქშოსებრნი -	143
გვიმრუჭასებრნი -	67
დანდურისებრნი -	236
დიოსკორიასებრნი -	143
ენდროსებრნი -	247
ვარდისებრნი -	242
ზამბახისებრნი -	175
თხაწართხალასებრნი -	201
იისებრნი -	265
ილეცერბასებრნი -	174
ინასებრნი -	99
ისლისებრნი -	140
კანაფისებრნი -	116
კაპარისებრნი -	117
კაქტუსისებრნი -	114
კატაბალანასებრნი -	264
კელაპტარასებრნი -	204
კომბოსტოსებრნი (ჯვაროსანნი) -	105
კრაზანასებრნი -	174
ლაქაშისებრნი -	262
ლაშქარასებრნი -	100
მაჩიტასებრნი -	115
მარცვლოვანნი -	213
მარიამსაკმელასებრნი -	210
მატიტელასებრნი -	230
მიხაკისებრნი -	117
მჟაველასებრნი -	206
მრავალძარღვასებრნი -	211
მსუქანასებრნი -	136
ნაცარქათამასებრნი -	126
ნამღვილი გვიმრები -	235

ნემსიწვერასებრნი - 169
ნიახურისებრნი (ქოლგოსანნი) - 56
ორყურასებრნი - 268
პარკოსანნი - 150
რეზედასებრნი - 241
რძიანისებრნი - 146
საკმელისებრნი - 133
სანტალასებრნი - 252
სატაცურისებრნი - 67
სათოვლიასებრნი - 134
სელისებრნი - 198
სუმბულისებრნი - 172
ტეგანისებრნი - 251
ტუჩოსანნი - 178
ტყვიაბაღასებრნი - 212
ფურისულასებრნი - 236
ფხიჯასებრნი - 252
ქენდირისებრნი - 66
ყაყაჩოსებრნი - 207
შავთარასებრნი - 168
შავწამაღასებრნი - 252
შოროქანისებრნი - 197
შროშანისებრნი - 195
შიტიცასებრნი - 146
ცოცხანასებრნი - 265
ცოცხმაგარასებრნი - 199
ძაღლყურძენასებრნი - 261
წიწინაურისებრნი - 230
წყლის მრავალძარღვასებრნი - 51
ჭიაფერასებრნი - 211
ჭილისებრნი - 178
ხარისძირასებრნი - 171
ხახვისებრნი - 51
ხვართქლასებრნი - 134
ჯადვარისებრნი - 202
ჯიჯლაყასებრნი - 54
ჯინჭურისებრნი - 263

მცენარეთა ქართულ სახელწოდებათა საძიებელი

- აბრეშუმა - 139
- აბზინდა - 72
- ადამის ზაფრანა - 175
- აღისარჩული - 78
- აღოშა - 116
- აღპური მატიტელა - 233
- ამბროზია - 70
- ანაკამპტისი - 202
- ანდრია ჰაპა - 240
- ანისული - 64
- არენარია - 117
- აღმოსავლური ცველია - 252
- აღმოსავლური ჩიტისთვალა - 247
- აღმოსავლური მიხაკი - 119
- აღმოსავლური მუზარადა - 190
- აღმოსავლური სოსანი - 172
- აღმოსავლური ტელეპიუმი - 126
- აღმოსავლური ჭარელა - 193
- აღმოსავლური ყვავისფრჩხილა - 150
- არმატული ანისული - 64
- ავშანი - 74
- ავსტრალიური აკალიფა - 146
- ავსტრიული სელი - 198
- ბამბისქულასებრი ქერიფელა - 256
- ბარამბო - 185
- ბარდა - 158
- ბარის სამყურა - 159
- ბატენისყურა - 100
- ბაყაყურა - 93
- ბებრის კონკა - 183
- ბერსელა - 216
- ბიბერშტეინის ფარსმანდუკი - 69
- ბირკაულა - 92
- ბირკავა - 242
- ბოლოკა - 112
- ბოლქვიანი ქერი - 222
- ბოლქვიანი თივაქასრა - 226

ბორბლისებრი ფოლიო - 145
ბოსტნის დიჭა - 94
ბოსტნის წალიკა - 232
ბრტყელეკალა - 88
ბრტყელეკალა ნარშავი - 78
ბურჩხა - 220
ბურტყლა სამყურა - 159
ბუსკანტურა - 115
გადაღუნული დიდილო - 80
გაფარჩხული შავწამალა - 254
განფენილი ჩიტისთვალა - 248
გართხმული ოპუნცია - 114
გართხმული რძიანა - 148
გაუდინოპსისი - 222
გაზაფხულის ჩადანდრი - 260
გაზაფხულის ცხვირისსატეხელა - 239
გაზაფხულის ეროფილა - 109
გაზაფხულის თავყვითელა - 92
გიეში - 73
გიმნადენია - 202
გიორგელა, ქათმისკუჭა - 169
გლერტა, კლერტა - 218
გობისცხვირა - 188
გონგოლა - 112
გოქშო - 144
გორგლისებრი ჩიტისთვალა - 247
გორგლისებრი პირთეთრა - 118
გროსპემის ბურბუშელა (ბაბუაწვერა) - 94
გველის მარწყვი - 242
გველის სურო - 66
დაჯირა - 189
დანაკეთული პოდოსპერმიუმი - 90
დანაწვერებული ჯადგარი - 203
დანაწვერებული ჭილი - 178
დანდური - 236
დატოტვილი შვიტა - 146
დედაფუტკარა - 191
დიდი კამა - 61
დიდი მრავალძარღვა - 212

დიდი ტკაცუნა - 2437
დიდი ხვართქლა - 135
დიდჯამა ფურისულა - 238
დიდყვაგილა ცერცველა - 164
დიდყვაგილა ყაყაჩურა - 207
დიფუზური დიდილო - 79
დიფუზური სამყურა - 160
დიყი - 62
ეგილოფსი - 213
ეგვიპტური კელაპტარა - 204
ეკლიანი ან კამანჩის ოპუნცია - 115
ეკლიანი ნარშავი - 77
ენდრო - 250
ენდრონიკა - 250
ენბელა - 134
ერემოსტახისი - 180
ერიზიმუმი - 109
ეროფილა - 109
ერთბუტკოიანი აბრეშუმა - 140
ერთწლოვანი დედაფუტკარა - 191
ერთწლოვანი თივაქასრა - 226
ევროპული აბრეშუმა - 139
ეხინარია - 219
ვაციწვერა - 228
ვარდისფერი ნონეა - 103
ვარდკანაფა - 83
ვარდკაჭაჭა - 80
ვაზისძირა - 183
ველის წივანა, ქუჩი - 221
ველური კანაფი - 116
ვენახის მელაკუდა - 214
ვენერას თმა - 51
ვერცხლისებრი მარწყვა-ბალახი - 245
ვერცხლისებრი მატიტელა - 231
ვერცხლისებრი პირთეთრა - 118
ვირისტერფა - 97
ვიწროფოთოლა ბუჩქისძირა - 168
ვიწროფოთოლა ცერცველა - 163
ვიწროფოთოლა ისლი - 142

ვიწროფოთოლა ლაქაში - 262
ვულფია - 230
ზეზელი - 65
ზიზილა - 76
ზოსიმა - 66
ზღარბა - 197
თაგვის ყანა - 222
თათაბო - 127
თათისებრი ისლი - 140
თათრული თათაბო - 127
თავაკისებრი ულუმბო - 162
თავაკისებრი ურცი - 194
თავცეცხლა - 181
თავეკომბალა - 82
თავნასკვა - 142
თავშავა - 187
თბილისური ბეგქონდარა - 194
თეთრი ენდრონიკა - 249
თეთრი ია - 265
თეთრი ჯიჯლაყა - 54
თეთრი კლდისდუმა - 136
თეთრი ნაცარქათამა - 128
თეთრი ნამიკრეფია - 215
თეთრი ნარი - 81
თეთრი სამურა - 161
თეთრი ხახვი - 51
თეთრი ძიძო - 154
თეზიუმი - 252
თივაქასრა - 226
თრიალეთის იონჯა - 152
თუთაბალახა - 147
თვითნათესი ყაყაჩო - 210
იაპონური შვრიელა - 217
იაპონური ძაღლის ბირკა - 65
იბერიული ასტრა - 75
იბერიული ღიღიღო - 79
იფნურა - 251
იისფერი ქერიფქლა - 257
ირაბა - 71

იტალიური ქოთანა - 124
იურინგა - 86
კაკბის საკენკელა - 102
კალიცეფალუსი - 76
კამა - 56
კამენია - 71
კაპარი - 117
კაპუეტა - 213
კატაბროზა - 218
კატაპიტნა - 186
კაუჭა კურდღლისფრჩხილა - 151
კაუჭა ნარშავი - 77
კავკასიური კლდისდუმა (კაცისყურა) - 136
კავკასიური კურდღლისფრჩხილა - 151
კავკასიური ლაშქარა - 104
კავკასიური ღვინა - 195
კავკასიური ყაზახა - 172
კავკასიური ზამბახი - 176
კახური ესპარცეტი - 156
კედლის ალისუმი - 105
კედლისპირა - 263
კესანე - 103
კეწეწურა - 223
კვანძებიანი მატიტელა - 232
კილამურა - 235
კიტრანა - 138
კლაკნია ალისუმი - 106
კლდის იასამანი - 264
კლდის მახობელი - 143
კლდის შავწამალა - 255
კლდის ხახვი - 53
კლდისვაშლა - 137
კოფრჩხილა - 61
კოლპოდიუმი - 218
კომბოსტურა - 108
კონიო, მათოთი - 59
კონუსური ქოთანა - 123
კოტრანი - 108
კრაზანა - 174

კრუციანელა - 249
კულმუხო - 85
კუროს თავი, ტატაშა - 268
კუტი ბალახი - 193
კვანძებიანი მატიტელა - 232
ლაშვარდოვანი პირწმინდა - 179
ლაკარტია - 225
ლანცეტა გოქშო - 144
ლანცეტა მრავალძარღვა - 211
ლაქაში - 263
ლაგანდისფოთოლა დედაფუტკარა - 192
ლანტარა - 234
ლეგა ავშანი - 74
ლეგა ნაცარქათამა - 129
ლეგა-იისფერი ჯიჯლაყა - 55
ლელი - 225
ლემა - 261
ლენცოფა - 261
ლეშურა - 138
ლიკოპუსი - 184
ლომისკბილა - 87
ლოზელის გონგოლა - 113
ლურჯი ნარი - 60
ლურჯი ძირწითელა - 101
მაჩიტა - 116
მაჟარა - 241
მაკრატელა - 107
მალაბაილა - 63
მამასწარა - 68
მამრობითი ჯადგარი - 203
მამულა - 75
მანჯურის ია - 267
მაღალი ქვაპურა - 58
მარცვლოვანფოთოლა ფამფარა - 96
მარიამსაკმელა - 210
მარტივი სელიჭა - 254
მარტოული ღიღილო - 80
მარწყვა სამყურა - 159
მათრახა - 110

მდელოს ბურბუშეღა - 95
მდელოს შერიანა - 216
მდელოს თივაქასრა - 227
მდელოს წივანა - 221
მეიერის ბაია - 240
მელიკა - 224
მელიუმი - 224
მეწამული ჯადვარი - 203
მეწამული კელაპტარა - 206
მეჭეჭიანი ჩიტის ბირკა - 102
მილისებრყვავილიანი ქოთანა - 124
მინდვრის გვირილა - 88
მინდვრის მღოგვი - 112
მინდვრის ნაცარა - 83
მინდვრის ნარი - 61
მინდვრის ნარი - 81
მინდვრის წიწმატელა - 110
მინდვრის ზამბახი - 177
მინდვრისნემსა - 250
მინიმაღური იონჯა - 153
მჟაუნა - 233
მჟავეღა - 206
მკრთალი ფუნთუშა - 137
მკრთალი ისლი - 141
მოცისფრო-მეწამული კაკობის საკენკელა - 100
მოკლე და ხეშეშბეწვიანი ისლი - 141
მოკლე ხეშეშფოთლიანი ია - 266
მომცრო ტეფი - 220
მომჟავო მჟაუნა - 233
მოღუნული ჯიჯლაყა - 54
მოთეთრო დედაფუტკარა - 191
მოხატული მელიკა - 224
მოხდენილი კელაპტარა - 205
მოხდენილი წინწკალა - 121
მოყვითალო პიკრეუსი - 142
მოყვითალო-თეთრი ფარსმანდუკი - 70
მრავალფოთოღა ისლი - 141
მრავალდგაყოფილი ჩაღანდრი - 259
მრგვალფოთოღა ნემსიწვერა - 171

მრგვალფოთოლა ქვაპურა - 59
მრგვალი ხახვი - 53
მრგვალნაყოფა იონჯა - 153
მშვენიერი ქერიფქლა - 255
მსხვილყვავილა ფუჩფუჩა - 87
მტევნისებრი ნაცარქათამა - 128
მტკვრის ესპარცეტი - 156
მტკვრის ქოთანა - 123
მუნხარის სალბი - 188
მწოლარე მარწყვა-ბალახი - 246
მწვანე ჩიტისთავა - 195
მწვანე მარწყვი - 243
მწვანე სალბი - 190
მწვანე ძურწა - 227
მწვაგეთესლიანი ბაია - 240
მწყერფეხა - 219
მხოხავი მარწყვა-ბალახი - 246
მხოხავი პირწმინდა - 179
მხოხავი ჭანგა - 214
მზეყვავილა - 133
მზეყვავილა (მლაშობის) - 133
მზის მოყვარული რძიანა - 148
ნაცარა - 83
ნაცარა გვირილა - 91
ნაცრისფერი ცერცველა - 163
ნაკადულის ჩიტისთავა - 248
ნამიკრეფია - 214
ნამკალა - 223
ნეაპოლიტანური ძიძო - 155
ნესლია - 111
ნიახურა - 241
ნიახური - 57
ნიგვზისძირა - 244
ნივრის დედა - 105
ოფოფა - 65
ონტკოფა - 261
ოქროცოცხა - 99
ოქროშვრია - 229
ოქროსწკეპლა - 93

ორადგაყოფილი თავცეცხლა - 180
ორფერა წინწკალა - 120
ორკბილა - 76
ორფანდი - 72
ორყურა - 268
ოშეს თათაბო - 126
ოშოშა - 181
ოფერინის კელაპტარა - 206
ოხრახუში - 63
პალასის ოქსიტროპი - 157
პატარა ფოლიო - 145
პატარძალა - 100
პაწაწკინტელა ფამფარა - 96
პიკრეუსი - 142
პირდაპირი მარწყვა-ბაღახი - 245
პირიმზე - 204
პირწმინდა - 178
პოდოსპერმიუმი - 89
პონტური ძაღლნიორა - 173
პრასანა - 53
პრიალა თათაბო - 126
პტეროცეპჰალუსი - 144
პულიკარია - 90
ჟუნჟრუკი - 125
რეინარდია - 91
რუდერალური პირთეთრა - 119
რძიანა - 149
რძიანა (ბუასიეს) - 147
საამური ია - 268
საეჭვო ჩიტისთავა - 196
საეჭვო ია - 265
საეჭვო ყაყაჩო - 209
საგველასეპრი ტიმოთელა - 225
საგვიანო ბურბუშელა - 95
საგვიანო ფამფარა - 96
სავარცხელა - 169
სამკურნალო შავთარა - 168
სალათა - 86
სალბი - 189

სამადგანკვეთილი ანისული - 64
სამკურნალო ბურბუშედა (ბაბუაწვერა) - 94
სამკურნალო ცეცერასი - 69
სამკურნალო კატაბალასა - 264
სამკურნალო სატაცური - 67
სამკურნალო შავთარა - 168
სამოლუსი - 239
სამწვანე - 73
სამყურა - 160
სამყურას აბრეშუმა - 139
სასტვენა - 122
საშუალო მრავალძარღვა - 212
სატაცური - 67
სათითურა - 219
საჭარა - 91
საყვითლო - 190
სელიჭა - 253
სფერული ხახვი - 52
სკანდიციუმი - 65
სოსანი ზაფრანა - 176
სოსნოესკის ნაცარქათამა - 130
სპარსული ღვარძლი - 223
სპარსული ძაღლყურძენა - 262
სტერიგმოსტემუმი - 113
სტევენის წინწკალა - 121
სურნელოვანი ია - 267
სუროსფოთოლა ჩაღანდრი - 259
სწორმდგომი მარწვევა-ბალასი - 245
სწორრქიანი უღუმბო - 162
სხივიანი ესპარცეტი - 157
ტეფი - 220
ტეგანი - 251
ტენცო - 185
ტიმოთელა - 225
ტკაცუნა - 237
ტორდილიუმი - 66
ტრაგუსი - 229
ტრახინია - 229
ტუბერიანი ფამფარა - 97

ტუბერიანი ჯინჯარა - 188
ტუბერიანი დოლომჟავა - 235
ტუხტი - 200
ტყის ბაღბა - 201
ტყის ბერსელა - 216
ტყის ია - 267
ტყის მარწყვი - 243
ტყის მიხაკი - 120
ტყის პიტნა - 186
ტყის სამყურა - 160
ტყის ხვართქლა - 135
ტყიურა - 62
ტყვიაბალახა - 212
უცხო ცერცველა - 166
უდაბნოს ალისუმი - 105
უფხო ღვარძლი - 223
უგემური შვრიუკა - 215
უგრეხელა - 164
უჯანგარი - 73
უშმურა - 171
უკადრისა - 99
უკვლავა - 84
ულუმბო - 162
ურაშა - 246
ურცი - 194
ურო - 216
უსუპი, ზენტეხი - 182
უჭურველი - 68
ფარისებრი გვირილა - 90
ფერადი ფამფარა - 96
ფერისცვალა - 60
ფიზოკალისი - 64
ფოლიო - 145
ფოლორცის ბალახი - 184
ფშნის ეკალი - 157
ფურფურა - 87
ფუნთუშა - 136
ფხიჯა - 252
ქაფუნა - 175

ქაფურა - 243
ქალაქის ნაცარქათამა - 130
ქარაძენძი - 186
ქართული ბუერა - 89
ქართული დედაფუტკარა - 192
ქართული ენდრონიკა - 249
ქართული ესპარცეტი - 156
ქართული მათრახა - 110
ქართული ქოთანა - 124
ქართული რძიანა - 148
ქართული ყარღანი - 132
ქართული ზამბახი - 176
ქატმი - 200
ქათმისკუჭა - 170
ქერიფქლა - 257
ქერიფქლა (*Verbascum phlomoides*) - 256
ქინძარა - 58
ქინძი - 60
ქოლგისებრი ჰოლოსტეუმი - 122
ქონდარა ზამბახი - 177
ქოთანა - 125
ქრისტესისხლა - 207
ქუთქუთა - 114
ქვაპურას მსგავი - 58
ქვათესლა - 102
ქვიშნარის ყაყაჩო - 208
ღია ფერის ნემსიწვერა - 170
ღიღილო - 78
ღიჭა - 94
ღობისძირა - 232
ღოლოშმაგა - 234
ღორის ბირკა - 98
ღორის ქადა - 86
ღორღორა - 113
ღრიანჭველა - 57
ღრმადგანკვეთილი ნემსიწვერა - 170
ყანის ბირკა - 59
ყანის ჩაღანდრი - 258

ყანის ჩიტისთვალა - 247
ყანის ია - 266
ყანის ირაგა - 71
ყანის მატკვარცანა - 150
ყანის ნიორი - 52
ყანის ქუთქუთა - 114
ყანის რეზედა - 241
ყანის საპონელა - 236
ყანის სოსანი - 171
ყანის შვიტა - 146
ყანის შვრიელა - 217
ყანის ჩიტისთვალა - 247
ყანის ჭლექი - 231
ყანის ხვართქლა - 134
ყანის ყაყაჩო - 210
ყარღანი, ჩარანი - 132
ყაყაჩურა - 207
ყეინა - 111
ყირიმული ჩიტისთავა - 196
ყირიმული პირთეთრა - 119
ყოჩივარდა - 237
ყვანჩალა - 192
ყვავილიანი ჩაღანდრი - 259
ყვავისფრჩხილა - 150
ყვითელი ცოცხი - 131
ყვითელი გვირილა - 82
ყვითელი კელაპტარა - 205
ყვითელი ნონეა - 103
ყვითელი ტუხტი - 199
ყვითელი ყაყაჩურა - 208
ყვითელი ძიძო (სამკურნალო ძიძო) - 155
შალაფა - 228
შალგი - 106
შავბალახა - 183
შავჩოსხა - 103
შავდავითა - 131
შავი ძაღლყურძენა - 262
შავთარა - 168
შემოდგომის წინწკალა - 84

შეუმჩნეველი ბაღბა - 200
შინაური სავარცხელა - 169
შიშველყვაილა სელი - 198
შოროქანი, მლაშე ცოცხი - 197
შოვიცის ყაზახა - 172
შვრიელა - 218
შვრიუკა - 215
ჩაქინდრული ნარშავი - 77
ჩალანდრი - 257
ჩაწყობილა - 253
ჩაწყობილა ბაია - 239
ჩიტის ბირკა - 102
ჩიტის ია - 266
ჩრდილოეთის გვიმრუჭა - 67
ჩვეულებრივი (ხუჭუჭა) დოლო - 234
ჩვეულებრივი ცერცველა - 166
ჩვეულებრივი ფოლორცის ბალახი - 184
ჩვეულებრივი ჯიჯლაყა - 56
ჩვეულებრივი მატიტელა - 231
ჩვეულებრივი მზიურა - 85
ჩვეულებრივი დვარძლი, მათრობელა - 224
ჩვეულებრივი სელიჭა - 254
ჩვეულებრივი შვრია - 215
ჩვეულებრივი თაყყითელა - 92
ჩვეულებრივი თივაქასრა - 227
ცახცახა - 217
ცახის ბალახი - 109
ცეცხლეკალა - 98
ცერცველა - 165
ცილინდრული ეგილოფსი - 213
ციმციმა - 123
ცისფერი იონჯა - 152
ცისფერი კელაპტარა - 205
ცისფერი საპონელა - 236
ცისთვალა - 173
ცოცხანა - 265
ცოცხმაგარა - 199
ცრუყვითელი ხახვი - 53
ცვალებადი ცერცველა - 167

ცვალებადი ჩიტისთავა - 195
ცვალებადი ქვაპურა - 58
ცვალებადი შერეილა - 217
ცვალებადი ყაყაჩო - 208
ცხენის ცერცველა - 165
ცხენისკუდა - 82
ცხერის ღიღილო - 79
ცხერის სამყურა - 158
ძაფისებრი ჩაღანდრი - 258
ძაღლის ენა - 100
ძაღლის პიტნა, ჯინჭრისგერა - 180
ძაღლის სატაცური - 143
ძირთეთრა - 63
ძირწითელა - 101
ბურწა - 227
წაგრძელებული კომბოსტო - 106
წალიკა, წყლის ინა - 232
წამწამებიანი ვულფია - 229
წაჭრილი ცერცველა - 166
წებოვანი ჰოლოსტეუმი - 121
წიაპა - 175
წითელი ნაცარქათამა - 129
წითელი სამყურა - 161
წითელი წივანა - 221
წითელწვერა - 131
წიწინაური - 230
წიწმატა-სელი - 107
წიწმატელა - 108
წიწმატელას მახლობელი - 108
წიწმატურა, ხაჭიჭორა - 107
წნულისებრი ავშანი - 75
წვრილფოთოლა ბუფონია - 118
წვრილფოთოლა ჩიტისთავა - 196
წვრილფოთოლა ონოსმა - 104
წვრილფოთოლა სელი - 198
წვრილი ენდრონიკა - 250
წვრილნაყოფა ონოსმა - 104
წურწუმა - 228
წყალნაწყენი - 201

წყლის მანანა - 222
წყლის მრავალძარღვა - 51
წყლის წიწმატი - 111
ჭარელა - 193
ჭიაფერა - 211
ჭიკარტი - 260
ჭილი - 178
ჭინჭარი - 264
ჭრელი შავწამალა - 255
ჭრელყვავილა იონჯა - 154
ჭყიმა-ბალახი - 56
ჭყიმი - 56
ხალიანი რძიანა - 149
ხანჭკოლას აბრეშუმა - 140
ხანჭკოლასებრი იონჯა - 152
ხალიანი ცერცველა - 167
ხარისვარდა - 189
ხარნუყა - 84
ხახეთესლა - 238
ხახური ხვართქლა - 135
ხეშეშბეწვა კრაზანა - 174
ხეშეშბეწვა ქაფუნა - 174
ხეშეშბეწვიანი ცერცველა - 164
ხეშეშნაყოფა იონჯა - 154
ხორკლიანი მზიურა - 85
ხორკლიანი სამყურა - 161
ხვართქლა - 134
ჯადგარი - 203
ჯაგრისებრი ფარსმანღუკი - 70
ჯაგრისებრი ნონეა - 103
ჯაგრისებრი სტრიგოზა - 89
ჯაგზისებრი ხახვი - 52
ჯიჯლაყა - 54
ჯინჭარა - 187
ჯინჭრის დედა - 182
ჯირკვლოვანფოთოლა მარწყვა-ბალახი - 244
ჰელიოტროპი - 101
ჰიბრიდული ჯიჯლაყა - 55
ჰიბრიდული ნაცარქათამა - 129

ჰიბრიდული ყაყაჩო - 209
ჰოჰენაკერის მარტა - 115
ჰოლოსტეუმი - 122

ლიტერატურა

- ანდრონიკაშვილი ბ., ექვთიმიშვილი მ., მანაგაძე გ.** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის მეგზური (მეოთხე გამოცემა). “მეცნიერება”. თბილისი, 1971.
- ბიძინაშვილი რ.** ადრე მოყვავილე ბოლქვოვანი და ტუბერბოლქვოვანი მცენარეები თბილისის ბოტანიკურ ბაღში. თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომები, 92. თბილისი, 2002.
- ბიძინაშვილი რ., მ. ელბაქიძე** თბილისის მიდამოების იშვიათი სამკურნალო მცენარეები. “ბასიანი”. თბილისი, 2008.
- ბიძინაშვილი რ.** თბილისის მიდამოების ფლორის სამკურნალო გეოფიტები. “ბასიანი”. თბილისი, 2009.
- ბიძინაშვილი რ., ელბაქიძე მ., ცხადაძე ნ., ხაიკაშვილი ხ.** თბილისის მიდამოებში მოზარდი სამკურნალო სარეველა მცენარეები. “ბასიანი”. თბილისი, 2009.
- ბიძინაშვილი რ., ცხადაძე ნ., ხაიკაშვილი ხ.** თბილისის მიდამოების სამკურნალო მცენარეები. “ბასიანი”. თბილისი, 2010.
- ბიძინაშვილი რ.** სამკურნალო მცენარეები და ბოტანიკური ბაღები. “უნივერსალი”. თბილისი, 2012.
- ბიძინაშვილი რ.** სანელებელ-არომატული მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა. თბილისი, 2013.
- ბარნაბიშვილი ი.** მასალები თბილისის ბოტანიკური ბაღის ფიტოფენოლოგიისათვის. საქართვე. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1956.
- გაგნიძე რ.** საქართველოს ფლორის კონსპექტი. ნომენკლატურული ნუსხა. თბილისი, 2005.
- გოგოლიშვილი მ., სხიერელი ვ.** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური (თბილისის) ბოტანიკური ბაღი (მოკლე ისტორია). “მეცნიერება”. თბილისი, 1986.
- გულისაშვილი ვ.** თბილისისა და მისი მიდამოების ბუნებრივი ზონები. საქართველოს ბუნების დაცვა, ნაკვეთი IV, თბილისის მიდამოები. “მეცნიერება”. თბილისი, 1970.
- ისაკაძე შ.** თბილისის ბოტანიკური ბაღი. “საბჭოთა საქართველო”. თბილისი, 1969.
- იოანე ბაგრატიონი.** საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი. “მეცნიერება”. თბილისი 1986.
- იოსელიანი პ.** ტფილისის სიძველეთა აღწერა. 1866.

კეცხოველი ნ. ტფილისის მიდამოების გაზაფხულის პირველი მცენარეულობა. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. ტფილისი, 1929.

კეცხოველი ნ. საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ტფილისი, 1935.

კეცხოველი ნ. საქართველოს მცენარეული საფარი. საქ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1959.

კეცხოველი ნ. თბილისის მიდამოების მცენარეულობა. საქართველოს ბუნების დაცვა, IV. თბილისის მიდამოები. “მეცნიერება”. თბილისი. 1970.

კერესელიძე ჯ., მ. ლორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური (თბილისის) ბოტანიკური ბაღი, მეგზური. თბილისი, 1999.

კერესელიძე ჯ., ციცივიძე ა. ბიძინაშვილი, რ., ანთაძე ნ., ასიეშვილი ლ., გოგიტაშვილი ე. კიდევ ერთხელ თბილისის მიდამოების ფიტოცენოზებში ოპუნციის ექსპანსიის შესახებ. თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომები, 93, 2003.

კერესელიძე ჯ., ლორია მ. ელბაქიძე მ. თბილისის ბოტანიკური ბაღი 365 წლისაა. “დედაენა”. თბილისი, 2001.

კიკილაშვილი თ., ქლიაშვილი დ. თბილისის მიდამოების წყლები. საქართველოს ბუნების დაცვა, IV. თბილისის მიდამოები. “მეცნიერება”. თბილისი, 1970.

კორძასია მ., ჯავახიშვილი შ. თბილისისა და მისი მიდამოების ჰავა. საქ. ბუნების დაცვა, ნაკვ. IV. თბილისის მიდამოები. “მეცნიერება”. თბილისი, 1970.

ლაჩაშვილი ნ., ერაძე ნ., ხაჩიძე მ. საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ველურად მოზარდი კავკასიისა და საქართველოს ენდემური სახეობები. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შრომები. 99. თბილისი, 2013.

ლომიძე ჯ., ერაძე ნ., ასიეშვილი ლ., სირაძე მ. თბილისის შემოგარენის ნიადაგების დახასიათება. თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომები, № 95. თბილისი, 2005.

ლომიძე ჯ., ნაკაიძე ჯ., ხუნწარია მ. თბილისის ბოტანიკური ბაღის ეკოლოგიური პირობების ზოგადი დახასიათება და ხემცენარეების ფესვთა სისტემის ფორმირების თავისებურებები. თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომები, № 97. თბილისი, 2007.

ლომიძე ჯ., ბიძინაშვილი რ. ბუნებრივი სტრესული ფაქტორების გავლენა თბილისის მიდამოების მცენარეულობაზე. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შრომები. 99. თბილისი, 2013.

მაყაშვილი ა. საქართველოს სარეველა მცენარეები. სარკვევი. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ტფილისი, 1934.

მაყაშვილი ა. თბილისის მიდამოების ფლორა. ტ. I-II. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1952-1953.

მაყაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი. “საბჭოთა საქართველო”. თბილისი, 1961.

საბაშვილი მ., ამბოკაძე ვ. თბილისის მიდამოების ნიადაგები, მათი გამოყენება და დაცვა.

საქ. ბუნების დაცვა, ნაკვ. IV (თბილისის მიდამოები) გამომც. “მეცნიერება”. თბილისი, 1970.

საქართველოს მცენარეების სარკვევი ტ. I-II, “მეცნიერება”. თბილისი, 1964-1969.

საქართველოს ფლორა, ტ. I -VIII, გამომცემა I. “მეცნიერება”. თბილისი, 1941-1952.

საქართველოს ფლორა, ტ. I – XVI, გამომცემა II, “მეცნიერება”. თბილისი, 1971 – 2011.

ციცივიძე ა., კ. ტულუში, ს. ხმაღაძე, ლ. ოსიშვილი, ნ. ანთაძე, მ. ხუნწარია საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ხეები და ბუჩქები (ანოტირებული სია). თბილისი, 2013.

ჯავახიშვილი ალ. თბილისისა და მისი მიდამოების გეოლოგია და მორფოლოგია. საქართველოს ბუნების დაცვა, ნაკვ. IV ,თბილისის მიდამოები. გამომც. “მეცნიერება”. თბილისი, 1970.

www.google.ge; თბილისის ბოტანიკური ბაღის ხედები.

Гроссгейм А.А. Растительные ресурсы Кавказа. Изд. АН Азерб. ССР. Баку, 1946.

Гроссгейм А.А. Флора Кавказа. Второе переработанное и дополненное издание. т. I-III, АзФАН. Баку, 1939 -1940-1945.

Гроссгейм А.А. Флора Кавказа. Второе переработанное и дополненное издание. т. IV-VII. Изд. Наука. Л-М. 1950-1967.

Забинкова Н.Н., Кирпичников М.Э. Латино-русский словарь для ботаников. Вып. Изд. АН СССР, М-Л. 1957.

Колаковский А.А. Флора Абхазии. т.1-1V; «Мецниереба». Тбилиси, 1980-1986.

Котт С. А. Сорные растения и меры борьбы с ними. Изд. Сельхоз. М. 1961.

Ролловъ А.Х. Дикорастущие растения Кавказа, их распространение, свойства и применение. Типография К.П. Козловского. Тифлиς, 1908.

Сосновский Д.И., Гроссгейм А.А., Шишкин Б.К. Флора Тифлиςа, часть первая. საქართველოს მუზეუმის შრომები, № 3. ტფილისი, 1925.

Сосновский Д.И., Гроссгейм А.А. Определитель растений окрестностей Тифлиςа. Типография К.П. Козловского. Тифлиς, 1920.

Czerepanov S.K., Vascular Plants of Russia and Adjacent States (the Former USSR). М. 1995.

სარჩევი

შესავალი	3
საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი (საერთო მონაცემები)	5
თბილისის ბოტანიკური ბაღის ფლორა და მცენარეულობა	21
მონაცემები საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ბუნებრივად მოზარდ ბალახოვან მცენარეებზე	50
მცენარეთა მრავალფეროვნების დაცვის აუცილებლობაზე	270
რეზიუმე ქართულ ენაზე	273
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	278
რეზიუმე რუსულ ენაზე	282
ოჯახების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი	287
მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი	289
ოჯახების ქართულ სახელწოდებათა საძიებელი	305
მცენარეების ქართულ სახელწოდებათა საძიებელი	307
ლიტერატურა	324